

= 67.5317 =



= კოსტარიკა 188,25 ჭიდვა? =

## O. මුද්‍රණ සංස්කරණ ප්‍රතිපාදනය

$$= 51530 =$$

( 2020-10-08 4:17pm - )

19293

3. Ըստածողություն շահովառ. +)



+)/ Ա ճյժեն պահուած ութօն 1908 օյլ ք Էմբ Հ  
գիտական թանգարակ. Ք Ցըսդեղ Խորհ-Արշակ Յանձնչական  
և լուսագիր ք. Տրանտէ Յանձնչակ. -

A cursive signature in black ink, reading "W. H. G.", which is the abbreviation for William H. Green.

196. ~~Longtail~~ ~~Longtail~~

~~Longtail~~ ~~Longtail~~

(~~Longtail~~ ~~Longtail~~)

13090 116, 2006.



# ახალი გატონები

მოთხოვთა

„ორთობის“ დროიდან

გულსავსებით ვუძღვნი  
ჩემ ძეირფასს მასწავლებელს  
სოფრონ მგალობლიშვილს.

..... დრომ მოიტანა და საქართველოს ასის წლობით  
დაჩაგრულმა ხალხმაც თვალები მოიფრინიტა, მზესა და მთვა-  
რეს თამამად შეხედა, თავისუფლება მოითხოვა.

ხალხის გამოფხიზლებამ თავზარი დასტა ყველა იმათ,  
ვინც-კი ამ ხალხის შრომით მუქთად იკვებებოდა, ვინც მას  
გონებით აბრმავებდა და დაფაურულდნენ: მსგავსი მსგავსს მიე-  
კედლა, ხალხს წინ გადაელობა..

მაგრამ აღელვებულ მდინარეს მალე ვერავინ დაარუვებს!  
საუკუნოებით დაგუბებულმა ბოლმამ გადმოხეთქა ხალხის გუ-  
ლიდან და, ყველასაგან ყბაღ-აღებული ხალხი იგი, ბრალიანსა  
და უბრალოზე შურს იძიებდა.

რუსეთის შორს მკვრეტელმა და ჩვენთვის უკუღმართმა  
პოლიტიკამ ამ დროისათვის თავისი ნაყოფი უკვე გამოიღო:  
საქართველოს წარჩინებულნი გადაგვარების გზას დაადგნენ,  
უჩინონი და რუსის სკოლებში აღზრდილნი ჩინებსა და ჯა-  
მაგირებს ეძებდნენ... ვინც-კი თავზე ხელი მოისვა, მიატოვა  
სოფელი და განცხრომით ცხოვრების ძებნას შეუდგა.

სოფელი, — უვიცი და დაჩაგრული სოფელი, — დარჩა  
უპატრონოდ, უგულშემატეკივროდ, თავისი სიბერიავისა და ათა-  
სის ჯურის დაწვრილმანებულ და გულ-გონება ამლვრეულ  
უიგინდარაების ანაბარად.

Mr (1923) from Hggs.  
Innermost distribution.

1923 Jan. 19<sup>th</sup>

~~area Ibrayall 126.826  
11 Dec 1923 20th 68~~

2225108

"17th Br.

23.11.1981

0-117-23 191. 198.

0-117-23 191. 198.

(P) 23 191. 198.

23 191. 198.

60038)

N. "29654/10

29654/10  
March

(NB.  
"Janiboo"

1908 N 172)

• 0038 60038)

"



# ახალი გატონები

მოთხოვთა

„ერთობის“ დროიდან

გულსაფსებით გუმღვინი  
ჩემ ძეირფასს შასწავლებელს  
სოფრონ მგალობლიშვილს.

..... დრომ მოიტანა და საქართველოს ასის წლობით  
დაჩიგრულმა ხალხმაც თვალები მოიფრინიტა, მზესა და მთვა-  
რეს თამაშად შეხედა, თავისუფლება მოითხოვა.

ხალხის გამოფენილებამ თავზარი დასცა ყველა იმათ,  
ვინც-კი ამ ხალხის შრომით მუქთად იკვებებოდა, ვინც მას  
გონებით აბრამავებდა და დაფაცურლენენ: მსგავსი მსგავსს მიე-  
კედლა, ხალხს წინ გადაელობა.

მაგრამ აღელვებულ მდინარეს მალე ვერავინ დაარუვებს!  
საუკუნოებით დაგუბებულმა პოლმამ გადმოხეთქა ხალხის გუ-  
ლიდან და, ყველასაგან ყბალ-აღებული ხალხი იგი, ბრალიანსა  
და უბრალიოზე შურს იძიებდა.

რუსეთის შორს მჭვრეტელმა და ჩვენთვის უკულმართმა  
პოლიტიკამ ამ დროისათვის თავისი ნაყოფი უკვე გამოიღო:  
საქართველოს წარჩინებულნი გადაგვარების გზას დაადგნენ,  
უჩინონი და რუსის სკოლებში იღზრდილნი ჩინებსა და ჯა-  
მაგირებს ეძებდნენ... ვინც-კი თავზე ხელი მოისვა, მიატოვა  
სოფელი და განცხრომით ცხოვრების ძებნას შეუდგა.

სოფელი, — უციცი და დაჩიგრული სოფელი, — დარჩა  
უპატრონოდ, უგულშემატკიცროდ, თავისი სიბერივისა და ათა-  
სის ჯურის დაწვრილმანებულ და გულ-გონება ამღვრეულ  
უიგინდარაების ანაბარად.

ჩვენმა ხალხმა დაჭკარგა პოლიტიკური იდეალი, თავისუფალი, უძლეველი სული ეროვნებისა... საშმობლო და მისითვის თავის-განწირვა სასაცილო საქმეთ მოგეხსენა.

ყველამ თავისთვის მოიკალათა და კაცი კაცის მგლად გადაიქცა.

ამ დროს კვლავ გაისმა ერთობის ხმა, მაგრამ უცრცხა და გონება-ბჩელ უმრავლესობას ერთობა კვალად ერთობა გან მორჩეს დაჩაგვრის მოძღვრებათ მოეხვენა.

დანიავებულმა და რუსეთის ბუმბერაზობით დამფრთხოებამა უმცირესობამ-კი—(ასე ვსთქვათ ქართველთა შორის უფრო განსწავლულმა) — დაჭკარგა თავისი თავის იმედი და დაიქსიქსა: ერთმა ნაწილმა თავში აიწია და იმ დროს, როდესაც ჩვენის ქვეყნისა და იმის ტკივილებისა არა ესმოდათ-რა, მთელის კაცობრიობის ხსნასა და ექიმობაზე დაიწყო ფიქრი და ზრუნვა, ხოლო მეორე ნაწილმა ჩაიკეტა სახლის კარები და მარტო თავისითვის მოსთქვამდა თავისიავე უბედურებას, და, აი, როცა სოფელმა წინამძღვრობა მოვვოთხვა, ჩვენ ის ვერ ვიცანით და იმანაც ჩვენ ვეღარ გვიცნო!

აბობოქჩებული ცხოვრება-კი მაინც თავისას თხოულობდა და... ვინც უფრო თამამი და ან თავხედი იყო, სოფელის მეთაურობაც იმან იკისრა. ქალაქიდან სოფლიდ მრავალი „მქადაგებელი“ გავიდა, დაარსდა სოფლისათვის მზრუნველთა წრეები—ორგანიზაციები—და, შინაურ ბნელ-ძალებთან საბრძოლველად, შესდგა პატარ-პატარა შეიარაღებული ჯგუფები, რომელთაც შავისაგან გასარჩევად, წითელი რაზმები უწოდეს.

ბევრი რამ სახეორო დაიწყო სოფელმა და უფრო ბევრ სხვა სიკეთეს მოელოდა იგი, მაგრამ ახლა ეს—მონობაში აღზრდილნი და უკიცხიდით დარეტიანებულნი—ახლად მოვლენილნი შეიქმნენ ბრძანებლებად და გალვიძებულ სოფელს გასაქანი, სირბიელი, აღარ მისცეს...

მათი გადამკიდე სოფელი „ვაის“ გაექცა და „უის“ შეკარა!..

— ნუ წახვალ, ნუ—დედა ვენაცვალოს!.. საცაა დაღამ-დება: ქვეყანა ამღვრეულია, ყაზახები და „სტრატიკები“ ბუ-ზებივით ირევიან, ფათერაქს არას გადაეკიდო!—ემუდარებოდა ჩაფხულის ერთ საღამოს მელანო გიგაური თავისს ერთად ერთ შეილს—ნიკა!

— ჩემი წაუსკლელობა შეუძლებელია, დედი! ვიცი დიდი საფრთხე მომელის, მაგრამ მთელი სოფელი, მთელი ჩენი ქვეყანა უფრო დიდ განსაკლელშია! იმ თავზე ხელ-ალებულებმა კიდევ რომ რაიმე სისულელე ჩაიდინონ, მთელ ხეობას ააწიოკებენ, გაანადგურებენ... ერთობას შეგვიგინებენ, გლეხობას, გული წაუხდება და ჩენც აბრუ გაგვიტყდება.... არა! რაც იყოს, იყოს, უნდა წავიდე!—უპასუხა ნიკამ დედას, და თავისს პატარა სიხლის პაჭია იკვინზე ბოლობის ცემა დაიწყო.

— კარგი რამ არის, შეილო, ერთობა... მე ხომ ერთობის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ თავი მარტო შენ რათ გამოგიდევია? აბა შეხედე—გენაცვალოს დედა—ლეკიანთ ბილის, კირაანთ ბლვერიასა, დიაკენიანთ ზინოსა, მალხაზაანთ თუდოსა, ი ცვიციან სიკასაც-კი,—ეგვიპტი ხომ ერთობის ხილია, მაგრამ ხომ ხედავ, როგორ იქცევიან? ვისაც ხარი არა ჰყავდა, შეილო, ხარი გიჩინა; ვისაც ვენახი არა ჰქონდა, ვენახი იყიდა; ვისაც შიმშილით სული სძვრებოდა, დღეს ხავაპურებს! მიირთმევს... ლეკიანთ ბილის ქალამნის ჯლანებიდან ფარატინები სცვივოდა, მაგრამ ახლა უჩექვებოთ ველის გაუვლია. მართალია გუშინ დილით შემოგჭუწუნებდა: ცოლ-შეილი შიმშილით მეხოცება, ერთობის საქმემ გადამიტა-

ნაო, მაგრამ გატყუილებს, შვილო, გატყუილებს! იმდენი ცეცხლი ჩაუვარდეს გულ-მუცელში, რამდენი მანათი და თუ-მანი ხალხის ზურგიდან აუტყავებია. დღეს დილით ნათლიაანთ ილიკოსაგან ერთი ხოდაბუნი უყიდნია და თვრაშეტი სულ თქროს თუმნიანი მიუცია. საიდან, შვილო, თუ არა მამაძალლობითა და დედაძალლობით შენაძენი!.. უურებიდან ბაშბა გამოილე, შვილო, და კარგათ გაიგე, რომ ერთობას თავის ჯიბისათვის ებლაუჭებიან... სოფელიც იმდენად ყრუა, რომ კარგი ხალხი ჰგონრა და ათისთავებათა და ასისთავებათ დაუსკუპებია. დამიჯერე, გენაცვალოს დედა, და ჩამოშორდი მაგ ხალხს: აგრე კრიჭაში ნუ უდგახარ, თორემ ჩაგვლენ სადმე და მაშინ დაუდგება დედაშენს ორთავ თვალები!—ჩურ-ჩულითა და ხვეწნით ელბნევოდა დედა შვილს.

— დედა ჩემო, ნუ იცი ეგეთი ლაპარაკი!—გააწყვეტინა ნიკამ—ყველაფერი გამოჩნდება თავის დროზე, სოფელს არა-ფერი დაემალება და ჩვენი მოვალეობაც სწორედ ის არის, რომ სოფელს დავეხმაროთ, გამოვაფხიზლოთ.

— ბიჭო, შვილო! გეუბნევი: სოფელმა ყველაფერი კარგათ იცის, კარგათ ხედავს ყველას მამაძალლობას, მაგრამ ხმას არ იღებს: ეშინიათ-მეთქი შვილო, ეშინიით!—გაიწვრილა ხმა მელანომ და დაუშატა: შენ ხომ რკინის აღამიანი არა ხარ! თუ-კი მთელი სოფელი ხელში დაიჭირეს, შენც გკვრენ ერთ ტყვიას—უწინამც ხელი გაუხმებათ—და მერე წადი და ირიკავე!

— შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო—სიტყვა ბანზე აუგდო ნიკამ და დედის გასამხნევებლად დაუშატა:

— სიკვდილს, დედილო, ზურგით დავათრევთ... იმ დღეს არ იყო, რომ ჩვენებიანთ ნენეს ტახტზე ასვლის დროს ფეხი დაუსხლტა, თავით აგურის იატაკზე დაეცა და ჩვენი ჭირი წაილო?!

იმასაც ხომ არავინ გადამტერებია! ხა, ხა, ხა!—გა-ლიხარხარა ნიკამ, მერე დედას მხარზე ხელი დაადო და განაგრძო:

— ნუ გეშინია, დედა ჩემო, ჩემი მომკვლელი ჩვენია-  
ნებში ჯერ არავინ დაბალებულა, ხოლო თუ მტერი დამეცე-  
მა, არც მე დავუსვამ იაფად, ამასა ხედავ? — ამ სიტყვებით ნი-  
კაშ ჯიბიდან ბრაუნინგი ამოილო და ხელში დაატრიალა.

— იქით წაიღე ეგ ეშმაკის გაკეთებული! — არც თუ  
წყრომით, მაგრამ არც თუ გულ-მშვიდათ უთხრა დედამ და  
დაუმატა:

— თქვენისთანა ლაწირაკებს რო ხელში იარალი ჩაუ-  
ვარდათ, სწორედ იმან დაღუპა ქვეყანა... მაგითი მარტო ში-  
ნაურებს აშინებთ...

— არა, დედა! იარალი მხოლოდ მტრის მოსაგერებლა-  
თაა გაჩენილი და ვინც ქვეყნის მტერია, ტყვიაც იმას უნდა  
მოხვდეს გულში.

— მე ბევრი რაკარუკისა არა ვიცი რა — ახლა კი გა-  
ჯავრდა დედა — თუ მე არ გეცოდები, ი გოგო მაინც შეიბ-  
რალე, შე გიჟო, შენა. გადაეკიდე, სიტყვა მიე და ახლა  
მჰელი დღე ტყე-ველად დახეტიალებ? თვალში ჩინი აღარ  
შეჩერა იმ უბედურის შვილს, მთელი დღე შენ გზას შეჰყუ-  
რებს...

„ი გოგო“ დედამ განგებ ახსენა. ნიკა ახალი დანიშნუ-  
ლი იყო, გაგიჟებითაც უყვარდა მეზობლიანთ თინა და იფიქ-  
რა: იქნება წასვლა დაიშალოს და ამ საღამოთი მაინც სახლში  
დარჩესო.

თინას სახელის გაგონებაზე ნიკას სიწითლემ გადაჭკრა,  
სიამოვნებით გული აუძგერდა და დედისკენ ზურგ შექცეუ-  
ლი კარგა ხანს ჩაფიქრდა, მერე თავი გაიქნია, თითქოს რა-  
ღაცას დასძლიაო, და გადაჭრითა სთქვა.

— ნუ, ნუ მტანჯავ დედილო!.. არ შემიძლიან... უნდა  
წავიდე... ხალხისა უფრო მოვალე ვარ... ნახვამდის... თინა მო-  
შიკითხე! — ყრუთ დააბოლოვა ნიკამ, ვეფხვივით შემოტრიალ-  
და, წალის ყელები ამოიჭიმა და საჩქაროთ კიბეზე დაეშვა.

— ბიჭო, შვილო! ნეტა ვიცოდე მაინც, სად მიხვალ? — ხავ-  
ხავით მიაძახა დედამ და თვალებიდან ცრემლები წამოჰყარა.

ნიკამ ხელი ჩაიქნია, უკან მოუხედავად ფეხს უჭრო აუჩქარა და მაღვე თავიანთ საბეჭდს მიეფარა.

ჩამაგილი შეს შერავინდედათ დასცემომოდა სოფელ ვაშ-ლოვინს, მაგრამ თვითშე ქინდაკებას ავით გაშეშებულ და მო-შეირჩა ბებერ შელიანოს მისი ოქროს-ფერი სხივებიც კი შეგ-ბნელია ეჩერენებოდა...

## II

მდინარე კილიანის ხეობა ულრანის ტყითა და ხშირის ბუჩქარებითია დაღვნილი. ზოგან ისეთი ყრუ და დაბურუ-ლი ხევ ხუეთი, რომ ყყავიც კი ვერ ჩატრინდება. მაგრამ აღ-გილ-ალგილ. შეაგულ რერში, თითქოს განვებ გაუჩეხინითო, მწვერე ბალისით აბიბინებულ ველებსაც შეჩვდებით. ამ ვე-ლებზე უზრუნველისი კაკლის-ხეები ხარობს და ტყით გარე-შემორჩენილი იყო ველები, საოცნებო ხამყოფელი და მიუ-ვილი საფუძია.

ერთ ერთ ამ ვერ კაკლოვანში ხშირია იკრიბებოდან ენ ხოლმე ქირთლის შეიარაღებული ყმაწვილ-კუპა — წითელ რაზმად წრალებული.

იმ დღეს, რა დღილანაც ჩვენი მოთხრობა იწყება, ნი-კამ გაიგო რომ კილიანის ხეობაში რაზმელებს კრება უნდა ჰქონილათ და სწორედ აქეთ გამოსწია, თუმცა დელისათვის არა უკავშირია.

ნიკა გიგაური სოფლის შეილი იყო. მამა მისი, ს. ვაშ-ლოვანის დიაკვინი, აღრე გარდაიცვალა, მაგრამ მელანი ვაუ-კაცივით დატრიალდა და თავისი ობოლი სასწავლებელში მი-აბარა. სწავლის დამთავრების შემდეგ ნიკა ერთ ხანს ქალაქ-ში მსახურებდა, მაგრამ როცა ხალხის მოძრაობა დაიწყო, სამსახური მიატოვა და სოფ. ვაშლოვანს მიაშურა: შეძლები-სა დაგვარიად სურდა სამშობლო სოფელს დახმარებოდა.

ერთობის ტრუიალსა და მშობელი ხალხის წინშეცვლელობა-გამოფხილების ოცნებას ნიკა გიგაური იმ თავითვე მიეცა.

ჯერ სულ პატიო ბიჭი იყო, როდესაც ნათლად იგრძნო და მერე განიცადა კიდევ ხილხთა უკულმართი ცხოვრება-დამოკიდე ბულება და მთელის თავისის არსებოთ ყოველ გვარ ძალიმომ-რეობას და მჩაგვრელობას მტრად გადაექცა. ხილხი, მისი გათვიოთა წენებიერება, გაადამიანება და მონაბისაგან განთავი-სუფლება—თი იყო ნიკას სიოცნებო საგანი და თავდავი-წყებითაც შეუდგა ხალხის სამსახურს. როცა ჩეენმა დაჩაგრულ-მა გრეგხობაშ თავისუფლება მოითხოვა, ნიკა არც ერთ პირ-ტიას არ ეკუთვნოდა. იგი საერთოდ დაუძინებელი მტრი იყო ყოველ გვარის ბატონობისა და მბრძანებლობისა, ხოლო კერძოთ—კი მას ასულდებულებდა: საქართველოს, მზრომელ ქართველების გამოცხვილების შესახები ფიქრი და სხვებ-ზე იმდევნებდა ჩრუნველი, რამდენიმდეც ეს სხვები არა სჩაგრავ-და მისს სამშობლოს. გულით წმინდა და საქმით უებრო ნიკა ყველაგან და ყველასაგან საშირთლიანობას თხოულობდა და როცა სოფლად ზოგიერთი სინიდისზე ხელ-აღრიულებში თარეში დაიწყეს და „ერთობის“ სახელით გაბატონება და თავის ქვეშაგრძნობათა დაკმაყოფილება მოინდომის, გადას-წყვიტა გამოემზევებინა თითოეულის მოქმედება და ამით სო-ფრელი იხილის მონაბისა და შეცდომებისაგან დაეხსნა.

სხვათი შორის სოფლიდ გამატონებულიყო ნაყაჩილარ კი-რაინ ბრვერიასი და გასალახანავებულ ლეკიანთ ბილის რაზმი.

თი ამ რაზმის სანახვად მიეჩქარებოდა იხლო ნიკა გიგაური. ნიკას ათი-ოთორმეტი ვერსი ჰქონდა ფეხით გასავლელი და მგლურის ნაბიჯით მიღიოდა.

დაღონებულ-დამარებული რაღაც ყიქებს გამოჰკიდე-ბოდა და დრო გამოშეებით იხრავდა.

გზის პირებზე ლამაზათ ტან-აყრილი სიმინდის ყანები ზღვასავით ლელავდნენ, განუწყვეტლად ზრიალებდნენ და მათ მომზირალ გლეხები გულს უხალისებდნენ. გლეხები—კი მინდვრად ბლობად გატანტულიყვნენ; ზოგი სიმინდუს მარ-გლიდა, ზოგი რწყავდა, ზოგი ძნას ეზიდებოდა.

შრომა და ჯაფა ძველებური შერჩენოდათ, მაგრამ თი-  
თოვეული მათგანი თითქოს უფრო გათამამებულიყო, სახიდან  
უანგი გადაპეტეროდა და იმედიანათ გამოიყურებოდა.

ერთობას სოფლისათვის ფრთები გამოება, ხალხთა საერთო  
მოძრაობას გული გაემაგრებინა.

შორით მოისმოდა ვიღაცას სიმღერა. მაგრამ ეს ძველე-  
ბური, ნაღვლიანი სიმღერა აღარ იყო. ზავთიანი და მკვირ-  
ცხლი სიმღერა იგი ხალხის მტრებს დამხობას უქადდა!..

ის ის იყო ნიკა მინდვრებს უნდა გასცდენოდა,—ერთი  
ყანა-ლა ჰქონდა გასავლელი,—რომ ხშირ სიმინდებიდან ვი-  
ღაცამ რჩხიანად გამოსქახა:

— ნიკა! გაუმარჯოს, ნიკა! საით გასწიე ამ, საღამო  
უაში?— ნიკა შედგა და მიიხედ-მოიხედა.

ყანიდან შარა გზაზე გამოვიდა პეტრიანთ სინა.

სინა მოხუცი კაცი იყო. გაბარჯლლული ულვა შები და  
ხშირი ყომჩალი წარბები ასასტიკებლნენ წელში ოდნავ მოხ-  
რიდნს, მაგრამ ჯერ კიდევ ქარმაგ გლეხს. სინას თავზე წი-  
თელი ჭუჭყიანი ხელისხმული ჰქონდა წაკრული და ფეხში შვე-  
ლა, დაძნძილ ახალუხიანი და საკინძე ჩამოხსნილი, განხორ-  
ციელებული შრომა გეგონებოდათ.

— შენა ხარ სინა? გაგიმარჯოს! ძაან სიმინდე არა გქონია,  
ღმერთმა შრომა დაგიფასოს!— ლიმილით მიესალმა ნიკა.

— ლმერთი-კი მიფასებს, მაგრამ არ კიცი ე ხალხი რას  
იზაში?!-- ყრუთა სთქვა სინამ და ნიკა დაკოუიუებული და  
მორიცით გარუჯული და გახრევილი ხელი გაუწოდა. ნიკამ  
ხელი ჩამოართეა.

— ხომ არავინ გაგაჯავრა, ბიძია? ხალხი ახლა ილეიდებს,  
სამართალსა თხოულობს და შენ-კი იმდურები?— ლიმილითვე  
შეექითხა ნიკა.

— გამაჯავრა-კი არა, შენმა მხემ, ამ დროულმა კაცმა  
ლამის სული გავწირო და ჩემივე ხელით ჟელი გამოვიჭრა!—  
ნაღვლიანათა სთქვა სინამ, მერე შეშინებულივით გაიხედ-

გამოიხედა და განაგრძო — კარგია შეგხვდი, შენთან მინდოდა მოსვლა, მაგრამ ვერ გავგედე: შემეშინდა, არ გაიგონ და ბეზლობაში არ ჩამომართვან — მეტქი... რა ვქნათ, შენი ჭირიმე, საქმე გაგვიჭირეს, მოსვენების არ გვაძლევენ, დღე და ლამ ძილი არა გვაქვეს...

— ვინა, სინა, ვინ არის შენი შემწუბებელი? — სიტყვა გააწყვეტინა ნიკამ.

— ვინა და... ე ჩვენი რაზმელები, ჩვენი ასისთავი ბილაი, თავი გაუხმეს იმას! აბა შენ რა უნდა დაგიმალო, შენი ჭირიმე, ვიცი რო ტელორი არა ხარ, ვიცი რო ამ დროულ კაცზე იმათხავით საცემრად არ მოიწევ — ამოიოხრა სინამ, ერთი კიდე მიიხედ-მოიხედა და საიდუმლო ხმით განაგრძო: ე ხმას ხო აღარ მალებინებენ და არა, ერთ თრ გროშს მეგულებიან და იმის წართმევასაც მიპირებენ... კაცს კაცზე მიგზადნიან, ფულები მოგვეცი, თორენა მოგვლავთო. ვინ მომცა, შენი ჭირიმე, იმდენი ფული, ან თუნდა მქონდეს, რათ უნდა მივცე? იმ დღეს ხუთიოდე თუმნის ლვინო გჟვილე, იმას მედავებიან... საღა აქვთ სამართალი მაგ ურჯულოებს? მთელი წელიწადი ვენახში თავი ჩავიკალი, და ი რჩიოდე გროშიც რო იმათ მივცე, ე ცოლშვილი რილაზი გამოვკვებო, მტერსა და მოყვარეს რილათი დავუხვდე? ე „ერთობის ფულს“ ხო მახდევინებენ და სხვა რაღა უნდათ? რაც ერთობა დაიწყო, მგონია, სამი ფოპტის ფულის ოდენა გადამიხდია. შენი ლვთის გულისათვის დამიხსენი, შენი ჭირიმე ნიკა, მაგათ ხელიდან, დამიხსენი მაგათ რისხეისგან... ამბობენ რო შენც კომინეტის კაცი ხარ! — ხვეწნით დაელრიჯა სინა ნიკას, ამოიოხრა, მხრიდან თოხი ჩამოილო, გზის პირად ჩამოდგა და თოხს დაეყრდნო.

— ვინ მისუათ ნება ხალხის შეწუხებისა? ან იქნება რაზმელები არ არიან? — სიტყვა გაუქარწყლა ნიკამ, თუმცა რაზმელებზე სხვაც ბევრი რამა ჭირდა დანამდვილებით შეტყობილი.

— რას მიბრძანებთ, შენი ჭირიმე! მა ვინ არიან? მთელი სოფელია და ეგენი... იმ დღეს ჩვენებიანთ ქეთევანას მისკროდნენ, გინდა თუ არა ვახშამი გვაჭამეო, ქათმები დაგვიკალიო. აბა, ვინ მიაქვავა ქათმები ქვრივ-ოხერ დედაკაცს? ერთი კრუხი თურმე უჯდა კვერცხებზე, საბუღრიდან ამოიყვანა და ის კრუხი დაუკლა. იქიდან მე გამომიარეს და კიდევ დამემუქრნენ... რავწნა, რა წყალში ჩავვარდე—როგორ არა ვსთქვა, შენი ჭირიმე—თუ-კი ასე გაგვიძალიანდებოდნენ, ერთობა რაღათ გვინდოდა?—ჩავარდნილისა და გაუბედავის ხმითა სთქვა სინამ.

— ერთობა აქ რა შუაშია, ჩემო სინა!—უპასუხა ნიკამ—რაზე ებრიყვებინებით ვინც უნდა იყოს, რატომ სოფელი ხმას არ იღებს, რატომ თავიდან არ მოიშორებთ, ხომ ყველას იცნობთ?

— ვინ გაუბედავს, შენი ჭირიმე, სიტყვის შებრუნებას, ვისა აქვს თავი მოსაკლავი? მაშინვე ჰკვრენ თოფსა და გაღდააბრუნებენ. ი ოჯახ-დასაქცევ ბილას მთელი ხეობა მუჭაში უჭირავს! ი რაღაც კომინეტი ყოფილა, იმათი დაყენებული ვართ და ურჩობას არავის შევარჩენთო, ასე მოგახსენებენ... ტელორები ვართო...

ნიკამ მწარეთ ჩაიცინა, მოხუც სინას უვიცობამ გული ატკინა.

— განა რომელი კომიტეტი მოიწონებს მაგათ საქციელს? ან იცი-კი რა არის კომიტეტი... ტერრორი?—ნალვლიანად შეეკითხა ნიკა.

— აბა, რა ვიცი, შენი ჭირიმე!.. ეს-კი ვიცი, რო, რაც ი კომინეტის სახელით ჩვენი ხეობიდან ტელორებმა ფული გაზიდეს, ლიახვს დააგუბებდა, აღარ ეყოთ? მაგრამა, ასე მეონია, სუ თითონ ჩაჯიბეს... აგერა, შენი ჭირიმე, მალხაზანთ თელუაშ სახლები აიშენა, ცოლი მოიყვანა. ი სიკალამ კიდევ მდევივით კაშებები იყიდა, ი ბილამ ხო...—სინას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ უცბად ხმას დაუკლო და შეშინებულმა ნიკას წასჩურჩულა

— შენი ჭირიმე, ეს სიტყვა ჩვენში დარჩეს... ვიღაცები მოდიან.

ყანის თავში გამოჩნდნენ ორი გლეხიდა ერთი აზნაური. აზნაური გლეხებზე უარესი დაბეჭავებული იყო. მარტო გრძელი ჩერქეზული, ოცგან დაკონკრებული ახალუხი, ასეთივე ჩოხა, ძალზე გაქუცული კალმუხის ქუდი და უვაქსობით გაწითლებულ-გარუხებული, ქუსლებ დაცვინული ყელიანი წალები თუ-ლა მოწმობდა მის „კეთილშობილებას“.

აზნაური ნიკას კარის მეზობელი და ნათესავი იყო, გლეხები-კი — მისივე ნათელ-მირონები და თან-შეზრდილნი.

მათ დანახვაზე სინამ თავისუფლად ამოისუნთქა, — უცხოები არ გამოდგნენ, — ნიკა-კი შორიდანვე მიესალმა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! ერთობას გაუმარჯოს! — თავის მცრით მიესალმნენ მოსულები ნიკასა და სინას.

— ამისთანა ერთობაც დაიქცეს, ე სული-კი გაგვიმწარეს და! — ლრეჭით დაუმატა აზნაურმა. ეტყობოდათ, რომ ახლად-მოსულებიც ერთობასა და რაზმელებზე მოლაპარაკობდნენ.

— ნუ ხარ, კაპიტანო, ე ღოლრიალა! — აზნაურს მეტ სახელად „კაპიტანს“ ეძახდნენ, ოდესლაც თავისუფალ ჯარის-კაცად იყო — თუ გაგიგონეს? — სიცილით გააწყვეტინა სიტყვა სინამ.

— თუ გამიგონეს, მამა უცხონდებათ, ხოდაბუნები არ ჩამომართვან! ამაზე მეტს რაღას მიზმენ, შვილოსან: გინდა შინშილს მოუკლავარ, და გინდა რაზმელის ტყვიას, განაჩემთვის სულ ერთი არ არის? — აღარ ისვენებდა აზნაური — სადაური ერთობაა, სადაური მეზობლობაა? რომელი მუხრანბატონი მე მნახეს მაგ ოხრებმა, რომ ლუქმას მიწყვეტენ და სახლის შეკვრას მემუქრებიან — აზნაური ხარო! აღარ მინდა მაგათი აზნაურობა, ახა ღმერთო ჩემო, რას ჩამციებიან! წაიღონ ი რაღაც გახრეკილი დეპლომი მაქვს და მეზობლებში კი ნუ გამომაკლებენ. არა, რომელი უპირული კაცი მე

მნახეს? ი ცინგლიან სიკალას აღარა ვჯობივარ, იმაზე შეტი მაინც აღარ მესმის, იმაზე შეტათ აღარ მიყვარს სოფელი და ხალხი? მაშინ მოკვდეს ჩემი თავი, თუ ყველანი ჯიბეში არ ჩავისხა, მაგრამ გაგონება რო აღარა აქვთ? აულიათ, ბატონი, თოფები და სოფელ-სოფელ თულებივით დაძვრებიან, როცა შავი-რაზმი იყო, კიდევ ჰო,—მოწინააღმდეგებს გამკლავება უნდა, —მაგრამ ე შავი რაზმიც ხო დაიშალა, რატომ ეგენი კი არ დაჲყრიან ი ვერანა თოფებს! რას დაათრევენ? ვის აშინებენ? როცა საჭირო იყო და ყაზახები აქაურობას იკლებდნენ, პირველათ მაგათ მოცოცხეს ტყეში და ახლა ჩვენ გვიღიდგულდებიან?! ხალხნო, ქრისტიანებო, ასე უნდა დავებრიყვინოთ?.. რუსები კურდლელს ურმით იჭერენ და ეგენი კი ჩემისთანა დაბეჩავებულებს, თავისსავე მეზობლებს, თოფებს გვიმიზნებენ! რა ვაჟკაცობაა??—ცხარობდა „კაპტანი.“

— ჩვენში კი დარჩეს და—ჩაურთო სიტყვა ერთმა გლეხთაგანმაც—ცოცხლები რო არ ვიყოთ მაგათ გადამკიდე, ის გვირჩევნია... საცა კარგი ღვინოა, შვილოსან, მაგათია; საცა მსუქანი დედალია, ეგენი მიირთმევენ; საცა კაი ქალია, მაგათ უჭირავთ თვალი, საცა კარგი ცხენებია, ეგენი დააჯროთებენ! ყაზახებმაც მეტი კი არა გვიყვეს-რა!! გააჩანაგეს სოფელი მაგ სათოკეებმა, მაგათ... სუ ი ჩვენი ასისთავი კია სოფლის ამომგდები!—თავის ქნევით დააბოლოვა სიტყვა პირველმა გლეხმა.

— ხელად კი არ წაავლო კუდში ხელი!—დაცინვითა სთქვა მეორე გლეხმა—ვერა ხედავ რა პტყელ-პტყელებსა ლაპარაკობს ხოლმე ჩვენი ბილაი? პოლეტარმა ბძანაო... პოლეტარმა გამომგვზავნაო, ყველაფერს ი პოლეტარს აბრალებს, მაგრამ მე კი ვიცი, რო გაბრიყვებული, თუ მოსყიდული ჰყავს ქალაქში ნაგდები და გაწუწყებული ჩვენი ბიჭებუჭები და რა-საც უნდა, იმას აქნევინებს... რომელი ერთი უნდა სთქვას კაცმა...

— ეჭ, შვილოსა! — ამოიოხრა სინამ — სოფელი არ ვარგა, თორენა უნდა სათითაოდ დაიჭირო, გააწვინო და იმდენი სცემო, რო რაც სიგრძე აქვთ, 'ის სიპტყე მისცე!

— ჰო და ეგრეც მოიქეცით! — გულიანათ წამოიძახა განაგონევით აღშფოთებულმა ნიკამ. — ხალხნო, ჩვენ ცხვირწინკი ნუ ვლაპარაკობთ, საქვეყნოდ გამოვაცხადოთ ჩვენი გულის-წყრომა... სოფელი შევყაროთ და იქა ვსთქვათ, რაც სათქმელია!

— მერე ვისა აქვს თავი მოსაკლავი? — სოფელი, ჩემო ნიკა, უპიროსა, შენ როდი იცი! — გულ ნაკლულადა სთქვა სინამ — ისევ ი კომინეტს თუ მივმართავთ, თორენა...

— მხდალებო, მშიშარებო!.. ნეტა როდის რა გვეშველება, რომ ჯერ ჩვენი ძალ-ლონეც არ შეგვიგნია!? — ბოლმა-მორევით წარმოსთქვა ნიკამ და მეზობლებს განშორდა. მათმა ნალაპარაკევშა გულზე ცეცხლი უფრო მოუკიდა და ნაბიჯს მოუმატა.

— ვნახოთ, რა გამოვა რისგანა — მიბუტბუტებდა ნიკა და შივჭუსლავდა.

— საღ მიხვალ, ბიჭო, ამ ღროს? — როდის-როდის მიაუცირა კაპიტანმა და დიღხანს თვალი გააყოლა...

ნიკას ხმა არ გაუცია.

— ეჭ, უმსხვერპლოთ არა იქმნება-რა! — ხმა მაღლა ინუგეშა თავი ნიკამ, როცა ნაცარ-გორას გადასცდა და წუნარის წვრიმალადან მონაბერმა სიომ საყვარლად დაჭქროლა.

— წინ, წინ! ან სიკვდილი, ან სიცოცხლე თავისუფალი! — კიდევ წამოიძახა ნიკამ და შესდგა, მუხლებს ქარი ამოაღებინა, მაღლიდან დაბლა გაშენებულ სოფელს გაღმოხედა.

ჩამავალი მზის სხივები კავკასიონის მთის მწვერვალებს ეთამაშებოდნენ. ჩამუქებულ ხეობაში სახლები და ეკკლესიები თეთრად მოსჩანდნენ. შორს მთის ძირში-კი უდარდელად მიიჩლაზნებოდა ლიახვი და ლაუვარდოვან ტალღებს მიათამა-შებდა..

ნიკამ თვალი ვეღარ მოაშორა ტურფა წალკოტად გა-  
დაქცეულ ხეობას. რამდენჯერმე აათვალიერ-ჩაათვალიერა იგი  
ხეობა და ბოლოს ერთ წერტილს დააცეკრდა. იქ, კაკლის  
ხეებსა და ვენახებ შუა, მოსჩანდა მისი სახლი, ხოლო ცოტა  
იქით,—თინაანთ სახლიც. უყურა, უყურა ნიკამ ამ ორ, თა-  
ვისს თვალის ანდამატ სახლს და... გულმა მწარედ შემოჰ-  
კვნესა...

## III

სწორედ იმ დროს, როდესაც ნიკა მეზობლებს ელაპა-  
რაკებოდა, კილიანას ხეობის ერთ კაკლოვანში ჯერ მხო-  
ლოდ ხუთი რაზმელი მოსულიყო: ბლვერია, ბილა და სამიც  
სხვა. ეს ხუთი ბიჭი ერთმანეთისა დიდი მეგობრები იყვნენ,  
უერთი-ერთმანეთოთ ჩხირსაც არ აბრუნებდნენ და ერთმანეთს  
არაფერს არ უმალავდნენ. მართალია დანარჩენ რაზმელებს  
„ამხანაგებს“ ეძახდნენ, მაგრამ ერთმანეთში-კი ბევრი ისეთი  
საიდუმლო საქმეები ჰქონდათ, რომ სხვებს არ ანდობდნენ.  
და, როგორც უფროსები, „ხალხის სამსახურის დროს“ მათ-  
გან სრულ მორჩილებასა და ქვეშევრდომობას თხოულობ-  
დნენ.

რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი მათი ურთიერთობა და  
ზოგი რამ მათი საიდუმლოებიდან დანარჩენ რაზმელებთა-  
თვის შეუმჩნეველი არა რჩებოდა და... დღითი-დღე შური და  
მტრობა რაზმელებშიაც ფეხს იკიდებდა.

— ამხანაგებო! — მიპართა ბლვერიამ დანარჩენებს, რო-  
ცა ცველანი კაკალ ქვეშ წამოშვნენ.—საცაა დაბინდლება და  
ჩვენი ბიჭებიც მოვლენ... ადი, პეტრე, სოფელში და ათის  
თავს უთხარი: სოფელს კარგი ვახშამი მოამზადებინოს. ცხოვ-  
რებაშვილს ჩინებული ღვინო აქვს... ქვევრი მოვიხადოს,  
თორემ დედას ვუტირებ!.. ჰა, აბა, ჩქარა იარე!

ერთმა ხუთთაგანმა თოფი მხარზე გაიდო და უსიტყვოთ  
გაუდგა გზას.

— ეგეც ხომ მოვიშორე თავიდამ — განაგრძო ბლვერიამ და საარაკო ქოლგასავით შეკრულ კაკლის ხეს თვალი შემოავლო — ამ ბოლო ღროს რაღაცებს ვამჩნევ მაგ ყურუმსალს, თითქოს აღარ მოსწონს ჩეენი საქციელი. ბილა, სანდოლაა ე ბიჭი? — გადასძახა ბილას.

— ვინა? პეტრეი? დიდი ამოსავარდნელია... მოსაკლავია! ყრუთა სთქვა ბილამ და ორ-აზროვნად ჩაიცინა.

ლეკიანთ ბილა ნიკას სოფლიდან \*იყო, სარაიონო ორგანიზაციის წევრად ითვლებოდა და მთელი ხეობის ასისთავის თანამდებობას ასრულებდა.

ჯმუხი, კარგათ ჩასხმული და მღვრიე თვალებიანი, სწორედ ტურასა ჰგავდა ლეკიანთ ბილა. იქნებოდა ასე 26—28 წლისა, ქასა, სახეზე უანგი გადაჲკვროდა და ეშმაკურად გამოიყურებოდა. ტანსაცმელიად ხმარობდა ბლუზას, ხოლო ბლუზის ზემოთ მუქ რუხვ ჩოხას ატარებდა. თავზე ნაბდის ქუდი ეხურა.

ბილამ წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ქალაქში ყოფის ღროს, — სადაც სადურგლოზე მუშაობდა — ბევრი რამ გაეგონა მუშათა ცხოვრების შესახებ. მიტინგებსა და კერძო კრებებს არ აკლდებოდა და ყველა განაგონი დომხალივით არეოდა თავში. თავისებურათვე ესმოდა სხვის მიერ მისთვის წაკითხულ პროკლამაციების შინაარსიც. ქალაქში ყოფნისავე ღროს ბილა დაახლოვებოდა პარტიის ხალხს, მათი ნდობა დაემსახურებინა, მათი მიხვრა-მოხვრა და კილო ლაპარაკისა შეეთვისებინა და ბოლოს „მქადაგებლადაც“-კი გადაიქცა.

მთელ ხეობაზე ბილა „ახალ-თაობის“ უპირველეს კაცად იყო მიჩნეული და მალე ისე გააბრიყება მთელი ხეობა თავისის დაუსრულებელის ლაქლაქით, რომ გაეშმაკებულ-გათუ-თიყუშებული ბილა ყველაზე ერთგული მუშაკი ეგონათ.

ბილასთანა „მქადაგებელი“ ბევრი მოევლინა ჩვენ დაბა-სოფლებს, მაგრამ იმისთანა მოხერხებული-კი მეორე არავის უნახავს. თუმცა ერთსა და იმავე ღროს რაზმელიც იყო,

ასის თავიც და „მქადაგებელიც“, მაგრამ როცა თავისზე გა-  
მოცდილ და ნასწავლ „ამხანაგს შეხვდებოდა ხოლმე, კალმა-  
ხივით უკვდებოდა კაცს ხელში და ისეთ სახეს ღებულობდა,  
გეგონებოდათ, ჭია ვერ გააღვიძებსო. სამაგიეროთ, თუ-კი  
მოიხელთქბდა, ან დაიშარტოვებდა ხოლმე სოფელს, მეხივითა  
გრგვინავდა და რაღაც „კომიტეტის“ სახელით მთელ ხეობას  
შიშის ზარსა სცემდა. გარეგნობით მშვიდი, უწყინარი და  
საპყარი—ცბიერებისა და ბოროტების განხორციელება იყო.  
ახლაც იმიტომ ჩაიცინა ორ-აზროვნად, რომ თავისს „ამხა-  
ნაგ“ ჰეტრეს დიდი ხანია მახეს უგებდა, რადგანაც გულ-  
უბრყვილო და უბირი ჰეტრე ბოლოს მაინც მიხედა რაზმისა  
და მის მეთაურთა ყალთაბანდობას და ნელ-ნელა ჩამოშორე-  
ბას აპირებდა.

— ვინ არის, ბიჭო, მოსაკლავი, ჰეტრეი? რათაო მერე,  
ჰა?—იკითხა მესამე რაზმელმა, რომელიც თავქვეშ თოფ-ამო-  
დებული, გულალმა გაწოლილიყო.

— მაშ, შენა?—შეუტია ბილამ და ამღვრეული თვალები  
შეანათა.

— თუ საქმე წაგვიხდება, იცოდეთ მაგისგან იქნება—გა-  
ნაგრძო ბილამ—ენაზე ცხრა პირი ტყავი ამძრა, ძლიერ და-  
ვიმორჩილე მთელი ხეობა, გლეხებს ღმერთივით ეშინიათ ჩე-  
მი, ეგ-კი გამომდგარა და ჭკუას მარიგებს...

— ჰო-და ვნახოთ, რასაც გაიტანს!—დაუმატა ბლვერიამ.

— რატომ „კომიტეტის“ ანგარიშებს აღარ ვაძლევთო,—  
იმ დღეს მეჩე უბებოდა ჰეტრეი!—წამოიბუბუნა პირალია და  
დორბლიანმა თედომაც (მეოთხე რაზმელმა).

— კამიტეტი ვინ ოხერია, კომიტეტიც ჩვენა ვართ და  
ხემწიფეებიცა... კამიტეტმა რა ჩემი ფეხები იცის, ჩვენ აქ  
რა ტანჯვაში ვართ... თუ კარგი კომიტეტი იყო პირველათ  
რომ მოგვესივნენ ბურჯუები და ყაზახები, სოფელს გაამაგ-  
რებდა. ახლა-კი ჩვენ შევკარით სოფელი და მე კამიტეტე-  
ბისა აღარა ვიცი-რა!—გაცხარდა ბილა და ზეზე წამოდგა.—

აბა მობრძანდეს ი კომიტეტი და ნახოს, როგორა მაქვს ზურგი აჭრელებული ყაზახების მათრახებითა? — აღარ ისვენებდა ბილა — სად იყო მაშინ კამიტეტი, როცა ყინვა ზამთარში აქა-იქა ვიმალებოდი და შიმშილით კუჭი მეწოდა, ჰა?

— წავიდნენ, იმათი სულიც არ იყოს — კვერი დაუკრა ბლვერიამაც — ისინი თუ ი ქალაქში ყრიან და ქეიფობენ, ჩვენ გვერდებში გაგვიჯდება — არა?


— ლვთის წინაშე, ქეიფით-კი ჩვენც კარგად ვქეიფობთ! ფითომდა იოხუნჯა პირალია თედომ.

— ე მა ყბედობასა, ისა სჯობია კარგად დაიხსომო, რა საქმეცა გვაქვს გასაკეთებელი! — გაუჯავრდა ბილა და ბლვერიას სიხოვა: ერთხელ კიდევ გაემეორებინა დავალებანი.

ბლვერია ნახევრად წამოდგა, თოფს დაეყრდნო და ბო-ნის ხმით დაიწყო.

— შენ, პირალია, უნდა ჩამოუარო გამოლმა მხრის ხუთ სოფელს და გამოუცხადო: ვინც ი კუდა კნიაზს ბოკოტს არ დაარტყავს, სულს ამოვართმევთ-თქო. — ჩვენ უგინებივართ. ვინც ამავე სოფლებში ზეგამდე კომლზე ათ შაურს არ გადაიხ-დის, უბედურ დღეს დავაყენებთ-თქო. — ფული აღარა გვაქვს. ოთხ ჩვენ რაზმელს ცხენები აღარ უვარგათ: ერთი თვეა, რაც ზურგი წაუხდათ. ეს ზურგწამხდარი ცხენები პატრონებს მისგვარე, ან იმ სოფლის მინდორში გაუშვი და ახალი ცხე-ნები წამოიყვანე. შენ კიდევ — გია, — მიუბრუნდა ახლა მეო-რეს — გახვალ ლიაზვ გაღმა და ჩვენ ბიჭებს შეატყობინებ, რო ი ცაციას სიკვდილი გადავუწყვიტეთ, — ამ დღეებში გაი-სტუმრონ საიქიოს — ყაზახებით ლალები აუკრეფია. იქიდან გამოიარე ვაშლოვანში და „კაპიტანსა“ და იმის ძმას სახლი შეუკარი — გაწყდეს აზნაურების ქოქი! ბატონიანთ მოურივს-კი დაემუქრე, თუ ამ დღეებში ათი თუმანი არ გამოგიგზავნია — მოგკლავთქო. იქიდან ჩამოუკლი თამარშენს და კნიაზის ლურჯა კვიცს წამოიყვან, აი მატარებელს, ჩემი ცხენი ჩაქ-ჩქა გამოდგა ი ახერი. თუ არ გამოუგზავნია, მერე მე

2



ვიცი! სხვა საქმეებს-კი მე და ბილა გავაკეთებთ... გაიგეთ? — შეეკითხა ბლვერია თედოსა და გიას.

— როგორ არ გავიგეთ, სუ ღმერთს ამოვაცლით, თუ არ შეგვისრულეს! — სიცილითა სთქვეს ორივემ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბლვერია წამოდგა და კაკლებ ქვეშ ფოთიალი დაიწყო და როცა დრო იხელთა, ბილას თვალი უყო. ბილაც მიუახლოვდა.

— ურია რო ჩაგაძალლებინეთ, ფული და ფარჩა ხომ კარგ ადგილასაა შენახული? უჩურჩულა ბლვერიამ.

— ფიქრი ნუ გაქვს... მეც რა ბიჭი მნახე? — ჩუმათვე უპასუხა ბილამ, შავ-ბნელად ჩაიცინა და ნაგერალა ულვა-შებზე ხელი გადაისვა.

— მაშ ხვალ სალამოთი ამოვალ შენთან.

— კარგი! გელი... იქნება ი გოგოცა ვნახოთ... კიდევ გაიღრიჭა ბილა და მარსელეზას რალაც მაგვარის ლილინი დაიწყო...

ამასობაში კარგა დაბინდდა. დაბურული კაკლები უფრო აბნელებდნენ იქაურობას. მხოლოდ ცერად, ორ კაჯალ შუა, მოსჩანდა განათებული ცის-კიდური — მთვარე ამოდიოდა.

— ნეტა რა იქნენ აქამდის ჩვენი ბიჭები? დაარღვია სიჩუმე ბილამ და ამღვრეული თვალებით დააკვესა.

ამ დროს მოისპა ფრთხილი დასტვენა.

აქედანაც სტვენით უპასუხეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტყის პირებიდან გამოვიდა ათი-ოდე შეიარაღებული ბიჭი, ზოგი ცხენებით და ზოგი ქვევი-თათ. გავიდა ცოტა ხანი კიდევ და ახლა სხვა მხრიდან გა-მოჩანდა ათიოდე-ვე რაზმელი.

აქამდე დაყრუებული კაკლოვანი ახმაურდა. მისალმება, სიცილ-ხარხარი, ბალახზე გაშვებულ ცხენების ფრუტუნი და იარალის უღარუნი ერთმანეთში აირია.

ბაღრი მთვარეც ფასკუნჯივით ამოცურდა ლრუბლებიდან და მთელ ხეობასთან ერთად კაკლოვანსაც უწყალობა თავისი საოცნებო საამური სხივები.

დიდებული და თან საზარელი სანახავი იყო ამ დროს კაკლოვანი! ნიგვზის ხეების უზარ-მაზარი ჩრდილები მდევებივით წამოწვენენ ველზე, ხოლო პატრონტაშებითა და პატრონებით აჭრელებული რაზმელები ჭერებებივით წამოყრილიყვნენ კაკლების ქვეშ და მათი თოფ-ყაწიმები მთვარეზე საარაკოთ ბრწყინავდნენ. გულის წარმტაცი სანახავი უნდა იყოს ასი და ათასი დარაზმული — მსხველნი სამშობლოისა, მაგრამ იმ ღამეს კაკლოვანში მყოფნი კი უფრო თულებსა და ყაჩალებსა ჰგვანდნენ!

კარგა დრო რომ გავიდა და სხვა რაზმელი აღარ გამოჩნდა, ბილამ ჩაახეელა და ამხანავებს მიჰმართა:

— „დღეს იმიტომ დაგიბარეთ, ამხანავებო, რომ ძალიან დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენ, როგორც ხალხის პატრონები და როგორც ბურჯუებისაგან დაჩაგრული პლორეტარი ამხანავები, მოვალენი ვართ ხალხს წინ გავუძღვეთ. როგორცა რომა ვთქვათ, წისქვილს რო წყალს დაურუებენ და წისქვილის ქვები ტრიალს დაიწყობენ და ხორბალს, დაფქვამენ; ისე ჩვენ თუ მივესიეთ ხალხის ბურჯუებს და ბატონებს, ისინი დაიფქვებიან და ჩვენი ცხოვრება წალმა დატრიალუება, ან როგორცა რომა, აი, თუნდა ამ კაკალს რო ჭოლოკი ვესროლოთ და კაკალი ხრიალით წამოვიდეს, ისე თუ ჩვენ მივესიეთ ბურჯუებსა, თავადებსა, აზნაურებსა, მღვდლებსა, დიაკვნებსა და ნახწავლებსა, მაშინ გლეხ-კაცი მარტო დარჩება და ბედნიერი იქნება. ასე და ამგვარათ, ამხანავებო, გინდათ რომ ჩავუხტეთ იმ სტრაჟნიკებს, ჩვენ სოფელში რომ დაბინავებულიან, თუ არა? თუ ამხანავების უმჩავლესობა თანხმა იქნება, მაშინ ჩვენ ამოვირჩევთ კაი, კაი ბიჭებს და გავგზავნით თოფების წასართმევათ“! — დაათავა სიტყვა ბილამ.

სიჩუმე ჩამოვარდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ გვარი და სხვა ათასგვარი საჭირ-ბოროტო საკითხების „გადაწყვეტა“ რაზმელებს მარტოოდენ შეკრების საბუთს აძლევდა ხოლმე და ასეთი კრებები მხოლოდ ისევ სოფლებსა სცემდა თავზარს...

— „სიტყვა მოგეცი, ამხანაგი! — დაარღვია სიჩუმე ერთშა რაზმელმა, ოსმა — გუშინ იყავ, თუ გუშინა წინა მე ვერ მოხედი ჩვენი კრებაზე, ცოლი ავათ გაგიხდა. დღესა მე პირველათ გესმის, რომელიცა რომა ჩვენ უნდა წახიდე და სტრაჟნიკები დაგეცე. მაგისა ახლა ვერაფერი გეტუი, აქა ჩვენ ძიელ ცოტანი ხარ. სულ რაზმის ბიჭები, ამხანაგები და პოლეტერი ას ოცი ბიჭი უნდა იყო. აქ-კი ბერი, ბერი ოცი, ოცდა ხუთი თუ იქნები. სომეხი ბიჭები აქ სულ არა ხარ; ოსები და ქართელებიც ცოტანი ხარ, ამიტომაც ჩვენ ვერაფერს იტყი... ვერაფერს გადაწყვეტ..“

ოს — ორატორს ნახევარზე მეტი მიემხრო და უმცირესობაც გაუბედავათ ლაპარაკობდა, რის გამოც კამათი აღარ გამწვავებულა და ამ საკითხის „გადაწყვეტა“ სხვა დროისათვის გადასდეს.

იმ დროს ქართლში გახურებული რეაქცია იყო და რაზმელები არც ისეთი გამბედავნი იყვნენ, რომ თავი გადაედოთ. გარდა ამისა, მოკამათენი მოარბილა ვახშმის დანახვამაც.

ს. წ — ის მხრიდან მთვარისაგან განათებულ ფერდობის ბილიკზე გამოჩნდა ამ სოფლის ათისთავი. მას უკან მოსდევდა ხუთი თუ ექვსი ვეებერთელა ხონჩებით დატვირთული ბიჭი. ხონჩებზე ეწყო: ცივ-ცივი დედლები, ცხელ-ცხელი ხაჭაპურები და ხმიადები. ერთი ხელ-მარჯვე და ლონიერი ბიჭი ღვინით სავსე ორ დიდ დორას ხვენეშით მოათრევდა.

იმათ დამნახველმა რაზმელებმა დიღი სიამოვნება იგრძნეს და ერთ კაკლის ქვეშ რიგ-რიგათ მოიკეცეს...

ბლვერიას ბრძანებით, ვახშმის დაწყებამდე, ოთხს, უფრო მცირე წლოვან რაზმელს, თითო ფიალა ღვინო დაალევინეს, ქათმის თითო ბარკალი და თითო ჩაჭაპური მისცეს და ოთხკუთხივ გავზავნეს საღარაჯოთ — სტრაჟნიკები არ მოგვეპარნენ...

ჩინებული, ხმა-დაბალი ღანინი გაიმართა. დატრიალდენ ჯამები, გაისმა ქათმის ძვლების ტკაცა-ტკუცი და ოხუნჯო-

ბა-სიცილი. ჩვენი რაზმელები ისე ერთგულად შეექცეოდნენ ვახშამს, რომ „საზოგადო საქმე“ ჯერ-ჯერობით გადაავიშყდათ და არც ის გახსენებიათ, თუ რისთვის, ან რა მოღვაწეობისათვის, რა საპუთის ძალით ართმევდნენ სარჩოს უიმისოდაც აწიოკებულ სოფლებს...

## IV

ვახშამი თითქმის გათავებული ჰქონდათ, რომ ერთი ყარაულთაგანი მოიჭრა ბლვერიასთან და ყურში რაღაცა უჩურჩულა.

ცოტა შეზარხოშებულმა ბლვერიამ წარბი შეიკრა, მაგრამ მალე შუბლი ისევ გაიხსნა და ხმა მაღლა უთხრა.

— არა უშაგს-რა, ჩვენია... მოვიდეს!

ბილამ კურდლელივით ყურები აცქვიტა და ბლვერიას შეეკითხა.

— ვინა? ვინ უნდა მოვიდეს?

— აი, თქვენებური ნიკა როა, ის მოსულა და ჩვენ ნახესა თხოულობს.

— ერთი ეგ-კი არ არის მოსაკლავი! — გაიფიქრა ბილამ თავის გუნებაში და აიმრიზა.

ბილასა და ნიკას ერთმანეთი ჭირივით ეჯავრებოდათ. ნიკამ იცოდა მისი გაიძევერობა, იცოდა რომ იგი ერთი იმ თავ-ხედთაგანი იყო, რომელიც — ნებსით და უნებლივთ — ერთობის მქადაგებელნი შეიქმნენ და ყოვლად გამოტვინებულნი, ყოვლად უვიცნი, ყოვლად ხეპრენი და უზრდელ-უწვრთნელნი ლიდსა და პატარას ვერ არჩევდნენ, მტერსა და მოყვარეს ვერა სცნობდნენ, სინათლესა და სიბნელეს ერთ გვარად ემსახურებოდნენ. ნიკამ იცოდა, რომ ბილა ერთი იმ უკუღმართაგანი იყო, რომელთაც არ გაეგებოდათ არც ჩვენი ქვეყნის წარსული, არც მისი დანიშნულება მომავალში, არც გლეხკაცის გულის-თქმა, არც მშრომელი ხალხის ჭირნახულობა, არც ხალხთა ურთიერთობა, არც სოფლის ძალ-ღონე, არც

მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ერთის სიტყვით, არ იცოდნენ ცხოვრების ავ-კარგი, მაგრამ დიდის რიხით-კი უქადაგებდნენ ხალხს ათას გვარ სისულელეს და უიმისოდაც გულ-ამღვრეული სოფელი უფსკრულის პირამდე მიჰყავდათ. ხალხთა უკმაყოფილების ვითოშდა გამომხატველი იგი უკმარები ბოროტათა ხმარობდნენ ერის ნდობას და ნიკას შეგნებულ მტრებზე უარესად ეზიზლებოდა იგინი!

ბევრჯელ უგლეჯია სიმწარისაგან თმა და წვერი ჩვენ ნიკას, როცა მოუსმენია ხოლმე ბილას ნაქადაგევი: დაჭკარით, მოჭკალით, დასწვითო!

— ვინ? რათა? რისთვის? — ეკითხებოდა ხოლმე აღშფოთებით ნიკა, როგორც ბილას, ისე აბობოქრებულ, აზვიზობულ ხალხს, მაგრამ პასუხი-კი არსით იყო!

— ხალხნო და ჯამაათნო! ქუდი დასდეთ და სამართალი ისე ჰქენით! ერთმანეთი-კი არა, ხალხის ნამდვილი და საერთო მტერია დასანივებელიო! — ყვიროდა ხოლმე გულ-მოკლული ნიკა, მაგრამ უპატრონო და ათასი წლობით ბოლმანასგამი ხალხი ჯერ-ჯერობით ყურს არ იბერტყდა. სამაგიეროთ ბილა და მისი მაგვარები კარგადა გრძნობდნენ, რომ ასეთი ქადაგება ნიკასთანებისა, სასიკეთოს არას უქადდა და რაკი დღეს ხელში ეჭირათ ხალხის „ქუდიცა“ და „სამართალიცა“, ზეგავლენის განსამტკიცებლად ყველა თავისი მოწინაღმდეგე სასიკვდილოთა ჰყავდათ განწირული... ასე გარუცნა ეს უკეთურნი უკულმართმა შთაგონებამ და ულირსთა ღირსეულად აღიარებამ! ნიკამ მშვენიერად იცოდა ამ უგვანოთა გულის-თქმა, მაგრამ სოფლისა და ზოგიერთ რაზმელთა მომედე, მაინც გულს არ იტეხდა...

იგი თამამად მიუახლოვდა მოქეიფე რაზმელებს და მოცინარის სახით მიესალმა...

— ვინც მოვიდეს გაუმარჯოს! — ყველაზე პირველად წამოიძახა ბილამ, ფეხზე წამოიჭრა და გველურის ღიმილით ნიკას ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოთ, ამხბნაგებო, გაგიმარჯოთ! — დაღალულის ხმით სთქვა ნიკამ, ნაცნობ რაზმელებს ხელი ჩამოართვა და კაკლის კუნძხე ჩამოჯდა.

დაღალულ - გაფითრებული, გამტვრიანებული და თმა-ხუჭუჭა ნიკა ტყის ანგელოზსა ჰგავდა. მისი ცხვრის ფერი, ღიღრონი თვალები სრულით იყო სავსე და დანაოჭებული მა-ღალი შუბლი მის სევდა-მოსილებას ამტკიცებდა.

— ახლო მოიწიე, კაცო, ღვინო დაგვილიე! — მიიპატიუა ისევ ბილამ.

ნიკამ გადახედა ხონჩებს, ღვინის ღიღ დორებს, ასისე-ბივით მდგომ დაღვრემილ მასპინძლებს, ბილას თვალი აარიდა და ბლვერიას ნაღვლიანათ გაულიმა. ამ ღიმილში გამოიხატებოდა მისი გულის-წყრომაც და უკმაყოფილებაც, მაგრამ ბლვერია ვერ მიუტვდა. აკოკრებულ ლამაზ ულვაშებზე მეღი-დურად ხელი გადაისვა და როგორც დარბაისელ რაზმის უფ-როსს შეშვენის, — ამაყად შეეკითხა ნიკას.

— ალბათ საქმე გექნება რამე, ამხანაგო? ქალაქში ხომ არა ყოფილხარ? რა ახალი ამბავი მოგვიტანე? როგორ არიან ჩვენი უფროსი ამხანაგები, რეაქციამ ხომ გული არ გაუტეხათ?

— რეაქცია როგორ გაგვტეს, თუ-კი ჩვენ ღირსეულად დავუხვდებით ჩვენ მტრებს — მოკლედ უპასუხა ნიკამ და განა-გრძო — ქალაქში დიდი ხანია არა ვყოფილვარ, არც ჩვენი უფ-როსი ამხანაგებისა ვიცი რამ, მაგრამ თქვენთან-კი მოცი-ქულათა ვარ გამოგზავნილი.

ყველამ ყურები აცქვიტა. ნიკა ფეხზე წამოდგა და დაიწყო:

— სოფლად ხმა დადის. რომ ვითომეც ჩვენ სოფელში ჩაყენებულ სტრაუნიკებზე აპირებდეთ დაცემას და, რადგანაც სოფელს ასეთი თქვენი საქციელი ჯერ-ჯერობით საზარალოთ მიაჩნია თქვენთვისაცა და თავის თავისათვისაც, გთხოვს რომ ამ განზრახვაზე ხელი აიღოთ. მე, ჩემად, დარწმუნებული ვარ,

რომ ასეთი ხმა ჭორი უნდა იყოს. ამის თავდები თქვენი კე-  
თილ-გონიერებაა! თავი მოუქონა ნიკაშ.

უნდა მოგახსენოთ რომ რაზმელები თავის თავს პარტიის  
ხალხათა სოფლიდნენ, — პარტიის ნება დართვით არსებობ-  
დნენ — და თუმცა პარტიულ კითხვებისა არც თავი გაეგებო-  
დათ და არც ბოლო, მაგრამ ცოტათ თუ ბევრად ცნობილ  
კაცს, გარეგნობით მაინც, თავაზიანათ ეპყრობოდნენ. ნიკა  
პარტიის მეთაურებს კარგიდ იცნობდა, რაც ყველას შეტყო-  
ბილი ჰქონდა და ამიტომ სოფლები მას „დიდ კამიტეტათა“  
სოფლიდნენ. „დიდი კამიტეტი“-კი ჩვენ სოფლელს რაღაც  
ცხრა-თავიანი მდევი ეგონა, რაღაც მიუწდომელ და უხილავ  
არსებათ ეჩვენებოდა. რაზმელთაგანიც ბევრი უბირი ბიჭი  
იყო და ნიკას ისე შეხვდნენ, როგორც „კამიტეტის“ კაცს.  
მარტო ბლვერია და ბილა იყვნენ გაცვეთილები. ისინი ომ-  
დენჯერმე ყოფილან „თვით კამიტეტში“ მაგრამ, რაღანაც  
სოფელს ამავე „კამიტეტის“ სახელით აშინებდნენ, მათვის  
ხელ-საყრელი არ იყო, ყველაფრის გამოაშკარავებდა და იმის  
განმარტება, რომ „კამიტეტი“ ზღაპრული არსება-კი არ  
არის, არამედ კრებულია უბრალო მომაკვდავთა, რომელიც  
შეიძლება ისევე შესცდეს, როგორც თითოეული ჩვენთავანი.  
გლეხთა საზოგადო შეუგნებლობამა და უვიცობამ, ბევრი თავ-  
ხედი გააბატონა სოფლად, მათ შორის ბლვერია, ბილა და სხვა  
იმ გვარები და რომ ეს ბატონობა ხელიდან არ წასვლოდათ,  
სოფელში „კამიტეტის კაცად“ ცნობილ პირებს ჯერ-ჯერო-  
ბით „ამხანაგურად“ ეპყრობოდნენ. ნიკასაც დღეს ასე მო-  
ექცნენ.

— შეგიძლიანთ დაარწმუნოთ სოფელი, ამხანაგო — სთქვა  
ბლვერიამ, რომ ჩვენ მხოლოდ ხალხისთვისა ვზრუნავთ და რასაც  
მთელი ჩვენი პარტია ხმის უმრავლესობით ვადასწყვეტს, ჩვენც  
ისე მოვიქცევით... სტრაუნიკებზე დაცემას ჯერ არა ვფიქ-  
რობთ.

— ძალიან პატიოსანი! — უპასუხა ნიკაშ. და სიტყვა რომ

არ გაეგრძელებინა, პირდაპირ თავის გადაწყვეტილების აღსრულებას შეუდგა.

— ახლა, მეზობლებო და ამხანაგებო! — დაიწყო ნიკამ — პირად მე უნდა გთხოვოთ რამე — მაგრამ ვიდრე გთხოვდეთ ასამე, გაფიცებთ იმ ტანჯულ ხალხს, რომელსაც თქვენ უნდა ემსახურებოდეთ, გაფიცებთ იმ მაშვრალ და წამებულ მუშებს, რომელთა სახელითაც და შემწეობითაც ორივე მხარე უნდა გავადამიანდეთ, გაფიცებთ იმ წმინდა საფლავებს, რომელიც ამოავსეს ხალხისათვის თაფ-დადებულმა უმანკო და უანგარო მებრძოლებმა, გაფიცებთ ამ ჩვენის სამშობლოს მთა-ბარს და სისხლით მორწყულ ველ-მინდორს, ჩემი სიტყვები და თხოვნა ჩემ პირად ინტერესად არ ჩასთვალოთ. თქვენში, აი აქ, ვევრია იმისთანა, რომელიც ასეთ ჩემ სიტყვებს ვერც-კი გაიგებს, მაგრამ ამავე კრებულში უნდა იყვნენ შეგნებულნიც, ისეთები, რომელთაც თვით „კომიტეტი“ სოვლის ისე ლირ-სეულად რომ ქვეყნისა და სოფლის ბედ-იღბალს აბარებს და, მაშასაღამე, უნდა იკოდნენ კიდეც, რომ ამ უამად არავისი დამცირება არ მინდა. თავისთავად: ც დამცირებული და შერცხვენილია ის კაცი, რომელიც ლალატობს საშვილიშვილო საქმეს, რომელიც ლალატობს მშრომელ ხალხს, სამშობლოს. თავისუფლებას, ქმობას და ერთობას. ასეთი მოღალატეები-კი, როგორც ეტყობა, ძალიან გამრავლებულან ჩვენში. ბედმა და ხალხის გამოფხილებამ ჩვენ გვარგუნა ის ბედნიერება, რომ დღეს თავისუფლებისა და ერთობის ღროშა უკვე ფრიალებს. აი, ამ დიდებულ ღროს გამოსულან ვიღაც თავზე და ნამუსზე ხელ-აღებულნი და ჩვენისა და ერთობის სახელით არბევენ, სძარცვავენ და აოხრებენ ჩვენ სოფელს. განა საკმარისი არ არის გარეშე მტერთაგან დარბევა? განა საკმარისი არ იყო ის-უსინიდისო გაყვლეთა გლეხისა, რომელსაც ჩვენი ტანჯული ხალხი საუკუნოების განმავლობაში ითმენდა? მაშ რათ უნდა მივცეთ ნება იმ ვიღაც არამზადებს ჩვენის სახელით თარეშობისა? რათ უნდა გავუტეხოთ აბრუ „ახალთაობას“. ნუ თუ

ჩვენ მოვალენი არა ვართ გამოვაჩინოთ, გამოვამზევოთ ის ქვემძრომნი, ის ჩვენი დამლუპელები, ჩვენი იმედებისა და მომავლის შემაგინებლები? განა ჩვენ შოვალენი არა ვართ: წავავლოთ ყურში ხელი იმ უმსგავსებს, მივცეთ სოფელს პირში და ვუთხრათ: აი, ვინა ყოფილა შენი შემავიწროებელი, დასაჯეთ როგორც გინდათ, ოღონც ერთობაზე-კი გულს ნუ გაიტეხთ. მართალია ძველი მთავრობა ხელს აფარებს „ახალ-თაობის“ სახელით მოთარეშე ნაძირალებს, პირ-იქით ეხმარება კიდეც, მაგრამ ჩვენ ვიპოვეთ იგინი და, აპა, თქვენ წინაშე დგანან გაწმილებულნი თავსლაფ დასხმულები-თქო!

როცა ჩვენ ასე მოვიქცევით, როცა, ჩვენ დავუმტკიცებთ სოფელს, რომ ჩვენი მოქმედება უანგაროა, როცა ჩვენ დავანახვებთ სოფელს, რომ ჩვენ მარტოოდენ სამართლიანობით ვხელმძღვანელობთ და ყველა ძველი წესები, ძველებური ბოროტ-მოქმედება გვძაგს და დევნილია ჩვენგან, მაშინ სოფელი წელში გაიმართება, თავის თავის ბატონი, თავისუფალი შეიქმნება და ვერავითარი, ჯოჯოხეთური ძალაც-კი, ვერ გასტეხს მის ერთობას. თორემ, აბა, რასა ჰგავს დღევანდელი ყოფნა სოფლისა? თუ წინად თითო გლეხი წელიწადში ათსა და ოც მანათს იხდიდა, ახლა თავისიანებისგანვე ერთ თვეში მოსდის ამოდენივე ზარალი. თუ წინად საზოგადოების თვით უპატიოსნო წევრიც-კი უშიშრადა მუშაობდა და სცხოვრობდა, დღეს პატიოსან და ხალხის ერთგულსაც-კი ვერ მოუსვენია: ვაი თუ „ახალ-თაობის“ სახელით შინაურებმავე შუბლში ტყვია მკრანო... ასეთი აუტანელია კერძო კაცის ცხოვრება და სოფელი ხომ უარესად იტანჯება ამ ვიღაც სათოკეებისაგან. როგორც ყოველივე პატარია, ისე დიდი თუ პატარა კომიტეტები, მოვალენი არიან შეიტანონ სოფლად ცოდნა და სამართლიანობა, თორემ ყოველივე ცდა ხალხის განთავისუფლებისაკენ მიმართული, მარტოოდენ წყლის-ნაყვა იქნება. ჩვენ თუ ჩვენის მოპყრობით, ჩვენის უანგარობითა და თავდადებით არ დავანახვებთ გლეხს, რომ ჩვენი ხელმძღვა-

ნელობა სჯობია ძველ მოხელეთა ხელმძღვანელობას, ჩვენც შერცხვენილი დავრჩებით და ხალხიც ისევ ძველისკენ გადავა. ჩვენდა საუბედუროთ, დღესაც ვხედავთ ამის ნიშნებს: მთელმა ჩვენმა ხეობამ ლამის ისევ პოლიციას შეჭრალადოს: გვიშველეთ, ვილუპებითო. განა ეს თავის მოჭრა, სიკვდილი არ არის ჩვენთვის? ამხანაგებო; მოვმართავთ თქვენ, როგორც პარტიის სახელით ხალხის დასაცველათ გამოსულთ და, მთელის ხეობის დასახსნელად, გთხოვთ დანიშნოთ რამდენიმე კაცი და ხალხის შემავიწროვებელი ნაძირალები აღმოვაჩინოთ. აი, ეს არის ჩემი თხოვნა, ამით დაეუმტკიცებთ ხალხს ერთგულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში „ახალი თაობა“ საგინებელი შეიქმნება და მტერი-კი იხარხარებს!..—ნიკა აღელვებული დაეშვა კაკლის კუნძხე და თავი ჩაჭკიდა.

იგი კარგათა ხედავდა, რა მღელვარებაც გამოიწვია იმის-მა სიტყვებმა ზოგიერთების სახეზე, კარგად ხედავდა, რა ჩოჩქოლიც შეუდგა რაზმელთა ერთ ჯგუფს, კარგათა ხედავდა რა თანაგრძნობითაც უსმენდა ამ რაზმელთა მეორე ჯგუფი და გული უდელავდა; ათას გვარი ტკბილი და მწარე გრძნობანი მის არსებას ეჯარებოდა.

არის ხოლმე ისეთი წუთები როგორც კერძო კაცისა, ისე ბრძოის ცხოვრებაში, როდესაც ადამიანი, თუ ბრძო თავის მოქმედებას ჟუქვემდებარებს ოდესლაც ნაგრძნობს, მაგრამ იმ წუთში გახსენებულ აზრს. შეიძლება ასეთი ქცევა ბუნებრივი დასკვნაც იყოს გრძნობათა შეჯახებისაგან გამონაწვევ ქარ-ტეხილისა, ან და შედეგი იყოს მხოლოდ „ბეღნიერი შემთხვევისა“, მაგრამ ნიკას სიტყვამ ისეთი გავლენა მოახდინა, რაზმელებზე, რომ თვით ნიკაც არ მოელოდა.

თუმცა ლეკიანთ ბილა გველივით იქრიხებოდა და ი დიდი ენა მუცელში ჩავარდნოდა, თუმცა ბლვერია ხარისით ატრიალებდა შავ-თვალებს, თუმცა ბევრი რაზმელთაგანი ბოჩოლა-სავით გაბუცებული იდგა და ნიკას სიტყვებისა არა ესმოდა-რა, მაგრამ გაათავა თუ არა ნიკაშ ლაპარაკი და გაჩუმდა, უცბათ გაისმა შეერთებული ხმა დიდის უმრავლესობისა.

— მართლა და ღრო სოფელი დამშვიდდესო.

ნიკამ თავი მაღლა აიღო, თვალები გაუბრწყინდა და ის იყო პირის დაღებას აპირებდა, რომ კიდევ ეთქვა რამე, მაგრამ ბილამ დაასწრო და ენის მოკიდებითა სთქვა.

— დიახ, ბევრი სარგებლობს ჩვენის სახელით, ამხანაგებო, ღრო გამოვაჩინოთ ის მოღალატენი.

ბილამ აქაც პირველობა მოინდომა, ამ შემთხვევაშიაც მოსწყურდა ხალხის მოტყუება, იგი ყოველთვის სხვის ხელითა გლეჯდა ნარს და ისეთი სახელი ჰქონდა, ისე ოსტატურად მოეწყო თავისი საჭმე, რომ არაფრისა არ ეფიქრებოდა.

— მაშ კომისია ამოვირჩიოთ — წამოიძახა პეტრემაც.

კოტა რამ ჩოქოლისა და გახმობ-გამოხმობის შემდეგ, კომისიაში სამი კაცი დაასახელეს.

— აი, ამხანაგო, — მიუბრუნდა ბლვერია ნიკას — ხვალ დიღითვე გაღმოვა შენთან ეს სამი კაცი და პირველად შენ უნდა დაუსახელო, თუ იცი ვინმე ჩვენი მოღალატე. თანხმა ხარ?

— თანხმა ვარ! — აღტაცებით უპასუხა ნიკამ — დაე, მსხვერპლი გავხდე უმსგავსი შურის-ძიებისა, ოლონც-კი ერთობასა და ამ ერთობისათვის ნამდვილ თავ-დადებულთ ხელი არ მოკაროთ...

ამ სიტყვებით გამოეთხოვა ნიკა რაზმელებს და შინისა-კენ პირი იბრუნა.

ნიკა რომ თვალს მიეფარა და რაზმელებმაც დაშლა დაიწყეს, ბილა და ბლვერია თავისდა უნებურად ერთმანეთს შეა-ცეკრდნენ... ერთ დრანგზე ორივეს თვალებში თითქო რაღაცა შიში გამოკრთა, მაგრამ იმავ წუთს ერთმანეთს ჩვეულებრივად გაულიმეს...

— ნიჩავო! — თითქოს დასამშვიდებლად ჩაილაპარაკა ბილამ და დაუმატა: — ჯერ კიდევ ბევრ მაგისთანას გავაცურებთ ყინულზე.

შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა ნიკა გამოსცდა წუნარის წვრიმალას და სამშვიდობოს გამოვიდა. ნაცარ-

გორაზე ცოტა შეისვენა და უკან მიიხედა... მთვარისაგან გაკაშკაშებულ წვრიმალას რომ თვალი გადაავლო და წარმოიდგინა სადაც იყო, გულმა ჩქრქოლა დაუწყო, თვალებში სისხლი მოაწვა. ნიკამ მხოლოდ ახლა იგრძნო რა განსაცდელსაც გადარჩა. იქ, კილიანს ხევში, სამი-ოთხი მძარცველთაგანი მაინც იყო. მათ შეეძლოთ დასდევნებოდნენ და ყრუ წვრიმალაში სადმე ჩაეკლათ...

ნიკა მხოლოდ ახლა აიტანა შიშის ქარმა. თმები ყალყზე დაუდგა, მთელი სხეულით თრთოლა დაიწყო, და დაშფრთხალი ირემივით დაეშვა თავისს შინისაკენ...

## ¶

ჯერ კიდევ კარგა გათენებული არ იყო, რომ სამი შეიარაღებული რაზმელი ცხენების თქარა-თქურით ნიკას ოთახის ფანჯარას მიადგნენ და ფანჯარა დაუკაკუნეს.

ნიკამ ხელათ ჩაიცვა ტანთ, პირი დაიბინა და რაზმელები სახლში შეიწვია.

მათ დანახვაზე მელანო მუშტის ოდენათ მოიკუნტა და კინალამ გული არ წაუვიდა.

— ნუ, გეშინიან, დედი! — წასჩურჩულა ნიკამ — ჩვენები არიან!

— მე-კი გული გამისკდა და! წაილულლული დედაბერმა.

— ჩვენ ცოტა სალაპარაკო გვაქს, დედი — ხმა მაღლა უთხრა ნიკამ — შენ-კი მინამდე... ჩაი მოგვიმზადე.

მელანო აკანკალებულის ხელებით სამოვარსა სდგამდა, რაზმელთა „კომისია“-კი ქურდების აღმოსაჩენ გეგმის აღგენდა.

როცა კარგად მომზეურდა, ნიკა და რაზმელები სოფელში გავიდნენ. კვირა დღე იყო და გლეხები ჯგუფ-ჯგუფად გამოშლილიყვნენ შარა გზაზე და მასლაათობდნენ. პირზე სულ ერთობა და ერთობის ამბები ეკერათ.

ნიკა მიესალმა ერთ უფრო დიდ ჯგუფს, სთხოვა გაჰყოლოდნენ და პირდაპირ ლეკიანთ ბილას ძმის სახლისკენ გასწია.

რაზმელები შეუდგნენ სახლის ჩხრეკას... ნიკა თრთოდა, მაგრამ, არა! მთხრობელს არ მოუტყუებია!! ტახტის ქვეშ ჩაფლულ ქვევრიდან ორმოცი თუმნის ნაძარცვი ამოიღეს: ვერცხლის ქამრები, ხალიჩები, იარაღი, ფარჩა, ბეჭდები, სამაჯურები და სხვ.

ბილა იმ დღეს სხვა სოფელში იყო წასული... იგი ვერა-სოდეს ვერ წარმოიდგენდა თუ პირველად იმის ძმას გაუჩხრეკდნენ სახლს და ან ვინმე გაუბედავდა მას ასეთ „თავხედობას“. მაგრამ ანგარიში წაუხდა და როცა, საღამოზე, შინდაბრუნებისას, ეს ამბავი შეიტყო, თავზარი დაეცა, დაიპნა, აირია...

ვითომდა არაფრის შცოდნე ბილა მელიასავით თვალებსა ბლიტავდა, ჩაუანგებული სახე უარესად ილანძოდა და გარყვნილი ბერივით ხალხის დასანახვებლად თმას იხოკდა და გულში ხელს იბრახუნებდა—ძმას სიკვდილით ემუქრებოდა ამგვარ გაწბილებისათვის.

მეორე დღეს, საღამოთი, ერთ მიურუებულ და ტყით გარეშემორტყმულ აღგილას, საღაც ძველი ეკლესია და სასაფლავოა, მოულოდნელად დიდებული მიტინგი გაიმართა.

ვაშლოვანის მეზობელ სოფლებს ხელადვე გაეგოთ, რომ ბილას ძმის სახლში ნაძარცვი ნივთები აღმოუჩენიათო და ძარცვა-გლეჯისაგან შეწუხებული გლეხობა ერთბაშად მონალვავდა,— დღევანდლამდე თითქმის ყურ მოჭრილი მონა შინაურ მძარცველებისა, უცბად წელში გაიშალა და ანგარიში მოითხოვა. უცნაური არა არის ხალხი!

პირმცინარი ნიკა შემდგარიყო საფლავის ქვაზე და სოფელს სიმწარისაგან ჩაფერტლილ ბილას-ძმაზე უთითებდა.

— ხალხნო და ჯამაათნო! აი თქვენი მძარცველი! თქვენის დახმარებითა და შეწევნით კიდევ ბევრს გაჩვენებთ თქვენ შემწუხებლებს, მაგრამ განა ამისთანა უღირსი შვილების გულისათვის ერთობას უნდა ვუღალატოთ? განა ამ ნაძირალების გამო „ახალ-თაობაზე“ გული უნდა ავიყაროთ? არა და

არა! სოფელი ღონიერია და მაშ, გონიერებაც მოვიკრიბოთ: თუ ძველი ბატონები მოვიშორეთ, ახალ ბატონებსაც ნუ ვინდომებთ! შევკრათ პირი და როგორც ძველ წურბელებს, ახლებსაც დღე გავუმწაროთ. გაუმარჯოს სოფლის გონიერებასა და ერთობას!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! ღალადებდა ყრილობა და მისი ურიამული ცასა სწვდებოდა.

— ამხანაგებო! — დაიყვირა მეორე საფლავის ქვაზე მდგომა პილამაც — ამხანაგებო!

სხვა დროს ბილას ამ გვარ მიმართვაზე მთელი ყრილობა სულს განაბავდა და მოლაპარაკე ბილას ყოველ გვარ სისულელეს ტაშს დაუკრავდა, მაგრამ დღეს ხალხს გული გადაბრუნებოდა და, შეურაცყოფილ-მოტყუებული, ყრუთა გმინავდა, კბილებს იღესავდა, ბრაზის გახეთქას ეპირებოდა... ვაი იმას, ვისაც ხალხის წყრომა თავს დაატყდება!!.

— ჩვენ თქვენი ამხანაგები აღარა ვართ! — წამოიძახა ხალხიდამ ვიღაცამ — ამხანაგები რომ ვყოფილყავით, ბატონებით აღარ გაგვიხდებოდოთ.

ბილა სიმწარისაგან დაიხლაკნა, კისერი წაიგდელა, მოლაპარაკისაკენ გაიხედა, მაგრამ ვერ გაიგო, ვინა ლაპარაკობდა

— ამხანაგებო! — აღარ იშლიდა თავისას ბილა, — თუმცა ახლა ძველებური ზავთი აღარ შესწევდი — შერცხვენა ჩემ თავს...

— ჰაი, ჰაი! — კადევ წამოიძახა ვრდაცამ.

— შერცხვენა ჩემ თავს — გაიმეორა ბილამ — რომ პირველი ქურდი ჩემი ძმა გამოდგა, სირცხვილი მე, რომ მთელ ხეობას გივლიდით და ჩემი ძმისათვის-კი თურმე ვერ მომივლია! — მოიკატუნა პილამ თავი.

— რა ურიგო მოვლაა, შვილოსან, ჩვენ გვართმევდი და შენ ძმას აძლევდი! — დაიბუზუნა უკანა რიგიდამ ჩვენმა ნაცნობმა სინამ.

— ბიჭო, თუ კი ქურდი და ქურდის ძმა იყავ, სახლი რაღა პირით მიკრავდი, შენი ძმისათვის შეგეკრა ხელები, შე

ყურუმსალო!?. — დაიღრიალა საიდგანლაც „კაპიტანმაც.“ ხალხმა ტაში დაჰკრა და გულიანად გადიხარხარა.

ბილა აირია, რკინასავით გაშავდა.

— მაგრამ ჩემ ძრას ამხანაგები ბევრი ეყოლება...

— განა არ იცი, რო ჰყავს... შენი ცოდვები შენვე გალაპარაკებს. — აყაყანდა რამდენიმე ხმა — პირველი შენა ხარ, შეიოლოსან!

— ვინც უნდა იყოს, გამოვაჩინოთ და სახალხოთ დავსაჯოთ — სხვა რომ ვერა მოახერხა-რა წამოიკნავლა ბილამ, ქვაზე პირქვე დაემხო და ქვითინი ამოუშვა. არა მგონია, რომ მართლა ეტირნოს! ხალხმაც არ დაუჯერა და დაცინვით იქარვებდა ბოლმას.

— მე, შეილოსან ძეელი ბატონი მერჩიენა, სიტყვას ჩაინც შევუბრუნებდი ხოლმე, ამ ახალ ბატონებს-კი შიშით ხმას ვერა ვცემდი. დახე, დახე, როგორ მოგვატყუეს: ამხანაგები ვართო. ძალით იყოს თქვენისთანა ხალხის ამხანაგი! — იძახდა ერთი.

— ალბათ ჯადო ყოფილა გლეხის ლუკმა, რომ ჩვენივე ძმა და შეილი გაგვიძარონდა! — ოხუნჯობდა მეორე.

— კაპიტანო! შენი დეპლომიც ხომ არ გაუტაცნიათ? ხარხარებდა მესამე.

— მუშაობასა და ოფლის ღვრას უზრუნველათ ყოფნა არა სჯობია? — მა, რითვინ მიატოვეს ხელობა და გუთან-კევრი, — იმითვინა, რომა ჩვენვე ვეცარცვეთ, მაშა! — უხსნიდა ერთი მეორეს.

— ახლა-კი სხვებიც გამოჩნდებიან... ყველას იარაღი უნდა ჩამოვართვათ! — ცხარობდა ვიღაცა.

ხალხის უკმაყოფილებასა და გულის წყრომას ბოლო არ უჩანდა. თითოეული გლეხი თავისებურათა სჯიდა აღმონახენ ნაძარცვის შესახებ, მაგრამ საერთოთ-კი იმ აზრისა იყვნენ, რომ რაზმელებს თოფები მარტო საყაჩალოდ ეჭირათ ხელში.

— ხალხო და ჯამაათნო! — კვლავ გაისმა ნიკას ხმა — ხალხმა სული განაბა.

— ხალხნო და ჯამაათნო! ურემი რომ ფადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, თქვენგანვე არის ნათქვამი, მაგრამ

რატო წინდაწინვე არ უნდა გაფშინჯოთ ხოლმე ურმის გა-  
სავლელი გზა! ნუ ვიქნებით უპირონი, ერთობით ვიმოქმედოთ,  
ხალხის მტერი ყველამ დავასახელოთ და, აბა, მაშინ დავინახავთ,  
თუ ვინმე გაბედავს სოფლის მასხარად აგდებას. განა აქამდის  
არ იცოდით, როგორ იქცეოდა ზოგიერთი ჭითომ-და „ამხა-  
ნაგი?“ ციცოდით, მაგრამ ხელს აფარებდით.. .

— მა, რა გვექნა, შენი ჭირიმე, თოფ-იარალი მაგათ ეჭი-  
რათ ხელში და გვეშინოდა!

ხალხი კვლავ ახარხარდა. ნიკამ-კი განაგრძო:

— თუ სოფელი პირს შეჰკრავს, თუ მეზობელი მეზობელს  
შხარს დაუჭერს, ოცი და ცუდა ათი თოფიანი ვერასუზამს! უბედუ-  
რება იმაშია, რომ ჩვენ თვითონ უნდობლად ვეკიდებით ერთ-  
ვანეთს. ათასი წლობითა ვართ დაჩაგრული და დღესაც, როცა  
თავისუფლება კარზე მოგვდგომია, დღესაც არ გვინდა შევიგ-  
ნოთ, რომ სოფლისათვის ბატონი და სხვისგან დაყენებული  
შოხელე საჭირო არ არის. თუ მეზობელს მშვიდობიანათ მო-  
ვურიგდები, რათ მინდა ძალათ - სუდია, თუ მე ქურდი და  
ყაჩალი არ ვიქნები, რათ მინდა პრისტავ-სტრაუნიკები, თუ მე  
სოფელი მეყვარება და სოფელს მე ვეყვარები, რათ მინდა სხვა  
მსაჯული და სხვა შუა-კაცი? თუ-კი მტკიცე ერთობა გვექნება,  
თუ-კი ერთი ყველასათვის იცოცხლებს და ყველა ერთისათვის,  
განა მაწანწალა ნაძირალები დაგვაკლებენ რასმე?

— მაგდენი რომ არ გვესმის, შენი ჭირიმე? — წამოიძახა  
ვიღაცამ.

— როგორ არ გესმით, მაგრამ არ გინდათ დაფიქრდეთ —  
განაგრძო ნიკამ — განა არ იცით, რომ ვინც შეგნებისა და  
სამართლიანობის გზაზე არ გაყენებთ, ვინც ერთ ბატონს  
იწუნებს და თითონ კი ბატონდება, ის მტერია სოფლისა!  
ვინც ძველი გადასახადების მიცემას გრკრძალავს და თითონ  
კი უფრო მეტს გახდევინებს, ისიც მტერია სოფლისა! ვინც  
ბეგარის უსამართლობაზე გითითებს და თითონ კი სოფლის  
ცხენებით დაჯირითობს, მტერია სოფლისა! ვინც გიქადაგებს

Քարտզո, մոխալ, ճամփան Շենո մյուսծելո, — պայմառացերո Շյնօառ դա տուտռն կո մամուլցի սուօղլոնձ, — մըրշուս սուցլուսա! ամուս գացեծած ճուղու պահճա առ շնչա, ամաս մեռլուծ դակարացեծ դա յրտո პորու շնչա, հոմ պայմառաց պահածեծ իշենո ծոլաս մի՞ հասպահութեռտ... եղազտ, հոգոն պահածեծ իշենո ծոլաս մի՞ հատա? միմութում հոմ սուցենուս սուցլուսա. ճուղեծուլուս վայսին եմա, չալատսապ-կո սոնանուլուն հացլցեծ! մա՛շ, մոմեցուտ եղու, պայմառ յրտած Շյացուցցու իշենո մըրշեծուս ալմոհենած դա հուրա ցունցնուտ, սամացալուտուտապ ճացեսաշուտ...

— Ճացեսաշուտ! პորշու հայացուհութեռտ... պայրեծու ճացակ-հատ, հոմ սուցուլումճա սուրբքուլուցուլուն ճաճուռճնեն! — գշ-ցնչեծու եալեն ճա գալուստեծուլ-ալուրուուցակեծուլու թղթակարց նլցասա չեցացճա... գուլուն ճացուցեծուլ, ծոլմասա ու Շյուրապուտաս սուրպացեծուս Շաժուրանած օւցրուդա.

մուրնցու նա՛շուալամեցս ճասի մալա.

մուրու կարուս գանմացլոնձանու ամուրիցուլու հանմելցի ճա նոյա ճաճուռճնեն սուցյուլ սուցյուլ ճա „աթալ-ծաթոնցեծու“ իշե-նցեծու արտմեցճնեն: — զուս հա հունու մոյսյունցեծուն սուցլուսատցուս. „աթալու ծաթոնցեծու“ կո ալզուլու սամունցուլու գաեճնեն: Յաթարեծմա ճուղեծու գասպյուս, ճուղեծմա յուլցու շոյրու ճուղեծու ճա մուրու եց-տանու սամունճա „աթալու ծաթոնու“ անցուեցու, մատցան հաճենուլո նացնցու: — գանաթաւու, գամարպուլու, զարամիցարու ճա ճանարալուց-ծոյլու — համարենումյ աս տոյնած Շյացասցու, եռլու եալենուսաճմո մոյսյուցուլու ներածնուցու նարալու-կո մատսացը կույցը ճարիս.

հուրա պայմառացերո գամուրկյա, նոյաս մուշուցուտ մուրու եցուծուս եալեն Շյա-սուցլուս յրտ-յրտ Ծոյենու Շյուրիօնօ. այս մուրունց ալնունուլու աթալու ծաթոնցեծու ճա տացուս პո-րուտ սաշարուտ ալուսարցու տացուս ճանանաւուլու, եալենուս Ծոնանց թուու մոյսյուցու ճա մուելմուլուրցուտ Յաթուցեծա ուտեռցուցու. Շացատ ալունմուլու ճա Շյուրբքունուլու ծոլա ճա ծոլուրուս պայմառանց շոյ-րու ուրեմնուլու ճա պայմառանունու մըրշուս մըրշուս մըրշուս!

ზიზღით სავსე თვალებით უყურა, უყურა ხალხმა ამ თავისს მატყუარა და ულირს შვილებს, პირში ჩაფურთხა და ხმა-ამოულებლივ დაიშალა.

ოხ, ზოგჯერ რა შმაგი, განუკითხველი და ზოგჯერ-კი რა მიუწვდომელი და ამაყია ხალხი!!...

## VI

გავიდა რამდენიმე ხანი. წმინდა-წყლის რუსთა უმსგავსობისა, მცონარეობისა და სიბრიყვისა გამო, რეაქცია თან და თან გაძლიერდა. დროებით გამარჯვებულმა მოხელეობამ ძალა მოიკრიბა და მთელი თავისის სივერაგით რუსეთში უფრო გაღვიძებულ განაპირა ქვეყნებს მიესია. საქართველოც ჯარებითა და დამსჯელი რაზმებით აიგსო. სოფლის მყრალი მამასახლისიც-კი ლამის გუბერნატორად გადაიქცა.

სოფელს უიმისოდაც გაჯახირებული ცხოვრება უარესად გაუმწარდა და უკან დაიხია, ენაზე იქბინა... რაზმელებმა იარაღი დაჰყარეს და ბევრმა ახალმა ბატონთაგანმა სამშვიდობოს მიაშურა, რადგანაც სოფლად თავისიანებისა სცხვენოდათ და გარეთ კიდევ პოლიცია სდევნიდათ, როგორც „მებრძოლებს“. ბილა და ბლვერია აჩრდილებივით დახეტიალებდენ სოფლიდან სოფლად და ნაცემი კატებივით ათასში ერთხელ თუ წამოიკნავლებდნენ ხოლმე: ხალხისაგან ძველებური ლირსება ჩამოერთვათ, ნიკა თავ-გამოდებამ ცოცხლივ დამარხა იგინი. და მარტო ნიკასადმი შურის-ძიება-ლა ასულდგმულებდათ.

მხოლოდ ერთად ერთი ნიკა არც არავის ემალებოდა და არც გულს იტეხდა, იგი კარგად ხედავდა, რომ ხალხი კვლავ ემზადებოდა ერთობისათვის: უფრო შეგნებით, უფრო მტკიცე და სწორის ნაბიჯით...

ზაფხულის მიწურული იყო. მზე უკვე მოჭფარებოდა ნაცარ-გორის მთას და კავკასიონიდან წამონაბერი სიო გასურებულ დედა-მიწას შუბლს უგრილებდა. ბინდ-ბუნდი ფეხ-აკრეფით ეპარებოდა სოფელ ვაშლოვანს, თუმცა ირგვლივ

ჯერ კიდევ ყველაფერი ნათლადა სჩანდა. გაჭრილი ყანების ნაწვერლები, ახლად გაჩეხილი ახოები და გრუზა ბუჩქნარები ფერად არ შიად შემოვლებოდა ლამაზად ტან-აყრილ, მობიბინე სიმინდებს. დასავლეთით, — შორის, — ცის-ტატნობზე, ბამბის ქულასავით გადაპენტილი ღრუბლები საოცნებოთ დარაზმულიყვნენ: ერთი მეორეს ჩაჰკონებოდა და ხელთ-უქმნელის კოშკივით გადმოჰყურებდა მთის კალთებზე გაშენებულ სოფლებს. აღმოსავლეთით-კი — ტყით დაფენილი მთა-გორაკები უკვე ჩამუქებულიყვნენ, ჩაშვებულიყვნენ და თითქოს დარაჯობა მოსწყენიათო, სოფლებინენ.

სოფელი ვაშლოვანი გაშენებულია ვიწრო ხეობაში. მარჯვნივ და მარცხნივ არც თუ მაღალი მთა-გრეხილები ასდევს, შაგრამ რაკი მზე ჩაესვენება ხოლმე, მთელი ეს ხეობა დიდებულ ჩარჩოში ჩასმულ დიდებულ და საარაკო სურათს ემსგავსება.

უმზერთ ამ ტურფა ბუნებას და გენატრებათ უკვდავება: გინდათ რომ დაივიწყოთ თქვენი თავი, თქვენი „მე“ და გადაიქცეთ ოცნებათ, დაუსრულებელ ზღაპრათ, ან და აუღრდეთ ხმა-შეწყობილ ჰანგებათ, რომ ბუნებასა და მის უმანკობას მუდამ უმდერდეთ ქებათა-ქებას... გინდათ, რომ დაძღნეთ ცრემლად ნეტარებისა, ან იქცეთ ნისლად იმ მაღალის მთებისა — კავკასიონის მთებისა — რომელიც ასე ერთგულებითა და მოთმენით სდარაჯობს ჩვენ სამშობლოს და თმა-წვერ ჭალარა უკეთეს მომავალზე მაინც გულს არ იტეხს...

მარჯვნივ გაწოლილ მთა-გრეხილსა და სოფელ ვაშლოვანს შეუა მშენიერ ქალწულის გულ-მკერდივით გაშლილისახნავ-სათესი მიწები, ხოლო მარცხნივ, უფრო მაღალ მთა-გრეხილსა და ამავე სოფელ შეუა გადაჭიმულან ხავერდოვანი ვენახები, ვენახების იქით-კი, შიგ მთის ძირში, მოშეუის დიდი ლიახვი და მისი გაუთავებელი ქვითინი დატყვევებულისა და იმედ დაკარგულის ადამიანის დაუსრულებელი გლოვა და ზარი გეგონებათ...

ვინ იცის რამდენი თაობა გაუზრდია ამ ხეობას, რამდენი რფლი, ცრემლი და სისხლი შეუსუტავს აშ მშვენიერ ველ-

შინდორს, რამდენი მოღალატე უტარებით თავის მხრებზე, ან რამდენი მეოცნებე მამულიშვილი მიუბარებით თავისს წიაღში, მაგრამ დღესაც ისეთივე ტურფა და უმანკო სჩანდა ეს ხეობა, როგორიც ყოფილა უხსოვარ დროსაც...

ერთ-ერთ ფარულ ყრილობიდან დაბრუნებული ნიკა გიგაური გადმომდგარიყო კუსირეთის მთაზე და გულ-ხელ-დაკრებილი აღტაცებით გაჰყურებდა სამშობლო ხეობას. თვალი ვერ მოეშორებინა თავისის აღმზრდელის შშვენიერის სახისათვის და, ვით უიმედოთ შეყვარებული, გულით უალერსებდა თი-თოვეულ ბორცვს, თითოვეულ გორაქს, თითოვეულ მთას.

გრძნობით აღვსილს სახე გადაფითრებოდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა. ჭა იქ, მთა-გორაკებზე აღმართულმა ციხე კოშკების ნანგრევებმა ფიქრით გადაიტაცეს შორეულ-წარსულში, როდესაც ქართვლის ერი ჯერ ისე არ დაძაბუნებულიყო, რომ ულირსთა გასამათრახებელი, ფეხით გასათელი ყოფილიყო.

— ბევრი, ტანჯვა გამოუვლია საქართველოს — წამოიძახა ნიკამ — მაგრამ შეიძლება მწუხარება ნეტარებათ შეეცვალოს. დღეიდან ჩვენი ხალხი უფრო შეგნებულად ეკიდება თავისს თავს, თავისუფლების მოპოვებას... ოხ, ნეტა იმას, ვინც მოესწრება იმ დღეს, როდესაც ამ ყოვლად შემკულ ქვეყანას შემწუხებელი აღარ ეყოლება და ჩვენი მშრომელი ხალხი არავისი გასათელი არ იქნება!.. დედავ, თინავ, ყველა ჩემიანო! რა ბედნიერი ვიქნებით, რომ ჩვენც შევესწრათ იმ სანეტარო დროს, მაგრამ... ეს ჯარები, ეს მათრახები, ეს სიბნელე და უვიცობა?

ნეტა შემეძლოს სამსონივით სახედარის ყბით თავი ვუჩეხო გაავზნებულ ფილისტიმელებს და გედეონათ გარდაქცეულს მოძმეთათვისა ლამპართ სიმრავლით თავ-ზარი ვცე სიბნელის მცველებს!

გრძნობით წარმოსთქვა ნიკამ, ერთი კიდევ შემოავლო თვალი მიღამოს და თავქვე დაეშვა...

ცოტა კიდევ და... ლია ცასავით მოწმენდილი ჟუჟუნა თვალები თინასი სულს აუმაღლებდნენ დღევანდელ დღის სიცხადიდ დანაღვლიანებულ ნიკას; ცოტა კიდევ და... საოცნებო ალერსი და დაუსრულებელი ღულუნი თინას პირველის, ჯერ კიდევ უმწიკვლო სიყვარულისა, გულს უპოვნიდა უჯეროდ სევდა-მოსილ ნიკას, ხოლო ფეხ ჩაუდრეკელი ფუსფუსი ბებერი მელანოსი კვლავ საბრძოლველად გაამხნევებდა მას, მაგრამ გამოსცდა თუ არა მთის ფერდობზე აქოჩრებულ წვრიმალას, იგრიალა ვილაცას თოფმა და ნიკა უსულოდ პირქვე დაეცა: მუხთალი კაცის მუხთალმა ტყვიამ ზურგი შეუსაბურია და ჭვეყნის მოსიყვარულე გული შუაზე გაუგლიჯა!

გლოვის ზარად მოედო მთელ<sup>9</sup> ხეობას ნიკას მოკვლის ამბავი. ჭკუიდან გადავარდნილი ბებერი მელანო თმა-გაშლილი და ფეხ შიშველა მთელ სოფელს უვლიდა და ცრემლ გაშრიალი თავში ცემითა და ბლუილით ყველას შესთხოვდა..

— მომეცით ჩემი ნიკა, მომეცითო!

მელანოს ცოდვით დამწვარი სოფელი-კი ცრემლად იღვრებოდა.

თინა ლიახვაში თავს ირჩობდა, მაგრამ დროზე მიუსწრეს და გადაარჩინეს. ნიკას დასაფლავების დღეს უგონოთ იწვალობინში.

მთელმა ხეობამ ღირსეულად დაიტირა უდროოდ მოწყვეტილი ყვავილი გაღვიძებულის სამშობლოისა.

ახალ ბატონთაგან დასაფლავებას არავინ დასწრებია. ალბათ ხალხის შურის-ძიებისა თუ ეშინოდათ.

მაინც რომელმა მათგანმა მოჰკლა ნიკა?

ბილამ? ბლვერიამ?

დანამდვილებით ვერავინ იტყვის...

მაგრამ... განა სულ ერთი არ არის?..

ია ექალაძე

იანვარი 1908 წ.

# მიჯაჭვული ამირანი

(მწოდებელი ერთი კარი ბაბა ფოტხერას ნახშებობიდან)

...გმინავს ამირანი. სული ეხუთვის. მაგრამ იმედს მაინც არ ჰქარგავს. ფინის მუშაობამ ფუჭად ჩაიარა. ოოო... კოჭლ ყარიბს დაანახვებს იმის გაჩენის დღეს, თუ აიშვა თავი!.. მაგრამ სად არის?.. „მხნედ... მხნედ... ამირან... მედგრად შემოჰკარ ურო პალოს! ავმა სულმა ამირანი რო მიჯაჭვა მარჯვენა ფეხით და მარცხენა ხელით, მარჯვენა ხელზე ჯაჭვით მოაბა რკინის ურო. იმის მოწაფეს, კოჭლ ყარიბს, გამოაკვერინა ავმა სულმა ჯაჭვი, პალო და უროც. ჯავრი მოსდის, რო ის კოჭლი ყარიბი გაწრთვნა, ძაგრამ ეხლა სხვა ხსნა არა აქვს, გარდა თავის თავის მეცალინეობისა. აკი კიდევაც იბრძვის თავის ასაშვებად. მედგრად ჰსცემს რკინის უროს გარდიგარდმო პალოს, რომელზედაც მიჯაჭვული აქვს მარცხენა ხელი. ცდილობს შეანძრიოს პალო და... თუ შეანძრია, ამოძრობაც შეიძლება. დღე და ღამ არ ისვენებს ამირანი. ან-ჯლრევს პალოს. აგერ-ოდნავ შეაჩუჩუნა! ოხ, ნეტარებავ!.. სიხარულის ალ-მულმა აიტაცა. მისუსტდა კიდევაც და ცოტათი შესასვენებლად მიწვა. ალერსით ულოკავდა ფინია ხელ-ფეხს, ამხნევებდა. ამირანი-კი ოცნებობდა თავისუფლებაზე. ფინია იმის ბაგეს, შუბლს შეეხო და გონს მოიყვანა ამირანი შეუდგა ისევ მუშაობას. რაც დრო გადის, და ამირანი მედგრად მუშაობს, პალო თანდათან უფრო ლაყლაყებს, ამოძრობაზეა. ოჯ, ნეტარებავ!.. ამირანი ამოძრობს პალოს, შეჰმუსრავს

ფეხის ბორკილსაც და უფსკრულში გადუძახებს, მაშინ... მაშინ განთავისუფლებული ამირანი ააყვავებს ქვეყანას და თავისი ჯრხვას ქალიც ისევ ქალად გადიქცევა!.. მაშინ დადგება დაუსრულებელი ბედნიერება!..

„აი, კიდევაც უსწორდება დღე-ღამეს. დასწორების შემდეგ დღე იმატებს და ღამე-კი იკლებს. ამირანი არ ჰსცხრება, ორყევს პალოს. რკინის უროს ურტყამს პალოს გვერდებზე და თან მარცხენა ხელით ანჯლრევს. შუალამე გადასულია!.. განთიაღიც მოახლოვდა. კუჭლმა ყარიბმა, თუ სხვამ, აახმაურა კვერი... ფინიას ნამუშავარი შეიმუსრა... მაგრამ ამირანს წინანდებურად გული არ მოჰსვლია კოჭლ ყარიბზე. ფინიაკი აწავწყავდა. ამირანი შეებრძოლა პალოს. პალომ საშინლად ლაყლაყი დაიწყო. ერთი-ორი შემოკვრაც და...“

„ახმაურდა არე მარე... გაზაფხულის სუნით გაუღენთილი ჰაერი შემოიჭრა ამირანთან... გული აუფანცქალდა და მოდუნდა. სიამოვნების ლიმილად გასკდა იშისი ბაგე და გონება განთავისუფლების ოცნებას მიჰსცა. ჭუჭრუტანაში შემოიჭრა უცხო ფრინველი უცხო ჰანგების მოთქმით და ხელის პალოზე წამოსკუპდა. ამირანი დაითრო გაზაფხულის ჰაერით, რომელიც სხვა-და-სხვა სუნნელოვანებით და ხმებით იყო გაუღენთილი. საცოდავი ფინია-კი წკმუტუნებდა... თავს ევლებოდა ამირანს, გამოფხიზლებას ეველრებოდა, რომ ღრუით ამოეძრო პალო და გამოსულიყვნენ ამოქვავებულ კლდის მწვერვალის გამოქვაბულიდან...“

„კარზე მიმდგარ თავისუფლებით დამთვრალს ამირანს არ ეყურება ერთგულ ფინიას წკავ-წკავი. ფინია კი ეხვეწება: „დროით, დროით, ერთხელ კიდევ შემოჰკარ პალოს, შეარყიე მედგრად და ჩვენ თავისუფლები ვიქმნებითო!.. მაგრამ ამირანს არ ეყურებოდა ფინიას მუდარება“.

„ფინია შეეცადა უკანასკნელად ამირანის გამოფხიზლებას. იმის მკერდს დაუკონა. უცხო ფრინველი პალოზე წამოსკუპული გატაცებით მოსთქვამდა თავის ჰანგებს, თავი-

სუფლების დიდებას, მკერდზე შეხებამ გამოარკვია ამირანი... გადაპედა პალოს და რასა ჰედავს?!

„რაოც ფრინველი წამოსკუპულა პალოზე და რაღაც ჰანგებს გატაცებით მოსთქვამს. წამს შეკრთა ამირანი. ფინიაშ უფრო წკმუტუნი მორთო. კლანჭები ჯაჭვს გამოჰკრა...“

„—ხა, ხა, ხა, ხა!...—ისე ძლიერად გადიხარხარა ამირანმა, რომ მთამ, კლდემ, ნაპრალმა და ველმა ბანი მიჰსცა. შემდეგ ფინიას, რომელმაც უფრო საცოდავად იწკმუტუნდა, უთხრა: „ჩემო ფინიავ, ნუ თუ გგონია მაგ რაღაც ფრინველმა თავის სიმძიმით პალო ჩაამაგროს?... ეხლავე ჰნახავ, რა დღეს დავაყენებო!..“

„თქმა არც-კი გაათავა ამირანმა, რომ მედგრად ურო მოიქნია და პალოს ზევიდან დაუშო... მეხის ჭექვას ემგზაფ-სებოდა, როცა პალოს ურო ზევიდგან მოჰვდა... ისე ძლიერად მოიქნია ამირანმა ურო. საშინელი ქარი ჰქონდა. უცხო ფრინველი ამ ქარმა პალოს აჰგლიჯა და ჭუჭრუტანისკენ მიჰსტყორცნა. ფრინველიც გასრიალდა ჭუჭრუტანაში და მიიმალა... ხოლო პალო უფრო ძლიერად ჩაერჭო, ვიდრე ჰირველად ავმა სულმა ჩაურჭო...“

„ჯერ განთიადი არ გათავებულიყო, რო უკვე შემოლამდა და გაზაფხულის მაგივრად ზამთრის სუნით გაიუღინთა ჰაერი... ამირანი გაქვავდა... ფინია-კი ატირდა და ამირანის მკერდზე ცრემლს აფრქვევდა. ფინიას უნდოდა ამით მოელბო ამირანის სასოწარკვეთილებით გაქვავებული გული...“

„მოალბო კიდევაც...“

„გამოერკვა ამირანი. მოაგონდა ყოველისფერი და თავის შეცდომის შედეგიც ნათლად დაინახა. ისე ახლო იყო გან-თავისუფლება და ასე საშინლად დააშორა თავის დაუფიქრე-ბელ მოძრაობით... გული გაეწურა... გუნება შავშა სუდარავ წაფუჩნა ..“

„ფინია მაინც თავისას არ იშლის. ტირის, ცრემლებს აშირანის მკერდზე აფრქვევს, ლმობიერებით ავსებს და გულ-“

ში იმედს უნერგავს. სასოწარკვეთილების ფარდის ალპობს ფინიას ცრემლი და კლანჭი იმისი მედგრად ჰქონებავს...

„ამირანი ისევ აპირობს მხნედ შეუდგეს თავის განთავისუფლებას და, მგონი, ისეთი შეუწყნარებელი შეცდომა აღარ ჩაიდინოს...“

ასე დააბოლოვა თავისი ამბავი პაპა ფოცხვერამ და ლასტიც გაათავა...

უკვე სამხარს ჰსკამდნენ მხვნელი. ჩვენც ვიგრძენით სიმშილი და პაპა წფოცხვერა და მე პურის საჭმელად წავედით...

*ვ. არაგვის მინელი*

# პანკითხვის ღრე

## პიესა ოთხ მოქმედებათ

ბრწყინვალე თავადი გრიგოლი, 52 წლისა, პოლკოვნიკის მუნდირში.  
კარინა მარიამი, 40 წლისა, გრიგოლის მეუღლე.

მერი, 17 წლისა, ამათი ქალი. ახლად კურს დასრულებული „ზავედენკა.“  
შეთევანი, 22 წლისა, ამათი მოსამსახურე, მარიამის ნათლული.

თავადი ნესტორი, 25 წლისა (ჩოხაში)

შიხეილი, 40 წლის, გრიგოლის მამულების გამგე, ვექილი, რუსულ ტა-  
ნისამოსში.

მაზრის უფროსი.

შხაჭული.

არჩილი, 25 წლის, მუშა, ლურჯ ხალათზე პიჯაკი აცვია (ხანჯალს  
ატარებს).

ნუცა, მისი და 22 წლისა.

თომა, 60 წლისა, ამათი მამა.

ვიქტორი, სტუდენტი პროპაგანდისტი, 23 წლისა (წითელ ხალათზე სტუ-  
დენტის ტუშურკა).

დათია  
ალექსი  
ანდრია

შუა ხნის გლეხები.

გენერალი.

ფრიდონ გლეხიშვილი, შუა ხნის აზნაური.

ქითესა, მეურმე გლეხი.

ნიკო

ილიკო

რემა

ფარნა

სოფლის ბიჭები 13—14 წლისა.

თავად-აზნაურობის წინამძლოლი, მოსამსახურე, ქალიშვილები, ყმა-  
წვილები, თავად-აზნაურობა, გლეხები, რაზმელები, დარაჯები და ჯარის-  
კაცები.

## მოვალეობა პირველი

(მოქმედება სწარმოებს გრიგოლუს სისახლეში. სცენა წარმოადგენს მდიდრულად მორთულ კაბინეტს. მაგიდაზე სელის, სარეკი ზარა. მარცხენა კარები შედის მართვის საწილე თაასში, შეს კარები ზალაში და მარჯვენა ბალგანზე. მარცხენა კარებიდან გამოვა ქეთეულა და მიეშერება შეს კარებისაპერ.)

**ქეთევანი.** ღმერომა დასწყვევლოს ამათი თავი და ტანი! (გადის შეს გარებში. მარჯვენა კარებიდან შემოვა თამოდენიმე სხის შემდეგ ნესტორი და აქეთ-იქით იხედება.)

**ნესტორი.** ისე აპირებს პეტერბურგში წასვლას, რომ ერთხელაც არ უთქვამს, წამომყევიო. რა შვილია!.. ჩემს კლანჭებში ჩავარდნა ადვილია, ხოლო თავის დაღწევა, განთავისუფლება ფრიად ძნელი, ჯერ უინი არ მომიკლავს და, როდესაც მოვიკლავ, როდესაც მომშეზრდება, მე თვითონ მოვიშორებ თავიდან... ბევრი კი მაწვალა, ღმერთს წინაშე, მარამ ბოლოს გატყდა, დამნებდა (თითებს დასტაციუნებს, ცერზე შემოტრიალდება, უფშვაშებს გადიგრესას და გულზე სელს დაიკავს) ექს, მაშინ ეს გული გახმეს, რომ მე ქალი ნიშანში ამოვილო და ხელში ვერ ჩავიგდო! (შემოდის ქეთევანი და მართა საწილე თაასში მიდის; ნესტორი გადაედობება წინ, სწაფებათ ხელს მოხვევს და კოცნის დაუწეუბს; ქეთევანი ცდილობს თავის განთავისუფლებს, მაგრამ ნესტორი არ უშეგვის.)

**მართამი** (თავის თაასიდან) ქეთევან! გოგო ქეთევან! (ნესტორი გაუშევებს ქეთევანს, რომელიც მარცხენა კარებში შედის).

**ნესტორი** (ტუჩები ენით ილოკავს) რა ლოკები აქვს, მაგ მშობელ ძალლს, რა ლოკები! (აქეთ-იქით დადის, შემდეგ პაპილოზის მოსწევს და ზალაში გადის. რამოდენიმე სხის სცენა ცალიერდა. მართამი გამოვა შენუარში და ღია კარებიდან ქეთევანი შემსახურდა.)

**მარიამი.** შე სულელო, მთელი ოთახი რომ აგინგრევია ახლა მე საღლა ჩავიცვა?

**ქეთევანი** (სცენიდან არა სჩანს). აბა რა მექნა, კნეინა? ამდენ ბარგს ჩალაგება უნდა და...

**მარიამი.** (გააწევეტინებს). ჩალაგება უნდა! სხვაგან ვერ ჩალაგები, რომ მანდ არ აგემტვერებია? ჩამაცვი ფეხსაცმელები! (დაჯდება, ქეთევანი დიღებიან პოლიაპოშებს გამოიტანს და აწმევს) ახლა ლამპა მომიტანე ანთებული და შჩიპცები. (ქეთევანის ტუფლები შაიქეს და გაფა) ძალიან-კი ეწყინება ნესტორს, რომ გაიგებს ჩემს წასვლის, მაგრამ რა გაეწყობა. მაგისთანა ყმაწვილები აქ თუ გამიტაცებენ სოფელში, თორემი იქ პეტერბურგში... (სეჭს და თავს გააქნევს). ერთხანს კიდეც დამებადა აზრი, პეტერბურგში წავიყვან მეთქი, მაგრამ გადაიფიქრე: მაგისთანას იქ ბევრს ვიშონი... საკვირველია! პეტერბურგში როცა ვარ, მე უფრო მომწონს დეზებიანი, ეპოლეტებიანი, მოსული, მაღალი, გრძელ ულვაშებიანი! აქ როცა მოვდივარ, ვაშინ ქორფა, წვრილი, პატარა კოკობ ულვაშებიანი უფრო იტაცებს ჩემს გემოვნებას. უსათუოდ იმის ბრალია, რომ იქ პეტერბურგში სასტიკი, მრისხანე ბუნებაა, აქ-კი ნაზი. ბუნებას დიდი გავლენა აქვს ქალის გრძნობებას და გემოვნებაზე (შემთდის ქეთევანი ანთებული ჭამბით, „შჩიპცებით“ და დიდი სარკით მარიამი „შჩიპცების“ დამშაში ჩაუდებს, თმას გაიშლის და ისწირებს წინ დასახუჭუჭებლად). ახლა წადი, ბარგი ჩალაგე კარგად და, თუ დაგიძახო, მოდი მაშინ-თვე. (ქეთევანი გადის, მარიამი თმას იხუჭუჭებს; შეა კარიდან იუქს აკრევით შემთდის ნესტორი, მიეპარება მარიამს უქანადან და ლოუზე აკოცებს; მარიამი იყიდებს და „შჩიპცები“ გავარდებს ხელიდან; ნესტორის დანახვაზე გაუდიმებს მას, კისერს გადიწევს და ნესტორი უკანიდან ტუჩებში დაეკანება. ამ დროს კარი გადიდება და შემთდის ქეთევანი. ნესტორი მარიამს თავს ანებებს).

**ქეთევანი.** რას მიბრძანებთ, კნეინა?

**მარიამი.** სულელო! ვინ გიძახოდა? მოგეჩვენა? (ქოფე-  
ვანი დარცხვებისათვის გამოყენდება და გაეცა). შენ ცოტა მოური-  
დებელი ხარ, ჩემო საყვარელო! წარმოიდგინე, გრიგოლი  
რომ შემოსულიყო.

**ნესტორი.** როდესაც შენ დაგინახავ, მთელს ტანში რა-  
ლაც ურუანტელი დამივლის, აზრი მეკარგება და მხოლოდ  
ერთის გიჟურის გრძნობით ვარ გატაცებული, რომ შენ ჩაგი-  
კრა გულში ისე მაგრათ, ისე მაგრათ, რომ ძვლებმა ლიწინი  
დაიწყოს, რომ შენი თავი ველარავინ, ველარავინ ველარ გა-  
მომგლიჯოს ხელიდან. (მოესვევა და კოცნის).

**მარიამი.** (როცა თავს გაინთავისუფლებს) შენ ნამეტანი გიჟი  
ხარ. შეყვარებული ყოველთვის თავდაჭერილი უნდა იყოს.

**ნესტორი.** შეყვარებული მამაკაცი სრულს ჭკუაზე არა-  
სოდეს არ არის, ის ნახევრათ მხეცია და, ერთი მითხარი, მხეცი  
განა თავის შეკავება შეუძლია?

**მარიამი.** (დიმილით) ტყუილა გგონია, რომ მამა-კაცებმა  
უფრო ღრმათ და ძლიერათ იცით სიყვარული, ვიდრე ჩვენ,  
ქალებმა. ძალიან მიყვარხარ, მაგრამ საზოგადოებაში ისე მი-  
კირავს შენთან თავი, რომ ვერავინ ვერავითარ ეჭვსაც-კი  
ვერ აიღებს. (ნესტორი ბგერდით შეუჯდება აშ დროს და თვა-  
ლებში შეჩერებია) აბა ახლა დამაცალე! ხომ ხედავ, ტიტველი  
ვარ და ჩაცმა მინდა. (ნესტორი სედს დასტაცებს, ქალოაში ჩა-  
ჯენს და კოცნის).

**ნესტორი.** მოგკლავ, დაგალრჩობ, შეგჲამ, გადავყლაპავ,  
მხოლოდ-კი არ გაგიშვებ, ველარსად წამიხვალ, მე უშენოთ  
სიცოცხლე აღარ შემიძლია. (თან კოცნის)

**მარიამი.** (თავს გაინთავისუფლებს და განტე გაუსწყოდება)  
ნესტორ, რას ჩადიხარ? შენ ისე იქცევი, თითქოს მთელს ოჯახ-  
ში მე და შენ ვიყოთ მარტო!

**ნესტორი.** შენი ბრალია! (ჭამდება).

**მარიამი.** რა არის ჩემი ბრალი? არ მესმის!

**ნესტორი.** გესმის, მაგრამ მალავ.

**მარიამი.** მე არასფერს არ ვუმალავ იმ კაცს, რომელსაც ჩემს სხეულს, ჩემს ნამუსს ვუთმობ.

**ნესტორი.** რომ გაგამტყუნო, რას მომცემ?

**მარიამი.** რაც გინდა.

**ნესტორი.** ამისრულებ, რასაც გთხოვ?

**მარიამი.** თუ-კი შესაძლებელი იქნება.

**ნესტორი.** (შიუასილფედება ხელის მოხვევი და შეწერება) რაც შენ მომეცი, იმაზე მეტს რაღას მოგთხოვ! (ჯოცება).

**მარიამი.** ხელი გამიშვა, შემოვა ვინმე. (თავს ანთავისუ-ფლებს) აგისრულებ.

**ნესტორი.** შენ პეტერბურგში მიღიხარ დღეს და მე-კი არ შემატყობიყ! (თითხ უქიმებს). მაგრამ მე გულთმისანი ვარ! (შანთამი იცინის) ჩემმა გულმა იგრძნო მაშინათვე, რომ შენი გული შორდებოდა და მოგაშურე.

**მარიამი.** გუშინ მე თვითონ არა მქონდა გადაწყვეტილი წასვლა და შენთვის რანაირად უნდა შემეტყობინებია? მით უმეტეს, რომ შენ საღლაც წაბრძანდი!

**ნესტორი.** მიზეზ-მიზიზ, დოშს მარილი აკლიაო! თავს ვერ გაიმართლებ. შენ რომ ისე გიყვარდე, როგორც მე მიყვარ-ხარ, ისე არ მოიქცეოდი.

**მარიამი.** გეფიცები ჩევნს სიყვარულს, მხოლოდ დღეს გადავწყვიტე წასვლა და, რაღვანაც შენ აქ არ იყავი, წერილი დავწერე, რომ შენთვის გამომეგზავნა.

**ნესტორი.** წერილი რათ მინდოდა? მე შენ მინდოდი, შენ, ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო! (ჯოცნის).

**მარიამი.** რა დაგემართა, ნესტორ? ღმერთმანი შემო-გვისწრებს ვინმე კიდევ.

**ნესტორი.** ვინც უნდა, ის შემოვიდეს, მე არავისი არ მეშინია. ისეთ ხასიათზე ვიყავი, რომ თუ შენ აქ არ დამხვე-დროდი, ორ კაცს მაინც მოვკლავდი.

**მარიამი.** ხომ აქ დაგხვდი? ახლა მაინც რატომ არ და-წყნარდები?

**ნესტორი.** ამისრულც, რაც გთხოვო და დავწყინარდები. მარიამი. აგისრულებ, აგისრულებ, რა ვქნა.

**ნესტორი.** პეტერბურგში უნდა წამიყვანო მარიამი. ახლა ეს მოუხერხებელია, ჩემო საყვარელო! ჩვენი სიყვარულის ამდენათ გამოაშეარავება შეუძლებელია!

**ნესტორი.** შენ მისი ჯავრი ნუ გექმნება! ოლონდ შენ დამეთანხმედ ისე მოვახერხებ, რომ ვერავინ ვერასფერს გაიგებს.

**მარიამი.** როგორ ვერ გაიგებენ, თუ-კი ერთად წავალთ?

**ნესტორი.** შენ რა დროს აპირებ წასვლას?

**მარიამი.** რვა საათის მატარებლით.

**ნესტორი.** მშვენიერია! შეიდ საათზე გადის პირველი მატარებელი. მე წავალ იმითი და შემდეგ სადგურზე მოგიცდი. ახლა-კი წავალ და მოვემზადები, მაგრამ ფული ერთი კაპეკი არა მაქვს, აქედანვე გიცხადებ.

**მარიამი.** ნესტორ, არ შეიძლება! მე მალე ჩამოვბრუნდები პეტერბურგიდან. ჩემმა ქალმა კურსი დაასრულა და ახლა იქაურ საზოგადოებაში უნდა გამოვიყვანო, რომ ყველამ გაიცნოს ზაფხულზე ისევ აქ ვიქმნები.

**ნესტორი.** რას ლაპარაკობ? ზაფხულზე-კი არა, ერთ დღეს ალარ შემიძლია უშენოთ. იცი, რას გეტყვი? ბაქოში რამოდენიმე დღეს უნდა გავჩერდეთ უსათუოთ. (უურში ეჭაპარაკება).

**მარიამი.** (დიმილით) შენ გავიწყდება, რომ მე მარტო არ მივდივარ, — ჩემი ქალი ჩემთან იქნება.

**ნესტორი.** მერე რა ვუყოთ? შენ ერთ ნომერში დაწვები შენი ქალი და გოგო მეორეში. კარებს ლია დატოვებ და, კრისტიანი მერი როცა ხვრინვას ამოუშვებს, მე შენთან შემოვიპარები, ჩაგვეხუტები ტკბილად, ასე (გულში იკრავს) და, გათენდება თუ არა, გამოვიპარები ისევ ჩემს ნომერში.

**მარიამი.** (იცინის) შე ეშმაკო, შენა! გეტყობა, ძალიან დახელოვნებული ხარ ამგვარ რაინდობაში (შეშოდის მერი).

**მერი.** მამა! (დაინახავს ნესტორს, დიმილით რევერანსის გაუკეთებს, ხელს ართმევს) მამა! შენ ჯერ ჩაუცმელი ხარ?

**მარიამი.** მე ახლავე ჩავიცვავ, შეილო!

**მერი.** მამა! ხომ არ დაგვაგვიანდება პოეზია?

**მარიამი.** არა, შეილო, ჯერ ძალიან ადრეა!

**მერი.** მე კი მეშინია, რომ დაგვაგვიანდეს!

**ნესტორი.** აგერ ახლა არ ჩამობრძანდი, კნიაუნა, იქიდან?

ასე მალე მოგენატრათ პეტერბურგის ნახვა?

**მერი.** რასა ბრძანებთ, კნიაზო! რა კი გონიერაში ჩავვარდი, სულ იმაზე ვოცნებობდი, როდის იქმნება, რომ მეც პეტერბურგის საზოგადოებაში გამოვიდე მეთქი. მამა მპირდებოდა, რომ გაათავებ, მაშინ გამოიყვან საზოგადოებაშიო. მეც სულ იმას ვნატრობდი: ღმერთო, როდის გავათავებ, რომ მეც გავერიო ყველგან, ჩემზედაც ილაპარაკონ მეთქი. ახლა იქ ბალი, ვეჩერებია! აქ-კი რა არის? ფიი! (თავს უჭავს, გატრიალდება და გადის).

**ნესტორი.** მაშ მეც გავსწევ ახლა. (მიუახლოვდება საკოტნელად).

**მარიამი.** რითი ველარ გაძეხი? გვაგვიანდება, ხომ ხედამ!

**ნესტორი.** ერთი, ერთი ზაკოცნინე წასკლის წინ, თორებ ბაქომდე ველარ გაკოცებ (კოცნის) განა შენის კოცნით ადამიანი გაძეება? (გადის).

**მარიამი.** გიჟია სწორეთ! ნამდვილი გიჟი! (დაჯდება სარგას წინ და თშას იქეთებს) ძალიან-კი ვუყვარვარ საბრალოს, გიუურათ ვუყვარვარ, გიუურათ (ტანში გააძრევინებს). ამ გვარ სიყვარულშია ნეტარება და გემო! მხოლოდ ამგვარი სიყვარული გვაგრძნობიებს სიყვარულის სიტკბოებას. ისე ჩაგიკრავს გულში, რომ არა თუ ძარღვები გაიგებს, ძვლებიც-კი ატკიცინდება; ისე გაკოცებს, რომ ასე გეგონება, ტუჩები მომგჯაო. მაშინ ყოველისფერი ამა ქვეყნიური წვრილმანი გავიწყდება. ნეტარების ბურუსში ეხვევი, ეშითა თვრები და სულგანაბული სიამოვნებით ემორჩილები სატრფოს ყოველ სუნთქვის, ყოველ ვნებას!.. ეეხ, მე მომწონს ამგვარი ცხოვრება (სარგეში ისედება და თშას ისწორებს). თუმცა არ მინდო-

და მაგის წაყვანა, მაგრამ შემეცოდა და შეიძლება კიდეც მომ-  
წყენოდა უმაგისოთ. იქ ყველა ნათრევია, მოთელილი, მოქან  
ცული; მაგისთანა ქორფას, ნორჩს, გიუს იქ ძვირად შევხვდე-  
ბი... და, თუ შევხვდი, ეგ ვერასფერს დამიშლის. (დაღილინები  
რთმანს: ვახოчу იულიუ, ვახოчу რალიული, ი იად სერძიმე  
ვოლა, ჯიშა რა რადის მნე დანა)! ქეთვანა, გოგო!

**ქეთვანი.** (ქარებიდან გამოისუდავს) რას მიბრძანებთ,  
კრეინა?

**მარიამი.** ჩემი საგზაო კაბა დამიმზადე! (ქეთვანი გარების  
გარემონტავს. ზალიდან შემთდის გრიგოლი, შეაჩერდება მარიაშის და-  
მილით, შეძლებ ღოფაზე თითს გაკრავს თა კოცნას დაუბირებს;  
მაგრამ მარიამი განზე კაუსილტება) ჯერ არ გაკოცნინებ!

**გრიგოლი.** შე ეშმაკო, შენა! ძალიან გამოწყობილხარ!

**მარიამი.** (სიცილით) რას გამოვწყობილვარ, კაბა არც-  
კი ჩამიცვამს ჯერ!

**გრიგოლი.** (დიმილით) მე სწორეთ მაშინ უფრო მომ-  
წონხარ, როცა ასე ნეგლიჟეთა ხარ ხოლმე. მაშ არ მაკოც-  
ნინებ? წააგებ!

**მარიამი.** ჯერ მითხარი, რამდენს მატან პეტერბურგში?

**გრიგოლი.** დუშკა, ოცი ათასზე მეტი ვერ ვიშონე ასე  
ხელად.

**მარიამი.** (ღოფაზე თითს დაიდებს და გრიგოლი იმ ალაგას  
აკოცებს) მეტი რომ გაგეტანებია, უკეთესი იყო, მაგრამ, თუ  
ვინიცობაა საჭირო შეიქმნა, იქაც ვიშოვნი შენს ჩამოსვლამდე.

**გრიგოლი.** ჩემო საყვარელო! ეცადე, რომ ცოტა ხელ-  
მოჭრილად ჩარჯო, თორებ შემოსავალმა იკლო, ვალი-კი  
ბევრია.

**მარიამი.** შენ თვითონ კარგათ იცი, რომ მე უბრალოთ  
ფულის ფლანგვა არ მიყვარს, მაგრამ ჩვენი ქალი პირველათ  
გაგვყავს დოდ საზოგადოებაში და, თუ-კი ბობრინსკის, ვალუე-  
ვისა და უხტომშვის ქალიშვილები გამოვლენ მორთული, განა

ჩვენს ქალს, ბრწყინვალე თავადიშვილის ერთათ ერთ ქალი-შვილს უფრო მეტი არ შეშვენის?

**გრიგოლი.** რასა კვირველია, რასა კვირველია, — ჩვენი შერი უსათუოდ უნდა ირჩეოდეს სხვებში... მე ერთ თვეს რომ და-გვიგვიანო, მეტი არ დამაგვიანდება (კარი გაიღება და შემოდის მოსახლეების მიერები).

**მოსამსახურე.** კნიაზო, გლეხები გახლავან და მიღებას გთხოვენ: საქმე გვაქვს დიდ ბატონთანო.

**გრიგოლი.** ახლა მე იმათვის არა მცალია! მოიცადო! (მოსამსახურუ გაგა) ერთი ან ორი თვის შემდეგ უსათუოთ ჩა-მოვალ (აკოცებს და შეა კაცებში გადის).

**მარიამი** (თავისეკენ) შენ ოლონდ ფულები გამოგზავნე და სულაც რომ არ ჩამოხვიდოდე, გეფიცები, არ მეწყინება (კარი გაიღება და ქეთევანი შემოვა).

**ჭითევანი.** კნეინა! თქვენი ტანისამოსი მზათ გახლავთ. (მარიამი გადის, ქეთევანი გაუვება; სცენა რამდენიმე ხანს ცა-ფინერია; შემოდის შერი, დადგება სარკის წინ, თმას ისწირებს, შემდიგ მობრუნდება, ხან ერთ მხარეზე მიდის, ხან მეორეზე და უქან სარგები თავის; აჩრდილს ათვალიერებას. მოვა ისევ სარკესთან, ხან იღიმება, ხან სახეს მოღებდეს, ხან პერჭუცათ გვერდზე გადა-წევს ქისერს).

**შერი.** ყველაზე უფრო მიხდება ცოტა გვერდზე თავის დაწევა და ოდნავ გაღიმება, რომ კბილები გამოჩნდეს (სარ-კის წინ თავს გადაწევს და იღიმება). Très charmante, très jolie!.. Вскуражу голову! голову вскуражу! დამაცალოს! (პადეკატის დამდერის; ნელა ცეკვას სარკის წინ). დილიდან საღამომდე ვი-მეცადინებ და იმდენს ვიზავ, რომ ჩემსავით ვერავინ ვერ ტანცაობდეს პეტერბურგში. ჩამი სამაგ ვნამინათი პრო-ფესიორი თანცეს. პირველ ბალშივე წასვლის წინ წერილით შევატყობინებ კნიაზ ვოლკონსკის, თქვენთან ვიტანცავებ მეთქი, და, როდესაც კნიაზ ვოლკონსკი მოვა და მომიწვევს, მე ვეტყვი (თავს გვერდზე გადაწევს და დამილით): მე უკვე მიწ-

ვეული ვარ მეთქი. (იცინის) და როდესაც ჩემის ტანუაობით  
მთელი ბალის ყურადღებას მივიქცევ, ვნახოთ, როგორ გუ-  
ნებაზე დადგება (გაჭიანურებულათ იტუვის) კ...ნიაზ ვ...რო...  
ნ...სკი! ხა, ხა, ხა, ხა, საუცხოვო იქმნება, საუცხოვო! (შემო-  
გა მართა მართა წაცმული).

**მართამი.** შენ მზათა ხარ, მერი?

**მერი.** მზათა ვარ, მამა!

**მართამი** (მიუახლოვდება) შენ ახლა დიდი ქალი ხარ, მე-  
რი, ლამაზი, მდიდარი! შენს ძარღვებში სამეფო გვარეულო-  
ბის სისხლი დუღს.

**მერი** (ცოტა გაოცებული) როგორ, მამა?

**მართამი.** შენი წინაპარი, შვილო, მთავარი იყო მთელი  
ამ კუთხის; მთავარი მაშინდელს დროში იგივე მეფე იყო.

**მერი.** მთავარი ხომ თავადიშვილი იყო, მამა?

**მართამი.** თავადიშვილი კი არა თავადიშვილებე მეტი!  
ბრწყინვალე თავადი იყო!

**მერი** (გახსრებული) მაშ კნიაუნა უხტომსკის, ვრონსკისა  
და ბარიატინსკისაზე მე მეტი ვყოფილვარ!

**მართამი.** რა შედარებაა, შვილო! რა შედარება! იმათთა-  
ნა კნიაუნები აქაც ბევრია. არც ქონება და არც ხარისხი იმათ  
ჩვენოდენი არა აქვთ.

**მერი.** რათე ეთი ურიანთი! ახლა ბალში რომ შევხვდები  
ხოლმე იმათ, ისე—მშრალათ ჩამოვაროთმევ ხელს.

**მართამი.** შენ ყველასთან მხიარულათ და იმავე დროს  
ამაყათ, მედიდურათ უნდა გეკაოს თავი. უნდა გეტყობოდეს  
მიხვრა-მოხვრაში, სიარულში, ლაპარაკში, სიცილში, რომ  
შენ უბრალო თავადიშვილის ქალი არა ხარ.

**მერი.** მამა, ინსტიტუტში ჩვენ ამას არასუერს არ გვას-  
წავლიდებ, მაგრამ მე თვითონ ვსწავლობდი სარკის წინ. ახლა  
შენ მასწავლე ხოლმე (კოცნის).

**მართამი.** გამოჩენილი არტისტები სარკის წინ სწავლო-  
ბენ მიხვრა-მოხვრას, მიმიკას, ქალიც სწორეთ არტისტი უნდა

იყოს; მას დაზეპირებული უნდა ქონდეს, თუ ვის როგორ უნდა ჩამოართვას ხელი, ვის როგორ უნდა გაულიმოს, ვის როგორ დაელაპარაკოს, როდის როგორი სახის გამომეტყველება უნდა მიიღოს. სხვა და სხვა წლოვანების, ხარისხისა და სქესის პირთან სხვა და სხვა ნაირათ უნდა თავის დაჭრა.

**მერი.** ეს მე უკვე ვიცი, მამა! მაგალითათ გასათხოვარი ქალის ხელზე კოცნა ხომ მიღებული არ არის! მაგრამ ხნიერ-მა თავადმა ან გენერალმა რომ ხელზე მაკოცოს, მე ღიმი-ლით რევერანსს გავუკეთებ, ხოლო გვარდიის აფიცერმა, რასაკვირველია კნიაზმა, რომ ეს ჩაიდინოს, რაც უნდა მომ-წონდეს, მოვიღუშები, წარბებს დავუშვებ; გავაგებინებ, რომ ძალიან, ძალიან მეწყინა. ხმას იღარ გავცემ და იმ ზო-მამდე მივიყვან, რომ ბოდიშს მოვახდევინებ! ესენი მე ზოგი ვიცი, მამა, და, რაც არ მეცოდინება, შენ მასწავლი ხოლმე.

**მარიამი.** (კოცნის) შე ეშმაქო! ვინ გასწავლა უკველივე ესა..

**მერი.** ვიცი, მამა, ვიცი! ეს რა არის? მე გაცილებით შეტი ვიცი, ვიდრე შენა გგონია! მოიცადე! ამ ზამთრის იქით შენი მასწავლებელი მე ვიქმნები. (კოცნის).

**მარიამი.** შენზედ უფრო მე მიამება, შვილო, რომ მთელ-მა პეტერბურგმა შენ მოგაქციოს ყურადღება და მთელი პეტერბურგის დიდი საზოგადოება შენზე ლაპარაკობდეს. შხოლოდ იმ დიდ საზოგადოებაში ბევრ იმისთანა პირებს შეხ-ვდები, რომ მაინცა და მაინც დიდი ყურადღება არ უნდა მიაქციო. შენ გასათხოვარი ქალი ხარ, შენს შერთვას ძალიან ბევრი მოინდომებს, შენ კი, რასაკვირველია, ასე მალე უკე-ლას ვერ გაიცნობ. ბევრი გარეგნობით კარგი იქნება, მაგ-რამ მდგომარეობით, ქონებით და ღირსებით შენი შესაფე-რისი არ იქნება. ამისთანებს შენ თავიდანვე უნდა გააგე-ბინო: ტყუილა ნუ დამდევთექო.

**მერი.** ნუუ მამა! აბა შენ თვითონ იფიქრე, როგორ ვუთ-ხრა: ნუ დამდევ მეთქი!?

**მარიამი.** (დიმილით) კი არ ეტყვი, შვილო! თქმა როგორ შეიძლება! ეს ხომ შეურაცხულფა იქმნება. იმგვარათ უნდა და-იკავო ამისთანასთან თავი, რომ ის თვითონ მიხვდეს. ბევრი კი შეიძლება პირველ გარეგნობით არ მოგეწონოს, მაგრამ გვარიშვილობით, ლირსებითა და შეძლებით შენი სრული შე-საფერისი იყოს. ამისთანასთან გულლიათ უნდა გეკაოს თავი.

**მერი.** მამა, მერე მე რათი მივხვდე, ვის უნდა ავტბზუო  
ტუჩი და ვისთან უნდა ვიყო გულლიათ?

**მარიამი.** ეს მე მომანდე. მთელი პეტერბურგის დიდ საზოგადოებას ისე ვიცნობ, შეილო, როგორც აი ამ ჩემი ხელის გულს. როცა საღმე ვიქმნებიო, მე თვითონ გეტყვი. რომელ საცოლო ყმაწვილთან როგორ უნდა მოიქცე. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: შენი ქმარი უსათუოთ სამხედრო წოდების კაცი უნდა იყოს. (ეტლების სის მოისმის და ღრივე უურს უგდებს)

**მერი.** ჩასაკვირველია, მამა! სტატსკეპი მე ჭირივით მძულაბ; არც ლაპარაკი იციან, არც გართობა. არც ტანცაობა! И влатье на нихъ какое то некрасивое, неизящное!

**მარიაში.** ეგეც ნაკლია, რასაკვირველია, მაგრამ უნდა  
იკოდე, რომ დიდი შეძლებისა და ღირსების პირნი არასო-  
დეს სტატსკები არ არიან,— სამწედლო სამსახურში შეღიან,  
რაღვანაც ეს უფრო საპატიოა. სტატსკებათ მხოლოდ დაბა-  
ლი ღირსებისა და ღარიბი აზალგაზრდები მიღიან (კარი გა-  
იღება და შემოგვლენ გრიგოლი და შიხეილი. შიხეილი შარიაშვი-  
ს ქლიტ აკოცებს, შერის სეჭს ართმევს).

**გრიგოლი.** კნეინა! მაზრის უფროსი, მსაჯული, ბოქაულები და კიდევ ვიღაცები მოვიდენ სადგურზე გასაცილებლათ და ნახავ... მართლა, არ დაგავიწყდეს, შამპანსკი და კანიკები გაახსნევინე და ზაკუსკეულობა; მაგათთვინ საჭიროა. (მარიამი და შერი შეაკარებში გადიან)

**მიხეილი.** მაშ თქვენ პრძანებთ, კნიჭო, რომ წელს მე-  
ტი დაგჭირდებათ ფული? (დასხვებიან)

**გრიგოლი.** ოსაკვირველია. თქვენ თვითონ განსაჯეთ. ჩემმა ქალმა წელს სწავლა დამთავრა, ახლა მაგას დიდ საზოგადოებაში უნდა გამოყვანა,—გრაფების, დიდი მთავრების საზოგადოებაში. იქ რაიმე ეკონომია შეუძლებელია.

**მიხეილი.** მართალია, კნიაზო, მაგრამ თქვენი მამულის წმინდა შემოსავალი უდრის ორასი ათას მანეთს. სამოცი ათასი ვალებს სჭირდება. ასორმოცს ჩაგაბარებთ ხოლმე. ეს ფული საკმარისი იქმნება, თუ...

**გრიგოლი.** (გააწევეტინები) მე შემიძლია ასორმოცი ათასი მანეთი ერთ სალამოს დავხარჯო; ჯვარს რომ ვიწერდი, იმ წელიწადს სწორეთ ასი ათასი შევჭამე ერთი თვის განმავლობაში, ერთი იტალიელი მომლერალი ქალი რომ მეშოვნა.

**მიხეილი.** მამული მეტს ვერ შემოიტანს, კნიაზო; ვალი ისედაც ბევრია და სწორეთ არ ვიცი, რა წყაროს გამონახვა შეიძლება ისეთის, რომ შემოსავალი გავზარდოთ.

**გრიგოლი.** ეს ადვილია. ევროპაში არც ერთი მემამულე არ ართმევს გლეხს მოსავალს; ეს არაკულტურული გადასახადია. იქ იჯარა არის დადებული მიწაზე ფულათ, მიწა ხარისხებათ არის დაყოფილი და სხვა და სხვა ხარისხის მიწაზე სხვა და სხვა გადასახადია. ჩვენთვის სირცხვილია, რომ ამგვარი კულტურული წესი აქამდე ვერ შემოვიდეთ. (შემოდის მოსამსახურე და კარებში გაჩერდება.) რა გინდა?

**მოსამსახურე.** კნიაზო, გლეხები გთხოვენ: გაგვანთავისუფლეთო!

**გრიგოლი.** ვერ მოიცდიან? მეც საქმე მაქვს. თუ ასე ეჩქარებათ, მიბრძანდენ (მოსამსახურე გადის)

**მიხეილი.** თუ კი გლეხები აქვე ყოფილან, თქვენ შეგიძლიათ პირადათ მოელაპარაკოთ მათ.

**გრიგოლი.** ეს რა ჩემი საქმეა?

**მიხეილი.** მე მქონდა, კნიაზო, გლეხებთან ამის შესახებ ლაპარაკი. ნამუშევრის აქ მოზიდვა და შემდეგ ვაჭრების ძებნა და ყიდვა დიდი დავიდარაბაა; ხარჯიც ბევრი ჭირდება ამას

და ამიტომ გლეხებს შევუთვალე, გადაჭრით გავრიგდეთ ფულზე მეტქი, მაგრამ ზოგმა უარი განაცხადა, სხვებმა ისე ცოტა შემომაძლიერს, რომ სათქმელათაც არ ლირს.

**რიგოლი.** იმათ შეძლევას რა ჭკუა აქვს! მამული ჩემია, ხომ?

**მიხეილი.** რასაკვირველია.

**გრიგოლი.** მაშასაღამე ფასსაც მე ვნიშნავ. მოგწონს, აიღე, არ მოგწონს, ნუ აიღებ. ერთი მითხარით, რა გზა ექმნება, რომ არ აიღოს, ჰა? არ აიღებს?

**მიხეილი.** თუ ფასი ჭკუაში არ დაუჯდათ, არ აიღებენ.

**გრიგოლი.** ერთი არ აიღებს, მეორე აიღებს, მესამე. მაშ შიშშილით ხომ არ დაიხოცებიან?

**მიხეილი.** გლეხები აქ ყოფილან, კნიაზო, და თუ არ გაუშვებთ და თქვენ თვითონ მოელაპარაკებით, ძალიან კარგი იქმნება.

**გრიგოლი.** ამას რა დიდი მოლაპარაკება უნდა? ეს ცხადზედ უფრო ცხადია. ჩემს საქონელს როგორც მინდა, ისე დავაფასებ. ერთი არ აიღებს, მეორე აიღებს! მეორე არ აიღებს, მესამე აიღებს! რაკი საეჭვოთ მიგაჩნიათ, დაგიმტკიცებთ, რომ მე მართალი ვარ. (ზარას რეგავს მაგიდაზე. რამოდენიმე ხნის შემდეგ შემთდის მოსამსახურე.) გლეხები წავიდენ?

**მოსამსახურე.** გიახლენ, კნიაზო!

**გრიგოლი.** ბრიყვო! ვერ მოაცდევინე?

**მოსამსახურე.** თქვენ აღარ მიიღეთ, კნიაზო!

**გრიგოლი.** უსათუოდ მაშინათვე უნდა მიმელო? ვისი მინისტრები ეგენი არიან? წაეთერი და მოაბრუნე ახლავე უკან. (მოსამსახურე გადის) რაც დრო გადის, ჩვენი გლეხები თანდა თან ვირდებიან! (შეა კარები გაიდება და შემოვა მერი. კარები თრივე გაღებული რჩება, ზაღვა მოჩანს. შეაზე სუფრაა გაშლილი და ზედ საჭმელ-სასმელები ალაგია. სტუმრები ზოგი დადის, ზოგი ზის. მაზრის უფროსი კნეინის ელაპარაკება.)

**მერი.** პაპა, აწი ჩვენი წასელის დრო არის და მამამ მო-

პრძანდითო (სამიგე ერთად შევჭენ ზაფაში, რომელის კაცებიც და რჩება და უფლებისფერი ჩანს.)

**გრიგოლი.** (ზაფაში შესჭდის წინ, მასების) უსაოურდ ასე უნდა მოვაწყოთ საქმე და მაშინ ნახავთ, რომ ჩვენი შემოსავალი ერთი-ორად იმატებს, ერთი-ორად. (შემდეგ მოქმედება ზაფაში სწავმოქანს, სუფრის გარშემო.)

**მარიამი.** აბა, ბატონებო, გზა დავვილოცეთ, (დასხდებიან, საჭელს ჭამენ, ჭიჭებს აკეტენ. სიცილია და მუსაიფი ისე, რომ არ ისმის.)

**მიხეილი.** (საათს დასწერებია და შემდეგ მარიაშს) კნეინა, ახლა კი დროა თქვენი წაბრძანებისა, თორემ დაგვაგვიანდება პოეზდზე. (მარიაშს სედს ართმევენ და სედზე კოცნაან. კაბინეტზე კარეთ ბარგი გააჭით ბიჭებსა და გოგოებს; ხშირად შედიან და გამოდიან.)

**მარიამი.** სადეურზედ ხომ გამაცილებთ? (ისმის ხშები): დიახ, თქვენო აღმატებულებავ, დიახ!

**გრიგოლი.** (მარიაშს) მიხეილი ბაქომდე გაგაცილებს.

**მარიამი.** გაცილება მე სრულებით არ მინდა. (მიხეილს) ბატონო მიხეილ! თქვენ ნუ შესწუხდებით.

**მიხეილი.** როგორც მიბრძანებთ.

**გრიგოლი.** კნეინა! როგორ შეიძლება მარტო წასვლა? ვინ რას იტყვის?

**მარიამი.** (ბრძანების კილოთი) საჭირო არ არის-მეთქი, ხომ გითხარით? (გრიგოლი მსრების აიხჩავს და გატრიალდება. გადიან ნეფ-ნეფა ყველანი. მარიამი მიიმსალება. მოსამსახურე ზაფის კაცებს ჟურავს; ისმის სმაურობა და ეტრების აიხი-აისანი, რომელიც თან და თან ქრება. სცენა რამოდენიმე სანს ცალიერა. შემოვა ქეთვანა.)

**ქეთევანი.** უკ, მადლობა ღმერთს! ძლივს არ წაეთრიენ! მაგათ რომ თავი გაართვას აღამიანმა, ერთი კი არა, ისი თავი უნდა ქონდეს და ორასი ხელი... დადი ბატონიც რომ წავა, გამოვიკრავ ჩემს ბარგს, —ოცდაზუთი თუმანი გამყვება და წავალ ჩემს სახლში. ხუთი თუმნისას ბარგს გავიწყო ბ, ოცი თუმა

ნი მზითვი დამრჩება. ოც თუმნათ მისთანა ბიჭი წამიყვანს, რომ ჩინებული... აგერ დიძიტრიიაც კი მეხვეწება, მარა ჭიუაში არ მამდის. ბიჭს არა უშავს რა, მარა სახლში დარჩათ არის თურმე. სამი ძმები ყოფილან და მაგათი სოფელიც შორს არის გადაკარგული. ისევ ბაზარ ალაგას რომ გამეხსნებოდეს იღბალი, ის მირჩევნია. ბაზარ ალაგას ცხოვრებას შევეჩვიე და ახლა მე სოფელში ველარ გავძლებ. დღეში თუ ერთი ლუკმა ხორცი არ შევჭამე და რუსული პური არ დავატანე, არ შემიძლია. სოფელში-კი პური და ხორცი კი არა, ჭადი და ლობიოცსკირს. (ცოტა დაფიქრებული) ფირანას ბიჭი რომ არის, ღვინის დუქანი რომა აქვს, ძალიანა მაქვს გულში და როგორც ვატყობ, იმასაც უნდა მოვწონდე. კაი ბიჭიც არის და ქალსაც კარგად შეინახავს; —ბაზარშიაც ვიქმნები. აბა თუ ჩემი იღბალია? (ცენტ მოდუნაში, უნას აუსკამს, წარბზე გადისჭამს და დახედავს; სასე გაუტრუინდება, იღიშება, მდერის შეულიკდენი: „მტერს ვა დედა ვაძახთ, ჩვენ-კი ჭოჭათ დელა-დელათ“, და შედის მარცხენა თახაში. სცენა რამდენიმე სასს ცალიერია. შემ-ღებ გარები გაიდება, შემთვა არჩილი და თან შემოუვება ხეთი ბლენი, ქუდი მოიხდიან და რამდენიმე სასს კარგბორი არიან გა-ხერებული).

**ერთი გლეხი.** ამისთანა ყოფასაც ამოუვარდა სამართალი! ჯერ იქ გვაცლევინა მთელი დღე, ახლა აქ გვაყურყუტებს კიდევ, სანამ არ მოექეიფება.

**არჩილი.** (სანჯალზე სეჭის იდებს) უნდა ამოილო ხანჯალი და შიგ მუცელში ჩასცხო; ეს იქმნება მაღლი. (შუა კარებს შე-ღებს, ისედება, შევა შიგ და მალე გამოვა) აქ არავინ არ არის. (ისმის ამ დროს ქეთევანის ჩმა: ვინ არის მანდ?) არა, ყოფილა ვილაც. (არჩილი მარცხენა კარებისაკენ წევა, მაგრამ აშ დროს იქიდან ქეთევანი გამოვა).

**ქეთევანი.** თქვენ ვინ გინდათ?

**არჩილი.** ვინ გვინდა და ჩვენი სულთამშუთავი! (გლე-ხები იცინან და თავს აქნევენ).

**ქეოეპანი.** (ღიმილით) ოქვენი სულთამხუთავი ცოლს გა-  
ყვა და მალე დაბრუნდება.

**არჩილი.** ცოლი სადღა წავიდა?

**ქეოეპანი.** რუსეთში! ქალიშვილი წაიყვანა.

**არჩილი.** ჰო, აქ მოლია ყმაწვილი ბიჭები და ახლა  
რუსეთში გასწია? (გჭეხები იცინიან, შემდეგ ოთას დაუწეუბენ  
თქადაეცებას).

**ერთი გლეხი.** ამისთანა სახლში რომ მაცხოვრა, რაღა  
მამკლავს!

**მეორე გლეხი.** მაგას ნუ იტყვი: ესენი უფრო აღრეცა  
კვდებიან! ამ გრიგოლის მამა დავითი ორმოცდა რვა წლისა  
მოკვდა.

**მესამე გლეხი.** ჩვენმა კაცმა რო დიღბანს ვერ გაძლოს,  
რა გასაკირველია, მუდამ გაჭირვებასა და ჯაფაშია, მარა ამათ  
რაღა ღმერთი უწყრებათ? თითქოს არაფერი არ აკლიათ!

**არჩილი.** ღორი რაც უნდა პატიო, თორმეტ-ცამეტ  
წელიწადზე მეტს ვერ იცოცხლებს და ვერა! ამათთანა ხალ-  
ხიც ღორულათა ცხოვრობს და დღეგრძელობაც ღორისა აქვს.  
(გჭეხები იცინიან).

**მეოთხე გლეხი.** რაც მართალია, მართალია! სწორედ  
კაი სიტყვა იცი!

**მეხუთე გლეხი.** ოოჳ, დაუკრა კვერი! შენ-კი დაიწუ-  
ნებ ამისთანა ცხოვრებას, რო მოგცა, არა?

**მეოთხე გლეხი.** ქონება ვის მოქარბებია, მარა სხვისი  
ნაოფლარი და ქვრივ-ობოლის წანალლეტი ღმერთმა ნუ შე-  
მარგოს და არც მინდა.

**პირველი გლეხი.** არც ამათ შეერგებათ. ღმერთი სა-  
მართლიანია, ვენაცვალე მის მაღლს: ითმენს, ითმენს და  
ბოლოს ერთბაშათ გადაახდევინებს.

**არჩილი.** შენ ხელს ნუ გაანძრევ,—ცას შეაჩერდი და  
გაკეთდება მაშინ ქვეყნის საქმე!

**პირველი გლეხი** რატომაც არ გავანძრევ? რაც საერ-

თო იქნება ყველას თავზე, იქ მეც არ დავიხევ უკან. (ეტლის ჩემი ისმის).

**ქეთევანი.** ბატონი მოვიდა. თქვენ გადით ახლა, ის ცოტა დაისვენებს და დაგიძახებთ.

**არჩილი.** (გლეხების) თქვენ მე მიყურეთ. რაც მე ვთქვა, იმას არ გადაუხვიოთ, მაგრათ უნდა დავხვდეთ; მორიდებისა და შიშის დრო წავიდა. (გადან, ქეთევანი ასწორებს ავეჯს; რამდენიმე სინი შემძლებელი შემოვლიან გრიგოლი, მაზრის უფროსი და მსაჯული. ქეთევანი გადის).

**გრიგოლი.** ისეთ ხასიათზე ვარ, რომ ამაღამ უსათუოდ უნდა ვიქეიფოთ. (მაზრის უფროსი და მსაჯული დიმილით ერთა მეორეს შეხედავენ) მიხელსა და ჩვენს. . რა ქვია... ვიქტორს ვუთხარი, მაგრამ არ წამოვიდენ.

**მსაჯული.** მიხეილი მათს უბრწყინვალესობას გაყვება.

**გრიგოლი.** არა, ის ახლა გარსევანის ქვრივთან იქნება, გარწმუნებთ, და ადამის ტანისამოსში ორივე ბალეტს თამაშობენ! (მსაჯული და მაზრის უფროსი იცინან).

**მაზრის უფროსი.** თქვენო უბრწყინვალესობავ! თქვენის-თანა დაკვირვების ნიჭი რომ მე მქონდეს, ჯაშუშებზე რაც ფულს მიგზავნიან, სულ მე ჩავიდებდი ჯიბეში და აღარავის ვიქირავებდი: ვისაც შევხედავდი, თვალებში შევატყობდი, რა კაცია.

**მსაჯული.** მე კიდევ კნიაზის ოხუნჯურ ნიჭს ვინატრებდი. (შემოვა ქეთევანი).

**ქეთევანი.** ბატონი, თქვენთან გლეხები გახლავან.

**გრიგოლი.** ჰომ, დაუბახე, მოვიდენ. (ქეთევანი გადის: გრიგოლი თვალის გააეთლების) როგორ მოგწონთ ჩემი გოგო?

**მაზრის უფროსი.** მე არ დავიწუნებდი.

**მსაჯული** (დიმილით) არც მე დავიწუნებდი.

**გრიგოლი** რამდენი მაგისთანასთვინ მისწავლებია ბალეტი! (იცინან; კარი გაიღება, შემოვლები გლეხები და აჩილი და თავს უგრავებ) რა საქმე გაქვთ ჩემთან?

**არჩილი.** ჩვენ სოფელმა ამოგვირჩია და თქვენთან გა-  
მოგვაწვნა. თქვენი მიწები აქამდინ სულ სანახევროთ გვქონდა  
ალებული. ჩვენი ჯანი შიგ ჩავლიეთ, მაგრამ ცოლ-შვილი  
მანც მშიერი და შიშველი-ტიტველი დაგვიდის. ამიტომ შე-  
უკრიბეთ ყველა და ყრილობაზე დავადგინეთ, რომ სანახევ-  
როთ მიწის აღება სრულებით მოვსპოთ და ფული მოგარ-  
თვათ ხოლმე.

**გლეხები** (ერთა) სწორეთ ასე გადავწყვიტეთ, კნიაზო!  
სანახევროთ ალარ შეგვიძლია.

**გრიგოლი.** ძალიან კარგი, ძალიან კარგი! ჩემი სურ-  
ვილიც სწორეთ ეგ არის; ფული მაძლიერ გადაქრით და მო-  
სავალი სულ თქვენი იყოს.

**არჩილი.** თქვენი მიწები ჩვენ დავყავით სამ ხარისხათ.  
პირველი ხარისხის მიწაში მოგართმევთ ქცევაზე ოთხ მანეთს,  
შეორესაში ორს და მესამესაში-მანათს. ტყე და საბალახე ჩვენი<sup>1</sup>  
საჭიროებისათვის ტყუვილა უნდა მოგვეცეს.

**გლეხები** (ერთა) სწორეთ ასე დავადგინეთ! ტყე და  
საბალახე ტყუვილა უნდა მოგვეცეს!

**გრიგოლი.** კარგათ ვერ გავიგე. ქცევაზე ოთხ მანათს  
და კიდევ რაღაცას თვეში მაძლევთ?

**არჩილი.** თქვენი მიწა რომ ყოველ თვეში იძლეოდეს  
მოსავალს, მაშინ ჩვენც ყოველ თვეში მოგიტანდით იჯარას,  
მაგრამ ღმერთმა წელიწადში ერთხელ დაამწესა მიწის მოსა-  
ვალი და ჩვენც ოთხ მანათს, ორს და ერთ მანათს ქცევაზე  
წელიწადში ერთხელ გადვიხდით, აბა ათჯერ ხომ არა!

**მაზრის უფროსი.** საბალახე და ტყეც ტყუვილა გინ-  
დათ?

**არჩილი.** რაც ჩვენთვის საჭირო იქნება, ტყუვილა უნდა  
მოგვეცეს.

**გრიგოლი** (მაღალის ხმით) თქვენ გდომებიათ, რომ მე  
ჩემს მამულზე ხელი ავიღო და თქვენ გაჩუქრთ, —არა?

**არჩილი.** ჩუქებას ჩვენ არ ვთხოულობთ!

**მხაჯული.** ასე გამოდის! არაფერს არ იძლევთ შიგ და ეს ჩუქებაა, აბა რა არის?

**მაზრის უფროსი.** ყრილობა რომ გქონდათ, პრისტავს შეატყობინეთ?

**არჩილი.** პრისტავი რათ გვინდოდა? შევიკრიბეთ და ჩვენს საქმეზე მოვილაპარაკეთ, პრისტავი აქ რა შეუშია?

**მაზრის უფროსი.** აღარ გაბედოთ აწი მაგისთანა სისულელე, თორემ სულ ყველას ციხეში დაგალბობთ. იკრიბებიან და აღვენენ, რაც ჭკუაში მოუვათ! არ იცით, რომ ეს კანონით აკრძალულია? (გრძგრო შიმშარიავს) თქვენო უბრწყინვალესობავ! ამას ბუნტის სუნი უდის, მთავრობის წინააღმდეგობის; იკრიბებიან ნება დაურთველათ და რაღაცებს აღვენენ!

**გრიგოლი.** რასაკვირველია, ნება არა ჰქონდათ, მით უმეტეს ამისთანა სისულელის დადგენისა. თქვენ წალით და უთხარით, ვინც გამოგზავნათ, რომ მე იდგილს ტყუვილა არავის არ ვაძლევ. ჩემი ვექილი მოვა თქვენთან, მიხეილი, ბოქაულს მოიყვანს და ის გამოგიცხადებთ იმ ფასს, რომელსაც მე დავადგენ.

**არჩილი.** სხვა პარობებში ჩვენ თქვენს მიწებს არ დავიმუშავებთ.

**გრიგოლი.** თქვენ არ დაიმუშავებთ, სხვები დაიმუშაებენ!

**მაზრის უფროსი.** ვის უბედავ? (ერთ ნაბეჭებადგაშის ჭინ) მე შენ გიჩვენებ! (ათხილი ხანჭალზე დაიდებს სეჭს და უკაშებათ მიჩერებია შაზრის უფროსს, რომელიც შეშინდება და შედგება.)

**გრიგოლი.** წალით სახლში და ჩემს ვექილს უცადეთ.

**არჩილი.** ტყუვილა ნუ გამოგზავნით.—ჩვენი გადაწყვეტილება უცვლელია და აწი ისე მოვიქცევით, როგორც ჩვენ გვსურს და არა თქვენ, ან თქვენ ვექილს (გადან).

**გრიგოლი.** ამ უზრდელებს უყურე! ეს რა დრო დადგა? ისე ლაპარაკობენ ჩემთან, თითქლი ამერიკის დელეგატები იყონ. (შაზრი) ქეთევან, ქეთევან! (შემოვა ქეთევანი) აქ სუფრა

გავიშალე და სასმელები და საჭმელი მოვიტანე. (ქეთევანი გადის).

**მაზრის უფროსი.** თქვენი ხათრი დავიკავე, თქვენო უბრწყინვალესობავ, თორემ მაგათ კი ჩავაკმენდებდი წმის! სული უნდა ამოართვათ მაგათ, არასეური არ დაუთმოთ. გლეხს რაც უფრო ტყავს გაძრობთ, უმჯობესია. თუ რამე გაბედეს, სტრაუნიკებს დავამათრახებინებ სულ!

**გრიგოლი.** რას გაბედავენ! ჩემი აღგილებით ~~აჩვენამ~~ და რასაც ვუბრძანებ, რა გზა აქვთ, რომ არ დამემორჩილონ?

**მსაჯული.** თუ დაგვირდებით რამეში, თქვენო უბრწყინვალესობავ, მე მზათ გიხლავართ თქვენს სასამსახუროთ. (შემოვა ქეთევანი, მავიდას დადგავს, სუფრას გაშფის, სასმელება საჭმელები მოაქვს).

**მაზრის უფროსი.** თქვენ ნურასფერში ნუ შესწუხდებით, მხოლოდ ფასები მიბრძანეთ ადგილების და დანარჩენი მე ვიცი.

**გრიგოლი.** აბა დავსხდეთ და ცოტა გადავკრათ. მე მიხეილს მივცემ დარიგებას და თქვენც თუ დამემარებით, მადლობელი ვიქნები.

**მაზრის უფროსი.** როდესაც-კი მიბრძანებთ. თქვენც რომ არ ბრძანდებოდეთ, თქვენო უბრწყინვალესობავ, მე ხელმწიფის ერთგულება, ფიცი და სამსახური მავალებს, რომ გლეხები ყოველგვარი თვითნებობისა და უკმაყოფილებისათვის სასტიკათ დავსაჯო. (მავიდას მოუსიდებიან, ცრიგთლი უსისმს არივეს შამჩანული).

**გრიგოლი.** ეეჭ, ახლა რომ პეტერბურგში ვიყოთ, მისთანა ქალებს მოგინდებულით გვერდში, რომ სამოთხეში გეგონოსთ თავი.

**მაზრის უფროსი.** კნიაზო, მართალია, შამპანურში აბანებენ ქალებსო?

**გრიგოლი.** რამდენჯერ მიბანავებია! წავედით ერთხელ სამი: მე და ორი თავადი. მოვიყვანეთ სამი ქალი, მარა ვარსკვლავებივით იყვენ. გავატიტვლეთ, ჩვენც გავტიტვლდით. (იცინიან) და დავიწყეთ რთახში სირბილი, ვინ ვის გაასწრებ-

და (ცინიან). როცა დავიღალეთ, გავამსეთ ვანა რედერერით, ვაბანავეთ შიგ ქალები და მერე ვსვით, რაც შეგვეძლო. სულ დავცალეთ!

**მაზრის უფროსი** { (გაოცემული ორიგე ერთად) უჰ, მთელი  
მსაჯული } ვანა?!

**გრიგოლი.** მაშ, მთელი ვანა! მაგრამ ის ვანა ძალიან დიდიც არ არის; იმხელაა, რომ ქალი შიგ ჩაჯდეს მხოლოდ.

**მაზრის უფროსი.** ღმერთმა ისე ნუ მომკლას, რომ ერთი ეგ არ გამოვცადო! (ცინიან) თქვენო უბრწყინვალესობაც! გე-წვევით ერთი პეტერბურგში!

**გრიგოლი.** აო, თუ ჩამოხვალთ, ისეთ რამეებს გაჩვე-ნებთ. რომ თქვათ: ეს რა ამბავი ყოფილაო. გამოცალეთ, გამოცალეთ. (ცინიან).

**მსაჯული.** სამაგალითო შამპანურია.

**მაზრის უფროსი.** ყოველდღე რომ მასვა კარგად!

**გრიგოლი.** მოლით ყოველდღე და გასმევთ. იცით, რა ვქნათ? ხვალ მოდით, ალექსანდრე და ლენტორიჭოიყვანეთ, ჯერ ვინტი ვითამაშოთ და მერე ისეთ ვახშამს გაკმევთ, რომ!...

**მაზრის უფროსი** { (ერთად დიშილით) უსათუოდ გიახლე-  
მსაჯული } ბით, უსათუოთ! (სუამეს და ჭიჭებს არა-  
ზუნებენ).

**მსაჯული.** ბევრი ხარჯი-კი გაქვთ, კნიაზო!

**გრიგოლი.** ბევრი, ძალიან ბევრი! ორასი ათას მანეთა-  
მდე მეხარჯება წელიწადში.

**მაზრის უფროსი.** თქვენი ნახევარი წლის შემოსავალი რომ მომცა, კნიაზო, ჩემს სიცოცხლეში მეყოფა მეც და ჩემს ცოლშვილსაც.

**გრიგოლი.** ხარჯი როგორ არ მექნება? ერთ ზამთარში პეტერბურგში ერთ ჭალს ასი-ათასი მანათი შევაჭამე ერთი თვის განმავლობაში.

**მაზრის უფროსი** { (ერთათ, გაოცემული) უჰ!  
მსაჯული }

**მსაჯული.** კნიაზო, ერთმა ქალმა ერთ თვეში რანაირად შეჭამა ამდენი ფული?

**გრიგოლი.** ჩამოვიდა ერთი იტალიელი არტისტია, მარა თამარ მეფე იმაზე უკეთესი აღარ იქნებოდა, კალმით იყო ნახატი, კალმით! ერთხელ თავადები დაესეირნობდით და იმ ქალმა გაიარა კარეტით. აი მაგის შოვნაა ბიჭობაო, თქვეს იმათ; მე ვიშოვნი მეთქი; ვერიშოვნო; ვიშოვნი მეთქი; ვერაო; დავნაძლევდით. მთელი თვე ვსღიე უკან. (ბეჭედი შეარსევს) მაშინ ლამაზი და ტანადი გვარიანი ვიყავი! ცოლი არა მყავდა და მეტი რა საქმე მქონდა! როგორც იქნა, გავიცანი, დავუახლოვდი; ნელა-ნელა შევუხოხდი (იცინიან) და, რაღა ბევრი გავაგრძელო, დავიყოლი. უკან დევნა და ერთი ლამე მასთან გატარებული დამიჯდა ასი ათასი მანათი! მაშ! ჩასაც ვიტყვი, უსათუოთ უნდა შევასრულო! ვთქვი და შევასრულე კიდეც! (სკამენ).

**მაზრის უფროსი.** ასი ათასი მანათი! (შეაჭულა) გვარიანი იქნებოდა ეს ქალი არა? რავა იტყვით?

**გრიგოლი.** წარმოიდგინეთ, აქაური გლეხის გოგო ლოგინში იმაზე ნაკლები არ არის. (იცინიან).

**მსაჯული.** აქაური ქალებიც ბლომათ გყავთ მგონი და დაღული, თქვენო უბრწყინვალესობავ!

**გრიგოლი.** ხე, ხე, ხე, რამდენიც გინდათ! (სკამენ) მე ერთი კარგი ჩვეულება მაქს და თუ გინდათ; გასწავლით. ავიყვან ხოლმე გვარიან გოგოებს მოსამსახურებათ; რომ მოვარგდებიან, ურთი წევიბულრივებ (იცინიან), მერე დავლოცავ, ორმოც თუმანს გავატან და გავათხოვებ (იცინიან).

**მაზრის უფროსი.** თქვენი წახედვა ჩვენ რას გვარგია, კნიაზ! ისე თუ სადმე წავკრავ ხელს, თორემ ორმოც-ორმოცი თუმნები ვინ მომცა? (სკამენ; შეაჭული წამოდგება, მაზრის უფროსიც; თრიუქს შეთარობა ეტეობა.)

**მსაჯული.** თუ ნებას მომცემთ, კნიაზო, გიახლებით.

**მაზრის უფროსი.** მეც უნდა გიახლოთ, კნიაზო!

**გრიგოლი.** გაგიშვებთ იმ პირობით, თუ ხვალ მეწვევით ვინტზე და ვახშამზე.

**მაზრის უფროსი.** თქვენს ბრძანებას როგორ გადუვალ? მსაჯული. უსათუოთ გიახლებით, უსათუოთ!

**გრიგოლი.** (წამოდგება) ეეჭ, პეტერბურგში რომ ვიყოთ, სად წაგიცვანდით ახლა, იცით? იქ ახლაა ქეთის დრო! ჩვენ კი ახლა უნდა დავიძინოთ! (ექვეიდობებიან და მადიან).

**გრიგოლი.** (მიაძახების, რომ გაფლიან) ალექსანდრე და ლენტორი არ დაგავიწყდესთ (არა, ქნიაზო! ისმის არივეს სმა. გრიგოლი გამოტრიალდება და დოინჯებით გაჩერდება) ცოტა გადაკრულში ვარ (ჩაფიქრდება, შემდეგ იღიმება) ქეთევან, ქეთევან, ქეთევან! (ქეთევანი გამოვა თვალების ვეშვნეტით). ბიჭებს ძინავთ?

**ქეთევანი.** ეძინებათ ახლა, ბატონო, გვიან გახლავთ.

**გრიგოლი.** (მიუსილოვდება დიშილით) ქეთევან, შენ ბუღრობა არ იცი?

**ქეთევანი.** (ვერ მისვდება) რა ბუღრობა, ბატონო?

**გრიგოლი.** არ იცი? სუფრა აალაგე! (დაჯდება და შეწერებია ქეთევანის, რომელიც სუფრას აალაგებს და გაიტანს) ახლა მოდი და ფეხი გამხადე. (ქეთევანი გახდის, გრიგოლი სტაციებს სეჭს, გვერდით დაიჭებს და კაცნის).

**ქეთევანი.** (ეწინააღმდეგება) ბატონო, რას ჩადიხართ? ნუ იყალრებთ! ბატონო, ბატონო, მე ქალბატონის ნათლული ვარ! ბატონო, ბატონო!

**გრიგოლი.** (კონის) ღვთის მშობლის ნათლულიც რომ იყო, ამაღამ მიინც ჩემი ხარ და ჩემი (ადგება და ქეთევანს ეწევა დასაძინებელ ოთახისაკენ, მაგრამ ქეთევანი ძირს ჩაიგეცავს და მუხლებზე ეხვევა).

**ქეთევანი.** ბატონო, ბატონო! ნუ იყალრებთ! შემიბრალეთ, თავს ნუ მამჭრით; საღა გამოვჩნდე!

**გრიგოლი.** (სწევს თთასის ქები) ორმოც თუმანს მზითევს მოგცემ, ჩემის სახლიდან გაგათხოვებ. (ქეთევანი არ წებდება; გრიგოლი აუგანას უპირებს).

**ქორევანი.** (დაწყისალებულის კილოო) მე თვითონ გიახლებით, თუკი მიკალრებთ (წამოდიება-და მიუვება. მარცხენა კარებში შევდებ; სცენა ცალიერია; რამდენიმე ხნის შემდეგ ქეთევანი გამოვარდება კოვთისა და იუბკის ამარა, უკან მოსდევს გრიგოლი, მუნდირ გასხილი, ფეხში შევლა და ნიფხავის ამარა; ქეთევანი კარებში გაასტრებს და გაიქცევა, გრიგოლი უკან ჭარბება, რამდენიმე ხნის შემდეგ ქლოშინით შემოძრუნდება და სავარძელში დაეშვება).

**გრიგოლი.** (გულში სელი იღტეამს და კბილების კრაჭუნით) ეეს, გამექცა, გამექცა! (პატარა პაუზა) რატომ კარები არ დავკრტე, რატომ?

(დასასრული პირველი მოქმედებისა)

## მოვალეობა მეორე

(სცენა წარმოადგენს მინდონის ტყის პირას; შესახურის ხე არის, რომელის აქეთაც გზა მიდის. ფარდა რომ აიხდება, ნიკალა და ილიკო ჭიდაობენ, რემა და ფარნა ზეზე დგასან და უურებენ. ხის ძირში ოთხი ტილის ჩანთაა, საცა ბავშვები საჭმელი აქვთ შენასული).

რემა. ჰა, ნიკალა, არ შემარცვინო, ქვეშ არ მოექცე-  
ფარნა. აპა, ილიკო, ერთი მეორეთაც გაშალე შენებუ-  
რათ.

რემა. ახლაც თუ მაგან წაგაქცია, ნიკალა, გოგოებში  
ვეღარ გამოყოფ თავს!

ფარნა. აბა, ილიკო! ოო, ოო, შენი ჭირიმე! აგრე, აგ-  
რე. (დასტის აქეთ იქით, როგორც მოჭიდავები). აახ, ის-ის იყო,  
ცოტა გაკლდა, ცოტა!

რემა. შენ ბიძია, კულიანივით წინდაწინ ლაპარაკი ნუ  
იცი.

ფარნა. ატა-ტა-ტა, ილიკო! მაგან წამოწოლა იცის ძა-  
ლან, გაუფრთხილდი.

რემა. ერიპა, შენ თუ აქედან ასწავლე, ეს რა გამოვი-  
და, მაშინ მეც დავუძახებ ხოლმე იქედან, როცა ილიკო კვანტს  
დაუპირებს და მაშინ ვნახოთ, ვინ აჯობებს! (ნიკალა ამდროს  
ბეჭრდზე მოიგდებს ილიკოს და დასცემს; ამხანავები ახმაურდებიან;  
მოჭიდავებიან წამოდგებიან და ცანისამის ისწორებენ).

ილიკო. ბარი-ბარში, ერთხელ მე დავცი, ერთხელ შენ.

რემა. არა, ძმაო, ეს წაქცევა ორი იმისთანას ჯობდა,  
შენ რომ წააქციო.

ფარნა. (გამოუდგება) შენ რას გაიგრელე ენა? აბა მეჭი-  
დავე, თუ ბიჭიხარ (სტაცებს ხელს და ეჭიდება, მაგრამ რემა არა  
თანხმდება და ერთმანეთს თავს ანებებენ).

**რემა.** (განთავისუფლების შემდეგ.) თავი დამანებე, თორემ მოგტეს რასმე და დამრჩები ცალიერი.

**ფარნა.** ერთი ამას უყურე! (ქუდს გადუგდებს; ის გაიჭივა და აიღებს ქუდს, შემდეგ ოთხივე ხის ძირს დასხდებან და ჩანთებს ჩამოიკიდებენ გვერდზე).

**ილიკო.** შეხეთ, შეხეთ: ტრედები დასხდენ მინდორში! ეეს, ერთი თოფი ახლა რა კაია! (უველა იქით იუწრება.).

**ნიკო.** შამაჩემს პქონდა თოფი, მარა რაზმელებმა გამოართვეს.

**რემა.** რათ მიეცით, მერე?

**ნიკო.** რატომაც არ მივცემდით? კიდევ რომ გვქონოდა, იმასაც მივცემდით. ახალი კანონი გამოსულია, მიწები გლეხ-კაცების უნდა იყოსო, და ბატონი უჩხუბრათ არ გვანებებს.

**ფარნა.** რომ არ იცი! ჩვენ ბატონს შელავათი ვთხოვეთ, რომ ნაკლებ ფასში მოეცა ჩვენთვის მიწები! იმან ვუარი გვითხრა და მერე პრისტავი და სტრაჟი გამოიგზავნა; დაგვემუქრენ და წავიდენ. თურმე ის კიარა ახალი კანონი გამოუცია დიდ კომიტეტს, მიწა გლეხების არისო, და ჩვენ კი არ ვიცოდით. მერე ქადაგებელი მოვიდა ჩვენში და იმან გვითხრა, მიწები გლეხების არისო, მარა ბატონი არ გვაძლევს.

**რემა.** იმას თურმე ქაზაკები და სალდათები დაუბარებია და ზარბაზნებით წამოსულიან. ასე ამბობენ, თურმე, ყველა სოფლები უნდა დავაქციოთ.

**ილიკო.** აბა დღეს ქადაგებელი ამიტომ მოდის აქ ალბათ!

**ხამიგვ.** (ერთათ) შენ რა იცი?

**ილიკო.** როგორ არ ვიცი! ხალხი აქ არის დღეს დაბარებული.

**ნიკო.** მოდი, ჩვენც ვუყუროთ. (სიჩუმე ჩამოვარდება)

**რემა.** ნასალდათარი რომ არის საჩინოს ბიჭი ამტონა, აბა თოფი იმასა აქვს, აი! სულ ლაპლაპი გოუდის, იმისთანა კაი თოფი აქ არავის არა აქვს.

**ილიკო.** ის თოფი თურმე ორასი. თუმანი ლირს.

**ფარნა.** ჩვენ ბატონს ფული არა აქვს თუ? მეტსაც მი-  
ცემდა შიგ.

**ნიკო.** ის თოფი იყო, ჩვენ ბატონს რომ წაართვეს?  
**ფარნა.** მაშ!

**ნიკო.** არ მიკვირდა. ვინ მიცემდა აპა ამტონს იმისთანა  
თოფს?

**ფარნა.** ოცდა ათი თოფი წაართვეს, მარა იმისთანა არც  
ერთი არ არის. რომ მივიღენ ჩვენები და შამოერტყენ სასახ-  
ლეს, შეუთვალეს: თოფები გამოგზანე და შენ ხმას არ გაგ-  
ცემთო. იქიდან სროლა დაიწყეს და ერთი რაზმელი ფეხში  
დაჭრეს. სროლა იგრე არ უნდაო და რომ დააყარეს ჩვენებმა  
სეტყვასავით, სასახლიდან სუსველი თოფები გადმოყარეს.

**ილიკო.** მერე სახლში აღარ შევარდნიან?

**ფარნა.** მოკვლა უნდობათ, მარა არჩილმა დააჯერა: ნუ  
გვინდა ახლა მაგის სისხლით და თავი დაანებეს. ბატონი  
რომ მოეკლათ, თურმე, მაშინათვე კაზაკებს მოგვისევდენ.

**ნიკო.** მაინც რომ მოყავთ ე კაზაკები!

**ფარნა.** არჩილმა თქვა, თუ იმის საქმეა კაზაკების გამო-  
წერა, ჩემ თავს გავწირავ და იმას არ ვაცოცხლებო.

**რემა.** იმისი საქმე იქნება, აბა ვისი? ასე ამბობენ, პირ-  
დაპირ ხემწიფეს მიწერა: გლეხები ბუნტობენ და რაც შეიძ-  
ლება ბლომათ გამომიგზანე ჯარი და ზარბაზნებით.

**ილიკო.** მობრძანდენ! ჩვენებიც კარგათ გაუმასპინძლ-  
დებიან!

**ნიკო.** თუ ბევრი მოვიდა, ისინი მოგვერევიან.

**ფარნა.** ვერ მოგვერევიან. ჩაუსაფრდებიან გზებზე ჩვენი  
რაზმელები და სულ ბოლს ააღენენ ზურგზე.

**რემა.** რათი ააღენენ ბოლს, თუ ზარბაზნები მოიტანეს?  
ერთი ზარბაზანი თურმე ათ ვერსზე მიღის და მთელ სოფელს  
დააკცევს!

**ფარნა.** ზარბაზანი ათ ვერსზე კი არა ოცზედაც ისვრის.

**რემა.** ეს კიდევ უკეთესი!

**ფარნა.** არაფერია! ზარბაზნებსაც წავაროთმევთ და ისევ იმათ დავუშენთ.

**ილიკო.** ეს ყველა კაი, ბიჭებო, მარა არ მოგშივდათ? მე მამშივდა.

**ნიკო.** სადილი ვჭამოთ. (ამაიღებენ მჭადს და უვეჯს ჩათვებიდან).

**რემა.** ეჭ, რა კაია ახლა ერთი მსუქანი დედალი! გვეყოფა კიდეც ოთხივეს!

**ილიკო.** შე ოხერო, თუ ინატრო, ბარემ კაი ინატრო! შებრაწული გოჭი არა ჭობია? თონეში შებრაწული!

**ფარნა.** თუ ინატრეთ, ახლავე მოგეროთმევათ!

**რემა.** რამდენჯერ დაუკლავთ ჩვენსა ქათამი და ინდოური, მარა თავისა და ფეხების მეტს არაფერს არ მომცემენ ხოლმე. რაც კაი ნაჭრებია, სულ თითონ დეირიგებენ ხოლმე በ ლდინ ძალლები!

**ილიკო.** ერთხელ ნათლია ჩემი მოვიდა ჩვენსა და დედა-ჩემმა ბატი დაკლა. მკერდები, კურტუმი და გულჩანათალა ნთლიას დაუდვა წინ და ბარკლები, ფეხები, ფთები და საბ-ძელი ჩვენ დაგვირიგა. მე კისერი და ცალი ფთა მერგო. მივ-ჩერებოდი ნათლიას ჯამს და ვნატრობდი: ექ, ნეტავი ერთი მეც ნათლია ვიყო მეთქი (იცინიან).

**ნიკო.** ჯამში ყურება, ბიჭო, სირცხვილია.

**ილიკო.** სირცხვილია, თუ რაღაცაა, ჩვენები სუყველა იმის ჯამს მიჩერებოდენ. ბიძაჩემი რამდენ ლუკმას ჩეიდებდა პირში, იმდენი ნათლიას ჯამს გადახედავდა, ხოლმე (იცინიან).

**ფარნა.** იმას რაღა ედვა ჯამში?

**ილიკო.** ფთა და ფეხი (იცინიან).

**რემა.** რამდენიც უნდა ილაპარაკოთ, სანამ დიდები არ გაიზდებით, ხორცით არავინ გაგაძლობსთ.

**ილიკო.** დიახ! სატირალში და ქორწილში რამდენიც გინდა, იმდენი ჭამე ხორცი; ერთხელ სატირალში წავყევი დედაჩემს და იმდენი ვჭამე ხორცი, რომ ძლიერს იმოვედი სა-

ხლში და მთელი დღე გული მერეოდა! (იცინან, ფაზარაკავი შეწყდება. ზოგი უსტეგენს, ზოგი ძირს კოტირიალობს. რამთდენიმე ხას შემდეგ ერთი დაიწევს ქართულ მარსელიეზას, სხვები შემოძახებენ).

**ილიკო.** (სიმღერის გათავების შემდეგ ტუისკენ იხედება). ნწო მაამო, ნწოო, ნწოო! არიქათ, ბიჭებო, საქონელი ყანაში შესულია (წამოსტებიან და გარბიან. სცენა რამთდენიმე ხას ცალიერია. გამოჩნდება ანდრია, დაჯდება სის ძირი, ამოიღებს ჩიბუხს, გაავსებს თუთუნით, გაკრავს ტალგენს და კწევა. შემდეგ თავისთვის დაპარაკობს).

**ანდრია.** ჰე, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ნათქვამია. ვინ ააწევს ახლა იმ ოხერ მთაში? იქნება დანგრეულიც არი ახლა იქ ყოლიფერი. (რამთდენიმე ხნის სისუმის შემდეგ) ეხს, გლეხკაცის საშველი როდის იყო, რომ ახლა იქნეს? ეს ყველას უნდა გვცოლნოდა. (რამთდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდება დათია, მიუახლოვდება ანდრიას).

**დათია.** გამარჯობა, ანდრია!

**ანდრია.** ღმერთმა გაგიმარჯოს, დათია!

**დათია.** (მოუწდება შორი ახლოს, ამთიღებს ჩიბუხს და სწევს) საღით გაგიწევია, ანდრია?

**ანდრია.** აქეთ მთაში. ქოხი მაქ, ზაფხულზე ვმუშაობ ხოლმე პატარა ხე-ტყეს და იმის დასათვალიერებლად მივალ, იქნება სულ დააქცია თოვლმა ამ ზამთარში.

**დათია.** რავა, სულ გადასახლებას ხომ არ აპირობ მთაში?

**ანდრია.** თუ ღმერთი ამდენაო გაწყრა, აპა რა ვქნა? სიკედილს რო გავუჩერდე, რას დავაკლებ?

**დათია.** სიკედილს დამალვითაც ვერსად დეემალები. თუ აგრეა. ერთობა არ უნდა გავტეხოთ, ანდრია, ერთობა. რაც იქნება, საზოგადო იქნება; უბედურება თუ ყველას თავზე იქნება და მაღლობა ღმერთს.

**ანდრია.** დამიუინა ჩემსობას, რომ გლეხკაც უველა გვა-ტყუებს, უველა; მარა ზოგი მოფერებით გვატყუებს და ზოგი მუქარით და ლანძღვა-გინებით.

**დათია.** რათა, შე კაი კაცო! რამდენ პატიოსან ადა-  
მიანსა აქვს ჩვენთვინ ახლა თავი გადადებული! თავის საცხოვ-  
რებელსა და სიცოცხლეს კარგავენ ჩვენი გულისთვინ და თუ  
ჩვენც ხელი არ შევუწყვეთ, იმათაც გული გაუტყდებათ და  
თავს დაგვანებებენ.

**ანდრია.** ღმერთმანი, უკეთესი იქნება, თუ დაგვანებებენ.

**დათია.** რავა გეკაღრება, ანდრია? უკეთესი რავა იქნება?

**ანდრია.** ამ საჭმიდან არაფერი საკეთილო არ გამოვა,  
არაფერი აგერ დეიჯერე ჩემი სიტყვები.

**დათია.** თუ ახლავე უკან-უკან დევისიეთ, რალა გამოვა?  
ჩვენ მხნეთ უნდა გავსწიოთ, გულ მაგრათ და გამმარჯვე ღმერ-  
თია. თუ ჩვენც არ მოვინდომეთ, მზა-მზარეულით არაფერი  
არ ჩაგვივარდება პირში.

**ანდრია.** ყური დამიგდე, თუ ღმერთი გწამს. ჯერ გვით-  
ხრეს: სანახევროთ ნულარ ეილებთ მიწებს, ამა და ამ ფასში  
ეილეთო. კარგი და პატიოსანი, ბევრი ჰაი-ჰუის მერე ზოგ-  
თან მოვრიგდით, ზოგთან ვერა. მერე გვითხრეს: ნულარა-  
ფერსაც ნულარ მიცემთ: მიწა თქვენია და ყველას უნდა  
წაართვათ, გრიგოლ კრიაზსაც უნდა წაართვათო. კარგი და  
პატიოსანი, მარა წაართვა რა, — ასე აღვილია ე წართმევა?  
დაალო ყველამ პირი და დეიძახა: წაგართვათო. ჩვენში ის ხემ-  
წიუის ტოლი კაცია და რავა გინდა ახლა რო წაართვა? მი-  
წერა ხემწიუეს და აგერ მოგვაყენებენ კირებზე ჯარსა და ზარ-  
რბაზნებს. ახლა გამამდგარან და გვეუბნებიან: გრიგოლს თა-  
ვი დაანებეთ და ხემწიუეს უნდა ეჩხუბოთო. ერთი მითხარი,  
თუ ღმერთი გწამს, ხემწიუესთან საჩუბარი რა გვაქ ჩვენ?!

**დათია.** ყური დამიგდე! მთელი ამხელა კუთხე სულ გრი-  
გოლს ეკუთვნის; სახნავი მისია, საბალახე მისია, ტყე მისია,  
წყალი მისია; ჩვენ კი საძრაობა არსათა გვაქვს, საქონელს

ვერსაღ გავრეკავთ, თუ ქირა არ გედვიხადეთ, შეშას- ვერ-  
საიდან მოვიტანთ, თუ ბაჟი არ გადვიხადეთ. მოელი ამო-  
დენა გლეხ-კაცობა მიწას თავს ვაკლამთ იმისთვინ, რომ კნიაზმა  
ქალაქებში ისეიროს და იქეიფოს და ჩვენ ნაოჭლარში აღე-  
ბული ფულები კახებს შეაჭამოს. რავა! ღვთისაგან არის ასე  
დაწესებული?

**ანდრია.** გლახაა, ვინ ამბობს კაიაო, მარა რავა გინდა,  
რო გაასწორო ახლა ქვეყნის საქმე?

**დათია.** მიწა ღვთისგან არის გაჩენილი და უნდა იმას  
ქონდეს, ვინც მუშაობს, ვინც თოხნის; ჩვენ კმუშაობთ, მარა  
მიწა არა გვაქვს; გრიგოლისთანეები კი თითსაც არ ანძრე-  
ვენ, მარა მიწა ბევრი აქვთ. ეს უსამართლობაა და უსამარ-  
თლობა ისევ ჩვენ უნდა გავასწოროთ, თორემ სხვა არავინ  
გაასწორებს.

**ანდრია.** მერე წართმევა გაასწორებს?

**დათია.** სწორეთ! ვინც მიწას არ მუშაობს, იმას მიწა  
უნდა წაერთვას და მიეცეს იმას, ვინც მუშაობს; აქ ბევრი  
ფიქრი საჭირო არ არის. გრიგოლმა საღიდან შეიძინა ამდენი  
აღგილები? თუ გოუყიდია, თორემ არაფერი უყიდია; მამა არ  
თოხნიდა მაგისი, პაპა და პაპის პაპა, აპა ვინ მიცა ეს მიწები?  
ვინ და ჩვენ წაგვართვა, როცხა ყოფილა. რავა! ერთმა კაცმა  
როცა ამდენ ხალხს წაგვართვა,, ეს კანონი იყო, და ამდენმა  
ხალხმა რომ ისევ უკან დევიბრუნოთ დღეს, რაც ჩვენია, ეს  
უკანონობაა?

**ანდრია.** (სეჭს ჩააქნევს) ეგ ქენი, ეგ! არაფერი არ გა-  
მოვა მეთქი.

**დათია.** ი კაცები რო გვიქადაგებენ და გვიწერენ, ჩვენი  
გულისთვის გვიწერენ, თვარა იმათ მიწა არც ერთს არ სჭი-  
რია. ყველა თავის სწავლით იჩჩენს თავს, მარა ჩვენთვის  
შეტკივათ გული, ჩვენთვის.

**ანდრია.** რაღაცა შეტკივათ, კი ვიცი; ყველა თავის-  
თვის ფიქრობს, ყველა!

**დათია.** აჲ, აჲ, ცოდვა არ უნდა თქვა ანდრია, ცოდვა!

**ანდრია.** აპა რა უნდა ვთქვა, შე კაი კაცო, როცა ერთ-მანეთს თავისის ამტკრევენ? თუ თავისთვის არაფერს გამოე-ელიან, აპა რათ ეჩხუბებიან ერთმანეთს? ჯერ მოვიდა დე-მოკრატია და, რაც გვითხრა, ღმერთს წინაშე კაი გვითხრა. მერე მოვიდა ანტონია და დაგვპირდა: მიწებს დაგირიგებთო, და რა პასუხია! თურმე ბატონყმობის დაბრუნება ქონდა გულ-ში! მერე რევოლუცია მოვიდა და იმანაც ისე გვითხრა: მი-წები სულ თქვენი იქნებაო, და თურმე ჩვენი კი არა, რაც გვქონდა, იმის წართმევესაც გვიპირებდა. კინაღამ ყელი გა-მოგვჭრეს, ის ის იყო, რომ ისევ დემოკრატიას არ მოესწრო; წოუდგა ორივეს პირში, გაამხილა: თქვენ ხალხს ატყუებთო; შეყვენ ერთმანეთს დეობაში და კინაღამ თავპირი დაამტვ-რიეს ერთმანეთს. ასე გვატყუებს ყველა, ჩემო დათია!

**დათია.** გლეხ კაცს რო ბევრი მტერი ყავს, რავა არ იცი, შე კაცო? ვისაც რავა ეყურებოდა ეს საქმე, ისე აგვისხნეს და ახლა ჩვენ ჩვენი კუუით უნდა ავწონოთ.

**ანდრია.** აწონე, რამდენიც გინდა, რა გამოვიდა მერე?

**დათია.** ის გამოვიდა, რომ უნდა ხელი მივცეთ ერთი-ერთმანეთს, უშიშრათ გავსწიოთ წინ; რასაც გულიდან ამო-ვილებთ, შევასრულოთ, რაც უნდა დაგვიჯდეს. აპა ისე თა-ვის თავათ არაფერი საქმე არ გაკეთდება. სიკვდილისაც არ უნდა შეგვეშინდეს, სიკვდილი არ გამოგიცდია? პატარა საქმე რო ვექნება სულში, რამდენი უნდა იწვალო, რო მოიგო; ეს მოწმეებიო, ეს აღუნკატიო, ეს მარკებიო; მიროისუდიდან ოკ-რუენოიში გადაგიტანენ; იქიდან პალატაში, სენოდში და რა ვიცი, კიდევ სად. თუ ასე გაყევი, მოიგებ, თუ არა და დარ-ჩები ცარიელი. თუ უბრალო საქმეს ამდენი დევა უნდა, სა-ქვეყნო საქმეს რო დიდი შრომა და თავგამოდება დაჭირდეს, რაში გიკვირს, შე კაცო?!

**ანდრია.** (წამოდგებიან არივე) მართალია, გარა ძნელია, ლინდე (მიდის).

**დათია.** (მიუვება) იმე, შე კაი კაცო! ვინ ამბობს, აღვილიათ. ძნელი საქმე უნდა გავაკეთოთ ოოგორმე, თვარა აღვილს ყველა გააკეთებს (მიდიან, სცენა ჰამოდენდებული სანს ცალიერია. მეორე შესრიდან გამოჩხნდებიან არჩილი თაფურით მსარზე და რაზმეჭვებით თაფურით. არჩილი გარეუ-გამოდებულის და შემდეგ მიუბრუნდება ამსანაგებს).

**არჩილი.** განკითხვის დღე ახლოვდება

**პირველი რაზმელი.** ჩვენც აქ დაუხვდებით.

**მეორე.** ერთი იმათი გულის ჯავრი ვიყარო და მერე თუნდა ჩამოვულრჩეიგართ,—ალარაფრის დარღი ალარა მაქვს.

**მესამე (მეორეს)** თუ აგრე გულაღი ხარ, მალე გამოგა-ჩდება.

**არჩილი.** ფიქრი ნუ გაქვთ, ამხანაგებო! ხომ გაგიგონიათ, ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა. თუ ერთობა გვექნება და ყველა ერთათ მოვინდომებთ ჩვენი საქმის გატანას, გავიტანთ კიდეც! (შაუზა) რატომ არ მოდიან? აწი დრო არის! (მიუბრუნდება ამსანაგებს) ერთი გაუდექით გზას და დააჩქარებიეთ. (მიდიან; არჩილი მარტო ჟება. ჰამოდენდებული საფიქრებული). მოლიბულ გზაზე შევდგით ფეხი; ვინ იცის, რა დაგვემართება, რა მოგველის... (ჩეჭს ჩააჭიებს) რაც უნდა დაგვემართოს, სულ ერთია, ამაზედ უარესი რაღა მოგვივა! ან გამარჯვება ან სიკვდილი! მუდამ სიღატაკე, მუდამ შიმშილი, მუდამ ტანჯვა, მუდამ დამცირება, მუდამ დაჩაგვრა, მუდამ მათრახები!.. ოდესმე უნდა მოელოს ხომ ამას ბოლო? და ვინ მოულებს, თუ ისევ ჩვენ არა? ადამიანი ერთხელ დაიბადება, ერთხელ მოკვდება, და თუ უკეთეს ცხოვრებას ვერ ველირსებით, თუ ამ გზაზე კისერს მოვიტეხთ, დევ მოვიტეხოთ: ძალლურ სიკუცხლეს ისევ სიკვდილი ჯობია... დაჩაგრულისათვის ვინ გაანძრევს ხელს, თუ ისევ ის არა? ოდესმე ხომ უნდა გამოვსულვიყავით ამ გზაზე? დევ ეს ოდესმე დღეს იყოს, დევ მოხდეს, რაც გარდუვალია,—რაც ადრე იქნება, ისა სჯობია. (დადის ჩაფიქრებული) რაი ქვეყანა

არსებობს, გლეხს კისერზე აზის ყველა, გლეხის ოფლით რჩება ქვეყნიერობა; გლეხის ზურგზე ბუქნას თამაშობს ყველა. საწყალი გლეხი! ითმენდა და ისევ თავის მტარვალებს ევე-დრებოდა: შემიბრალეთ! (გესჭანი დიმილით) სიბრალული მტარვალების სიბრალული! ისინი მხეცები არიან, განა მათ გული აქვთ? ჯალათებმა განა იციან, რა არის ადამიანობა და სიბრალული? ტყავს გვაძრობენ, ფეხქვეშ გვთელამენ, ჩვენს სისხლსა სვამენ, მთელი ქვეყანა საღრჩობელად გადააჭციეს! (უფრო შაღალის სმით) არა, კმარა! შორს ჩვენგანაც სიბრა-ლული! ვინც ჩვენ არ შეგვიბრალა, ნურც ჩვენ შევიბრა-ლებთ! ვინც ჩვენ არ დაგვზოგა, ნურც ჩვენ დავზოგავთ! ვინც ჩვენს სისხლს სვამდა, ჩვენც მათი სისხლი უნდა დავ-ლიოთ!... სიტყვამ არ გასჭრა, მუდარამ არ გასჭრა, მორჩი-ლებამ არ გასჭრა! მაშ დევ, ისევ ხმალმა და ტყვიამ გასჭრას! ერთხელ მაინც ვიყაროთ გულის ჯავრი! (ჩაფიქრდება და შემ-დეგ) ვიყრით-კი? აი რაშია საკითხი. მრავალი საუკუნოების განმავლობაში დაჩაგვრამ, მონობამ გლეხს გული გაუტეხა და შიშისა და უიმედობას მიაჩინა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ყოყმანობს, აქეთ-იქით იხედება, ხომ არავინ მიყურებსო; ყოველ მის მოქმედებას, ყოველ მის სიტყვას მორიცების დაღი აზის. (გულმოსული) აა! მონობის დაღი გვაზის, მონური სუ-ლი გადაფარებია ჩვენს გულს, თორეშ განა ადამიანს შეუ-ძლია იმის მოთმენა, რასაც ჩვენ ვითმენთ? მხოლოდ მედგარი თავდავიწყებული ბრძოლა ქმნის სასწაულს და ამგვარი ბრძოლა შეგვიძლია კი ჩვენ? (ჩაფიქრდება) შორს უიმედობა! მაშ რო-დისლა მოვინდომებთ, თუ არა ეხლა? მაშ როდის გავმხნევ-დებით, თუ არა ეხლა? მაშ როდის აივსება გესლითა და შუ-რისძიების წყურვილით ჩვენი გული, თუ არა ეხლა? თუ ამ-დენი ხნის მონობამ, ტანჯვამ, დამცირებამ და დაჩაგვრამ ვერ აავსო ჩვენი მოთმინების ფიალა, მაშ როდისლა აივსება, როდისლა? როდის აიმღვრევა ჩვენი სული? როდის ამხელრ-დება ჩვენი გული? როდის დაჰკრავს ტალღა შურის ძიებისა?

ახლა, ან ალარასოდეს! (დადის; ნეფ-ნეფა გამოჩნდებიან გლეხები და რაზმელები, შინდრი თანდათან გაიგიება: არჩილი სალხში შეე-ტევა).

**ერთი გლეხი.** ჯარი გამოუწერია იმ უღმერთოსაო, მართალია?

**მეორე.** მეც ასე გავიგონე.

**მესამე.** რაღა გაიგონე, მგონია, კიდეც ჩამოსულა!

**მეოთხე.** არა, ტყუილია, ჯერ არ ჩამოსულა, მარა მოდის-კი თურმე. ზარბაზნებიც მოაქვთო.

**მეხუთე.** ასე ამბობენ, ზეკუცია უნდა ჩააყენონ სოფ-ლებშიო.

**მეექვსე.** თუ მართლა ასე გვიქნეს, ჩვენი საშველი არ ყოფილა და ის არის!

**პირველი.** რატომაც არ გვიზამენ, თუ დაგვიჯაბნეს?

**მეორე.** ნუ დავაჯაბნებიებთ თავს; თავიდანვე, მაგრათ დავჭვდეთ.

**მესამე.** რითი დახვდები, როცა ზარბაზნებს მოგაყენებენ?

**მეოთხე.** შე კაი კაცო! მარტო ჩვენ ხომ არ ვიბრძვით, მთელ რუსეთში თურმე ამისთანა ამბავია და, თუ ყველგან მაგრათ დავჭვდებით, ყველას რავა მოგვერევიან?

**მეხუთე.** ეჭ, იარაღი რომ იყოს, ვერაფერსაც უერ გვიზამენ, რამდენი ზარბაზანიც უნდა მოიტანონ. მარა შენ ეს თქვი, რომ იარაღი არ არის. მამაცხოვებულები, შეგვპირდენ, იარაღი ჩვენ გიშონითო, ფულიც გამოგვართვეს, რაღაც ათო-ოდე თოფი მოგვიტანეს და გვითხრეს: სხვა თქვენ იშონეთო! სად უნდა ვიშონოთ ჩვენ თოვები?

**მეექვსე.** მიხეილა კოჭლას უსწავლია თოფების ჩამოსხმა აგერ! (საერთო სიცილია; გამოჩნდება მიხეილა ჭოხებით იღვიაში და შამოუერთდება შასტაუბრეთ).

**პირველი.** მართლა გისწავლია, მიხეილა, ბერდენების ჩამოსხმა?

**მიხეილა.** შენ იმასხარავე და რომ მოგადგებიან, მაშინ ნახავ შენს სეირს.

**პირველი.** ჩვენ დროზე მაინც გავასწრებთ საღმე, მარა შენ რაღას აპირობ?

**შიხეილი.** მე რა შიკირს? დავჯდები სახლში და ვიქნები. შემომზედავენ და იფიქრებენ: სწეული კაცია, ეს არაფერში გაერეოდაო და დამანებებენ თავს, მარა თქვენკი გლახა დღე დაგადგებათ ყველას, თუ მარჯვეთ არ იყავით. (საფუძველი დასახავა— და ჩოტებული შეიქნება; უკეთა ერთმანეთთაში აირევა. „თოვება უნდა გვიშოთ, თოვები“, ისმის შიგა და შიგ ხმა).

**ერთი.** უთოფოთ რა შეგვიძლია? ზარბაზნებით მოდიან ჩვენზე და ჩვენ ჯოხებით ხომ ვერ დავხვდებით?

**მეორე ხმა.** ჯოხებით თუ დავხვდით, პევრსაც დავაკლებთ! (ისმის ხმაურობა: „თუ თოვები არ გვიშონეს, არსად არ გაჟაჭოთ და უკეთა მთაში გაფინიცნებით.“ წინ წმოდგება არჩილი).

**არჩილი.** დაწყნარდით, დაწყნარდით! (სიჩუმე წამოვარდება). თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ჩემს საქმეს აკეთებდეთ. კარგათ იცით, რომ მე ჩემს საქმეს ვადექი და კარვათაც ვცხოვრობდი; და თუ აქ წამოვედი თქვენთან, იმიტომ რომ დაგხმარებოდით და რაიმე სარგებლობა მომეტანა თქვენთვინ. ქვეყანამ გამოიღვიძა, თქვენც უნდა გამოიღვიძოთ. ტყავი გძვრებათ, ყველა თქვენი ბატონია; დღე და ღამე მუშაობთ და მაინც გშიათ, გციათ და შიშველი ხართ! უნდა მოისპოს ქვეყანაზე ამისთანა უსამართლობა. ამ უსამართლობით თქვენ იტანჯებით, თქვენ გძვრებათ სული, თორემ სხვები ამ უსამართლობის წყალობათ ქერის ორმოში დაბუღრაობენ. თუ თქვენ არ გამოიღებთ ხელს, თუ თქვენ თვითონ არ უპატრონებთ თქვენ თავს, თუ თქვენ არ მოინდომებთ ამ უსამართლობის მოსპობას და თქვენი ბედის გამობრუნებას, სხვა არავინ არ მოინდომებს. ვის რა ენაღვლება, თქვენ სიღატაკესა და მონობაში ტყავი გძვრებოდესთ? (მართალი სიტუაცია, მართალი— ისმის ხმები). გრიგოლმა რომ თქვენი სიკეთე მოინდომოს, გიჟი ხომ არ არის? რასაც მეტს წაგაძრობთ, იმისათვის ის უმჯობესია. მონდომა რასი ჰქვია? გვინდა, გვინდა, რომ

იძახოთ, ეს კი არა კმარა: საქმით უნდა მოინდომოთ, საქმით! აღარავის აღარ უნდა ემონოთ; ჩარალის ხმარება თუ დაგჭირდათ, უნდა იხმონოთ; ბრძოლა თუ დაგჭირდათ, უნდა იბრძოლოთ; თქვენ არავინ არა გზოგავთ, არც თქვენ უნდა დაზოგოთ არავინ. სიკვდილს არ უნდა შეუშინდეთ, სიკვდილს! შეხათ უნდა გადიქცეთ; თითოს რომ ასი მტერი ჩაგივარდესთ ხელში, ხელი არ უნდა აგიკან კალდესთ, ისე უნდა წააგდებიოთ ასივეს თავი,—აი ამას ჰქვია საქმე, აი მაშინ გაიმარჯვებოთ! თქვენ-კი მე მამადლით! რათა, ძმებო და ამხანაგებო? არ გინდათ თქვენი თავის სიკეთე? მითხარით და თავს დაგიკრავთ: თქვენც მშვიდობით, მეც მშვიდობით! (სალიშე უკმაყოფილების ნიშნათ ჩოჩქოლია). გეშინიათ? აბა როგორ გეგონათ? მზა-მზა-რეულათ მოგერთმეოდათ ყველაფერი? (ახალის არ გვეშინა, არაფრის! ისმის სმები), როდის გითხარით, როდის შეგპირდით: თქვენ ოლონდ სურვილი გამოაცხადეთ და თავისით მოგერთმევათ ყველაფერი მეთქი? შეიძლება სიკვდილიც ბევრს დაგვჭირდეს, უნდა მოვკედეთ! უმსხვერპლოთ ამისთანა საქმე არ გაკეთდება! ვისაც მსხვერპლის გამოლება არ შეგიძლიათ, ახლავე ჩამოგვშორდით! („მართალია, შერთალია ისმის სმები; სალიშე ჩოჩქოლია“).

**ერთი ხმა.** იმე მართალი კია, მარა დევიხოცოთ და ვერც არაფერი გავაკეთოთ, არც ეს იქნება კაი საქმე.

**არჩილი.** თუ გულით გამამყვებით უკან, საქმეს გავიტანთ, არ გამომყვებით და დარჩებით მუდამ სიღატაკესა და მონობაში. (სწორეთ კაი სიტუაცია, ისმის რამდენიმე სმა.)

**მეორე ხმა.** აბა რა ქნას მეტი, კაცო? კაცს ჩვენთვინ თავი გადაუდვია და ჩვენც უნდა ხელი შევუწყოთ, აბა რავა გინდათ? („სწორეთ უნდა შევუწყოთ სედი.“ ისმის სმები,— „უნდა გაშეგმო გვეღა, უკან, უკედა უკან უნდა გავუვეთ“) („მოვიდა, მოვიდა,“ ისმის ხმები; სალის გაიწევა, გამოჩნდება გიქტორი, მიზა არჩილთან, სელს ჩამოართმებს, შემდეგ რამდენიმეს ახლას მდგომში ართმებს ხელს და დანარჩენები თავს უკრავს.)

**ვიქტორი.** უმ, დავილალე! (ქუდს იხდის და ცხვირსახთ-  
რთ შებუზე ფფლს იშენდავს) დამგვიანდა ცოტა, მარა დიდ-  
ხანს მოვუნდი იქაც ლაპარაკს.

**არჩილი.** რას ამბობენ?

**ვიქტორი.** ნამეტანი ამხელრებულია ყველა, დიდი, პატა-  
რა, ქალი, კაცი—ყველა საბრძოლველათ მიიწევს და, რაც  
უფრო აღფრთვანებულია ხალხი, მით უფრო მეტი სიფროხი-  
ლე გვმართებს. რომ უსათუოთ გავიმარჯვოთ და არსად წაყი-  
ბორძიკოთ.

**არჩილი.** რასაკვირველია, სიფრთხილე გვმართებს, მარა  
რაც უნდა მოხდეს, ახლა უკან დახევა აღარ მოხერხდება.  
წინ უნდა გავსწიოთ, წინ!

**ვიქტორი.** მაგის წინააღმდეგი ვინ არის, წინ უნდა  
გავსწიოთ, მარა ფრთხილათ, წინდახედულათ, რომ არსად  
გადვიჩეოთ.

**არჩილი.** ამაზე მერე ვილაპარაკოთ,—ხალხი გვიცდის.  
(ახნიდი წავა, მთიტანის თე ქახას და ფიცანს: ფიცანს ქვებზე შე-  
დგეს ხის ძირში. კიქტორი ფიცანზე შედგეს; ხალხი გარშემო  
შემდგენერა; აქე მღვლენ ბავშვებიც, რომლებიც მოქმედების დასა-  
წევისი იყვნენ, მაგრამ გურია დაშლამდე ბავშვები ისევ წაგლენ.)

**ვიქტორი.** (ცოტა ფიცანს შემდეგ) ამხანაგებო, დღევანდელ  
საზოგადოებას რომ გადახედოთ, დაინახავთ, რომ ზოგი გლე-  
ხია, ზოგი აზნაური, ზოგი თავადი, ზოგი ვაჭარი, ზოგი მწარ-  
მოებელი, ზოგი მუშა. საზოგადოების ამგვარათ დაყოფას ქვია  
კლასებათ და წოდებებათ დაყოფა. თუ ჩაუკირდებით ამ კლა-  
სებს, დარწმუნდებით, რომ ერთი მუშაობს მთელ თავის სი-  
ცოცხლეს, მაგრამ მაინც მშიერია; მეორე კი არაფერს არ აკე-  
თებს და ოქრო ვერცხლში დაგორავს. ერთი მთელ თავის  
სიცოცხლეს შრომის ოფლში იწურება, მარა მაინც ღარიბია  
და ადამიანურ ცხოვრებას მოკლებული, მეორე კი ხელს არ  
ანძრევს, მაგრამ ფუფუნებაში კი ცხოვრობს—ზამთარში  
ზღვისპირას ეძლევა განცხრომას, ზაფხულში მთებში ატარებს

დროს, ხან ევროპაში დასეირობს, ხან ამერიკაში. რატომ ხდება ასე? რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ერთი შრომობს და მეორე კი მის ნაშრომს ისაკუთრებს ე. ი. ართმევს! მთელი ჩვენი ცხოვრება ამ წართმევაზე, გაგლეჯაზე, გაყვლეფაზე, გაღლეტაზე არის აგებული! (შა, შა, შა, შა,—იმისი სქები, —ნამდვილი სიტყვაა, ნამდვილი.) დიდიხანია, ძალიან დიდი ხანი, რაც საზოგადოება ასე დაიყო, მარა უძველეს დროს იყო ისეთი ხანა, როცა საზოგადოებაში ყველანი თანასწორნი იყვენ. ეს იყო იმ დროს, როცა ადამიანმა არც მიწის დამუშავება იცოდა, არც შინაურ პირუტყვების მოვლა— მოშენება. მაშინ ხალხი სცხოვრობდა მეთევზეობით, ნადირობითა და მცენარეულობით. მაშინ არც მდიდარი იყო, არც ღარიბი, არც თავადი, არც გლეხი, არც ბატონი, არც მონა; ყველა ტოლნი და სწორნი იყვენ. ჩასაც იშონიდენ, ერთი მეორეს უყოფდა. ასე მიღიოდა საუკუნოები, მაგრამ აი ადამიანი მიეჩეია გარეული პირუტყვების მოშინაურებას, შემდეგ მიწის დამუშავებას. გაჩნდენ ჯოგები და ფარეები, დაგროვდა ხალხში პური, მჟაღი, ღვინო,—ერთის სიტყვით დაიბადა იმგვარი სიმდიდრე, რომელიც წინეთ ადამიანმა არ იცოდა. სიმდიდრის წყარო შეიქნა მიწა, როგორც სახნავი, ისე საბალახე; სიმდიდრეს მოჰყვა დიდკაცური ცხოვრება; დიდკაცურ ცხოვრებას კი ყველა ეტანება. სიმდიდრემ გაძლომა არ იცის: რაც უნდა მეტი გქონდეს, მაინც კიდევ მეტი გინდა. ამიტომ მიწისათვინ დაიწყო ყველამ თავის მტვრევა. შეიქნა მტაცებლობა, ჩხუბი, სისხლის ღვრა და ბოლოს გამარჯვებულებმა იგდეს თითქმის მთელი მიწა ხელში, დამარცხებულები კი უმიწაწყლოთ დარჩენ. იმ დროს ცალიერი ადგილები ბევრი იყო; დამარცხებულები სხვაგან მიღიოდენ; მაგრამ გამარჯვებულებმა ერთი რამ აღმოაჩინეს, —ისინი მიხვდენ, რომ კეთილი ცხოვრებისა და გამდიდრებისათვის სრულიად არ არის საჭირო პირადი შრომა: შეიძლება, სხვები ამუშაო, შენ კი მათის ოფლით მოყვანილს შეექცე! რაკი ამ სიბრძნეს მიაგნეს გამარჯვებულ

ლებმა, მათ ხელი სტაცის დამარცხებულებს, ჩააყუნეს თავის მიწებზე და უბრძანეს: იმუშავეთ დღე და ღამე, რომ თქვენის ოფლით შექნილ სიმღიღრით ჩვენ ყოველდღე ვიქეიფოთო. აბა ისინი დღე და ღამე რათ იმუშავებდენ სხვების გასამდიდრებლად. გიუგი ხომ არ იყვენ. გამარჯვებულებმა ეს იცოდენ და ამიტომ გამოაცხადეს დამარცხებულები თავის მონებად და თვითონვე დასწერეს კანონი, რომლის ძალითაც მონა ბატონის სრული საკუთრება და მისი სიცოცხლე და სიკვდილი მხოლოდ ბატონის განკარგულებაშია. ამის შემდეგ გაუყარეს მონებს ბორკილები, არსად გაიქცენო, და ვირებივრა ამუშავებდენ დღე და ღამე! რადგანაც ხალხი გამრავლდა, საჭირო შეიქნა გარეთაც თვალყურის დევნება, რომ მტერი არ შემოსეულიყო სიმღიღრის მოსატაცებლად და შინაც, რომ მონები როგორმე არ აჯანყებულიყვენ. ბატონებმა იფიქრეს: თუ ჩვენ ყველაფერს თვალყური ვაღევნეთ, ჩვენ ამას მოვუნდებით და განცხრომის, ქეიფისა და გარყვილებისათვის ცოტა დრო დაგვრჩებათ. ამიტომ მათ ამოირჩიეს თავის შორის კაცები და მათ მოანდვეს შინაური წესრიგისა და გარეშე მტრებისაგან დაცვა. ამ ამორჩეულებში ერთი უფროსობდა, დანარჩენები მას ემორჩილებოდენ, ეხმარებოდენ. ამგვარი ჩვეულება თანდათან განმტკიცილა, გაძლიერდა და ამგვარათ ნელ-ნელა აღორძინდა მთავრობა, რომლის სათავეშიც მოექცა ერთი უფროსი მეფე. რომ მუდამ და ყოველ წამს უზრუნველყოფილიყო შინაური მყუდროება და ბატონებისა და მთავრობის კეთილი ცხოვრება, ამიტომ მთავრობაშ და ბატონებმა ერთათ დასწერეს კანონები, რასაც სამართალი უწოდეს... მას აქეთ არსებობს მთავრობა და მისი სამართალი, ბატონები და მონები, ხოლო მონები ერთხელ ყმებათ მონათლეს და შემდეგ ნაყმევებათ. დღეს აი თქვენ გლეხები ხართ მონები,—თქვენი ბატონია ყველა ის, ვინც თქვენის ოფლითა რჩება. თუ კრინტი დაძარით და გაბედეთ რამე ბატონების წინააღმდეგ, სასტიკათ დაგსჯისთ სამართალი.

ეს სამართალი რაღა არის? ეს სამართალი გიბრძანებსთ სრულ მორჩილებას, აკანონებს თქვენს მონობას, სიღატაკეს, ცარ-ცვა-ყვლეფას, ბატონებისაგან ტყავის ძრობას; ეს სამართალი გეუბნებათ თქვენ და ყველა დამონებულებს: როცა თქვენ ტყავს გაძრობენ, ეს კანონია; თუ თქვენ ტყავის ძრობის დროს კრინტი დაძარით, ეს კანონისა და სამართალის დარღვევა; ხოლო თუ თქვენ ტყავის შერჩენა მოიწადინეთ, ეს ისეთი უკანონობაა, რომლისთვისაც სამართალი სიკვდილით დაგსჯითო! ამგვარად ეს სამართალი კი არა სრული უსამართლობაა, უკანონობა, უსინიდისობა, უღმერთობა; სამართლის სამოსელში მუშტი, ხიშტი და მათრახი გახვეული; ის მხოლოდ ბატონების სასარგებლოდ და თქვენს დასამონავებლად, დასაბეჭავებლად და გასაყვლეფათ არის დაწერილი. კანონები ბატონებმა შეადგინეს თქვენს შესაბორკვად და მარტო ის ჩაწერეს შიგ, რაც იმათი სასარგებლო იყო და თქვენი საზარალო. ბატონების კანონი და სამართალი თქვენ რას დაგეძებთ? ძირს ყველა ბატონები! ძირს მათი კანონები და სამართლო! (ძირს ბატონები! ძირს კანონი და სამართლო! გრიაფობს ხალხი) აი რა არის დღევანდელი კანონი და სამართალი! ყოველ უსამართლობის დროს თქვენ სასამართლოში გარბოდით, კანონს თხოვდით სამართალს; ის-კი არ გესმოდათ, რომ ეს კანონები თვითონ ამართლებენ ყველგვარ უსამართლობას თქვენს წინააღმდეგ და მხოლოდ იმიტომ არიან დაწერილი, რომ თქვენ მუდამ მონა, მუდამ მშიერ-მშეურვალი იყოთ. სასამართლო, კანონი და სამართალი ბატონების მოსამსახურეა. ქვეყანა უსამართლობაში დაცულავს; ამ უსამართლობაში თქვენ ირჩიბით. კმარა მოთმინება! იბრძოლეთ მედგრათ, იბრძოლეთ მნენეთ! მოსპერ ყველა მტარვალები და ჯალათები! დახიეთ ჯალათების კანონები, რომლებიც სამართალის სახელით მხოლოდ უსამართლობას იცავენ! დაიბრუნეთ მიწა, რომელიც თქვენ წაგროვეს, რომელიც მხოლოდ მშრომელ ხალხს კუთვნის! თქვენ

თვითონ შემოილეთ თქვენი კანონი, თქვენ თვითონ აღადგინეთ თქვენი სამართალი და თქვენ თვითონ დაიცავით ის! (ჩამოგაძირს. „შართალია, შართალი!“ გრიფის საფრი).)

**ერთი გლეხი.** უნდა ეიბრძოლოთ, მართალია, მარა რომ არაფერი გამოვიდეს ამ ბრძოლით და ისევ ჩვენ წავაგოთ!

**არჩილი.** (გულმრჩეული.) ვისაც არ ეშინიან ის კიდევ გაიმარჯვებს, მარა თქვენ ახლავე უკან გრჩებათ ფეხები. მზათ თუ მოგერთვათ რამე, ამაზედ კი ძალიან მარჯვე ხართ!

**მეორე გლეხი.** მზათ რომ არაფერი მოგვერთმევა, ამდენი კი გვესმის, მარა ძალა არა გვაქ და გვეშინია. (შართალს აძიობს; შართალს,—ისმის რაშდენიმე ხმა.)

**არჩილი.** (გულმრჩეული.) თქვენ ისეთი ხალხი ყოფილხართ, რომ თუ ჯამში არ ჩაგიდეთ ადამიანმა, ისე არ გაინძრევით. ძალა არ გვაქვს! ძალა ხალხშია, არა საღ ჯანდაბაშია? თუ ყველა მოინდომებთ, თუ ყველა ერთგულათ შეუტევთ, რა დაგიმაგრდებათ წინ? ძალა კი გაქვთ, მარა ლაპრები ხართ, მშიშრები! (გაშტრიქიალდება.)

**ერთი გლეხი.** ცუდ სიტყვას არ ვამბობთ მიანც და მაინც. ვუარს ხომ არ ვამბობთ, მარა სიფრთხილე გვმართებს. თუ ვერ გავიმარჯვეთ, ვისაც მოგვასწრებენ, ზოგს დაგვცვრეტავენ, ზოგს სარჩობელაზე ჩამოგვკიდებენ, ცოლშვილის პატრონები...

**არჩილი.** (აღეჭვებული ფიცარზე შეხტება და გააწევეტინებს) ძმებო და ამხანაგებო! მე პირველი ავალ სახრჩობელაზე ხალხის გულისათვის! შოთმინების ფიალა აისვი! ამდენი ტანჯვა, ამდენი დამცირება, ამდენი მონობა გვეყო! ნუთუ ჩევნში მთლიან ჩაქრა აღამიანური სული? (ას ჩამქრალა არა, ისმის ხმები) მოიტათ ხელი! რისი გეშინიათ? შარტო ჩვენკი არა ვართ, ყველა დაჩიგრულები ებრძვიან მტარვალებს, ჩვენც უნდა ვებრძოლოთ. დადგა თავისუფლების წამი! შორს შიში! გაუმარჯოს ბრძოლას! (თავის მოძრობის და მაღლა ასწევს) გაუმარჯოს მას, ვინც ასე თოფით ხელში დაუხვდება მტერს! (ხალხი ადამის, ვინც ასე თოფით ხელში დაუხვდება მტერს!)

ტაცებული გრძალებს: გაუმარჯოს, გაუმარჯოს!) ეს ხეები სულ სარჩობელათ რომ გახადონ, ჩვენთან შიში ალაგი აღარა აქვს! ჩვენ სიმართლისათვის ვიბრძვით და სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს! ჩვენ მტარვალებსა და ჯალათები უნდა დამარცხდენ, უნდა მოისპონ! (მთისპონ, მთისპონ! გრძალებს საჭირო) ბედნიერ დროს მოვცესწარით და ამ დროს სიმღერით უნდა შევხვდეთ. სასიკვდილოთ რომ ვიყოთ დაჭრილი ბრძოლის ველზე, მაშინაც უნდა ვმღეროდეთ! სახრჩობელაზე რომ მივყამდეთ, სიმღერით უნდა მივღიოდეთ! ბედი ჩვენსკენ მოტრიალდა, ზიზღი მტარვალებს, სიკვდილი მტარვალებს! ზიზღი ჯალათებს! სიკვდილი ჯალათებს! (საჭირო გრძალებს: ზიზღი და სიკვდილი მტარვალებს! და ჯაფათებს! რაზმელები ააფრიალებენ წითელ დროშას და შარიელიებას მღურიან.)

**რამდენიმე ხშირი.** (სიმღერის შემდეგ) თოფები მოგვეცით, თოფები და ყველა წამოვალთ, ყველა!

**მოხუცებული გლეხი.** (თეთრ წევრა, წინ წამოდგება) ოთხმოცი წლის კაცი ვარ აგერ და თოფს თუ მამცემთ, მე წამოვალ! თქვენ ყველა ახალგაზრდები ხართ, ყველა უნდა წახვიდეთ! ამისთანა დროს მოვესწარით და ახლა უნდა ვაჟკაცობა!

**გიქტორი.** ამ ცოტა ხანში თოფებს მოგიტანთ, გამოწერილი გვქონდა და ახლა მოგვივიდა.

**არჩილი.** თოფებს აქაც ბევრს ვიშონით! ჩვენში ყველას ავყრით თოფებს. (საჭირო დაშლას აპირებს).

**ვიქტორი.** ხალხო კიდევ გიმეორებთ, ერთობა, სიმტკიცე და ვაჟკაცობა დღეს გმართებთ ყველას. მთელი ქვეყანა იბრძვის და, რომ ვერ გავიტანოთ ჩვენი, შეუძლებელია! მაგრამ კარგათ უნდა იცოდეთ, რომ ეს საქმე მძიმე საქმეა და, სანამ ბოლომდე გავიღოდეთ, ბევრგვარი გაჭირვება შეგვხვდება, ბევრი ჩვენგანი კიდეც დაიღუპება, ხოლო უმსხვერპლოთ ამისთანა დიადი საქმე არ გაკეთდება. ვინც ხალხის საქმეს თავს შესწირავს, ის ბედნიერია, მისი სახელი უკვდავი და და-

უვიწყარი იქნება. („უნდა ეველაფერი ავიტანოთ,“ „რაც მოგზინა, მოგვიგა“, — „რადა საქმეში ჩევებით, კიდეც უნდა გავიტანოთ ბოლომდე, თუნდა ნახევარიც რომ დავითოდოთ,“ — ისმის ხალხში ხშები; ხალხი თანდათან იშლება და მიდის.)

**არჩილი.** რაზმელებო! მოიცადეთ! (ჟაზმელები რჩებან)

**ვიქტორი.** დარაჯებთან მოლაპარაკება მქონდა, მაგრამ იარაღის მოცემაზე ძალიან ვუარს არიან.

**არჩილი.** ხმასაც ნულარ გასცემ. არ გვაძლევენ ნებით? ძალით წავართმევთ! (რაზმელები იცინან; მოითბენენ ამ დროს რეშა და ილიგო.)

**რემა და ილიკო.** (ერთათ) სტრაჟნიკები მოდიან!

**არჩილი და ვიქტორი.** (ერთათ) სად არიან (რაზმელები შამოქაცევიან).

**რემადა ილიკო.** (ერთათ) ლელეში გამოვიდენ და ჩვენ აქთ გამოვიქეცით.

**არჩილი.** ბევრია?

**რემადა ილიკო.** (ერთათ) ბევრი უნდა იყოს.

**არჩილი.** (ბაჟშებს) კარგი ქენით, რომ შეგვატყობინეთ; თქვენ წადით ახლა ჩქარა, მარა წინ ნუ შეხვდებათ. (ბაჟშები შიდიან) ჩვენ დავიმალოთ ტყეში და თვალყური ვალევნოთ. თუ მოვახდერხოთ, იარაღი ლავაყრევინოთ როგორმე. (შიდიან ტყეში ფიცერიც მიაჭვთ; სცენა რამოდენიმე ხანს ცალიერია; შემ-ტყეში გამოჩენდებიან დარაჯები, დასხდებიან ხას ძირას, თოვებს მოი-დებ გამოჩენდებიან დარაჯები, ჭუდებს მოისდიან და თველს იწმენ-სინან და ხეზე მიაუღებენ. ჭუდებს მოისდიან და თველს იწმენ-დენ; ზოგი ძირს გაწვება გულაფშა, ზოგი დავდება ზოგი გშერ-დებე წამოწვება.

ერთი დარაჯი (გულაფშა გაწლილი) ექ, რა კარგია ახ-ლა, ერთი სამიოდე გოგო რო მოგვცა!

**მეორე.** პირს არ დაიწვამ! (იცინან).

**მესამე.** უე ოჯახქორო, რალა ინატრე, ბარემ სათითაოდ გენატრა ყველასთვინ?

**პირველი.** შენ სამი მოიყვანე და მე ყაბულს, ვარ. („ჩვენც ეაბულს ჭართ“ იძახის რამდენიმე).

**შესამე.** პატარა კიდევ მოიცადეთ და თუ არ მოგიყვანოთ, ბიჭი არ ვიყო.

**რამდენიმე ხმა (ერთათ)** საღიღან მოგვიყვან?

**მეორე.** ჩოხა დაუწიეთ მაგას, ჩოხა. ცოტა დიღი დატრაბახება მოუვიდა.

**შესამე.** ღმერთმა შეარცხვინოს, ვინცა ტრაბახობდეს! ვერ გაიგეთ, ჯარი მოდის! რაკი ისინი ჩამოვლიან, დავერევით სოფლის გოგოებს და ერთს აღარ გავუშვებთ. (სიცილია).

**პირველი.** (დიმილით) ხე, ხეეი! თუ ვუგე ანდერძი დათიას გოგოს, სწორედ მაშინ ვუგე! (რაზმეჭები უცებ გამოსტებიან ტეიდან შეექნებული თოვებით და შემოსვევიან გარშემო; უიქტორი დარაჯის თოვს წამოავდებს ხელს და შეაუქნებს; ზოგი დარაჯი წამოჭდება და ასე დარჩება შეშინებული; ზოგი ზეზე წამოსტება და იარაღიანებენ აპირებს გაქცევას, მაგრამ რაზმეჭები არ უშვებენ)

**არჩილი.** ადგილიდან არ დაიძრათ, თორემ სულყველის დაგხოცავთ!.. თქვე უსინიდისოებო! შერცხვეს თქვენი ულვაში და თქვენი ვაჟკაცობა! დაყარეთ ახლავე იარაღი!

**ერთი რაზმელი.** (აჩჩილს) იარაღი ხეზეა მიყუდებული, ავკრეფავთ. (აჩჩილი ხისაჲენ მიისედავს; რამდენიმე რაზმეჭი დარაჯების თოვებს აიღებს).

**ერთი დარაჯი.** იარაღის მოცემა არ შეგვიძლია. უიარალოთ როგორ მივიტეთ უფროსთან?

**არჩილი.** თქვენც ღმერთმა შეგარცხვინათ და თქვენი უფროსიც. გასწით ახლავე, რომ აქ აღარ დაგინახოთ და ღმერთს მაღლობა შეწირეთ, რომ ცოცხალი გაგიშვით.

**მრთი რაზმელი.** რომ დაგხოცათ, აქაურობას ააყროლებენ და ისევ ჩვენი გადასაყრელი შეიქნებიან! (რაზმეჭები იცინან).

**მეორე დარაჯი.** თოვები დაგვიბრუნეთ და პირობას გაძლევთ, რომ თქვენს წინააღმდეგ არ წამოვიდეთ.

**არჩილი.** პირობას ადამიანებს ართმევენ, თქვენ-კი განა ადამიანები ხართ? ამხანაგებო, თოფი ამათ, თუ ახლავე ას წასულან! (რაზმელები თოფებს შემდატრიალებენ; დარაჯები შიდიან და შიძმალებიან შალე. რაზმელები თოფებს ათვალიერებენ)!

**ვიქტორი.** იცით, ამხანაგებო! ეგენი ასე წელმოწყვეტილი მიდიან, რომ ბინაზე მალე ვერ მივლენ. ჩვენ გავსწიოთ ახლავე და უველა ერთათ დარაჯებს თავს დავეცეთ. იქ ახლა ბევრი ალარ იქნება და სულ უველას წავართმევთ თოფებს.

**არჩილი.** საუცხოვო აზრია! (ვიქტორს) აბა წაგვიძენი წინ! (შიდიან).

(ფარდა)

## მოშედება მისამა

(სცენა წარმოადგენს ათხილის სახლს. ოთახის შეს გულში გქელი მაგიდა დგას; გარშემო სხედან თხით ახალგაზრდა ქალი და თეთრეულის კერავენ. ერთ შესახებ სის ტახტებია; ერთ ტახტები თახასის გუთხესთან ქვეშაგებელი აწევია და ზევიდან ზეწარი აქვს გადაფარებული; კედელზე ტანისამოსი ჭკიდია. მეორე შესარეზე შეკავი დგას და ზანდებები. ოთახის ბუხარი აქვს და ერთი კარი ბალკონში)

**ერთი ქალი.** ჯარი ჩამოსულია, მართალია?

**მეორე.** მართალია, ქალი, მართალი. ასე ამბობენ თუ-რმე, სულ ერთიანად უნდა ავიკლოთ მთელი სოფლები, რომ ქვა-ქვაზე აღარ დავტოვოთ.

**მესამე.** ღმერთო, შე დალოცვილო, ნუ თუ სამართალი აღარ არის ქვეყანაზე?

**ნუცა.** სამართალი არსად არ არის, ჩემო საყვარელო არც ცაში და არც დედიმიწაზე. ღმერთს რომ სამართალი ჰქონდეს, აღამიანსაც გაუჩენდა სამართალს.

**პირველი.** მქადაგებელმა აკი გვითხრა: ნურავის იმედი ნუ გექნებათო, ისევ თქვენ მოინდომეთ, ისევ თქვენ იბრძოლეთ თქვენი თავისთვინ, თორემ სხვას არავის თქვენი ჯავრი არა აქვსო.

**ნუცა.** გაჭირვებულს სხვა ვინ გამოესარჩელება, თუ არა გაჭირვებული? თუ ისევ ჩვენ არ ვუშველეთ ჩვენს თავს, სხვა არავინ არ გვიშველის. (სიჩუმე ჩამოვარდება).

**მეორე.** მე ერთი რამ კარგათ არ მეყურება; სამართალიო, სამართალიო, ვიძახით და ზანდახან მგონია ჩვენც უსამართლოთ ვირჯებით.

**მესამე.** რაში გავისარჯეთ უსამართლოთ!

**მეორე.** აი რაში, ჩვენს ბატონს რომ მიწები და ტყეები წავართვით, ეს საღაური სამართალია? იმას თუ ვიტყვით,

რომ იმას მეტი აქვსო, დიდი და პატარა, მდიდარი და ლარიბი ღვთის გაჩენილია!

**ნუცა.** არა, დიდი და პატარა მდიდარი და ლარიბი ღვთის გაჩენილი კი არ არის, აღამიანის მოგონილია. ღმერთმა მიწა ყველასათვინ გააჩინა. რაც ჩვენ არ გაგვიკეთებია, ის ჩვენი საიდან იქნება? მიწა ჩვენი გაჩენილი კი არ არის, ღვთის გაჩენილია; ამიტომ მიწა არავის არ ეკუთვნის,—ის ღვთის არის, როგორც ჰაერი და წყალი და ამ ღვთის საკუთრება მიწით უნდა ისარგებლოს იმან, ვინც ამ მიწას მუშაობს. მერე გრიგოლი და სხვა იმისთანები თვითონ მუშაობენ მიწას? არა! მაშ ვინ მიცათ ამდენი მიწა? არავინ, თვითონ წაართვეს ღმერთსაც და კაცსაც, ლუკა პური გამოგვგლიჯეს ყველას. პირიდან და ხელში ჩაგვიყარეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიშრომოთ, ოფლი ვღვაროთ და იმათკი დიდ ქალაქებში იქეიფონ ხოლმე.

**მესამე.** მაგისთანა მართალი, ჩემო ხუკა, შენ არ გითქვამს. თუ ჩვენს ბატონსა და იმისთანებს ბევრი აქვთ, იმიტომ რომ იმათ სხვებს წაართვეს, ხალხს გამოგვგლიჯეს ხდიდან.

**ნუცა.** ახლა ეს მონები უნდა წაართვან ამათ და მისცენ ისევ ხალხს.

**მეორე.** არა, მართალია! დიდი უსამართლობა რავა არ არის, რომ ჩვენ პირში სული გვძვრება, ქათამი ვერსად გამოგვიშვია, ძროხა ვეღარ შეგვინახავს, ღორი ბაწრით გვიბია ხრიოვ მიწაზე და ჩვენი ბატონის ტყესა და სათიბებს თვალი ვერ გადუწვდება. სამართალით ეს ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს და არა იმას, მარა მეშინია, იმედი არ მაქვს, რომ ჩვენ ჩვენი გავიტანოთ.

**მესამე.** სამართალი პურს ჭამსო, არ გაგიგონია? რაკი სიმართლე ჩვენსკენ არის, კიდეც გავიტანოთ ჩვენ.

**მეორე.** განა აქამდინ კი ჩვენსკენ არ იყო სიმართლე, რომ ამდენი ხანია, სული გვხდება?

**ნუცა.** ჩვენსკენ რომ იყო, ჩვენ არ გვესმოდა. წელან შენც აკი ამბობდი: საღაური სამართალია, რომ გრიგოლს

მიწებს ვართმევთო. ახლა ჩვენ თვალები აგვეხილა და უნდა ვიბრძოლოთ, რომ ჩვენი გავიტანოთ.

**პირველი.** ნუცა, კი უნდა ვიბრძოლოთ, გენაცვალე, მარა გამარჯვების იმედი არა მაქ, არა!

**ნუცა.** ჩვენისთანა გაჭირვებულებით ქვეყანა სამსეა და, თუ კი ყველას თვალები აეხილებოდა, ყველა ხელს გამოილებს, კი-დეც გავიმარჯვებთ.

**მეორე.** შენ პირს შაქარი, თუ აგრე იქნა, მარა ვაი თუ სიკეთის მაგიერათ ჟუარესს დღეს შევეყაროთ.

**მესამე.** ბერი, აშაზე ვუარესი რაღა მოგვივა?

**ნუცა.** ერთბაშათ ლმერთმა ვერ გააკეთა ცა და ქვეყანა; ჩვენ რითი გავიმარჯვებთ ერთბაშათ? შეიძლება, ბევრი გაგვიკირდეს, ბევრ უბედურებას შევეყაროთ. მარა ბოლოს მაინც ჩვენი საქმე გაიმარჯვებს.

**პირველი.** ლმერთმა და ჩვენმა წმინდა გიორგიმ გისმინოს და ანგრე იყოს (უვეჯა თაგე ანებებს კერვას)

**ნუცა.** გავათავეთ, როგორც იქნა.

**მეორე.** მეტი აღარ არის შესაკერავი?

**ნუცა.** რავა არ არის, მარა სხვები კერავენ დღეს მოაგროვებენ ყველგან და ხვალ დილით უნდა წაილონ.

**პირველი.** სად უნდა წაილონ.

**ნუცა.** საცა ჩვენი რაზმელები იქნებიან, იქ უნდა წაილონ. იქ ფერშალი იქნება; იქნება დოსტურიც იშონონ; ქალები იქნებიან და დაჭრილებს მოუვლიან.

**მეორე.** (ტანში გააძოდგინებს) ლმერთო, შენ დაგვიფარე სისხლის ღვრისაგან.

**პირველი.** ასე ამბობენ, ქალებიც თან უნდა წაიყვანონ რაზმელებმაც, მართალია?

**ნუცა.** (სიცილით სეჭს წაკავავს) ქალებს იქ რა უნდა? მარა ზოგიერთი ქალები მოწყალების დათ მიღიან,—ისინი დაჭრილებს მოუვლიან.

**მესამე.** ვინ მიღის მერე?

**ნუცა.** ბარე ექვსი ქალი მიღის ამ ახლო-მახლოდან. ჩვენმა მასწავლებელმა-ნინამ მოიყანა ბარე ორჯერ დოხტური და იმან ასწავლ იმათ, როგორ უნდა მოუარონ დაჭრილებს.

**მეორე.** (ნუცას). შენ რომ იყო იქ, შეგიძლია მერე, დაჭრილებს რომ მოუარო? გული გიზამს?

**ნუცა.** როცა საჭიროა და სხვა გზა არ არის, კიდევაც უნდა შევიძლო!

**მეორე.** ნეტავი შენს გულს! მე რომ მომკლა, მაინც არ შემიძლია.

**პირველი.** ვთქვათ, ნუცა, სალდათი ნახე ძალიან დაჭრილი. შეუხვემ ჭრილობას და მოუგლი?

**ნუცა.** (ცოტა სწორი ფიქრის შემდეგ) შევუხვევ!

**სამივე.** (ერთათ) როგორ, ქალო, ჩვენს მტერს უნდა მოუარო?

**ნუცა.** სალდათს რა აქვს ჩვენთან სამტრო! ის იმისთანა ღარიბი გლეხის შვილია, როგორც ყველა ჩვენ; მარა ჩვენს წინააღმდეგ თუ მოღის, იმიტომ რომ არც ესმის და კიდევ ეშინია. როცა ის დაჭრილია, მაშინ მას აღარავითარი მტრობა და მავნებლობა აღარ შეუძლია და მხოლოთ შებრალების ღირსია.

**მესამე.** შენ ნამეტანი გულკეთილი ხარ, ნუცა! მე არა თუ ჭრილობებს არ შევუხვევდი, ჰეით თავს გავუხეთქავდი.

**ნუცა.** ახლა ამბობ ანგრე, თორემ დაჭრილი რომ ნახო, ღმერთმანი შეგეცოდება.

**მესამე.** არ შემეცოდება! ვისაც მე არ ვეცოდები, მე რათ შემეცოდება? ვინ მე არ შემიბრალებს, იმას მე რათ შევიბრალებ? (ზაუზა)

**პირველი.** როდის მიღიან ჩვენები!

**ნუცა.** დღეს, მართლა, არ დაგავიწყოთ: დღეს ნასაღილევს ჩემთან მოღით, ცხობაში მაშებმარეთ და მეზობლებსაც შეატყობინეთ, რომ საგძალი მოიტანონ, ვისაც მზათა აქვს.

**სამივე.** (ერთათ) როგორ დაგვავიწყდება? მოვალთ ყველა. (მეორე და შესამე ემშვიდობებიან ნუცას და შიდიან)

**მეორე.** (ჰირველს). შენ არ მოდიხარ?

**პირველი.** დავრჩები პატარა ხანს (ორი გავა)

**ნუცა.** (მიაძინებს) ნასადილევს მოდით, არ დაგავიწყდესთ.  
("არა, არა"—ისმის გარედან)

**პირველი.** შენ არ გეშინია, ნუცა? მე ძალიან მეშინია;  
გული მიძგერს, თითქოს რაღაც უბედურებას მოელისო.

**ნუცა.** ოც ლვთის ნებაა, უნდა გადაგვხდეს. აბა როდემ-  
ზინ უნდა ვიყოთ აშისთანა ყოფაში?

**პირველი.** ვაი თუ მაინც ვერაფერს გავხდეთ და ვუარე-  
სი უბედურება დავიტეხოთ თავს. ადამის დროიდან ასე მომ-  
დინარეობს სიმღიდრე სილარიბე და რითი მოესპობთ ახლა  
ჩვენ? განა მე კი არ მინდა, რომ მოისპოს,—მინდა, ნუცა,  
როგორ არ მინდა? მაგრამ მეშინია, თუ ვერ გავიმარჯოთ.

**ნუცა.** ლარიბები ბევრია, უფრო ბევრი, ვიდრე მდიდრე-  
ბი არიან. ლარიბები აქამდინ არ იბრძოდენ, ისინი ყველასა  
ემორჩილებოდენ, ყველაფერს ითმენდენ და იტანდენ და მდი-  
დრებმა ამასობაში ყოველისფერი თვითონ წაიღეს, ყველაფე-  
რი თავისთვინ მოაწყვეს და ჩვენ ალარაფერი აღარ შეგვარ-  
ჩინეს. მარა ჩვენსკენ სიმართლეა და ჩვენ გავიმარჯვებთ! მე  
ეს მჯერა, მრწამს და ამიტომ არც მეშინია.

**პირველი.** ნუცა, შენ იცი, მე ვინცა მყავს რაზმში! ის  
რომ მომიკლან, მითხარი, რაღა ვქნა, სად გადავვარდე? (ცოქ-  
ლები მთალებებს და თვალებს—იწმენდაჭავს)

**ნუცა.** ლმერთმა დაგიფაროს უბედურებისაგან, მარა სიკ-  
ვდილს ვერსად ვერ დაემალება აღამიანი. მე ერთათ ერთი ძმა  
მყავს; იმაზედ უძვირფასესს მე ვერავის დავკარგავ, მაგრამ  
თუ მას დიდი დღე არა აქვს, დევ ისევ სახალხო საქმისათვინ  
წააგოს თავი; საშვილიშვილოთ მაინც დარჩება: ხალხს შესწი-  
რა თავისი სიყმაწვილე სიცოცხლეო.

**პირველი.** შენ მართალი ხარ, ნუცა, მართალი, მარა  
აღამიანის ხელით მკვდარი მაინც სხვა ცეცხლია (წამოდგება  
და მიღის)

**ნუცა.** მოიცადე ამეებს შევინახავ და მეც წამოვალ. მეზობლებს უნდა ჩამოვუარო საგძლის მოსაგროვებლათ; ყველა შემპირდა: ჩვენ მოვატანთო, მარა მაინც სჯობია, ისევ მერომ მოვაკითხო. (ნაკერავებს აწეობს, მეორე თავასში გაიტანს, გამოვა და ერთათ გადიან სცენა რამდენიმე სანს ცალიერდა. შემდეგ შემოვჭერ დათაა და აფექსი, მიისედ-მოისედავენ და დასხვებიან შაგიდასთან)

**დათია.** შინ არავინ არ ყოფილა.

**ალექსი.** იმ ახალგაზრდას საქციელმა ეს მოხუცებულიც კი გაიტაცა.

**დათია.** განა ჩვენ ყველანი კი არ გაგვიტაცა? დაბეჭავებულ და საწყალ ადამიანს მართალი სიტყვა და მოქმედება ყოველთვინ გაიტაცებს. რა არის ჩვენი ცხოვრება? სისაწყლეში ამოვგდის სული; წელებზე ფეხს ვიდგამთ, ჩვენი ნაოფლარით ქვეყანა რჩება; თავადი გინდა, ჩინონიკი, მღვდელი, ერი, ყველას წვენ ვინახავთ, ჩვენ კი ლამის მათხოვრებათ გავხდეთ. ჩვენი სარჩო-საბადებელი მიწაა; მერე ვისა აქვს მიწა! ვისაც გინდა, ყველასა აქვს გლეხეცაცს გარდა. ღმერთმა რომ ადამი გააჩინა, მიწაზე დასვა და უთხრა: ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო; მიწა იმისია, ვინც ოფლს ღვრის შიგა გრიგოლს რათ უნდა მიწა? თვითონ მუშაობს თუ? ყველა ეს მიწა ჩვენია; ღმერთსაც და სამართალსაც ჩვენთვინ მოუცია, მარა ადამიანის უსამართლობას და გაუმაძლრობას წაურთმევია.

**ალექსი.** სამართალს თუ ჩვენთვინ მოუცია სად არის მერე?

**დათია.** მე სვინდისის სამართალზე ვამბობ, დაწერილ კანონებზე კი არა.

**ალექსი.** ღვთისა და ადამიანის კანონით მიწა ჩვენი უნდა იყოს, მარა თუ ღმერთმაც ხელი წაგვიმართა და ჩვენი საქმე მოვიგეთ, მეშინია: ვაი თუ ერთმანერთს დავერიოთ; ამ მიწების დაუმოუაზე ერთი ჩხუბი ატყდება ჩვენში, ზოგს ლკვეთესი შეხვდება, ზოგს ნაკლები.

**დათია.** უმაგისოთ არ იქნება, რომ ბევრი უკმაყოფილო არ გამოერიოს, მარა მოვრიგდებით ერთიმეორეში.

**ალექსი.** პატარა ხანს იქნება მოვრიგდეთ, მარა მერე ისევ და ვერევით ერთი-მეორეს.

**დათია.** რაღაზე დავერევით, შე კაი კაცო, თუკი მიწა უველას საქმაო გვექნება?

**ალექსი.** საქმეც მაგაშია, რომ არ გვექნება საკმაო.

**დათია.** რავა ლაპარაკობ, შე კაცო! აბა ჩამოითვალე, რაც ჩვენში სახემწიფო მიწებია! რა უნდოდა ჩვენში სახემწიფო მიწებს? მარა აგვიტეხდენ საჩივარს, კანონი მათი დაწერილია და იმათკენ წყვეტავდა; დღეს ერთი წაგვართვეს ასე, ხვალ მეორე, ზეგ მესამე და ასე გაჩნდა სახემწიფო მიწები. აბა ეს მიწები დაურიგე ხალხს, მიუმატე ეკლესიისა და მონასტრების მიწები, სანადელო მიწები; ჩამოართვი მიწები უველას, ვინც თვითონ არ მუშაობს და მიეცი ესეც ხალხს და მაშინ ნახავ, თუ ერთი მიწის მუშა დარჩება რმისთანა, რომ საყოფი მიწა არა ჰქონდეს.

**ალექსი.** მაგაში შეც გეთანხმები, რომ არ დარჩება, მარა დროს უყურე, დათია, დროს დრო გეივლის, ზოგი ძალიან მომრავლდება, ზოგი არა; ზოგი მუყაითობით კიდევ შეიმატებს, ზოგი სიზარმაცითა და ბედოვლითობით კიდეც დაკარგავს და მაშინ ისევ ხელახლა ატყდება ჩხუბი.

**დათია.** არა, ალექსი! თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა, ისე გამოვიწყობთ ამ საქმეს, რომ ბოლოს ისევ სადავიდარაბოთ არ შეიქნეს.

**ალექსი.** ახლა ზოგი გლეხებს კითხე, რას ლაპარაკობენ!

**დათია.** რას ლაპარაკობენ?

**ალექსი.** რასა და ერთმანეთში უნდა დავიყოთო! ცოტა იყოს და ჩემი იყოსო; სხვის ხელში არ გვინდაო, გვეყო სხვის ხელში ყურებაო. (შემოდის თოშა, ხელს ართმევენ).

**ალექსი.** სად იყავი, თოშა? ამდენი ხანია გიცდით!

**თოშა.** მეზობლებში გადავედი, პატარა საქმე მქონდა:

**დათია.** როგორ მიღის, თომა, ჩვენი საქმე?

**თომა.** ღმერთი მოწყობეა, არა გვიჭირს რა.

**ალექსი.** გავიტანთ ვითომ ჩვენსას?

**თომა.** დღეს თუ ვერ გავიტანთ, ხვალ ხომ გავიტანთ, ზეგ ხომ გავიტანთ! სიმართლე ჩვენსკენ არის და, როცა იქნება, გავიტანთ,—საქმე მეცადინობა და მონდომებაა მხოლოდ.

**დათია.** სიმართლეც ჩვენსკენ არის და ძალაც. ქვეყნიერობა სულ გლეხი-კაცით არის სავსე და, ჩვენ თუ ერთი პირი გვექნება, რასაც მოვინდომებთ, იმას გავიტანთ.

**ალექსი.** საქმეც მავაშია, რომ ერთი პირი არა გვაქ-რამდენია ჩვენში, რომ ამ საქმის წინააღმდეგია, მარა ეშინიათ და მიტომ მოღიან ჩვენთან; ერთი თუ წავიფორხილეთ, უმალ ესენი შამოგვაქცევენ ზურგს.

**დათია.** უბრალო საქმე რომ გქონდეს სადაო, იმას ვერ მოიგებ ერთბაშათ და საქვეყნო საქმეს, ამოდენა საქმეს უცებ ვინ გააკეთებს? ერთი-კი არა შეიძლება ორიც და სამიც წევი-ფორხილოთ, მარა ისევ ზეზე უნდა წამოვდგეთ, ისევ წელში უნდა გავიმართოთ და არ გავტყდეთ,—მაშინ გავიტანთ საქმეს.

**თომა.** ბავშვი თუ წაქცევას შეუშინდა, დიღხანს ვერ იდგამს ფეხს. არც ჩვენ უნდა შევუშინდეთ. წაფორხილებას; წაფორხილებაც სარგებლობას მოგვიტანს: ერთხელ და ორ-ჯერ რომ წავიფორხილებთ, მერე უკეთ გავივლით. იმას მაინც გავიგებთ, ვისი იმედი უნდა გვქონდეს ამ საქმეში და ჟისი არა.

**ალექსი.** დაიხსომეთ ჩემი სიტყვები, --თუ ერთი წევი-ფორხილეთ ისევ ჩვენი გლეხეკაცები გამოვლიან ხულიგანებად და ჯაშუშებათ.

**თომა.** სირცხვილი იმისთანა გლეხეკაცს, რომელიც ჯაშუშობას დაიწყებს. თავადობამ და აზნაურობამ რომ გვიჯაშუშოს, კიდევ მესმის, ჯაშუშობაში გამოცდილი არიან და მტრულადაც გვიყურებენ, მარა, გლეხეკაცებმაც თუ ჯაშუშობას მიჰყვეს. ხელი, ეს თავის მოჭრაა.

**დათია.** ჯაშუშობას მიჰყოფენ ხელს და ჩვენც ხოცას მივყოფთ ხელს.

**ალექსი.** რამდენ ერთს დახოცავ?

**დათია.** რამდენც იქნება, იმდენს დავხოცავ. ოც უფრო გეიწმინდება სოფელი, მით უკეთესია, მით უფრო კარგად. გაკეთდება სასოფლო საქმე. ამისთანა დროს ვინც ჩვენ გვიღლატებს და ჩვენს მტერს მიუდგება, ის ძალივით უნდა ჩაკლა, საცა მოასწრებ. ქვეყანა მაინც გეიწმინდება ავი კაცისაგან და ესეც კაია.

**ალექსი.** შე კაცო, ჩვენი კაცი თუ გიჯაშუშებს, არ ესმის, შეუგნებელია და იმიტომ გააგებიე, შეასმინე...

**დათია.** (გააწევეტინები) აწი, ჩემო ალექსი, შესმენის დრო აღარ არის! ჩვენი საქმე დღესავით ნათელია და ვინც ამას ვერ ხედავს, იმას ვეღარაფერს შეასმენ აწი. ჩვენ თუ იმას გიყურეთ, სანამ ყველა არ გამეცნიერდება, ვეღარაფერს ვეღარ ვლირსებივართ და ეს არის!

**ალექსი.** აპა, შე კაცო, მოკვდეთ ქათმებივით ვხოცოთ ერთმანერთი!

**დათია.** ვინც მოღალატეა, ვინც ჯაშუშია, გლეხი იქნება, თუ თავადი, სულ ერთია უნდა მოკვდეს. მოთმინებით, პატიებით და გულკეთილობით ამისთანა დიდი საქმე არ გაკეთდება. სულაც მოთმინებამ და პატიებამ დაგვლუპა ჩვენ და დროა, თვალი ავახილოთ.

**თომა.** კაცის მოკვლა ცუდი საქმეა, საზიზღარი საქმეა, რაც უნდა წამხდარი იყოს ადამიანი, იმდენ მავნებლობას ვერ მოიტანს, რომ სიცოცხლეთ ღირდეს: სიცოცხლე არ დაფასდება და არავის არა აქვს უფლება, ადამიანს სიცოცხლე წაართვას, მოუსპოს, მარა საქმე იმაშია, რომ ჩვენი მტერი ჩვენ არასფერში არ გვზოგავს, სიცოცხლეს გვისპობს და, რაკი ბრძოლა დავიწყეთ, უთუოდ იმ იარაღით უნდა ვიბრძოლოთ, როგორითაც ჩვენ გვებრძვიან; როგორც ჩვენ არ გვზოგავენ, ისე არც ჩვენ უნდა დავზოგოთ; როგორც ჩვენ

არ გვიბრალაბენ, არც ჩვენ უნდა შევიბრალოთ; ისე გამარჯვება არ შეიძლება, თორემ ვინ იტყვის, კაცის მოკვლა მოსაწონი საქმეაო.

**ალექსი.** ეს მართალია. მარა დაშინება ადამიანს ვერ გაასწორებს.

**დათია.** ჯაშუშს ვერც კარგად მოპყრობა გაასწორებს და მე ოომ მკითხო, ისევ ის ჯობია, რომ გლეხვაცი შიშის გამოისობით სიგლახს ვეღარ ბედავდეს, ვიდრე არაფრის არ ეშინოდეს და თავაშვებული ჩაღიოდეს ათასგვარ სისაძაგლეს. საცა ნახო ჯაშუში, ყველგან უნდა ჩააძალოო, ყველგან! აქმდინ ვაფრთხილებდით ხოლმე: გასწორდი, თორემ მოგკლავთო; ახლა გაფრთხილებაც მეტია. რა საჭიროა გაფრთხილება, ან რა აზრი აქვს ამ გაფრთხილებას? ჯაშუშობა და იუდათ გახდომა რომ საზიზღარი და ლვთის წინააღმდევი საქმეა; ეს ყველა ქრისტიანმა უნდა იცოდეს და ვინც არ იცის, ამას ვერც გაფრთხილება გაასწორებს.

**ალექსი.** ჩვენ მუსაიცს გავყევით და ჩვენი საქმე-კი დაგვაგიწყდა! (თომა ადგება და ჰატარა თაახის კარგისაკენ მიდის) თომა, შენ სულიათ ხარ ამორჩეული.

**თომა.** (შედგება და მოიხედავს) რა საქმეზე? (გაბრუნდება და გავა, მალე შემთბრუნდება ჰურით, ბითლით და ჰატარა ჭირით ხელში) თითო არაყი დავლიოთ. (ასხამს და აწვდის ალექსის) ლმერთმა ააშენოს ახალთაობა. ამისთანა უსამართლობა გრახავთ? შენი ჭაჭა გაქვს და კანონი ნებას არ გაძლევს იქიდან არაყი გამოხადო და დალიო. ეს არის სამართალი? აი ასე იწერება ყველა კანონი. წინეთ ოტკა რომ გამომეხატა, შუალამისას უნდა დამეღვა ლელეში ქვაბი და აქეთ-იქით ყარაულები დამეყენებია, ახლა გუშინ დილას გამოვხადე ჩემს სახლში.

**ალექსი.** (ჭიქას ართმევს) ლმერთმა ხელი მოვვიმართოს და ჩვენს საქმეს გაუმარჯოს! გაგიმარჯოს თომა! (სუამს, ჭიქას მისცემს; თომა დითიას დაუსხამს).

**დათია.** ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს საქმეს! (სვამი).

**ალექსი და თომა.** (ერთათ) ამინ, ღმერთმა გისმინოს.

**თომა.** (დაისხამს) ღმერთმა უწინამძღვროს ჩვენს საქმეს.

(სვამი და დაუსხამს ალექსის, შენის მოსტენების უკელა და ატანებას).

**ალექსი.** მეყოფა, თომა, დავთვრები.

**თომა.** აჲ, ეს ბოთლი უნდა გამოვცალოთ!

**დათია.** შენც არ მომიკვდე! ეგ თუ გამოვცალეთ, ჩვენი გარჩეული საქმე კაპიკათ აღარ ეღირება.

**ალექსი.** (ჭირა გამოართშევს) კაი ოტკაა, მარა მეტი მოგვივა. ორნახადი იქნება.

**თომა.** სწორედ ორნახადია.

**ალექსი.** ღმერთმა ხელი წაუმართოს შენს ვაჟიშვილს საქვეყნო საქმეში და დააბოლოებიოს კარგათ. (სვამი).

**თომა.** მადლობელი ვარ. ნეტავი ქვეყანას გამოაღებოდეს და... (დაუსხამს დათიას).

**დათია.** ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს არჩილი, იმისთანა ახალგაზრდა ბევრი დაბადოს ჩვენში. (სვამი).

**თომა.** (დიმიდით). თქვენი თავი უცოცხლოს ღმერთს. (დაისხამს) მადლობა მომიხსენებია, მადლობელი ვარ. (დაუსხამს ალექსის).

**ალექსი.** (იქით იწევს) აჲ, შენც არ მომიკვდე! დავთვრები, ღმერთს გეფიცებით, ძალიანი მაგარია.

**თომა.** თითო კიდევ და მეტს აღარ დაგაძალებთ.

**დათია.** (ალექსის) სამებით არის ღმერთი, თითო დავლიოთ კიდევ.

**ალექსი.** (აიღებს ჭიქას) სამი სახარება იყოს ამ ოჯახის შემწე! სამება გვწყალობდეს! (სვამი).

**თომა.** თქვენიანა! (უსხამს დათიას).

**დათია.** სამებამ წაუმართოს ხელი უველა გაჭირვებულსა და გაჭირვებულის ქომაგს (სვამი).

**თომა.** (დაისხამს) სამება და სამი სახარება იყოს ჩვენი

უემწე! (სვამს და ბოთლს გადადგამს. პო, რა საქმეზე ამბობდი შენ წელან?

**ალექსი.** ომან მაჭავარიანს ვენახი წართვა ალფეზა ჩიხლაძემ: ჩემი ძველის ყოფილაო, და ახლა ჩვენ მოგვმართა იმ კაცმა: გაარჩიეთ ეს საქმე და, მტკუანი ვარ, მართალი, თქვენ გამასამარლეთო.

**თომა.** მერე მე რა შუაში ვარ?

**ალექსი.** ალფეზა ჯერ ვუარზე იყო, სამედიატორო სამართალზე არ თანხმდებოდა და ბოლოს ხალხმა დაიყოლია. ჩვენ ორი ამოგვირჩია ორივემ და ჩვენ კიდევ შენ გირჩევთ მესამეს. სამივეს გადაწყვეტილებას დაემორჩილებიან ორივე:

**თომა.** რომელ ვენახზე აქვთ დავა?

**ალექსი.** რომელი ვენახი აქვს ომანს? ერთი აქვს — ორი კოკა ღვინო არ მოუვა შიგ.

**თომა.** ამ ჩემ მახსოვრობაში ის ადგილი ომანის მამასა და პაპას ეკუთვნოდა და არც ერთხელ არ გამიგონია, რომ ალფეზას ძველებს იქ რაიმე წილი ქონდესთ.

**ალექსი.** მეც ასე ვიცი, მარა აქამ და წართმევა შეიძლებაო, გაკითხვა აღარ არის. ჩვენ შორის ვთქვათ, ომანის წანაგლეჯი ვის შეერგება? შიმშილით ეხოცება ცოლშვილი. ამისთანა გალატაკებულ აზნაურებილებს თუ გულზე ხელს არ ავკრავთ, ღმერთი, რჯული და ხატი, ისინი ჩვენსკენ გადმოვლიან. (თომას) მე და დათიამ გამოვკითხეთ ომანსაც, ალფეზასაც და მოწმეებსაც; მარტო ერთმა თქვა: ეს ადგილი ალფეზას ბაბუამ ომანის ბაბუას ხარში გოუცვალაო, თორემ სხვა უველა იმას ამბობს, რასაც შენ.

**თომა.** არავისგან არ გამიგონია, რომ ალფეზას ბაბუას ხარში გაეცვალოს ომანის ბაბუისათვის ის ადგილი, მარა კი-დეც რომ გაეცვალოს, შე კაცო, ახლა წართმევა რა სამართალია,—ნებაყოფლობით გაუცვლიათ.

**ალექსი.** მაშინ ხარზე მეტი არც კი ელირებოდა ის ადგილი, მარა ახლა ვენახია ზედ და მეტი ღირს. შენ რას იტკვი, დათია?

**დათია.** რა უნდა ვთქვა? საქმიდან ომანის ჩანს ის ვენახი და, რომ წავართვათ, ესეც უსამართლობა იქნება. რომ შეძლება ჰქონდეს, არ მოგიკვდეს ჩემა თავი, მე ის არ დავზოგო; როგორც იმათ გვწოვეს ჩვენ აქამდე სისხლი, ისე უნდა ამოვწოვოთ ჩვენც ახლა; აქამდინ ისინი გვაჯდენ კისერზე, — აწი ჩვენ უნდა დავაჯდეთ, მარა არაფერი გააჩნია, ცოლშვილი შიმშილით ეხოცება და ამისთანა კაცს რომ პირაქეთ წავართვათ კიდე, საცოდაობაა.

**ალექსი.** ევალ უქმეა. ეკლესიაზე იქნება ორივე. იქ ხალხის თანდასწრებით ვუთხრათ ჩვენი განჩინება და მოვარიგოთ ერთმანეთში.

**თომა.** ასე ვქნათ (ალექსი და დათია ემშვიდობებიან და მიდიან) მოდი, თითო კიდე დალიეთ ამ წასვლისას

**დათია და ალექსი.** (ერთათ) აჲ, აჲ, შენც არ მამიკვდე! (გადიან, თომა კამოტრიალდება)

**თომა.** (ჩაფიქრებული) მძიმე -საქმე გამოვიწყეთ და რავა წავა ჩვენი ბედი, ვინ იცის. რავარც უნდა წევიდეს, ნათქვა-მრა: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო. თუ საქმე ვერ გავიტანეთ, დავიხოცებით მაინც და საშვილიშვილოთ ხომ დარჩება: ეს და ეს კაცები იბრძოდენ გლეხ-კაცის ბედისწერისათვის და სახელოვანათ დაიხოცენო. მე ხომ მოხუცი ვარ! მე ავიღებ თოფს ხელში, მე დავუხვდები მტერს, ვაი რომ თვალი აღარ მიჭრის! რა არის სიკვდილი? ადამიანი ერთხელ დაიბადება, ერთხელ უნდა მოკვდეს და ძალურათ სიცოცხლეს განა სიკვდილი არა სჯობია? რა ცხოვრებაა გლეხკაცის ცხოვრება? ტანს ჩვენ არ გვაცვია, ფეხს არ გვაცვია, სახლი ჩვენ არ გვაქვს, საჭმელი, სწავლას ჩვენამდე არავინ უშვებს; სიბინძურე, სიჩეგვნე, საბეჭავე, შიმშილი, სიცივე — აი ჩვენი ცხოვრება. ახლა ამას დაუმატე ათასი შევიწროება. პრისტავმა რომ ცხვირიდან სისხლი გვარინოს, ხმას ვერ ამოვიღებთ; (დაბალის სმით) რა პრისტავი, უბრალო მურტალ სტრაფნიკს ნება აქვს, ყრილობაში გაგვამათრახოს.

ყველა ისე გვიყურებს, როგორც პირუტყვებს, და ყველა ტყავს გვაძრობს. პირუტყვს დაზოგვენ, ჩვენკი არავინ არა გვზოგავს... ეეს, განა ვართკი დაიაზოგავი? ის ადამიანი, რომელსაც იმის მოთმენა და ატანა შეუძლია, რაც ჩვენ მოგვითმენია და აგვიტანია, პირუტყვია, ნამდვილი პირუტყვი, ადამიანმა თავისი ლირსება არასოდეს არ უნდა დაჭკარებოს,—ლირსება სიცოცხლეზე ძვირფასია; თუ ლირსება არ მექნება, თუ ჩემი პატივის ცემა აღარავის ექნება, ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია. ყოველგვარ დამცირებას და დაბრიყვებას ვიტანდით და ვიტანთ; პირუტყვით გვეპყრობიან და ვითმენთ; ძალურათ ვცხოვრობთ და კმაყოფილი ვართ,—ვიღას ექნება ჩვენი პატივის ცემა? ადამიანური ლირსება დავკარგეთ, მონებათ გავხდით, ფეხქვეშ ვათელვინეთ ყველას თავი და ჩვენზე ყველაფერი ახია... ძლივს შეგვაგნებიეს ჩვენი მდგომარეობა, აგვიხილეს თვალები და დაგვანახვეს ჩვენი დამცირება, გათახსირება, გაპირუტყვება და, თუ ადამიანური სული კიდევ შეგვრჩენია, თუ მონობისა და დამცირების ულელს მთლათ არ ამოუშლია ჩვენში თავმოყვარეობა, უნდა ვიბრძოლოთ, სანამ ყველა არ გავწყდებით და ადამიანურ ცხოვრებას არ მოვიპოვებთ! (შემოდიან არჩილი და ვიქტორი შეარჩე თოფით).

**არჩილ.** გამარჯობა, მამაჩემო (ხელს ართმევს).

**თომა.** ღმერთმა გამარჯვებით გარონიოთ, შეილო! (არჩილი თოფს მთისსინის და მთაუყდებს, ვიქტორიც თომას მიესალმება და თოფს მთისსინის)

**თომა.** (ვიქტორს) ძალიან დაღალულები იქნებით.

**გიქტორი.** (დიმილით) მივეჩვიეთ და აღარ ვიღალებით.

**თომა.** მაგას მიჩვევა არ ჭირდება, თქვენკი გაგიჭირდებათ, მარა თქვენისთანა შეილი უნდა გამოაღეს ქვეყანას, თორემ ჩვენ აპა რა შეგვიძლია-შეუსმენელ ხალხს. (შამოვა ნუცა და ხელს ართმევს ორივეს).

**არჩილი.** ნუცა, თუ გიყვარდე, მოგვიტანე რამე, თორემ მთელი დღე არაფერი გვიჭამია.

**ნუცა.** ახლავე. (გატრადდება და გავა).

**თომა.** ხალხის სამსახური მძიმე საქმეა, მარა სამადლო და სასახელო საქმეა. (ვიქტორი) თქვენისთანა კაცებს რომ არ აეხილათ ჩვენთვინ თვალები, რა ვიცოდით, რა გვესმოდა? ვისაც მეტი ნაყმევი ყავდა ან მეტი ჩინები ქონდა, პირველი კაცები ისინი გვეგონა, იმათგან გამოველოდით ხსნას და შველას. ასეა,— რაც არ იცი ადამიანმა. ახლა სოფელმა გაიგო პატარ-პატარა, ბეჭრს მიხედა, ბევრი შეიგნო, მარა ჯერ დიდ-ხანს უნდა კიდე მეთაურობა და გზის ჩვენება. ამისთანა დიდი საქმე რომ უცებ არ გაკეთდება, ეს-კი ვიცით, მარა გვიან იყოს, ოლონდ გვეშველოს რამე.

**არჩილი.** თუ მოვინდომებთ, გვეშველება, თუ არა და მზა-მზარეულად არაფერი არ მოგვერთმევა, მამა ჩემო! (ნუცა სუვისა გაშლის, შამთაქვს საჭმელები და სასმელი და გავა).

**ვიქტორი.** ხალხის მტრების ძალა ხალხის უვიცობაა, შეუგნებლობა, ხალხი რომ შეგნებული იყოს, ვინ რას გაუმაგრდება? თავი და თავი საქმე შეგნებაა! რაკი ხალხი შეიგნებს, ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე, რაკი ხალხი დაინახავს, როგორია აღამიანური ცხოვრება და ვინ უღობავს მას გზას ამგვარი ცხოვრებისაკენ, შეგნებას ბრძოლა მოყვება, რადგანაც უბრძოლველად არც ერთი ბატონი არ იტყვის ვუარს ბატონობაზე და, რაკი ერთხელ ხალხი ამხედრდება და ბრძოლას დაიწყებს, როცა იქნება, გაიმარჯვებს კიდეც. ჩვენს ხალხში შეგნება თანდათან ძლიერდება და აი ეს შეგნებაა თავდები ჩვენი გამარჯვებისა.

**არჩილი.** მოდი, ვჭამოთ რამე პატარა, თორემ საცაა, რაზმელები მოვლენ და მალე უნდა წავიდეთ. (სუვისა მოუსხდებან და ჭამას იწეუბენ) შენ არ გინდა, მამაჩემო?

**თომა.** არა, შვილო! შეექცით; მე არ შეგიშლით ხელს ჩემი ბჟუტურით. (გადის).

**ვიქტორი.** ერთი ეს მითხარი, რომ არ გამოგვევენ, ან მალე დაგვეწიონ, ხომ ჩაიშალა მთელი ჩვენი გეგმა?

**არჩილი.** ეს შენზეა დამოკიდებული. ისინი დაბანაკებული არიან საბურთალოზე. ნახვარ ვერსს რაღაი გამოცილდებით, იწყება ხრამის ხეობა. აი ამ ხეობაში ვიქნებით ჩვენ დამალული. თავში და ბოლოში ბომბის მტყორცნელები გვეყოლება. შენ უნდა წახვიდე ორმოცდაათი კაცით და სროლა აუტებო; სროლითვე უკან უნდა დაიხიო, ისინი დაგედევნებიან; როგორც-კი შამოხვალთ დანიშნულ წრეში,—ამას იქ დავიშნავთ კიდე კარგათ, რომ არ შეგეშალოსთ,—თქვენ მაშინათვე ტყეში უნდა გაიჭანტოთ. ჩვენ მათ შუაში ჩავიმწყვრევთ და ჯერ ბომბებს დაუშენთ ორივე მხრიდან და მერე თოფით მოვდგებით. თუ შენ შენი საქმე კარგად შეასრულე, გარწმუნებ, ერთი კაცი ცოცხალი ვერ გაბრუნდება უკან. მერე იქიდან პირდაპირ ბანაკზე უნდა მივიტანოთ იერიში.

**ვიქტორი.** ჩემი საქმე მაინცა და მაინც ძნელი არ არის. თოფის მანძილზე არ მივალოთ და წრეში უთუოდ შემოვაწრებთ.

**არჩილი.** წრეშიც უნდა შემოასწროთ და ტყეში დამალეაც უნდა მოასწროთ, თუ ორივე ეს ვერ შეასრულეთ, ყუმბარებს ველარ ვიხმართ,—თქვენ ხომ ვერ ამოგხოცავთ,—პირველ სროლაზედვე მიგვიხვდებიან და ხელიდან გაგვისხლებიან.

**ვიქტორი.** შენ ფიქრი ნუ გაქვს. წრეში უსათუოდ შემოვასწრებთ და მერე, ტყეს როგორც მივცემთ თავს, სროლის ავუტეხთ; ჩვენი სროლის შემდეგ თქვენ დაუშენთ ყუმბარებს, გზებს შევუკრავთ და დავესევით ყველანი ერთათ. (შამოვა ერთა ჯაზმელი და ხელს ართმევს თრივენ).

**არჩილი.** სხვები მოვიდენ?

**რაზმელი.** ეზოშია ბევრი; სხვებიც მოდიან. (უფუძლის შემდეგ) ცოტა საქმე მაქვს შენთან..

**არჩილი.** რა საქმე გაქვს, —თქვი.

**რაზმელი.** (მორცხვათ) დას ვათხოვებ ზეგ და არაფრით არ მოხერხდება, ახლა რომ წამოვიდე; სხვა დროს რომ ყოფილიყო, რავა გეტყოდით ვუარს!

**არჩილი.** (გუდშასული) მოიტა თოფი! (ართმევს თოფს) თოფი რა შენი საქმეა? თითისტარი უნდა გეკავოს ხელში და ბამბას ართამდე, თქვი პირდაპირ: მეშინიათქო, რაღა ტყუ-ილს ჩმახავ?

**რაზმელი.** ღმერთმანი, დას ვათხოვებ, თორემ...

**ვიქტორი.** კარგი, კარგი, წალი! (რაზმელი კადის).

**არჩილი.** ერთი მითხარი, სიკვდილის ღირსი არ არის მაგისთანა კაცი? ვინდა ვიშონო ახლა?

**ვიქტორი.** ახირებული ხარ: შენ გინდა, რომ ყველა გმირი იყოს. (შემოდის თომა).

**თომა.** შვილო, რაზმელებით ეზო სავსეა; შამოვიყვანოთ, პატარა ვაჭამოთ ახმე!

**არჩილი.** ჭამის დრო აღარ არის, მამაჩემო! სახლში ჭამდენ, უნდა წავიდეთ ახლა.

**ვიქტორი.** (თომას) ამ ცოტა ხანში უნდა გადაწყდეს ჩვენი ბელილბალი. ან გავიმარჯვებთ, ან დავმარცხდებით.

**თომა.** ღმერთმა გამარჯვებით გარონიოსთ ყველგან. (შემოდის მეორე რაზმელი და ხელს ართმევს უველას).

**რაზმელი.** (ვიქტორს) ყელი რომ გამომჭრათ, დღეს არ შემიძლია წამოსვლა.

**ვიქტორი.** რატომ?

**რაზმელი.** ნათლობაში ვარ დაპატიჟებული ხვალ; შევ-პირდი კაცს და, რომ არ წევიდე ახლა, აღარ მოხერხდება.

**თომა.** ამისთანა თოფი კაცს ჰქონდეს და ხელიდან გაუ-შვას?! ეეხ! (ხელს ჩაქნევს; ამ ღრცეს ისმის გარედ ანჩილის ხმა: ამსანაგებო, ზოგიერთი რაზმელი წამოსვლაზე უარს აცხადებს, ნათ-ლობაში ვარ დაპატიჟებულით—ისმის რაზმელების სიცილი— დას ვა-თხევებო, ისმის სარსარი—თუ ვინმე მიღის კიდევ ნათლობაში ან ქორწილში, ახლავე თქვით და წადით ბარებ. ისმის რამდენიმე ხმა: „დედა შეერთოს ცოლათ, ვინც საერთო საქმეს უდალატოს“! არჩი-ლი შემობრუნდება მეორე კარებიდან შემოვა ნუცა).

**ნუცა.** საგძალი რითი მიგაქვთ?

**არჩილი.** წავილებთ. მამაჩემო, აბა ახლა წავალთ! შენ მაგრათ იყავი, ფიქრი ნურაფრისა გაქვს!

(კოცნის მამას და დას; ჭიქტორი სელს ართმევს ორივეს) მამაჩემო, პატარახანს უკან ურემი მოვა აქ და, რაც საგძალი იქნება, ზედ დაუწყვე და გამოატანე (დატოვებული თავუბი შიაჭეს არჩილს და გადაან უველა. რამთდენიმე სანს შემდეგ დაიგუგუნებს ქართული მარსელიეზა, სიმღერა თანდათან შორდება. შამობრუნვება თოშა თვალების წმენდით, მუხლებზე დაწვება და სელებს შაფლა ადაპურობის).

**თომა.** ღმერთო ძლიერო, ღმერთო გაჭირვებულისა და ქვრივობლის მფარველ-პატრონო! შენსგან გაჩენილი გლეხ-კაცი შეგვიბრალე! გვაკმარე ამდენი ტანჯვა, ამდენი დაჩავ-რა, დამცირება და მონბა! შენ მოგვხედე და წაგვიძეხი წინ მტერზე გასამარჯვებლად! (მარსელიეზას ხმა სულ შერთალათ მოისმის შორიადან. თომა ადგება, გაივლ, — კამთვდის რთახში, შემ-დებ შედგება ერთ ალაგის და ჩაფიქრებული ერთ წერტილს დაჩე-რებია ძირს. ასეა რამთდენიმე სანს გაჩერებული. შემოვა ბალეონის-კარებიდან ნუცა და უკან ქალიშვილები და ემაწვილი ბიჭები მო-უვებდან გადაიგრებული გობებითა და სონჩებით).

**ნუცა.** აქეთ წამოილეთ, აქეთ! (გაფავს შეორე ფთხებში, რამთდენიმე ხნის შემდეგ შემობრუნდებიან უკან ცალერი კობებით და სონჩებით).

**თომა.** ეს რა მოგვიტანეთ, შვილებო?

**ერთი ქალიშვილი.** საგძალია, ბიძია, ჩვენი რაზმელები-სათვინ.

**თომა.** თუ ამდენი საგძალი გაატანეთ, ისინი ქეიფს მო-უვებიან და მტერი სულ დაავიწყდებათ.

**ერთი ბიჭი.** არ დაავიწყდებათ, კაი ბიჭები არიან!

**მეორე ქალიშვილი.** ჩვენი ნატერა, ჩვენი სურვილები, ჩვენი ლოცვა სულ შეგ არის ჩამცხვარი და, ვინც იმას შე-კამს, ერთი ათათ მოემატება ჯანი და გაბედულობა.

**თომა.** ხომ არ გეზარებათ საგძლის მზადება? კიდევ ბევრი დაჭირდებათ.

მესამე ქალი. როგორ დაგვეზარება, რასა ბრძანებთ?

**პირველი.** ნეტავი-კი გავიმარჯვებდეთ და თუნდა მთელი წელიშადი დღე და ლაშე ვაცხობთ.

თომა. ძალიან გინდათ, რომ გავიმარჯოთ?

**პირველი ქალი.** სხვა რაღა გვინდა? ჩვენი ცხოვრება რა ცხოვრებაა? კაი ცხოვრება, ადამიანური ცხოვრება რა არის, ჩვენ არ ვიცით. სიღარიბეში და უცოდინარობაში სული ამოგვდის და ამას ვინდა ჩივის? ყველა ჩვენ გვავიწროებს, ყველა ჩვენ გვამცირებს, ყველა ჩვენ გვჩაგრავს.

ერთი ბიჭი ძაღლსაც-კი ყავს ქომაგი და მფარველი; ჩვენი მფარველი და მოსარჩევ არავინ არ არის; ყველა ჩვენი ბატონია და ჩვენ ყველასი მონა.

თომა. ჩვენი მფარველი და მოსარჩევე, ჩემო შვილებო, ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ. კარგათ გაახილეთ ახალგაზრდებმა თვალები და დაინახეთ, რომ ყველა ჩვენი მტერია. ჩვენ მოხუცებულებს არაფერი გვესმოდა, ყველას ფეხქვეშ ვეგებძით და ძაღლურათ გავატარეთ ჩვენი წუთი სოფელი. თქვენ მაინც იცხოვრეთ ბეღნიერათ ერთობა, ერთობა და გულადობა! საკირეში რომ ფეხით ჩაგკიდონ, მაინც არ უნდა გაგიდრკეთ გული და მაშინ საჭმეს გაიტანთ. იბრძოლეთ, შვილებო, იბრძოლეთ! მორჩილებითა და მუდარით რომ რამე შეგვეძინა, აქამდე ჩვენს ბედს შალლი არ დაჰყევდა. ჩვენოდენა მორჩილება და მუდარა ვის გამოუვლია, მარა ხომ ხედავთ: ყველას სული გვხდება. ჩვენ მოხუცებულებს ჩვენი დღე მოგვიჭამია, შვილებო, ცხოვრება თქვენ გინდათ, და თუ ჩვენ ველარაფერს პოვესწროთ, საფლავში ჩამოგვძახეთ: გლეხკა-ცებმა გავიმარჯვეთ და ყველა ჩვენი ბატონი და მტერი და-ვამხვეთთქმ.

**ପ୍ରସ୍ତାବ.** (ଜୀବନାମ) ଶ୍ରେଣ୍ଟ୍ ମହେଶ୍ୱରଙ୍କଣ, ଡିମ୍ବା, ଶ୍ରେଣ୍ଟ୍.

**ერთი ბიჭი.** ჯერ ვერსად გაგიშვებთ, ბიძია! ჩვენ რომ გავიმარჯვებთ და თავისუფლებასა და მიწებს დავიბრუნებთ,

შენისთანა მოხუცებულებს უნდა მოვუყაროთ თავი ზატებითა და ჯვრებით და თავი დავალოცვით.

**უცელა.** (ერთათ) უსათუოთ, ბიძია, უსათუოთ! (თომა იღია და თვალებზე მომდგან ცრემლებს იწმენდავს).

**მეორე ბიჭი.** ახალ ცხოვრებაში თქვენ უნდა დაგვლოცოთ, ბიძია, თქვენ.

**თომა.** დამილოცნიხართ, შვილებო, ღმერთმა დაგლოცოსთ!

**ერთი ქალი.** ერთ სიყმაწვილეს კიდევ გამოივლი, ბიძია! ჩვენ ყველას ბევრი მიწა გვექნება, კარგი, თბილი სახლები, კარგი ტანისამოსი, კარგი საჭმელი; ჩვენი ბატონი და ბრძანებელი ალარავინ იქნება; ჩვენი სული გვექნება, ჩვენი უფროსები და ყველაზე დიდ სუდიათ შენ ამოგირჩევთ ბიძია! (იცინის და სხვებიც იცინიან).

**თომა.** ჩემისთანა უსწავლელი ბებერი რაღაში გამოგადგებათ მაშინ, შვილო? მაშინ კაი-კაი ნასწავლი კაცები უნდა ამოირჩიოთ, რომ საქმე კარგათ წაიყვანონ.

**ერთი ბიჭი.** ბებერი ხარის რქაცა ხნავსო, არ გაგიგონია, ბიძია?

**თომა.** ეეჲ, ნეტავი მაგ დღეს-კი მოვესწრებოდე, რომ ჩვენც გვეშველებოდეს და მერე თუნდა ერთ საათსაც ნულარ მიცოცხლია.

**უცელა.** (ერთათ) მოვესწრებით, ბიძია, მალე მოვესწრებით. (თავს უკრაშენ და გადიან).

**ნუკა.** საგძალი ბლომათ არის, მამაჩემო! ამას ახლა გავაგზავნით და ი გოგოები რომ მოვიდოდა, ბარემ გამოვაცხობთ კიდევ და ხვალ იმასაც გავუგზავნით (შემოდის ქიტეს).

**თომა.** ოოჲ, ქიტესას გაუმარჯოს (ხელს ართშევს).

**ქიტესა.** ღმერთმა გაგიმარჯოთ. აქ რაზმელების საგძალი ყოფილა და მამეცით, მეჩქარება. თუ ამაღამ საჭმელი არ მივუტანე, შიმშილით დაიხოცებიან.

ნუცა. შენ ამაღამვე გამობრუნდები, ქიტესა?

ქიტესა. აჲა, იქ რაღას გავაკეთებ!

ნუცა. ხვალ ამღროს კიდევ უნდა წაიღო.

ქიტესა. თქვენ ცხობა ნუ დაგეზარებათ და წალებას-კი მოვახერხებ (შემთდის სამი ქალიშვილი, მთქმედების თავში რომ იყვენ).

ნუცა. ოოჳ, დღლის ხსენებაზე! (იცინიან უველავი) აბა, მოღით, ჯერ ქიტესას გავატანოთ საგძალი და მერე ჩვენ შევუდგეთ საქმეს. (გადიან უველავი ბატარა თთახში; ისმის ხმაურობა და რისინ). რამდენიმე ხანს შემდეგ შემთატანენ დიდ გობს, ფქვილს დაურიან, შერე ქვაბით ადუღებული წეალი შემთაქვთ. დასხამენ, სასეჭოებს კადიკეცენ და დაუწეუბენ თასივე ზელას; თომა შილინ-ასლოს ზის. ქიტესა წასულია).

ნუცა. მამაჩემო! ღორი უნდა დავკლათ კიდევ!

თომა. ხვალ საღამომდე ის საგძალი ეყოფათ და ღილით დავკლავ აღრე, მოვხარშამ და ისე გავაგზავნი.

ნუცა. არა, მამაჩემო! იქნება ხვალ ღილით გავაგზავნოთ და, ბარემ ამაღამ რომ დავკლათ, ჯობია. ბევრი ხალხია; ის საგძალი ამაღამ თუ ეყოფათ.

თომა. ჩემთვინ სულ ერთია,—ამაღამ დავკლათ. თქვენ ხომ მომენტარებით გაფუფქვაზე?

ქალები. მოგეხმარებით, ბიძია, მოგეხმარებით!

თომა. აბა, ჯერ ეგ დაცხვეთ და მერე ღორის შევუდგეთ! (სიჩუმე ჩამოვარდება).

ნუცა. ისეთ ხასიათზე ვარ, ისეთ ხასიათზე, თითქოს მთელი ქვეყანა ჩემი იყოს.

პირველი. ღილის გლახა ქეითზე ვიყავი, შარა ახლა მეც კაი გუნებაზე ვარ.

თომა. მოსაწყენი რა გვაქვს? იხარეთ, შვილებო! ბედნიერი ღრო გვიდგება. (სიჩუმე ჩამოვარდება, ქალები ზელას თავს ანებებენ).

ნუცა. ჰე, კმარა! ახლა კეცები თუ მხურვალია, მალე გავათავებთ.

**პირველი ქალი.** ეს იკმარებს მერე?

**ნუცა.** (დიმილით) ეს რას იკმარებს, შე ქალო, ამისთანა ბარე სამიც დაგვჭირდება! (ამ დროს ჩმაურთბა მთისმის და უვეფა ქარებიდან სახლში ჯარის-კაცები შემოვარდებან. ზოგი ქალები მიგარდება და დღოშინას დაუწევები, ზოგი თამას; ქალები კივიან; ცომიანი გობი გადარდება).

**რამდენიმე ჯარის-კაცი.** (თომას) სად არის შენი შვილი?

**თომა.** მე რა ვიცი, სად არის?

**ჯარის-კაცები.** არ იცი? (მუშტებს და თოფის კონდასს და-უშენენ სახეზე. თავში და ზურგზე) თქვი ახლავე,—სად არის.

**თომა.** არ ვიცი. (ჯარის კაცები ცემას განაგრძობენ; ქალები კივიან; ქალების მეორე თათაში მიათრევენ. თომა ძირს დაეცემა. უშენენ წითლებს, კონდასებს და თან ჩასძირან: „არ იცი, სად არის? არ იცი? მეორე თათაშიდან ქალების წივილი მთისმის და თან ჯარის-კაცების სასარი. ერთი რევოლუცის ამოილებს და თომას გულში და ახლის რამდენჯერმე. შემდეგ შეუდგებან სახლის ცარცვას; აან-გრუგენ უვაელისფერს და წაქცევენ შეაფის, სკივრებს; მიაქვთ ტა-ნისამასი და ქვეშაგები, ზოგი ჭიდებში იტენის, რაც შეიძლება. თათაშიდან გაყლენ ზოგი გარეთ, ზოგი მეორე თათაში. შემდეგ შემოვა რამდენიმე ნაგთას ჭურჭლით, თომას დააჩერდებან ფეხს, წაკრავენ რამდენჯერმე დონივრათ, მთასსამენ ნაგთს კედლებთან ტანისამასს და ქვეშაგებს, ცეცხლს წაუკიდებენ და გავლენ.)

(დასასრული მესამე მოქმედებისა)

## მოქმედება მართვა

(სცენა წარმოადგენს გრიგოლის სასტუმროს; სასტუმრო  
მდიდრულად მორთულია; მაგიდაზე საწერკალამია. სასტუმრო-  
ში გრიგოლი და მარიამია.)

**მარიამი.** ჩვენ ბატონი კი არ ვიყავით გლეხების, დედ-  
მამა ვიყავით, დედ-მამა. რაც უნდა იყოს, სხვისთვის რომ  
გაებედნათ რამე, ჩვენთვის მაინც არაფერი უნდა ეკადრები-  
ათ; სამშობლო შეარცხვინეს, დამარხეს!

**გრიგოლი.** შენ გენაცვალე, შეცდომა მაშინ ჩავიდინეთ,  
როცა გლეხები ყმობიდან გავანთავისუფლეთ. მუხრუჭი რომ  
მოვუშვით ცოტა, მათ ტოლობა მოგვინდომეს!

**მარიამი.** გლეხკაცი განა ადამიანია? განა მას სიკეთის  
დახსომება შეუძლია? ის ბორკილებში უნდა ამყოფო, ტყავი  
უნდა აძრო ზურგზე, მაშინ გემორჩილება. ჩვენი შეცდომა  
ჩვენვე უნდა გავასწოროთ, სასტიკათ უნდა ჰდავასჯევინოთ  
მოთავეები და ერთი ათათ ზარალი უნდა გადავახდევინოთ,  
რომ საშვილიშვილოთ ახსოვდეთ, თუ რა არის ბატონის  
წყრომა.

**გრიგოლი.** საშვილიშვილოთ უნდა დარჩეს მათს ხსოვნა-  
ში, რომ ისინი გლეხები არიან. მუდამ გულკეთილი კაცი  
ვარ, ყველა მებრალება, ხოლო, როცა ჩემი გულკეთილობა  
აღარ გადის, მაშინ საშინელი სასტიკი ვარ.

**მარიამი.** ადამიანურის მოპყრობით აქ არასფერი გაკეთ-  
დება. რაც შეიძლება მეტი სისასტიკე, — მხოლოთ ეს გადა-  
არჩენს ჩვენს სამშობლო მხარეს განსაცდელისაგან.

**გრიგოლი.** სამშობლო ვიღას ახსოვს ახლა? უწინდელი  
სიყვარული რომ იყოს სამშობლოსადმი, განა ეს შოხდებოდა?

სხვაგან სამშობლოსათვის იკლავს თავს ყველა, ჩვენშიკი სამშობლო აღარავის აღარ ახსოვს, ფქხებზე ჰკიდიათ.

**მარიამი.** ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მოვალე ვართ, ამისთანა განსაცდელის დროს სამშობლოს ვემსახუროთ და გლეხებს ყველაფერი თუ ვაპატიეთ, ჩვენი ქვეყნის დაღუპვა აუცილებელია. რატომ მე არა ვარ დედოფალი?! ამ სასახლის წინ გავაკეთებინებდი სალრჩობელის და ყველა ურჩს და სამშობლოს მოლალატეს სათითაოთ ჩამოვკიდებდი ზედ.

**გრიგოლი.** გენერალი ჩვენს ხელშია და რაც, მინდა, იმას ვაქნევინ ებ.

**მარიამი.** გენერალთან მე ყოველისფერს გავაწყობ, მხოლოთ შენი თანხმობა მინდა.

**გრიგოლი.** (ხელშე ჭკონის) შენც კარგათ იცი, ჩემმ საყვარელო, რომ მე ყოველისფერში შენი თანახმა ვარ; შენი სურვილი ჩემთვის კანონია.

**მარიამი.** მაშ ყური დამიგდე! თქვენ დღეს ერთი-აღრესი უნდა შეადგინოთ, მეორე—სიტყვა უნდა მოამზადოთ გენერლის შესახვედრათ.

**გრიგოლი.** (დიძილით) მე ეს დიდიხანია მოვიაზრე, ჩემმ საყვარელო! დღეს რომ აქ შევიკრიბებით, აღრესს შევასწორებთ და სიტყვას კიდევ მარშალი ეტყვის.

**მარიამი.** შენც უნდა გეთქვა სიტყვა!

**გრიგოლი.** თავად-აზნაურობამ, მართალია, მე მთხოვა, მაგრამ თავადაზნაურობის მაგიერ შესახვედრი სიტყვა მარშალმა უნდა უთხრას, რიგი ასეა; მე ვეტყვი სადილის გახსნისთანავე.

**მარიამი.** თავადაზნაურობამ უნდა მოითხოვოს უსათუოთ ზარალი, რომელიც გლეხებმა მიაყენეს.

**გრიგოლი.** მაინც გადაახდევინებენ და თხოვა რაღა საჭიროა? საზოგადოთ მე წინააღმდეგი ვარ, რომ ამისთანა დროს რამე ვთხოვოთ მთავრობას; ჩვენიპიტივისცემა და უქვეშევრდომილესი გრძნობანი უანგარო უნდა იყოს.

**მარიამი.** გეთანხმები, გრიგოლ, მაგრამ ჩვენ ხომ არას-ფერს ვთხოვთ მთავრობას? ჩვენ ვითხოვთ მხოლოთ ჩვენსას;

მთავრობას უნდა მოვაგონოთ, რომ გლეხებმა ამდენი და ამდენი ზარალი მოგვაყენეს და ვთხოვოთ, რომ ამოგვიგონ გლეხების კისრიდან ეს ზარალი.

**გრიგოლი.** ეს რასაკვირველია! ეს ხომ თხოვნა არ არის! მე ისე გავიგე შენი აზრი, თითქოს მთავრობას ხაზინიდან უნდა მოეცა რამე ჩვენთვის და ეს თავის დამცირებათ მიმაჩნია.

**მარიამი.** რა პასუხია! ჩვენ ამას როგორ ვიკადრებთ? ჩვენ მხოლოთ გლეხებს არ უნდა შევარჩინოთ ის, რაც გვაზარალეს და არა თუ არ უნდა შევარჩინოთ, ერთი ათათ უნდა გადავახდევინოთ, რომ სამარადისოთ დახსომდეთ, რას ნიშნავს ამგვარი მათი ურჩობა.

**გრიგოლი.** მე ნათქვამი მაქვს მიხეილისთვინ, რომ მან ყოველგვარი ზარალი აღნიშნოს.

**მარიამი.** ძალიან კარგი გიქნია, მარა აღნიშვნაც არის და აღნიშვნაც. შეიძლება ისე აღნიშნო, რომ ეს სასჯელი კი არა, შეღავათი გამოვიდეს; ამისთანა შემთხვევაში კი გულკეთილობა მხოლოთ ახდენს საქმეს.

**გრიგოლი.** მე აյი გითხარი,—ჩემი გულკეთილობა რისხვათ გადაექცევა მას, ვინც ამ გულკეთილობას ვერ აფასებს.

**მარიამი.** მაშ ყური დამიგდე. თუ გლეხებს მარტო ის გადახდევინე, რაც მათ ჩვენი მართებთ, ეს სადაური სასჯელია? გლეხები დიდის სიმოვნებით მოიტანენ ახლა ამას; მაგრამ ჩვენ დასჯა გვინდა და უნდა ფულით დავსაჯოთ.

**გრიგოლი.** ფულით გადავახდევინებ სულ, ერთ კაპეიკს არ შევარჩენ!

**მარიამი.** ჩვენ უნდა წარვუდგინოთ გენერალს დასაბუთებული ანგარიში ასოცი ათასი მანათის ზარალისა.

**გრიგოლი.** ამდენი ზარალი რომ არ აღმოჩნდეს?

**მარიამი.** შენც ერთი! ახლა იავის ფეხით დაივლის გენერალი და დაათვალიერებს, სად რამდენი წახდინეს გლეხებმა! ზოგან ტყეა აჩეხილი, ზოგან ვენახი; სახლი გაქურდეს; ორი წლის განმავლობაში არავითარი გადასახადი არ შემოუტანიათ...

**გრიგოლი** (გამწევეტინებს) მგრნია, მარტო ერთი წლისა არ მოუციათ:

**მარიამი.** ვინ დაიწყებს ამის ძებნას, — რასაც ჩვენ მოვითხოვთ, იმას გადახდევინებენ! (ჰაუზა). შენ გავიწყდება, ჩემმა საყვარელო, რომ ფული ჩვენთვის მეტისმეტათ საჭიროა. ორასიათასი შემოდგომაზე უსაათუოთ უნდა გვქონდეს, თორებ მირსკი დაგვეკარგება და იმისთანა სიძეს ჩვენ ვერ ვიშოვნით.

**გრიგოლი.** ძალიან კარგა ყმაწვილია. შეძლებაც დიდი აქვს.

**მარიამი.** მერე, არ იყითხავ, როგორ მოსწონს ჩვენი მერი? გაგიუებულია! მაგრამ როგორ ითნოვოს ქალი, სანამ არ ეცოდინება მზითვის რაოდენობა? მართალია, იმას შეძლება დიდი აქვს, მაგრამ დამეთანებები, რომ უმზითვო ქალს ვერ შეირთავს, — თავი ერცხვინება და სირცხვილიც არის, რომ იმის ცოლს ორასიათასი მაინც არ მოჰყვეს. თუ შემოდგომისათვის შენ ორასი ათასს მიშოვნი, ჩავალ თუ არა, მყისავე ხმას დავარჩევ და, რაკი ერთი ყურში ჩაეწვეთება, მაშინათვე მოვა და მთხოვს მერის ხელს.

**გრიგოლი.** ორასი ათასი... (ფიქრობს) ძნელი საშოვნელია შემოდგომამდე.

**მარიამი.** თუ დამიჯერებ, ძნელი არ არის. ასოცს გლეხებს გადავახდევინებთ, ტყეს დავაგირავებთ და ასი ათასს იქ ავილებთ; მეტი რა გვინდა? (ჰაუზა)

**გრიგოლი.** კარგი ყმაწვილია და ძნელია მისი დაკარგვა!.. მაშ ძალიან მოსწონს მერი?

**მარიამი.** აკი გითხარი, გაგიუებულია მეთქი? მაინც რაც ლამაზია ჩვენი მერი ათი ზომით უკეთესი ჩანს საზოგადოებაში. მაგისთანა ქალი იქ მეორე არ ყოფილა. ვერ წარმოიდგენ, როგორ უჭირავს თავი. ასე გეგონება, გამოცდილი და გაწრთვილი ქალიაო! აღტაცებაში მოყავდა ჟველა.

**გრიგოლი.** მთავრის ჩამომავალმა რომ საზოგადოებაში თავის დაჭერა იცოდეს, ეს გასაკვირალი არ არის, მაგრამ ჩემს

იქ ყოფნაში სად იყო მირსკი? მე ის გავიცანი ამ სამი წლის  
წინეთ და ამ ზამთარში ის პეტერბურგში არ ყოფილა.

**მარიამი.** შენ რომ პეტერბურგში იყავი, ის მონტევარ-  
ლოში იყო წასული და, შენ რომ აქეთ წამოხვედი, სწორეთ  
მაშინ ჩამოვიდა. (შუბლზე აკოცებს) ის ჩვენს ხელშია; აწი შე-  
ნი საქმეა- ის რომ შენ დამიკარგო, იცოდე, გაგეყრები.

**გრიგოლი.** (დიმილით) მე ხომ ვუარს არა ვარ, გენაცვალე?  
მე ჩემის მხრით სრულს თანხმობას ვაცხადებ, ხოლო მეტვება,  
რომ ამდენი ფული ჩვენ ასე მაღვე მოვახერხოთ.

**მარიამი.** რა მოხერხება უნდა? აკი გითხარი: ასოციათას  
გლეხებს გადავახდევინებთ.

**გრიგოლი.** სადიდან გადიხდიან გლეხები ასოციათას ასე  
ცოტა ხანში?

**მარიამი.** როგორ თუ სადიდან გადიხდიან? სადიდანაც  
უნდათ, იქიდან გადიხადონ,—ეს რა ჩვენი საქმეა? ჩვენ მხო-  
ლოთ ამ შემთხვევით უნდა ვისარგებლოთ, რომ გლეხები  
ავლაგმოთ, თორემ მთლათ ხელს აგვალებიერენ მამულზე (შე-  
მოდის შერი საცხენოსნოთ გამოწულებილი და შიხეილი; მიხეილი  
ჭრიანის ხელზე აკოცებს, გრიგოლს სელს ართმევს). აი მიხეილიც  
დროზე მოვიდა. (მიხეილი დაჭდება) სად მიემგზავრები, შვი-  
ლო, რომ ამგვარათ გამოწყობილხარ?

**მერი.** აკი გითხარი, მამა, კავალკადა გავმართეთ და მი-  
ვდიგართ.

**გრიგოლი.** შვილო, შენ ხომ იცი, რომ დღეს სადილათ  
ჩვენთან გენერალი იქნება?

**მერი.** ვიცი, პაპა!

**გრიგოლი.** რომ დაიგვიანო, არ ივარგებს.

**მერი.** არა, პაპა! ადრე დავბრუნდებით.

**მარიამი.** წადი, შერი, მაგრამ სადილობისათვის უსათუ-  
ოთ უნდა. დაბრუნდე.

**მერი.** უსათუოთ დაებრუნდები, მამა, უსათუოთ! (კოცნის  
დედმიშას და გადის).

**მარიამი.** (თვალს გააეთლებს დიშილით) მშვენიერი ქალი დადგა ჩვენი მერი.

**გრიგოლი.** მიხეილ, ჩამოწერილი გაქვთ ხომ ჩვენი ზარალი?

**მიხეილი.** მე უკვე მთელი მოხსენება შევადგინე. (ქადაფლს იღებს უბიძან) აქ აღნუსხულია დაწვრილებითი ზარალი, რომელიც გლეხებმა მოგვაყენეს; მიმატებულია ის, რაც ამ ორი წლის განმავლობაში არ გადაუხდიათ; ამას წარვუდგენ გენერალს და, სწრაფი განკარგულება თუ არ მოახდინა, საჩივარს დავიწყებ.

**მარიამი.** საჩივარი არ გვარგია. ვინ იცის, რამდენს ხანს გასტანს, ამოვიგებთ-კი?

**მიხეილი.** როგორ ვერ ამოვიგებთ, კნეინა, როცა ყოველი სიტყვა აქ საბუთზე არის დამყარებული? მაშ სამართალი სულ აღარ ყოფილა, თუ ეს ვერ ამოვიგეთ.

**მარიამი.** მაინც ჯობია, რომ გენერალი მოვიშველიოთ; იმან რომ ერთი უბრძანოს ხალხს: ახლავე გადიხადეთ, თორემ სულ აგაწიოკებთო, დარწმუნებული იყავით, რომ ქვეს გახეთქენ და სამ დღეში გადიხდიან!

**გრიგოლი.** მეც იმ აზრისა ვარ, რომ გენერალმა გადაახდევინოს.

**მიხეილი.** რასაკვირველია, ასე აჯობებს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ გზით არაფერი გამოვიდა, მე სასამართლოს მივმართავ და დარწმუნებული იყავით, რომ ამოვიგებ.

**მარიამი.** რამდენი გაძოდის ზარალი თქვენის ანგარიშით?

**მიხეილი.** (ქადაფლს შლის) ჩემის ანგარიშით ზარალი გამოვიდა ასორმოცდათი ათასი.

**მარიამი.** (გრიგოლს დიშილით) ხომ გითხარი! (ქადაფლს ართმევს მიხეილს და კითხულობს) შენ ეს ქალალდი გენერალს წარვუდგინე და ერთ კვირეში ფული მზათ იქნება. (მიცემს ქადაფლს გრიგოლს).

**გრიგოლი.** (ცოდს) როგორც ხედავ, გენერალი ჩვენთვის ფრიად საჭირო ყოფილა და უბრძანე, რომ ჟოველის-

ფერი სამაგალიოოთ გააწყონ, თორემ ის ბევრს აღარც-კი დაი-გვიანებს.

**მიხეილი.** გენერალს ალბათ ცოტა დააგვიანდება.

**გრიგოლი.** რატომ?

**მიხეილი.** არ გაგიგიათ, განა? დღეს რაზმელები თავს დას-ცემიან ჯარს და ჯარი უკან დადევნებია, გენერალს უბრძა-ნებია: სულ ყველა დახოცეთ, ერთი არ გაუშვათ ცოცხალიო. ჯერ ჯარი არ დაბრუნებულა და გენერალი იმას უცდის.

**გრიგოლი** და **მარიამი.** (ერთათ) ბევრი ყოფილან?

**მიხეილი.** ას კაცამდე ყოფილა.

**გრიგოლი.** (გულდამშვიდებული) ეჭ, ასი კაცი რას იზამდა!

**მიხეილი.** არათერს, მარა შეიძლება ამის გამო გენერალმა ცოტა დაიგვიანოს.

**გრიგოლი.** ცოტას თუ დაიგვიანებს, უკეთესიც არის: მარშალი ჯერ არ მოსულა, ადრესის შესწორება დაგვჭირ-დება.

**მარიამი.** ერთი არ უნდა გაუშვან ცოცხალი, ერთი. (კარი გაიდება და შემთვა ნესტორი, კნეინას სეჭზე აკაცებს, სხვებს ხელს ათმევს).

**გრიგოლი.** დაბრძანდით, კნიაზო! (ნესტორი დაჯდება).

**ნესტორი.** მისწრებას რომ იტყვიან, სწორედ ეს არის; ძალიან დროს მოვიდა ეს გენერალი, თორემ აქედან უნდა ავყრილიყავით და გადავსახლებულვიყავით სადმე.

**გრიგოლი.** მაშ რა ეგონათ? შერჩებოდათ ამდენი თავ-ხედობა?

**მარიამი.** როგორ ქეიფზე არიან ახლა?

**ნესტორი.** წარმოიდგინეთ კიდევ გულს არ იტეხენ! რაზმელებს დაარბენიებენ, რაღაცას ემზადებიან; ჯარს თავს დასცემიან დღეს კიდევ!

**მიხეილი.** ჭკუა არა აქვთ, თავის თავს თვითონვე ღუპა-ვენ. იმის მაგიერ, რომ მოსულიყვენ, დაეჩოქათ და თავისი შეცდომანი მოენანიებიათ გულწრფელად, ჯარს თავს ესხმიან! ამისთანა თავხედობა გინახავთ?

**მარიამი.** ეს ჩვენთვის ძალიან კარგია. მოსანანიებლათ რომ მოსულიყვენ, ჩვენც ველარ მოვექცეოდით სასტიკათ და ახლა-კუ სრული უფლება გვაქვს ისე ტავსაჯოთ, რომ საშვილიშვილოთ ახსოვდეთ. (ადგება და კრიგოლი) აწი-კი დროა, რომ ზალაში სტოლი გავაშლევინოთ, არა?

**გრიგოლი.** (საათს დასჩერებია) დროა, დრო. მხოლოდ სანამ სადილათ დავსხდებოდეთ, სიტყვით აქ უნდა მივევებოთ. სასტუმროში და მაშინ შამპანსკი დაგვჭირდება.

**მარიამი.** (თავს აქნევს თანამიმდის ნიშნათ) ნესტორ, თქვენ მე მომეხმარეთ. (არავე გავდენ).

**გრიგოლი.** (შამპანსკი ჩატიებული უნდა იყოს, უსათუოთ ჩატიებული!) (შემოდის მოსამსახურები).

**მოსამსახურე.** გლეხები გახლავან, თქვენი ნახვა უნდათ.

**გრიგოლი.** ოპო, აქამდინ აღარ მკადრულობდენ და ახლა მოდიან, როცა დაცხათ? მოიცადო! (მოსამსახურე გადის) მიხეილ, თქვენ გადით და უთხარით: ბატონი საშინლათ განრისხებულია თქვენზე. მიღება არ უნდოდა, მაგრამ მე შევეხვეწე და მიგიღოთთქმ. (მისეიღი თავს უკრავს და გადის. გრიგოლი სავარეცხმი გაწვება. შემოვა მიხეიღი და შემოუვება ანდრია და რამდენიმე ქუდ მოხდილი გლეხი. მდაბლათ თავს უკრავენ გრიგოლს და გაჩერდებიან. რამოდენიმე სახს სიჩუმეა. გრიგოლი მიჩერებია მათ).

**გრიგოლი.** აკი აღარც ბატონი გინდოდათ, აღარც ხელმწიფე? რალათ მოდიხართ ახლა ჩემთან?

**გლეხები.** (მდაბლათ თავს უკრავენ და უკედა ერთათ) რატომ ბრძანებთ, კნიაზო, რატომ ბრძანებთ!

**ანდრია.** ღმერთმა ხელმწიფეც გვიდღეგელოს და ბატონის თავიც დიღხანს გვიცოცხლოს და გვიბედნიეროს. უთქვენოთ ერთ დღესაც ნუ გვაცოცხლოს ღმერთმა: უთქვენოთ ჩვენ რას ვარგივართ?

**გრიგოლი.** აკი ვარგოდით აქამდინ? აკი გაიძახოდით, აღარ გვინდა ბატონიო!

**ანდრია.** გაიძახოდენ, კნიაზო, მართალია, მარა ჩვენ იმათში არა ვრეულვართ; ჩვენ სულ წინააღმდეგი ვიყავით ამ საქმისა, თავიდანვე არ მოგვწონდა. ლმერთს ეს ქვეყანა ასე გაუჩენია ადამის დროიდან; რომ ხელმწიფებუნდა იყოს, ბატონიც და გლეხეცაციც და ლვთის საქმის გასწორება რო ჩვენი საქმე არ არის, ეს კარგად ვიცოდით, მარა...

**გრიგოლი.** (გაწუვეტინებს) თუ იცოდით, რაში გეტიუნბათ? ადგილები გამიოხრეთ, სახლი გამიქურდეთ. მაგრამ იცოდეთ, ერთი ათათ გადაგდებათ ყველაფერი და მაშინ იტყვით: კარგი ბატონი გვყავდი, მაგრამ ვერ დავაფასეთო.

**გლეხები.** (ოავს უკრავენ და ჩაიდაპარაკებენ) ნუ გაგვირისხდები, კნიაზო, ასე ნუ გაგვწირავ!

**ანდრია.** ეს იმედი არ გვაქ, დიდო კნიაზო, თქვენი. თქვენ მხოლოდ იმასა გთხოვთ, რომ მტყუან-მართალის გაკითხვა იყოს და მაშინ დაინახავთ, რომ ბევრი, ძალიან ბევრია თქვენი ერთგული.

**გრიგოლი.** მერე სად იყო დღემდე თქვენი ერთგულება? **ანდრია.** აქამდინ, კნიაზო, გვეშინოდა, სიკვდილს გვემუქრებოდენ და ხმას ვერ ვიღებდით, თორემ ბატონი მიხეილი დაგვემოწმება, რომ სამასზე მეტი კომლი გლეხი თქვენი ერთგული ვიყავით და საფლავის კარებამდე ვიქნებით, მარა გვეშინოდა, კნიაზო! ახლა ჩვენ ცალკე მოვიყარეთ თავი და გთხოვთ, გამოვიაროთ: (ქადაჯდს იღებს უბიდან და გრიგოლს აწვდის) თუ ეს გლეხები, რომლებიც აქ ჩამოვწერეთ, თქვენი ორგული ყოფილან როდისმე, რაც გენებოსთ, ის მოგვისაჯეთ, თუ არა და დაგვითარეთ. (გრიგოლის შაგიერ ქადაჯდს მიხეილი ართმევს, გაშლის და კითხულობს).

**გრიგოლი.** გადასახადი თქვენ შემოტანილი გაქვთ?

**ანდრია.** სულ ჩუმათ მოგვქონდა, კნიაზო! საბალახესი გვაკლია პატარა.

**გრიგოლი.** ათის-თავები და ასის თავები ურევია თქვენში?

**ანდრია.** ვინც ამ სიაშია, ერთიც არ რეულა არაფერ ახალთაობის საქეში.

**მიხეილი.** ვინც ამ სიაშია, ამათ გადასახადიც მოქონდათ და წინააღმდეგიც იყვენ მოძრაობის, მაგრამ შიშით ჩატუმეს. (გრიგოლი ქადაღდს გამოართმევს შინების და კითხულობის).

**გრიგოლი.** რაკი მიხეილი ამბობს, მეც გიჯერით. ეს სია მე მექნება. (უბეში ჩაი დებს) ჩემთან დღეს ვენერალი მოვა, იმას წარვუდგენ და ვეტყვი, რომ თქვენ ხელი არ გახლოსთ. (გლეხები თავს უკავენ მდაბლათ).

**ერთი გლეხი.** (ხელებს შადადა ადაპტრობს) მამა ზეციერმა გადღეგრძელოს ჩვენი შებრალებისათვინ. (გადან. შინების გაუკება და რამოდენიმე სანს შემდეგ შემთბრუნდება).

**გრიგოლი.** ამათ შესახებ უსათუოდ უნდა ვთხოვოთ გენერალს, რომ ხელი არ ახლონ. ეს სხვებზე იქონიებს გავლენას და შემდეგში უფრო ჭკვიანათ იქნებიან.

**მიხეილი.** ყველა ესენი, ვინც მაგ სიაშია ჩამოწერილი, არავითარ ჩვენს საწინააღმდეგო საქმეში არ ერეოდენ; თუ გენერალს ამას აუხსნით, ძალიან კარგი იქნება. როდესაც ამათ ხელს არ ახლებენ და სხვებს-კი ააწიოკვებენ, ხალხს დაამახსოვრდება და შემდეგში ფრთხილათ იქნება, ყოველ სულელ პროპაგანდისტს აღარ აჰყვება, (მასამსახურე შემფას).

**მოსამსახურე.** აზნაური ფრიდონ გრეხიშვილი გახლავთ. თქვენი ნახვა უნდა.

**გრიგოლი.** (მიხეილს) ფრიდონ გრეხიშვილი რომელია? არ მახსოვს.

**მიხეილი.** მწერლათ რომ იყო უეზდი უპრავლენიში; შვილისათვის შემწეობას. რომ გთხოვდათ შემოდგომაზე.

**გრიგოლი.** (ფიქრობს) ჰომ, ვიცი, ვიცი! მოვიდეს. (მასამსახურე გავა. შემოვა ფრიდონი, ქუდს მოიგდეჯს და მდაბლათ თავს დაუკავეს).

**ფრიდონი.** დიდ კნიაზს ვახლავარ, ჩვენს მწყალობელს, ჩვენს დიდებას, ჩვენს ხელმწიფეს!

**გრიგოლი.** (ხელს გაუწოდებს) ფრიდონს გაუმარჯოს, ფრიდონს!

**ფრიდონი.** (წინ წამოვა და მოწიწებით ხელს ართშეგს გრიგოლის) ღმერთმა გამარჯვება ნუ მოკლოს თქვენს მარჯვენას და ოჯახს, ჩვენო მწყალებელო! (ფრიდონი თავს უკრავს და სელს ართშეგს მიხეილს).

**გრიგოლი.** დაჯექი, ფრიდონ!

**ფრიდონი.** რა ლირისი ვარ თქვენთან დაჯდომის, კნიაზო! (დაჯდება შორი ახლოს).

**გრიგოლი.** როგორა ხარ ფრიდონ, ხომ კარგათ ხარ ოჯახში?

**ფრიდონი.** ჩვენი ყოფა რაღა ყოფაა, კნიაზო? ჯერ ისეც რა ვიყავით, აქაურ აზნაურობას თქვენი წყალობით გვიდგა სული და ახლა ამ გლეხებმა ლამის მოგვებონ.

**გრიგოლი.** აი ჯარი ჩამოვიდა აგერ და აწი აღარა გიჭირს რა. მართლა, მიხეილ, მარშალთან გაგზავნე ვინმე, რომ მოვიდენ ჩემთან, თორემ ადრესი წაუკითხავი და შეუსწორებელი დაგვრჩება და ის კაცი ისე მოგვისწრებს.

**მიხეილი.** მე თვითონ შევივლი, რა შორს ის არის? თავად-აზნაურობა იქ იქნება ახლა შეკრებილი.

**ფრიდონი.** მარშალთან გახლავან ყველა; იქით ამოვიარე ახლა მეც. (მიხეილი გადის) ეს ჯარი რომ არ მოგვსწრებოდა ახლა, ჩვენი საშველი აღარ იყო, კნიაზო! ყველაფერს გვართმევდენ, აღარაფრით გვზოგავდენ; აზნაურობაზე ხელი აიღეთო. ღმერთსა და ხელმწიფეს ეს ლირსება მოუკია ჩვენთვინ და ხელი რავა უნდა ავიღოთ?

**გრიგოლი.** რაკი გენერალი აქ არის, ნულარაფრის გეშინიათ; ხალხს დააწყნარებენ და თქვენსას. ველარავინ ველარწაგართმევსთ.

**ფრიდონი.** თქვენი წყალობა და სიცოცხლე ნუ მოგვიშალოს ღმერთმა. თქვენ რომ არა გვყავდეთ, წყალში უნდა გადავარდნილვიყავით, კნიაზო, წყალში. (სიჩუმეა) კნიაზო. თქვენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქმს! მავნე კაცები რაც არის ჩვენში, ისინი თუ არ მოგვაშორეს, გენერალი სულ

ჩვენ ხომ ვერ მოგვიდგება? წავა თუ არა, ეს მავნე კაცები ისევე წამოყოფენ თავს; ამიტომ უმაღ ეს მავნე კაცები უნდა მივცეთ ხელში გენერალს, თორემ იმან. რა იცის, ჩვენში ვინ რა კაცია?

**გრიგოლი.** რასაკვირველია, სამშობლოსი და ხელმწიფის მოღალატე ვინც არის. ყველა უნდა გამოაშკარავდეს და დაისაჯოს.

**ფრიდონი.** მე რაც შემიძლია, მინდა ხელმწიფესაც ვეშა-ხურო, თქვენისთანა დიდ კაცებსაც და სამშობლო მხარესაც რამეში გამოვადგე. ამიტომ შევადგინე სია ყველა იმ მავნე პირების, პროპაგანდისტების, ათის თავების, ასისთავების და რაზმელების, რაც თქვენს საბრძანებელშია. (აშთანებს უბიდან ქადალდს და აწვდის გრიგოლს).

**გრიგოლი.** ძალიან კარგი გიქნია, ფრიდონ, ძალიან! აი ასე უნდა! ამას მე გენერალს წარუდგენ და კიდეც ვეტყვი, ვინც მომიტანა. (გაშლის და კითხულობს).

**ფრიდონი.** კნიაზო, იქნება ცალკე უთხრათ, სეკრეტნათ, თორემ თუ ერთი გაიგეს, მაშინათვე მამკლავენ.

**გრიგოლი.** (კითხულობს და ისე) რასაკვირველია, ცალკე.

**ფრიდონი.** ისიც უბრძანეთ, რომ მე ერთი ლარიბი აზ-ნაური ვარ, წვრილი ცოლშვილის პატრონი, შვილები სას-წავლებელში მყავს და იქნება რაიმე შემწეობა აღმომიჩინოს, ან სტიპენდია დაუნიშნოს ჩემს შვილებს.

**გრიგოლი.** (კითხულობს და ისე) მე ყოველისუერს მოგი-სერხებ, რაც-კი შეიძლება, ყოველისფერს. (გავჭირდებული) დავით აბზინდაძე! ეს ხომ ჩემი მოურავია აბზინდაძი?

**ფრიდონი.** დიახ, კნიაზო!

**გრიგოლი.** მერე ისიც ამ საქმეში ერია?

**ფრიდონი.** აბზინდაძი, კნიაზო, პირველით ეს საქმე იმან გამოაწყო! იმან მოუყარა გლეხებს თავი და უთხრა: მიწა თქვენიაო, ბატონს ვინ მიცაო, ბატონს თქვენთვის წაუ-რთმევიაო, თორემ მიწას თქვენ მუშაობთ და თქვენ გეპუ-თვნისთო.

**გრიგოლი.** (გულმოსული) აი ის არამზადა, ისა! თუ ეს მართალია, ისე გავასრესინ ებ იმის ოჯახს, რომ ქვა-ქვაზე აღარ დარჩეს, ქვა-ქვაზე! (ქადალდს უბეში იდები).

**ფრიდონი.** ჯერ გამოიძიეთ, კნიაზო! თუ მე მტყუანი ვიყო, როგორც გენებოსთ, ისე დამსაჯეთ; თუ მართალი ვიყო და ის დასაჯეთ. (ჰაუზი) მე მხოლოდ იმას გეხვეწებია, რომ თუ მართალი გამოვდგე, თქვენი აბზიანეთის მამულები მე ჩამაბარეთ, რომ ჩემი ერთგულება დაგიმტკიცოთ როგორმე.

**გრიგოლი.** როგორც მოვა მიხეილი, ვეტყვი, რომ აბზიანეთის მოურაობა შენ ჩაგაბარის (ფრიდონი ადგება, თავს უკრავს მდაბლათ და დაჯდება. გარეთ ხმაურთბა ისმის; გაიდება ქარი და შემთვა მარშალი, მიხეილი, მაზრის უფროსი, მსაჯული და თავად-აზნაურთბა. ფრიდონი ადგება და ჭუთხეში მივა. სტუმ-რები მხიარულათ მიეგებებიან გრიგოლს, თავად-აზნაურთბა თავს უკრავს).

**გრიგოლი.** (მარშალი) სად იყავით იქამდინ, კნიაზო?

**მარშალი.** ადრესს ვამზადებდით! ადვილი დასაწერი-კი არ არის! (დასწებება ზოგი, ზოგი ფეხზეა; ფრიდონი კრიკოლს მიუახლოვდება).

**ფრიდონი.** მე გიახლებით, კნიაზო!

**გრიგოლი.** მე ყველაფერს აგისრულებ! (თავს უქნებს მარტი, ფრიდონი გავა).

**მარშალი.** (უბიდან ქადალდს აშოთების) აბა ადრესი წავიკითხოთ და, თუ ყველა მოიწონებთ, გავაგზავნოთ. (წაიკითხეთ, ქნიაზო, წაიკითხეთ! — ისმის ხმები. მარშალი გაშლის ქადალდს და კითხულობს) ტახტისა და სამშობლოს ორგულთა პროპაგანდამ აიყოლია უგუნური ბრბო (ამ დროს კარები გაიდება, თა, შემთვა ნესტორი და თავს უკრავს უგელას. მარშალი კითხვას შეწევეტავს და შემდეგ ისევ თავიდან დაიწევებს) ტახტისა და სამშობლოს ორგულთა პროპაგანდამ აიყოლია უგუნური ბრბო და დაბადა ჩვენში ის საზიზლარი მოძრაობა, რომელსაც მიზნათ ჰქონდა არსებული წყობილების დამხობა. თავად-აზნაუ-

რობა, ერთგული მონა ტახტისა და დამცველი სამშობლოს ინტერესებისა, თავიდანვე მტკიცეთ წინააღმდეგა მოძრაობას, თავგანწირულათ შეებრძოლა ტახტისა და სამშობლოს მოლაპტეთ, მაგრამ მეამბოხეთა საზიზლარმა თავხედობამ საზღვარი გადალახა და სიჭირო შეიქნა თქვენი ბრწყინვალების დახმარება. გიცხადებთ რა ჩვენს ულრმეს მადლობას ჯარის გამოგზავნისათვის და ყველა იმ ზომებისათვის, რომელიც თქვენმა ბრწყინვალებამ მიიღო წესიერების აღსაღენად, უმორჩილესად გატყობიებთ, რომ აჯანყება უკვე ჩაქრა, ხალხი ინანიებს თავის შეცდომებს და ყველგან წრულს ერთგულებასა და მორჩილებას აცხადებს. ხოლო საჭიროა მავნე და ხალხის გამბრიყვებელ პროპაგანდისტთა და აგიტატორთა სასტიკი დასჯა, რომ მომავალშიც იგივე არ გამორდეს. (სუცხლება, საუცხლება, — ისმის სმები: სამაგალითოა, მშვენიერია).

### გრიგოლი. აღრესი ძალიან კარგია.

**მარშალი.** მაშ თანახმა ხართ ყველა, რომ ასე გავაგზავნოთ? (თანახმა ვართ, თანახმა, — ისმის სმები, ამ დროს ზაღვის კარი გაიღება და ქნეინა მართაში შემოუძღვება დამილით გენერალს, უკან შერი მოვება სხვა კაბაში. კველა ზეზე წამოხტება და გენერალს შეისალმებიან. გენერალი დაჭდება, მერი და მართაში გვერდში მოქსხდებიან; მარშალი, გრიგოლი, მაზრის უფროსი, მსაჯული დასხდებიან, სხვები ფეხზე დგანან).

**გენერალი.** დაბრძანდით! (ზოგი დაჭდება, ზოგი ზეზე) მგონია, ცოტა დამიგვიანდა, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, მეამბოხენი თავს დაეცენ ჩემს ჯარს და უკან დავადევნე, რომ სულ ყველა დაიჭირონ ან დახოცონ.

**გრიგოლი.** ჩვენ იმის მთხოვნელი ვართ, კნიაზო, რომ უსასტიკესი ზომები მიიღოთ და ჩვენის მხრით ყოველგვარ დახმარებას აღმოგიჩენთ. თუ ახლავე ძირიანათ არ აღმოიფხვრა მოძრაობა, კიდევ წამოყოფს თავს.

**გენერალი.** თუ თქვენც დამეხმარებით, მოძრაობას ისე ჩავაქრობ, რომ ორასი წლის განმავლობაში ხალხმა კრინტი

ველარ დასძრას. (ჰასაც გვიბრძანებთ, ავასრულებთ, — ამბობენ ერთ ხმათ თავად-აზნაურნი).

**მარშალი.** ერთგულება ტახტისა და სამშობლოსადმი გვავალებს, თქვენი ბრწყინვალებავ, შევასრულოთ თქვენი ყოველთვის განთქმული ვიყავით ტახტისა და სამშობლოსადმი სრულის ერთგულებით, იმაში მე მგონია, დამეთანხმებით, კრიაზო!

**გენერალი.** თქვენს უქვეშევრდომილესს გრძნობებში მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი. თქვენი დახმარება ჩემთვის ფრიად საჭიროა. მე მომხრე არ ვარ შეღავათებისა და პატიების, ესე იგი ნახევარი ზომების; რაც შეიძლება მეტი სისასტიკე, შეუბრალებელი და მკაცრი სასჯელი ყველა დამნაშავეს, — აი ჩემი ტაქტიკა. ათასს კაცში ერთი რომ ერიოს დამნაშავე, ათასივე უნდა გაწყდეს, — მხოლოდ მაშინ დაშინდება ხალხი და ვეღარაფერს გაბედავს ვერასოდეს. მე მინდა დამნაშავენი ვიცოდე, დამნაშავენი მომეცით ხელში. გაუსამართლებლად დავახოცინებ მათ, ისინი სამართლის ღირსნი არ არიან; მათს ოჯასს ავაკლებინებ, სახლკარს გადავაწვევინებ და აი მაშინ ჩაქრება ამბოხება. მე მითხრეს რამდენიმე და მათ უკეთ მავაყენე შესაფერი სასჯელი, მაგრამ მე ყველა არ ვიცი, ისინი თქვენ იცით და დამეხმარეთ.

**გრიგოლი.** თქვენმა ჯარმა ცეცხლითა და მახვილით უნდა გაიაროს ყველგან, რომ ხალხს სამარადისოდ დაამახსოვნდეს, თუ რას ნიშნავს ტახტისა და სამშობლოს ლალატი. დამნაშავეებს ჩვენ მოგცემთ. (ამთაღებს უბიდას ქადალდს, კაშლის, დასწერავს და წარუდგენს გენერალს.) აი სია იმ მავნე პირებისა, რომლებიც შებრალების ღირსნი არ არიან და ვინც აქ არ არის მოხსენებული, იმათაც ესენი (თავად-აზნაურებისაკენ უთიავებს) დაგისახელებენ.

**რამდენიმე ხმა.** ვისაც კი ვიცნობთ, ყველას დავასახელებთ, ყველას.

**გენერალი.** (თავს უკრავს) მე მაღლობას გიცხადებთ დახმარებისათვის. (ქადალდს ათვალიერებს, შემდეგ ინახავს)

**გრიგოლი.** (მართაშვილი) შამპანური უბრძანეთ! (მართაშვილი გა-  
ვა. სიჩუმეა. შემდეგ მართაშვილი შემოვა, შემოვვებიან მოსამსახურებები  
შამბაზნურით და ჭიქებით. მართაშვილი დაუსხამს ერთს გენერალს, მეო-  
რეს თითონ დაისხავს და მიმართავს გენერალს; სხვებიც ისხამენ). .

**მართაშვილი.** გაიცეთ ყველამ ჭიქები! გენერალის სადღეგრძე-  
ლო უნდა დავლიოთ! (ყველა ჭიქებს აიღებს) თქვენო ბრწყინ-  
ვალებავ! ამ ოჯახში ბევრი სანატრელი სტუმარი ყოფილა,  
მაგრამ თქვენისთანა ძვირფასი ჯერ ჩვენს ოჯახს არა სწვევია.  
ძვირფასი ხართ ღირსებით, ძვირფასი ხართ გვარიშვილობით,  
ძვირფასი ხართ იმ ნდობით, რომელიც დაიმსახურეთ ტახტის  
წინაშე. ხოლო აქ ერთი გარემოება არის უფრო საგულისხმო,  
თავად-აზნაურობას ბევრი შავი ღლები გამოუვლია, მაგრამ  
მისი განუსაზღვრელი ერთგულება მეფისადმი ვერაფერმა შე-  
არყია. თქვენი მობრძანება სწორედ იმიტომ არის ჩვენთვის  
განსაკუთრებით ძვირფასი, რომ თქვენ შემთხვევა გეძლევათ,  
დარწმუნდეთ ჩვენი წოდების სრულს ერთგულებაში ტახტი-  
სა და სამშობლოსადმი და ჩვენ კიდევ საშუალება გვეძლევა  
ერთხელ კიდევ გამოვაშკარავოთ ჩვენი უქვეშევრდომილესი  
გრძნობანი და დაგიმტკიცოთ ჩვენი თავგანწირული სიყვარული  
ტახტისადმი. იყავით დღეგრძელი, იცოცხლეთ მრავალუამიერ,  
რომ თქვენის ხელით შეიმუსროს ყველა ორგული ტახტისა  
და სამშობლოსი. (მიურასუნებს ჭიქას და უსვენებლივ გამოცდის.  
შერი იღებს ჭიქას და დიმილით თავს უქნებს გენერალს, ისიც შად-  
ფლის უსდის თდნავ დიმილით. „ურა“-ს იძახიან სხვები და სვამენ).

**მართალი.** თქვენო ბრწყინვალებავ! საქართველოს თავად-  
აზნაურობას უძველეს დროიდან შესისხლხორცებული ჰქონდა  
მეფისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება და მას შემ-  
დეგ, რაც ხვენმა მრავალტანჯულმა ქვეყანამ თავი შეაფარა  
ძლევამოსილ რუსეთის ტახტს, ჩვენი გული ზედმეტათ აღივ-  
სო უუქვეშევრდომილესი გრძნობებით და მეფისადმი ლრმა  
ერთგულებითა და სიყვარულით. ჩვენ წმინდათ ვიცავთ წი-  
ნაპართა ანდერძს, რომელიც გვავალებს: მეფეს ანაცვალეთ

თავი თქვენიო. დედამიწა რომ იქცეოდეს, ჩვენი გრძნობანი მეფისადმი არ შეიცვლებიან; ქვეყანაზე რომ სისხლის ტბები დადგეს, ჩვენი სისხლის ყოველი წვეთი მხოლოთ ტახტისა და სამშობლოს დაცვას მოხმარდება; ყველა რომ მეამბოხეებად გადიქცეს, ჩვენს სიყვარულს სიკვდილი ხელს ვერ ახლებს,—საიქოს წავიღებთ, რომ პირნათლათ წარვსდგეთ წინაპართა წინაშე. ხელმწიფე, სამშობლო და სარწმუნოება—აი ის ქვეყნიური სამება, რომელიც ჩვენს წმინდათა წმიდანს შეადგენს. თქვენც, კნიაზო, გამსჭვალული ხართ ამ გრძნობებით ტახტისა და სამშობლოს მიმართ; თქვენ ეკუთვნით იმ დიდებულ წოდებას რომელიც მუდამ დარაჯათ უდგა და უდგია მეფესა და სამშობლოს და ამიტომ გეგბებით აღტაცებით და მთელ თავად-აზნაურობის მაგიერ ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს. მართალია, სამშობლოს განვებამ განსაცდელი მოუვლინა, მაგრამ განა ამისთანაზნი გვინახავს? თავად-აზნაურობის ერთგულებას და თქვენისთანა პირთა მტკიცე მარჯვენას მეფის ბილწი მოლალატენი ვერ გაუმაგრდებიან! იყავით დღეგრძელი, გაანადგურეთ ტახტის ყველა ორგული, გასწმინდეთ ჩვენი ტურფა ქვეყანა მავნე პირთაგან, რომლებიც ჩვენს ერს ჩირქსა სკეებენ და თავს სჭრიან და ჩვენც საშვალება მოგვეცით დაგიმტკიცოთ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა მარად უუქვეშევრდომილესი გრძნობებით იყო გამსჭვალული და მუდამ ასე იქნება. (სეამს. ისმის „ურას“-ს გრიალი. ამ დროს შორიდან მოისმის თოვების სრულად უვეჯა შექრდება რამდენიმე ხანის და სიჩუმე ჩამოვარდება. სრულადანდათან ძლიერდება).

**გენერალი.** მე უნდა წავიღე, რომ გავიგო, რა ამბავია!

**მაზრის უფროსი.** თქვენ რაზე სწუხდებით, თქვენობრწყინვალებავ! უთუოდ ჯარის კაცები დაბრუნდენ, მხიარულათ იქნებიან და ისინი ისვრიან თოვს.

**გენერალი.** მეც აგრე მგონია, მაგრამ მაინც წადით და გაიგეთ, რა ამბავია! (მაზრის უფროსი მიდის; მას მიუვება რამდენიმე კაცი. სრულად თან და თან იკლებს და ბოლოს შეწუდება).

**მარიამი.** უსათუოთ ჯარისკაცები დაბრუნდენ; ალბათ-ძალიან გაიმარჯვეს და ახლა მხიარულათ არიან.

**გრიგოლი.** (წამოდგება ჭიქით და გენერალს) მე ბელნიერათ ვრაცხ ჩემს თავს, კნიაზო, რომ წილათ მხვდა ისეთი ადამიანის მიღება, რომელიც ალმურვილია მეფის ნდობითა და რომელიც სისხლით, ხორცით და მისწრაფებით ჩვენ გვეკუთვნის, სამშობლოს კეთილდღეობის მოდარაჯე წოდებას. ვსუამ რა თქვენს სადლეგრძელოს, ღმერთსა ვსთხოვ, იმდენ ხანს იცოცხლოთ, სანამ მეფისა და სამშობლოსათვის თქვენი ნიჭი, გული და მაჯა საჭირო იქნება. (სესმს. „ურა“—ს იძნიან)

**გენერალი.** (წამოდგება) მე გულითად მაღლობას ვუცხადებ მთელ-თავად-აზნაურობას, განსაკუთრებით თქვენ, კნიაზო (გრიგოლს), თქვენ, კნეინა (მარიამს), და თქვენ, კნიაზო (მარქალს). ქართველი თავად-აზნაურობა განთქმული იყო მორჩილებითა და მეფისადმი უსაზღვრო ერთგულებით, და სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ერთგულებასა და სიყვარულს ტახტისადმი თქვენში ვერაფერი ვერ შეარყევდა. მაღლობას გიძლვნით, სულით და გულით გისურვებთ კეთილდღეობას და გარწმუნებთ, რომ მე მოვედი აქ თქვენი ინტერესების დასაცავად და მეფის ორგულთა და ტახტის მოღალატეთა შესამუსრავად. (ასწერ მადლა ჭიქას და ხეგმს. „ურა“ ისმის. დასხდებან).

**გრიგოლი.** (მარიამს) კნეინა, სადილათ შეგვიძლია გავიდეთ ახლა?

**მარიამი.** ყოველისფერი მზათ არის. (გენერალს) საღილი მზათ გახლავსთ და, როცა გნებავსთ, გვიბრძანეთ.

**გენერალი.** თქვენ როცა გვიბრძანებთ, კნეინა! (მარიამი მივა და ღლიას გაუწვდის, გენერალი ადგება, ხელს გაუკრის და მიდიან, სხვები უკინ მიეკებან, მაგრამ ამდროს გარედ სროლა და უიჟინა მოისმის და უველა შედგება; მაზრის უფროსი და, ვინც მას გაუვა, შემთცვივდებან).

**მაზრის უფროსი.** (ადელვებული) კნიაზო, კარებები, უბრძანეთ! გარს შემოგვესიენ, ამოგვხოცამენ! (გარეთ სროლაა. რთახიდან საჭირო გარბის აქეთ იქით. უველა კარებებს კეტავენ.

**გენერალი, გრიგოლი და მარშალი.** (ერთათ) რა მოხდა, რა ამბავია?

**შაზრის უფროსი.** მეამბოხეებს ჯარი ამოუხოციათ; მოგვადგენ, ჩვენ ძლივს გამოვასწარით! (სროლაა).

**გენერალი.** ეს ყოვლად შეუძლებელია! ჯარი ამოხოცეს! რას ამბობთ? ჩემს ჯარს ვინ დაამარცხებდა? ვერ გაგიგიათ კარგათ! (ამ დროს კიუინა სახლის გარშემო ატედება, აგრეთვე სროლა, მასე დაუწეუბენ გარებებს მტრვევას. გენერალი რევოლუცის ამოიდებს და განერდება ისე; მერი დედას შემოქვევა და სტირის. ბეჭრი გავა სწევა რთახებში და იმაღება, გრიგოლიც იმსალება. კარებს ამტრევენ. გენერალი რევოლუცის ისვრის რამდენჯერმე. დაუარეთ იარაღი, დაგზნებდით უველა, თორემ ამოგსოცავთ უველას; ისმის გარედან უვითოლი, გარებს ჩაამტვრევენ, უველა კუთხიდან შეამოცვინდებიან სახლში და შემდეგ სასტუმრო თთასში. გენერალი რევოლუცის ისვრის. არჩიოლი სელს წაატანს, მაგრამ გენერალი დასკურის მას. არჩიოლი ძირს დაუშვება. სსვები მას მიეშველებიან; ზოგი გენერალს სტაცებს სელს. არჩიოლს აიუვანენ და ლოგინზე დააწვენ. თამდენიმე კაცი გამოჰქვას გრიგოლი; მას განერალთან დაუენებენ. აქვე მოიუვანენ მერის და მარიამს).

**არჩიოლი.** (მომავალდავის ზრით) ამხანაგებო! წადით და აუწყეთ ქვეყანას, რომ დღეიდან ხალხი თვითონ არის თავისი ბატონ-პატირონი. (გრიგოლია და გენერალი) კმარა, რაც თქვენ ხალხს სისხლი სწოვეთ. განკითხვის დღე დადგა და ხალხი მოგთხოვსთ ახლა პასუხს ამხანაგებო! ამათ ხელი არ ახლოთ: ხალხის მტარვალები, ისევ ხალხმა უნდა გაასამართლოს. მეკი ვიქტორორთან ერთათ დამმარხეთ და ნუ დამივიწყებთ. (სულს განუტევების. ამხანაგები მუხლებზე დაეშვებიან და ქუდებს იხდიან. ფარდა ხელა ეშვება).

ივ. გომართელი

# ღՈՂԱ ԶԱ ՃՅՈՒԽՈՍԵ

(ԹՇԿԱՅՄՆԻ ՆԱՅԻՇԱԾԿ)

ՑԵՐՈ ՏԱՐՈ Ը ԹՉՅՎԵՐՈ  
ՍՇ ԹՇԴԱՄ ԹՇՅԱՐԱՆՈԱ.

ՏԱԼԵԿՈՐՈ.

I

ՇԵՐԵԲՆԵՐ ՊԱԼԱԾՔԵԾԱ  
ՏԱՐՈ Ը ԹՇԴԱՄ ԳՎՈՐՈՍԱ.  
ՑԵՐԵՐՈ Ը ԹՇԴԱ ԻԵՄՈԱ,  
ՑՇՈՐԾ ԿՎՈՐՈՍԱ,— ՑՈՎՈՍԱ.  
ՆՈՍԼՈԱ, ԵՋՎՏՈ-ՑՎՈԾՈ ՖՇՈԾ  
Ը ԹՇԴՈՍ ԹՄԱՑՔԵԾԱ ՑԿՈՎՈՍԱ.  
ՑԵՐ ԱՐ Ը ԹԱԾԳՑՈԱ ՇԼԵԼՈ,  
ԳԵՄՌ ԱՐ ՕՎՈՍ ԾՎՈՐՈՏՈՍԱ.  
ՇՎԱԼԵՑՑՈ ՏԱՑԱՐԼՈԱ ԱՑԼՎԵՐԵՑՑՈ,  
ԾԱՆՈՒ ԱՐԱ ՑԿԱՑՍ ԾՈԼՈԱ.  
ԻԵՄԸ Ը ԹՇԴՈՍ ՀՋԵՑՈ ԱՑՄՎԵՆԵՑՑՈ,  
ՇՆԱՏՈՒՑՑՈ ՀՐԵՑՈՒՐՈ ՑՐՈԼՈԱ.  
Ը ԳԵՇՈ ՑԱԼԱՑՇԵՑՇՈԾՈ  
ՑՇՈՑՈ ՇԼԵԼՈ ՍՎՇՈԼՈԱ.  
ԱՎԱՑՑԵ ՑՇՄԱՆՑՈ ՑՎԵՑԱ,  
ՑՇՄԱՆՑՈ ՑՎԵՑՈ ԹՄԱՑՔԵԾԱ;  
ՀՐԵՑ Ը ՑՎԵՑԵՆԱ ԱՄԱՑԴԱՆԱ,  
ՆԱՑԱՆՑՍԱ ՊԱԼԱԾՔԵԾԱ.  
ՑՈՆ ԱՎՈԼՈՍ Ը ՑՎԵՑԵՑՑՈՍԱ:  
ԱՎ ԿՎՈՐՈՍԱ ՑԱՑՈՆՈ;

„ყველა ხარები დალახა,“  
 კვეხულობს მისი პატრონი.  
 გივს ძლიერ ესახელება  
 ღონე და ხერხი ბულისა.  
 ძალას უდარებს კამეჩისა  
 და მარაგს—ჭექა-ჭუხილსა.  
 კვირისა დადის, ბუბუნებს,  
 რქით და ფეხით სთხრის მიწასა.  
 ხან ერთს ფეხს უსვამს, ხან სხვასა  
 ისვრის ლამსა და ქვიშასა.  
 დაჭრებილს თავ-პირს დაათრევს  
 და ზედ მიცხობილს თიხასა.  
 დილითან სალამომდისა  
 სულ ბუღრანაობს კურეტი.  
 არ დასდევს დარს და ავდარსა  
 და არც დღე იცის კუმეტი.  
 გაჰკივის მთიდან მთაზედა  
 საქმე არა აქვს მის მეტი.  
 ყველა ბულები დატეხა,  
 არ გადაურჩა ხარია.  
 სხვის ბინებზედაც ფარფაშობს,  
 ნავარდობს როგორც ხანია.  
 დაეძებს, სხვა ფალავანიც  
 ხომ არვის მოუყვანია.  
 რომ ისიც დაიმორჩილოს  
 აჩვენოს. თავის ჯანია.  
 ჩვენს ბინაზედაც მოვიდა  
 ბუბუნით, ღიღის ამბითა  
 ღიღა რომ ნახა, ასტეხა  
 ბრდლვინვა-კივილი გაბმითა,  
 ჩვენის ქოხისა მიდამო  
 დაფარულია შამბითა.

ତିତକ୍ଷଣ ବସେଟି ଦିଲ୍ଲିଗା  
ପ୍ରକ୍ରିଯା ଦାୟିମହିଳା ସାଧନିତା.

II

B

ଫିଲା ଅଥ ଲାଲକୋନ୍ଦିଶି  
ନିର୍ମା ଦା ପ୍ରକାଶନେବ୍ରଦା,  
କୁର୍ରେତିଶ ସାମର୍ତ୍ତରିଦ ମନ୍ଦିରିତା  
ନନ୍ଦାଚାର ଏହା କ୍ରମିକେବ୍ରଦା.  
ତୁମପା କିରିଲି ଲାଲାଶ  
ଦାଲିବା ଗୋର୍କ୍ଷବ୍ରଦା.  
ଗାତର୍ମହୁଲି ଏହା ପ୍ରାଣବନ୍ଦାର  
ଜୀବ ଏହାକିମିଲ୍ଲେବ୍ରଦା.  
ପ୍ରାତିଶ ଶୁଶ୍ରାଵି: ମନ୍ଦର୍ମହିତଦା,  
ଦୁନ୍ଦବାଶ ଦାନ୍ତରଦେବ୍ରଦା.  
ତାବିଶି ଜାନି ଦା ଲାଙ୍ଗ  
ମିଠିଶିତାବି ଦାନ୍ତରମ୍ଭରଦା.  
ଦା ମଦିମେଶ ଉଲ୍ଲେଖ ପିନ୍ଧିଶାଶ  
କିଶ୍ରିତି ମନୁଷ୍ୱରିବା.  
ଅମାଶ ଏହାକିମିଲ୍ଲିବ୍ରଦା,  
ମିତ ଉମ୍ଭେତ୍ରସାର କୁରିରିଶା.  
କିରଦାକିର, ଶ୍ରୀକିରଣାଚାର,—  
ଲାଲାଶିଶାକ୍ରି ମିଦିଶା.  
ମେତ ଏହାପାଇ ଲମ୍ବରିତି ଗାମିତ୍ତିରା  
ଜୀବ ମନ୍ଦିରିଶାନ୍ତରେ ଦରନ୍ତରେଦା:  
ଗାମ୍ଭେଗଦିନ ତାବ-ଏଗଦ୍ୟବୁଲି  
ନିଜିତ, ମେଲର୍କ ଗାନ୍ଧିନ୍ତରେଦା.  
ତାବିଶ ଚାଲିଗା ଦରିଯୁଲାଦ  
ରାଜନୀତି ପ୍ରେଶର, ଦରିଶିତା.  
ହୃଦୟରି କିରିଦାନଦାଶ  
ତାବିଶ ଦାମିବାଲି ଲ୍ଲେଶିତା.  
ଲାଲା କି ତିତକ୍ଷଣ ତାବିଶିବିତ,  
ଏହିବନ୍ଦବ୍ରଦା ଗିରିତା:

დამეხსენ, დატანჯული ვარ  
 კისერზე უღლის ხრეშითა,  
 მოხუცი... ვერ შეასმინა,  
 წამოიწია ხვნეშითა.  
 დაიძრა მიწა-ჰაერი,  
 რქებისა რქებზე თხლეშითა.  
 მორევნაზეა აქ საჭმე,  
 სჩქეფს ცხოველური ბუნება—  
 ერთ-ერთი ასწევს ქედს მაღლა,  
 მეორე მოილუნება;  
 ამითი უნდა გათავდეს  
 ცხოველურ გრძნობათ ცდუნება.  
 იბრძვიან გამწარებულნი,  
 არც ერთს ეტყობა კრთუნება:  
 სახელი რომელს დაპრჩება  
 ესაა ბრძოლის მიზანი,—  
 თვალ-წინ დამიდგა მაშინა  
 ცხადი, აშკარა ნიშანი.  
 ხერხით ვატყობდი ღილა სჯობს.  
 ფილფორ კურეტი მეტია:  
 რაშენჯერ გაპკრა ღილამა,  
 თავზე დაასხა რეტია;  
 მაინც არ გატყდა, ტიალი,  
 ხელ-ახლად შამოეტია.  
 ვერე სკრის ახლის ძალასთან  
 მოხუცის ხარის ქედია!..  
 „რამ დაგაგიუათ, კაცებო  
 ეგ საღაური რჯულია?  
 ხარი სად მოვა ბულასთან,  
 ისიც გუთანში ბმულია?  
 დაკარგეთ იქით ღილაი  
 ისედაც დატანჯულია!“

გვიჯავრდებოდა იქ მყოფს ხალხს  
ბებერი—რაიბულია. \*)  
არ იქნა ვერ მოვახერხე,  
რამდაც შამიკრა გულია.  
მე შავარტხვინე ღილაი,  
მე დავკარ თავში ცულია.  
ახია ჩემზე რომ დღესაც  
არ მომრჩენია წყლულია.  
იმედს მივენდე, ვამბობდი:  
გაიმარჯვებდა ხარია.  
მეწადა ბუღა მენახა  
დაჩაგრულ-განამწარია.  
სჩანს რომ შაუძლო ყოფილა  
მთად გადაიქცეს ბარია.

## III

გამიწყრა ღილა, გამიწყრა,  
საქონელს აღარ უდგება,  
დადის სულ მარტოდ-მარტოკა,  
ძროხებს ემალვის, უფრხება:  
გამწყრალი ელტვის სხვა მხარეს,  
აღარ სძოვს ბალას მთისასა;  
რჩეობს რომ მოკვდეს, გაქარწყლდეს,  
არა სთელავდეს მიწასა.  
დღისა აშინებს სანათლე  
და ღამით მთვარის ნათელი.  
ემწარვის ანგელოზისგან  
რქებზე დაკრული სანთელი.  
და ჩაჩურჩური ყურშია:  
„იკურთხოს შენი გამზდელი!“  
გამხდარსა, გაძვალტყავებულს  
მეც ვეღარა ვცნობ ღილასა,

\*) კაცის სახელია

ვუცქერ და გული მიკვდება:  
 ალარ მოუდგა ბინასა.  
 ალარ მარილი ალოკა  
 თუმც დაუყარე დილასა.  
 ვხედავ და გული მიკვდება,  
 რით მოვურჩინო წყლულია?  
 პირ-უტყვეს რა უთხრა მეტყველმა  
 რომ რჩევა დაკარგულია.  
 რჩევით და ჩაგონებითა  
 რჩება კი წყლული გულია?  
 ლილას რომ ვხედავ დაჩაგრულს  
 თავ-დახრილს იალალზედა  
 გულზე დამესხმის ეკალი,  
 ცრემლები მომდის თვალზედა.  
 ერთხელ გუთანში შევაბი,  
 შვერამ როდილა გასწია,  
 ჩამიწვა იქავე კვალში,  
 თავი მიწაზე არწია.  
 დაადვა თავი ხნულს მიწას  
 უდელს დაბლისკენ დასწია.  
 თუმც ბევრი ვცემე არ აღვა  
 ზედ დავამტვრიე ბრაწია \*)

## IV

მას შემდეგ ძილი ჩემთვისა  
 ტანჯვაა, განა ძილია.  
 სიზმარში ვხედავ ლილასა  
 რქა მოაქვს ჩემზე წყვილია.  
 მჩვერავს და მეტყვის: „პატრონო,  
 რად მიღალატე, რისთვინა?  
 შენ განაცვალე ჯან-ლონე,  
 არ მიმიცია სხვისთვანა.

\*) უცველელა, მცენარეა.

გადაგიშავე მინდვრები.  
 შევაკალ ჩემი თავია.  
 კერაზე ცეცხლი დაგინთე,  
 კალოში დავდგი ხვავია.  
 შშიერა მამუშავებლი,  
 ბევრი დღე ვნახე შავია.  
 გათქმული ვიყავ, — ჩემზედა  
 არავის უთქვამს ავია.  
 დღესნამდე სახელოვანსა,  
 დღეს ყოფნა გამიმწარო!  
 არ სტყუის, არა, საწყალი,  
 სუყველა ჩემი ბრალია:  
 მე ბოდიშს ვიხდი, ვათირებ,  
 ხელს თუმც ვერ ვკიდებ ყურზედა  
 და მისი ბროლივით რქები  
 დაბჯენილი მაქვს გულზედა.  
 — მორევნა სხვისა, ნუ ჰფიქრობ,  
 რომ იყოს მარტო სახელი?  
 შენი შრომა და ღვაწლია  
 საყურადღებო, სათქმელი...  
 ნუ სდარდობ, გმირო უებროვ,  
 ღილთა და მცირეთ მრჩენელო,  
 შენ ჩემო ღილო იმედო  
 და კაცად გამომჩენელო! —  
 ვერასა ვხდები, ამაოდ  
 მიმიღის ხვეწნა — თირება.  
 მეორეს ღამეს სიზმარში  
 მოდის, რქით დამეხირება:  
 ვაუა-ფშაველა.

ღმერთო! რამ უნდა გაუძლოს  
 ზამთრის ასეთ გძელ ღამესა?  
 მრავალს წელს ვლესე ლოგინი,  
 წამალს მასმევდნენ მწარესა.  
 ბნელაში ვყავდი, ნამცეცი  
 შუქიც არ მომაკარესა.  
 არც ცეცხლს მინთებდნენ — გავეთბე,  
 არც აშუქებდნენ რამესა.  
 „სინათლე აწყენს!“ ამბობდნენ,  
 ხურავდნენ სარკმელ-ბანებსა..  
 ბნელა, სულ ბნელა! თვალითა  
 შუქიც არ გამიცადია,  
 არ ვიცი, როდის ლამდება,  
 ან როდის განთიადია?  
 ლამის თვალები ამომლპეს,  
 ახელაც აღარ მწადიან!  
 დარჩათ დრო მოჩვენებათა,  
 მაცდურო, ალებს და ქაჯებსა,  
 თვით ბეზლებელი ეშმაკი  
 მოდის და მოალაჯებსა.  
 ცეცხლს აფრქვევს პირით, ჩემ სულსა  
 არავის დაანებებსა!  
 აგერ! ამ წყეულ დევებსაც  
 წამოუყვით თავები.

რა საზარლები არიან,  
 რა ბალნიანი, შავები!  
 ჩემი წაყვანა თუ უნდათ,  
 გამოიშვირეს ბრკუალები.  
 რატომ არაფერს მშველიან,  
 რა იქნენ სალოცავები?!

საფლავიც ახლად გათხრილი  
 ჩემსკენ მოქანავს დინჯალა  
 თავისკენ მეპატრუება,  
 მეალერსება ყინჩალა.  
 ვაჰმე! მამულის შვილებო,  
 თავდადებულნო ძმისადა!  
 თქვენ ხომ მანდ სწეხართ გმირებო,  
 გადაქცეულნო მიწადა!!

შიშით ვცახცახებ, სიკვდილსა  
 წამუწუმ მოველოდები,  
 ყელში მიკერენ, გულზედა  
 დამაწვნენ, როგორც ლოდები.  
 — მიშველეთ! ღმერთი არა გწამთ?!  
 ვყვირი აქეთ და იქითა.  
 ალბათ ვერავინ გაბედა  
 იმავ დევების შიშითა,  
 იმედი მაინც მოეცა  
 მხოლოდ ლიტონი სიტყვითა...

---

ვგდივარ ლოგინში, ალარ მაქვს  
 მე ხომ სიცოცხლის პირია!  
 — გაჩუმდით! ყური დაუგდეთ! —  
 აგერ მამლები ყივიან!  
 — რა მოხდა?! — ირგვლივ ყოველი  
 მთლიად შეიცვალა ძირიან: —

რაკი თენებამ მოასწრო  
 დევები როგორ ტირიან!  
 სინათლის შეშინებულნი  
 რა საზარლადა ყვირიან!..

მესმის თანდათან ხშირდება,  
 მატულობს მამლის ყივილი:—  
 საღ გაჭქრნენ ეშმაკ-დევები,  
 რაღ მისწყდა ქაჯთა წივილი?!  
 —თენების სიხარულითა  
 აღარც-კი მახსოვს ტკივილი.  
 ესაა ჩემი იმედი—  
 ეს ხშირი მამლის ყივილი!!

თ. რაზიკაშვილი.

1904 წ.

## ახალთაობას

ყველა წინ მიდის, წინ სვლასა  
შესტრფის და ეთაყვანება.

აყვავებული სამშობლო

ოცნებად დაქხატება,

აღთქმული ქვეყანისკენა

მიიბრძვის, მიესწრაფება,

ამდენი ახალგაზდობა

საბრძოლად ემზადებიან,

უხარისთ, ვითომ ქორწილში

მიდიან, ესწრაფებიან,

ჭიკადამჯდარ მამათ რჩევასა

სიცილით ეგებებიან.

არა ტირიან წარსულსა,

თვალი აქვთ მომავლისკენა,

მიწაზედ დგანან, სულაცარ

იხედებიან ცისკენა;

მათ სწამთ ორი გზა: ან შვება,

არა—და სამარისკენა.

მოგესალმებით, ახლებო,

ვემთხვევი თქვენსა დროშასა,

მივესალმები იხალ დროს,

ახალი მცნების მოსვლასა,

გზას დაგილოცავთ და ერიც  
გაგატანსთ თავის ლოცვასა!

ვიდრემდი ჩვენი მკლავები  
შავ მიწას დაუჭამია,  
გასწით წინ, გასწით, ესწრაფეთ,  
სიცოცხლე მოკლე უამია.  
ეგები თავისუფლებით  
ჩვენც დავტკბეთ ერთი წამია...  
ერთობის პირის გამტეხი  
მიწასამც შეუჭამია!!

თ. რაზიკაშვილი

1905 წ.

## საბრალო ბაბუა

### I

ქარი ჰქრის, ქარი ზუზუნებს,  
ჯოჯოხეთური ღამეა...

ოჲ, ეს გულ-ქვავი გრიგალი  
რა უზოგავი რამეა!

ას-წლოვან ხეებს წელ ში ჰქრის,  
ღრიალებს, როგორც აფთარი;  
ძლივს-და დალოლავს ცხოველი,  
უსმელ-უქმელი, გამხდარი...

ქარი ჰქრის, ქარი ზუზუნებს,  
მთა-ბარს გაუდისთ ბლავილი;  
თვის დედას მიწას მზრდელ მკერდზედ  
კვნესით დააკვდა ყვავილი.

თოვს და თოვს... მისი ფირფლები  
ბრწყინავენ ათას ფერადა;  
ჰკივის ქარ-ბუქი, ცას ჰბურავს,  
თოვლს აბნევს ნიავ-მტვერადა.

ღამეა, ღამე შავ-კუპრი,  
ჯოჯოხეთური, ბნელეთი;  
მოსთქვამს და სტირის ქარ-ბუქთან  
ყინვით შეკრული ხმელეთი.

ცის თაღი ჩამოლუშულა,  
მწყრალი, პირ-მქუში რამ არი,  
მნათობნი არსად ლოლავენ,  
ცა ბნელობს, როგორც სამარი.

თოვლში ჩამდგარი მკერდამდის  
მოდის ბილიკზე ზალიკო;  
გზას აპბნეოდა მოხუცი,  
სხვა გზაზე გადამცდარიყო;  
კორდი კორდსა ჰგვანს, სერი სერს,  
მთლად დაჭკარგოდა გზა-კვალი.  
ღამე რას ნახავს, როდესაც  
დღისიც ღალატობს მას თვალი!

მოდის, მოაპობს თოვლ-ნამქერს;  
შხნეობას არის ჩვეული,  
მაგრამ დღეს რა ჰქნას ბედ-შავმა:  
სიბერე ახლავს წყეული.  
ბეჭს შვილის შვილი შეუსვამს,  
რვა წლის გიგოლი ობოლი,  
სიცივე ჰყინავს საბრალოს  
და თრთის, უით ვერხვის ფოთოლი.

მოდის მოხუცი, გზას ებრძვის,  
მოარღვევს ქარ-ბუქს მკერდითა.  
სერით სერებზედ გადიდის,  
მოდის ფერდოზე ფერდითა.  
ღამე მთლად ჩამოშავ-კუპრდა,  
ჩაჯოჯოხეთდა, ჩაბნელდა.  
ბუქმა შეპხუთა ჰაერი,  
გზაზედ სვლა უფრო გაძნელდა.

ეჰ, წახდა საქმე!.. მუხლებში  
მოხუცს უმტყუნა ძალამან,  
ნაბუქრის რღვევამ მოჭანცა,  
სულიც-კი დაულალა მან.  
უშტოვო ხის ქვეშ ჩამოჯდა,  
ვერ სძრავს ყინვისგან ენასა,  
ყურს უგდებს მთების გოდებას  
და მწარ ქარ-ბუქის ღრენასა.

— „ბაბუ! გამყინვა... გავშეშდი“...  
 ძლივს-ლა ლულლულობს გიგოლი—  
 „იკივლე! იქნებ გაგვიჩნდეს  
 ვინმე სოფლამდე მიმყოლი.  
 თორემ ქარ-ბუქი მატულობს,  
 თავ-ზარსა მცემენ ეს ხმანი;  
 სადღაც გადაგვჩეხს გრიგალი,  
 დავილუპებით, ლმერთმანი“!

ჰკივის ზალიკო!.. თითქო გრძნობს  
 ღონე მოეცა მხნე მასა.  
 ჰკივის და კვალად ყურს უგდებს:  
 ელის ხმის გამოცემასა;  
 მაგრამ ხმა არსით არ არის,  
 ისმის კვლავ ქარის ზუზუნი  
 და დაგლოვებულ ქვეყანას  
 თავს აწევს ლამის უკუნი...

ფეხზე წამოდგა ზალიკო,  
 მიდის და მიდის ქშენითა,  
 ქარი-კი გულ-მკერდს უსერავს,  
 წინ ხვდება მკაცრის ლრენითა,  
 ხან მარჯვნივ ხევში გადასჩეხს,  
 ხან პირში შეუგუბდება;  
 წამის საგალ გზას მოხუცი  
 თითო საათი უნდება...

## II

ამისი ცოდვა მიეცა,  
 ვინც ეს ჩააგდო ამ დღეში:  
 მოხუცს პატარა გიგოლი  
 ჰყავს ერთად-ერთი ნუგეში.  
 ამის განსწავლას ფიქრობდა.  
 სურდა მიცემა სკოლაში.

ამბობდა: „სწავლა ხმალია  
ამ ცხოვრებასთან ბრძოლაში“!  
სწავლის დაწყებას ელოდა,  
დღეს დღეზედ სთვლიდა მიყოლით;  
აგვისტოს დამლევს ჩავიდა  
ქალაქში თავის გიგოლით;  
მაგრამ ჩას უთხრეს: რა გიყოთ,  
აღგილი არ გვაქვს „კლასშიო“,  
თუ მოგვვრი, მაგას მივიღებთ  
უეჭვოდ იანვარშიო!

ეს იანვარიც დაუდგა:  
ქალაქს ჩავიდა ზალიკო;  
ნახა: უფროსი სკოლისა  
აივანს გადმომდგარიყო,  
უფროსს იმისი დანახვა  
რომ არ სწყენოდეს, არ იყო,  
ეს შეამჩნივა მოხუცმა  
და ცოტა შეკრთა ზალიკო.

წამოიჩოქა, შეპვედრა:  
მოიახლოვე ღმერთიო;  
ჩემს მოხუცობის იმედად  
ეს დამრჩა ერთად-ერთიო;  
ნუ დამიტოვებ უსწავლელს,  
მიიღეთ გიგა „კლასშიო“,  
სწავლა სწყურია, მასზედ სწუხს,  
ვერ დავაკავე სახლშიო“!

მაგრამ არ გასჭრა ვედრებამ.  
ვერ მოალბუნა ქვა-გული;  
უარი უთხრეს... სდგას ზაალ,  
სევდით გონება დამბული.  
ფიქრობს: რა ღმერთის წყრომაა:  
სულსა გვხდის ხარჯთა კრებაო,

თუ სკოლებისთვის არ უნდათ,  
მაშ სად ჯანდაბას ჰქონებაო?

კვლავ ევედრება: „ნუ დამკლავ,  
დამყევ თხოვნაზე ნებასო:  
ბავშვი მიიღე... პატივ ეც  
ამ ჩემს ღრმა მოხუცებასო“!  
მაგრამ უფროსმა დაპბლავლა:  
გასწი შე მაწანწალაო!  
თავსაც მაბეზრებს ქოფაკი!  
ხედავთ მოსწყურდა სწავლაო!

და გამოაგდეს ზალიკო...  
დაბრუნდა უკან ბედ-კრული,  
თან მოსდევს თვისი გიგოლი,  
თვალ-ცრემლიანი, მოკლული.  
გზაში ქარ-ბუქი აუტყდათ,  
მოყიდა თოვლი მაღალი  
და მრავალ ტანჯულ მოხუცა  
დაატყდა ჭირი ახალი.

### III

მოდის მოხუცი... ღამე-კი  
უფრო და უფრო ბრელდება,  
ქარი კვლავ ძალზე გაჰკივის,  
თოვლის გვას აღარ სჯერდება:  
მიწასაც იღებს, ბუჩქსაც ჰგლეჯს,  
უძალესია მეტზედა,  
ქვებს აყრის პირში ზალიკოს,  
აღარ აყენებს ფეხზედა.

ვაიმე! მოხუცს ქალმები  
ფეხზე სულ შემრასცვეთია,  
ოფლი ყინვებად ქცეულა,  
მკერდით რომ ჩამოსწვეთია,

ჩამოხევია საყელო,  
გაშიშვლებია გულ-მკერდი...  
ფურ, შენ ბედო, თუ მშრომელს  
ამ გვარ მწარ ბოლოს უწერდი!

ლონე აღარ აქვს საძრავად,  
ბუქისგან სული გუბდება,  
ფორთხავს და ზეზე ვერ დგება,  
უცბად რომ გადაბრუნდება;  
ყინვამ გათოშა ძარღვები,  
წარბებსაც ყინვა ჰკილია,  
მაჯაც მისუსტდა... მკვდარია,  
თუმც სული პირში კიდეა.

იქვე ძველ თხრილში ჩაყუჩდა,  
გულში ჩაიკრა გიგოლი,  
ტანზე გაიძრო საცმელი,  
მითი შექმურა ობოლი,  
თვითონ-კი დარჩა ტიტველი,  
დარჩა ჰერანგის ამარა,  
ოლონდ გიგოლი გადარჩეს,  
სხვა იმას არა ჰგამა-რა!

გრიგალი ლმუვის, ცა ჰკვნესის,  
ქოთავს და ტირის მიღამო.  
მხეციც სოროში იძუძგვის,  
გავლას ვერ ჰბედავს მის გამო,  
ჩიტიც-კი ბედნიერია:  
მისთვის ჯაგები მზად არი,  
მხოლოდ ჭირ-ნანას ზალიკოს  
არა აქვს არსად საფარი.

ზის უმოძრავოდ ძველ თხრილში,  
გიგოლი გულში უკრია,  
დალურჯებია მკლავები,  
თავი ძირს გადაუხრია,

რაღაც უგრძნობად გამხდარა,  
უსიტყვოდ გარინდებულა,  
ბეჭედ გამსკდარა პერანგიც,  
ნაფლეთად გადაგდებულა.

მაგრამ სიცივეს ვეღარ ვრძნობს,  
მალედ ეკიდება თვალს ძილი,  
წინ ელანდება ჩვენება,  
რაღაც გრძნეული აჩრდილი,  
ცერად სიზმრებში დასცურავს,  
ხედავს ტკბილს ედემ-სამყაროს,  
აქ არ სჭირდება ოფლის ღვრა,  
აქ უკვდავების სვამს წყაროს.

გას ელანდება, რომ სხვებთან  
სწავლობს იმისი გიგოლი,  
ხედავს, რომ იგი პირველობს,  
რომ არვინ არის მის ტოლი  
და ალხენს თვისი, თვის ბედის  
ამ გვარად გარდაცვალება,  
გრძნობს, რომ აქ არის საზღვარი...  
აქა თავდება წვალება...

## IV

დილაა... თოვა გადილო,  
ქარმა ღმუვილი შესწყვიტა,  
ამოანათა წყნარად მზემ,  
გიგოლს ჭინჭებში შესჭრიტა;  
კუმაწვილმა უცბად სამოსი  
აიძრო, თავი აჭხარა,  
მზეს რომ შეხედა, ლხენისგან  
კინაღამ ცრემლი ჩაღვარა.  
„ბაბუ“-ს შესძასა: გადავრჩით,  
აწ-კი მივაწევთ სახლშიო;

მიღამო მიტკბა... გავსწიოთ,  
 მეც თან მოგყვები მხარშიო...  
 მაგრამ ბაბუა მუნჯად ზის,  
 ხმას აღარ იღებს ზალიკო...  
 ჰკვირვობს გიგოლი: მის უმაღ  
 ეს უნდა წამომდგარიყო!

ხელს ჰკიდებს მოხუცს, ჩასახის,  
 აღვიძებს, არყევს ძალზედა;  
 მაგრამ რაღაცა შენიშნა,  
 შეფრთხა და გახტა განზედა:  
 ბაბუა გვერდზედ გადიქცა;  
 დევს მოკუნჩხული, უძრავი,  
 კისერი გაშეშებია,  
 დაჲ კიდებია ძირს თავი.

ჩაჰლრუებია თვალები,  
 კბილები დაუღჭენია,  
 ზედ მიჰყინვია ხორცი ჯოხს,  
 ცალ ხელში რომა სჭერია,  
 ლურჯად მოუჩანს მხარ-ბეჭი,  
 სახე აქვს ყინვით დამჭკნარი;  
 დევს უმოძრაოდ, უსულთქმოდ,  
 შესაშინელი, საზარი...

ერთ ხანს ყრუდ იდგა გიგოლი,  
 მუნჯობდა, ვერრას ამბობდა,  
 გასღიდებოდა თვალები,  
 თითქო გასკდომას ლამობდა,  
 შემდეგ განირკვა, აშფოთდა  
 ელდით და გულის ტრიალით,  
 შეშინდა, გაჲქრა, გაიქცა  
 სოფლისკენ მწარის ღრიალით.

## V

მას აქეთ განვლო ღიდმა ღრომ,  
ბევრი რამ მოხდა ცვლილება,  
ცხოვრების ბრძოლამ მაგება  
მე მწარე გამოცდილება,  
განმიქრო გრძნობა ჭაბუკის,  
მჩასრავი ბრჭყალი ჩამჭიდა  
და ზრუნვა ჩემ გვარ კაცთათვის  
მან მძიმე ტვირთად ამკიდა.

ხშირად მემტყუნა იმედი,  
არ მემხრო, ამითვალწუნა  
და წმინდა რწმენის მაგივრად  
ურწმუნოება მარგუნა.  
გამიტყდა გული: აზრთა ზღვას  
ზღვა გულის კარი გავუღვე,  
მაგრამ მას შორე მომავლის  
ალლო-კი ველარ ავუღვე.

და შავ-ფიქრებით მოცვეულმა  
სოფლით შორს ვიწყე მგზავრობა,  
შორს გავურბოდი კაეშანს,  
რა-კი დამიწყო მძლავრობა;  
ამ მგზავრობის დროს სამარე  
ვნახე მე განმარტოებით,  
ვნახე და იმის მახლობლად  
შევჩერდი ცოტა დროებით:

გორაკზედ იდგა.—გარშემო  
ახლდა კორდები, სერები,  
ტურფად ჰქარგავდნენ მათს კალთებს  
ყვავილნი, ათასფერები,  
გულ-მტკივნეულად უცქერდა  
შორით მას მწვანე ტყე-ველი,

ყოველ მხრივ იდგა სიმშვიდე,  
სიწყნარე შეურყეველი.

საფლავს გარს ერტყა ჯგუფ-ჯგუფად  
ხევნარი მრავალ-შტოვანი,  
მის ქვეშ მწვანობდა ბალახი  
ნორჩი და ხავერდოვანი,  
უქროდა წყნარი ნიავი;  
ფოთლებს გაჰქონდათ ჩურჩული,  
მათ თავზე ჰაერს აპობდა  
მერცხალი, როგორც შურდული.

იქ იდგა ძეგლი უბრალო,  
იმ ძეგლს დავუწყე მე ცქერა:  
„აქ წევს საბრალო ბაბუა“,  
ძეგლის გვერდს ასე ეწერა.  
მის სისუფთავის შეხედვით  
სტკბებოდა სული და გული:  
ირგვლივ მიდამო ყოველ მხრივ  
იყო დაწმენდილ-დაგვული.

იქ იჯდა ორი ყმაწვილი,  
ქალი და ვაჟი პატარა,  
ვაჟს რომ შევჰკითხე, მან ირგვლივ  
სამარე შემომატარა  
და სთქვა: ჩვენ გიგოს შვილნი ვართ,  
აქ პაპა ზაალ წევსაო;  
როცა-კი მოვა მამა აქ,  
მწარე ცრემლს დააქცევსაო.  
მიტომ, რომ პაპას გიგოსი  
„კლასში“ მიცემა სდომოდა,  
მაგრამ იქ სკოლის უფროსი  
თავის რჯულს გადასდგომოდა:  
გიგოლი აღარ მიეღო.  
და პაპა ჩვენი ზალიკო

რომ მოსულიყო ამ ალაგს,  
აქ ბუქში ამომხევალიყო.  
მამა დღეს უსწავლელია.  
ჩვენ-კი გვზრდის ყველა შვილებსო;  
აქ ნაშაუალდევს მოვდივართ  
და ვსწავლობთ გაკვეთილებსო!“

კვლავ შევეკითხე: ეგ კარგი,  
სწავლა ძვირფასი რამ არი,  
მაგრამ საფლავთან რომ სწავლობთ,  
ნუ-თუ არა გაქვსთ სახლ-კარი?!

— „სახლი გვაქვს! მაგრამ აქ ვსწავლობთ,  
ხშირად აქვე ვსჭამთ პურსაო,  
ეს მიტომ, რომა ზალიკოს  
სულ ჩვენთან ყოფნა სურსაო,  
როცა გაკვეთილს ვკითხულობთ,  
ყურს გვიგდებს, როგორც ჰმართებსო,  
თუ კარგად ვიტყვით „ჰო“-ს ამბობს,  
თუ გლახათ—სიცილს მორთებსო.  
მას ჩვენი სწავლა ახარებს,  
სიხარულს ვეღარ მალავსო,  
რომ მოვალთ, გვესმის ჩურჩული;  
ღიმილით გვაძლევს სალამსო.

ვაი, რომ იგი მკვდარია!  
მკვდარი ვერ წარმოდგებაო,  
თორემ ის მუდამ ჩვენ გვხედავს,  
ჩვენი ხმაც ეყურებაო!“

კვლავ შევეკითხე გინახავთ  
თქვენ თქვენი პაპა ზალიკო?!  
„არა“!—მათ მითხრეს:—აკი ვსოქვით!  
ის ბუქში ამომხევალიყო.  
რათ ვერ გაიგე, ნეტავი?!  
ის ალარ არის ჩის გვარში;

მხოლოდ ღამ-ღამით შემოდის,  
ვნახულობთ მარტო სიზმარში.  
მკვდრები ღამ-ღამით დადიან  
და ჩვენც რომ ღამე ვითიოთ,  
ის სახლში ჩუმად შემოვა  
და ცხადშიც ვნახავთ უთუოთ.  
მას სიზმრად როცა ვნახულობთ,  
ყოველთვის არის მწუხარი,  
სცივა, ცეცხლს ეძებს, ძირს ფორთხავს;

უნდა, რომ ნახოს ბუხარი.  
ფორთხავს და ჩუმად ბუტბუტებს,  
იტანჯვის სულთან ბრძოლაში:  
ალბად იხრჩობა ქარ-ბუქში,  
ან გიგო მიჰყავს სკოლაში  
როგორც ინათებს, გაჲქრება,  
ლანდს ვხედავთ ანაწყოლ მისას:  
ალბად იშიშვის, არ შეხვდეს  
იშ წყეულს უფროსს სკოლისას.

## V

პავშვის გულ-წრფელმა სიტყვებმა  
ამიძრეს მწარე ფიქრები;  
გულში ვსთქვი: როგორც ზალიკო,  
ჩქარა მეც ისე მივჲქრები;  
მაშ რისთვის ვზოგავთ სიცოცხლეს,  
რათ არ შევმუსრავთ იმ ძალსა,  
რაცა კარს განათლებისას  
უხშობს დღეს მშრომელს საწყალსა?!  
ვხედავთ, რომ მტარვალთ გუნდები  
ჩვენს ტანჯვას აღარ კმარობენ:  
ჩვენს ქედით ნაკრებ სიმდიდრეს  
ჩვენს ასალაგმად ხმარობენ,  
სწავლა-კი... სწავლა ხალხისა  
მტარვალთ, მმუსრავი ხმალია  
და გზას უკრავენ შისთვისაც...  
მით ჯერვერ ვაგვიხარია.

ცანელი

# ქორის გახალა

(ამბავი)

ამის დედას ბუდე ერთ ბებერ მუხის წვეროში ჰქონდა. ეს მუხა ძალიან მაღლა იდგა უხვედრ, მიუვალ მთის ფერ-ლოზე.

ორივენი, მუხაც და ქორიც, თავისუფლების მოყვარულნი იყვნენ. ქორს თავის დღეში ტყვეობა და მონობა არ ეცალნა, ლალად დანავარდობდა მთაში და ბარში. ხან კაკაბსა და რო-ჭის იჭერდა, ხან ქედანსა სდევნიდა, ხან სოფლად ჩამოვარ-დებოდა და მაშინ უნდა გენახათ დედაკაცების ჭყვირილი და „ჰა-ჰუ“!

ის-კი ან მსუქან დედალს მიათრევდა, ან დაჩიორავებ ულ-ვარიას, და თუ გაუჭირდებოდა, არც მყვირალა მამალს იწუ-ნებდა. ჯერ თავს უტეხდა, რომ ხმა გაეწყვეტინებინა, ტვინსა სჭამდა და მერე მკერდიდან იწყობდა გლეჯას და წიწკნას. ბუმბულს და ფრთხებს ბდლენიდა და ქარს ატანდა, ხორცს კი თავისი წვეტიანის და ბასრი ნის კარტით ლონივრად გლეჯდა და ხარბად ჰყლაპავდა, თან ბრჭყალებით მაგრა დაებლუჯა.

მისი წესი იყო: რაც კლანჭებში ჩაუვარდებოდა, ალარ გაეშვა. აბრიალებდა ცეცხლივით ყვითელ თვალებს და მუდამ მზათ იყო, სცემოდა, ვინც-კი შეეცილებოდა ნანაღირევს, გინდა ფრინველთა მეფე აღწივი ყოფილიყო, გინდ ქარიშხა-ლოზე სწრაფი და მედგარი შავარდენი.

— რამდენი ნისია ეს ქორი! იძახდნენ გლეხები.

რაც თავი გვახსოვს, სულ ასე დადის და ქათმებსა გვტა-ცებს. არ იქნა, ვერავინ მოკლა ე ტიალი. ძალიან იღბლი-ნია ე წყეული!

— ერთხელ მივეპარე და თოფის ლულა თითქმის ზედ მივადე — იძახდა ერთი — დავსხლიტე, ფალიამ აიარა, მაგრამ როცა ქორი გაფრინდა, თოფი მაშინდა გავარდა. — ალბად არ ეწერა ლვთისაგან! — სთქვა ამოოხვრით მეორემ.

ქორი-კი თან და თან უფრო და უფრო თამამდებოდა: ეზოდან კი არა, თვით სახლის დერეფნებიდანაც მიჭყვანდა ქაომები, საბძლებში უხტებოდა და ხან ბოსლიდანაც გამოუყვანია ჭყვირილითა. ნამეტნავად მაშინ ხდებოდა ონავარი, როცა ბარტყები ჰყვანდა, აღარავის ეპოვებოდა, თვალწინიდან იტაცებდა დლეში რამდენჯერმე.

— გაგვაცია, გაგვაჩანაგა მაგ დალუპვილმა! — ბუზლუნებდნენ და ოხრავდნენ ქალები.

\* \* \*

არც მუხას ეცადნა ცულის ძალა, არ იცოდა რა იყო კაცის ხელი. უხსოვარ დროიდან იდგა აქ დახავსებული, დალრეჯილი, თვითონაც-კი აღარ ახსოვდა თავისი წარსული, ვინ მოიტანა აქ ამ თვალ ჩაუწლომელ კლდის თავზედ, ვინ ჩათესა ამ ქვასა და ქვიშაში?! გძელ ჭალარა წარბებივით ჩამოტრუტოდა ტოტებიდან ჩწვანე, ან ნისლის ფერი, ერთმანერთზედ ასხმული და აჩონხლილი ხავსი. საკუირველი იყო ეს ხავსი! ხან დროთა ბრუნვისგან დაჩაჩანაკებულ-სიკვდილ-მიუკარებელ გრძნეულთა წვერს მოგაგონებდა, ხან გაფარჩეულს არწივის კლანჭებს, ერთმანერთში გადახლართულთ, ხან ნაზად ნაქსოვ პეპელების მხრებს, ან ფრთების მსგავს ჩადუნის ფოთოლს, ხან ყინვისგან ფანჯრის შუშებზედ გამოხატულ საოცნებო სურათებს, ხან პატარა ჩიტების პაწია ბრჭყალებს და მთლად კი, მუხის წვერიდან დედაშიწამდე, საოცრად ასხმულს და იკინძულს საოცნებო არშიის გორგალს, თვალ აუწილომელ სიმაღლიდან ძირს დამპალ ფოთლებამდე ჩამოშლილსა.

ისგა მუხა აქ და თვალმოუშორებლად ჩასცეროდა ჭალას. ვერც-კი წარმოედგინა, თუ იმ ჩაღრმავებულ, ჩავარდ-

ნილ და სულ შეხუთულ ხეობაში შეიძლებოდა სიცოცხლე და ბედნიერება.—რა აძლებინებთ, რომ არ იხრჩობიანო—ფიქტობდა გაკვირვებული.

იდგა ასე მუხა მრავალ ათისკ და ასი წლის განმავლობაში. ორ წელიწადში, ერთხელ მოისხამდა რგვალ ჯამებში ჩამსხდარ გრძელ რკოებს, შემოდგომით ჩამოჰყრიდა ძირს ჯერ რკოებს და მერე ზემოდან აფარებდა მსუქანს და სქელ ფოთლებს, ეს იყო და ეს იმისი ზრუნვა მომავალ თაობის თვის.

ძირს-კი ან გარეული ღორი ჩიჩქნიდა ფოთლებს და ჰკვნეტდა რკოს, ან. ჯაფარა ჰქექავდა, პოულობდა და ნისკარტით უხვრეტავდა გვერდს, თაგვი აგროვებდა და ციყვა მალლა ხის ღრულში აჭქონდა ზამთრის საზრდოდ.

აქ, ამ მუხის წვერზედ, გააკეთა ლურჯმა ქორმა ბუდე. კაცის ხმა, სოფლის ხმაურობა და ჭაჭყანი თვითონაც ეჯავრებოდა და არც შვილებისათვის სურდა, რომ ქვეყნის განგაშისთვის შაეჩირათ ყური.

ველურად იზრდებოდნენ იმისი შვილებიც. ქარის საზარელი ღრიალი, აჩწივის ყეფა და შავარდნის კივილი ნანად ესმოდათ. ჩანჩქართა ხუილი, ზვავების ქუხილი და დაგორებული ლოდების გრიალი სიმღერას ეტყოდნენ.

ისხდნენ ისინიც ორნი ჯერ ისევ თაგვებივით გინგლიანნი და ყვითელ პირს აღებდნენ, როცა დედის ნაცნობი მხრების ხმა მოესმოდათ, შორიდანვე სცნობდნენ, თავს მალლა იღებდნენ და წიწინით ეგებებოდნენ. უგლეჯდა დედაც ნისკარტით თავის ნანადირევს და ყელში უდებდა.

— ჭამეთ, შვილო, ჭამეთ! გაიზარდეთ და დიდი ქორები გახდით დედის გასახარებლად. შენ გატყობ, თვალ-ყვითელავ, რომ კაი ბიჭი გამოხვალ, ღირსეული ჩამომავალი სახელოვანი მამა-პაპისა.

— დაგყვა, შვილო, ნისკარტი აღმასი, კლანჭი გძელი და წვეტიანი, თვალი ცეცხლისა და მხრები ქარისა. გაიზრდები, შვილო, გაფრინდები.

— ეს ამოდენა მთა და ჭალა-მინდორი სულ შენ ხელთ იქნება. სდიე კაკბებს და ტყის-ჭათმებსა, სინსილა გააწყე ჭათამ-ინდაურებისა, ვისაც მოერიო, გაუშრე სისხლი, მარჯვე გამოხვალ და ლონიერი.

უგდებდნენ უურს ბახალებიც, თრთოდნენ და ნისკარტს აკაპუნებდნენ. იმათ რა იცოდნენ, რას უამბობდა დედა: ვინ უნდა დაეჭირათ, ან ვინ უნდა შაეჭიმათ, ვისთვის უნდა ედევნათ და სინსილა გაეწყოთ. ან ვის სისხლს უქებდა, რომ თბილ-თბილი ასეთი საამურიაო, დედა-კი განაგრძობდა:

— ჩემო ბიჭუნიავ, რომ იცოდე რა გემრიელია. თბილ-თბილი სისხლი ფრინველისა, როცა ჯერ ისევ ცოცხალს ჰგლეჯ და ყლაპავ! რა საამურია, როცა მეხივით დაეცემი ეზოში გაშლილ ქათმებს! რა წიოკობა და ვაივაგლახი შეუდგებათ ხოლმე! უნდა ეცადო ხელად აიტაცო და თავს უშველო, თორემ თუ კაცმა მოგასწრო, უნდა გამოეთხოვო სიცოცხლეს, ის ჭკვიანია და სასტიკი, ჩვენზედ უფრო მოსისხლე და დაუნდობელი! ერიდეთ, შვილო, კაცა!

\* \* \*

ასე გადიოდა დრო. ქორის ბახალებს გინგლი ლეგობუმბულად გადაექცათ, დაფრთიანდნენ და პატარა ქორები დახლენ, ამაყი, გულადი და შეუპოვრები. ეხლა საჭმელს დედას პირიდან სტაცებდნენ და თვითონვე ინაწილებდნენ. ბუდეში მძლიეს-და ეტეოდნენ და გული გასაფრენად უწუხდათ. ამათაც მოუვლიდათ ხოლმე ჟინი, როცა სხვა ფრინველებს ხელავდნენ ცის უფსკრულში მცურავთ, თრთოდნენ და კანკალებდნენ.

უკვე მეორე დღე იყო, დედამ ველარაფერი მოუტანა, მუდამ ხელცარიელი ბრუნდებოდა. ბახალებიც მოუთმენლად ელოდნენ და თვალ-ყური დედის გზისაკენ ეჭირათ. მაგრამ მეორე დღესაც ხელცარიელი დაბრუნდა დედა.

— გავაბეზრე, შვილო, სოფელი, გავწყვიტე ჭათმის სინსილა, გაფრთხილდნენ, მდარაჯობდნენ. რამდენიც დავეცი ჭა-

თამს, იმდენჯერ კეტებით და თოფებით მდის, კიდევ კარგი, რომ ცოცხალმა გამოვასწარი. მეტი ღონე არ არის, უნდა დღესაც მოითმინოთ, ხვალ კიდევ ვცდი, იქნება სხვაგან ვინაღირო.

— ჭინა გდევნიდა, დედა? ვინ გიპირობდა მოკვლას? რათა? რით გააჯერე სოფელი? ჰკითხავდა თვალყვითელა.

— აი, დედა, ჩვენ ამდენი ხანია აქა ვართ და ჩვენთვის ხმაც არავის გაუცია, რალა შენ გაგიმტერდა სოფელი?

— თუ მოგაგნოთ კაცმა, არც თქვერ დაგინდობთ, ხელად წაგვალებავთ კისრებს, ან უფსკრულში გადაგიძახებთ და ქვებზედ კვერცხივით გაგჭეჭყავთ.

— ავია კაცი, შვილო, ამიტომ გავიკეთე ასე მიუდგომელ და უხვედი ადგილას ბუდე. თუ იპოვა კაცმა ჩემი ბუდე, მაშინვე ჩამოშლის, თქვენ მიწაზედ ჩამოგყრისთ, დაგადგამთ ფეხს და იტყვის:

— გაწყდით, თქვე გველის წიწილებო, თქვენც დედა-თქვენსავით მოსისხლენი და მტაცებლები გამოხვალთ! დაგსრებსავთ და წელებს გამოვადენსთ.

„ერთი ქორით მაინც ნაკლები იქნებაო!“ გულს გიკეთებს.

ბახალა-კი შიშიო და სიბრაზით თროოდა და კანკალებდა:

— რა დაუშავეთ კაცს, რათ უნდა დაგვხოცოს?

გავიდა მესამე დღეც. სიმშილმა ბახალები ძალიან შეა. წუხა. უკვე ბუდიდან გადმოვარდნას აპირობდნენ, როცა, დედის მხრების ნაცნობი შხუილი მოესმათ. სიხარულით წიწინი მორთოს და ბუდეში წამოიყაყვნენ.

დედა ნაზადირევით ბრუნდებოდა. კლანჭებით დაებლუჯა და მოჰქმოდა. ბახალები სიხარულით მხრებს ატყაპუნებდნენ. დედა უფრო და უფრო ახლოვდება.

მაგრამ უცემ რალაც საზარელი ხვა მოესმათ. ვიღაც კვნესოდა და გმინავდა. ეს ხმა გულში არწივის ბრჭყალებივით

ხვდებოდათ და გულს უხუთავდა. ბახალები ერთმანერთს მიეკ-ვრნენ და სმენად გადიქცნენ.

რამდენადაც დედა ბუდეს უახლოვდებოდა, კვნესა თან და თან უფრო და უფრო მყაფიოდ და გარკვევით ისმოდა.

— ალბად ვინმე თავ გასრესილი, წელებ გამოდენილი სულს ეპრძოდა! ბარხალები მოიბუზნენ, ბუდეში ჩაძრნენ.

კვნესა აქვე ამათ გვერდზედ ისმოდა: ოჰ, აქ იყო ის მოსისხლე, ამათ რომ შიშის ურუანტელსა. ჰგვრიდა.

— თვალ-ყვითელავ! აბა ყური დაუგდე, ეუბნებოდა ჩურ-ჩულით ლეგა:

— ვინა კვნესის ისა? მე შენ მეგონე, თვალ-ყვითელავ, ვსთქვი, მოვიდა კაცი მეთქი, ჩამოანგრია ჩვენი ბუდე, ჩვენ ძირს ჩამოგვყარა, შენ ფეხით შეგდგა და გისრესავს თავსა! ოჰ, მადლობა ღმერთსა, რომ აქა ხარ ცოცხალი! აბა, კარგად დაუგდე ყური! ალბათ აქვე საღმე კაცმა დაიჭირა ვინმე და ჰკლავს. აი, აქვე ყურში ჩაგვვნესის! დედა მაინც მოვილეს ჩქარა: ის მოგვეხმარება, არ მისცემს კაცს ნებას, რომ ჩვენ თავები დაგვისრისოს, არა?

ბახალებს თავები ბუდეში ჩაეყოთ და ერთმანერთს ში-ჰკროდნენ:

— რას ჩამბვრალხართ ბუდეში, თქვე, ლაჩრებო, თქვენა? ვინ შეგაშინათ? იქნება შავარდენმა დაუხულუზნა კაკაბს და იმისმა მხრების ჰექამ თქვენ გულები დაგიხეთქათ?! იქნება არწივი მეხივით დაატყდა კურდღელს, ან მშველს, აქვე, თქვენს თვალწინ, გაგლიჯა და თქვენ-კი ურცხვად ლაჩრები-ვით თავებს ბუდეში იფარავთ?! ან იქნება ლაყუნა სეავმა თავზედ გადაგიარათ და იმისმა ჩრდილმა შეგაშინათ?! ან იქნება სიმშილს ვეღარ გაუძელით და ძილს მიეცით თავი!?

— ხომ არ დაიხოცეთ, გაახილეთ თვალი!

ბახალაებმა ახლა-ლა გაახილეს თვალი და გახარებულნი, დედის ხმისგან გამხნევებულნი ბუდიდგან ამოძვრნენ.

ქორს ერთი დედა მტრედი დაებლუჯა კლანჭებით, ბუდის ჰირთან იჯდა და ცეცხლის მფრქვეველი თვალებით მის-ჩერებოდა ლაჩარ შვილებს.

— აბა, აი მოგიტანეთ ვახშამი! კაი ხანი იმარხულეთ, მაგრამ მეც-კი კაი ვახშამი მოგიტანეთ. ცოტა-კი არ ვეწვა-ლე ამის დაჭერაზე. ესეც თავისი ბარტყებისათვის მინდორში გორველასა და ცერცველას აგროვებდა. დიღხანს ვიჯექ წიფ-ლის ფოთლებში ჩასაფრებული და ველოდი. ამან უკვე ორი გზობა წაულო შვილებს საჭმელი და მე-კი იქვე ვიჯექ გაქ-ვავებული. მესამედ რომ დაბრუნდა, უკვე არხეინად იყო, აღარ ეშინოდა და აღარც ფრთხილობდა. წელანდელივით აქეთიკით აღარ იხედებოდა და აღარ ფთხებოდა. მეც დრო შეურჩიე და, როცა ის ცერცველის პარკს ებძოდა, დავეცი ქარიშხალივით და წამოვიყვანე. არ მოკვდა აქამდე, და მეც თავი აღარ გავუტეხე, მინდოდა ცოცხალი გენახათ და თქვენ თვითონ მოგექლათ აი, როგორ კვნესის.

— მოდით და ჩამომართვით. მოდი, შვილო თვალ-ყვი-თელავ, შენ უფრო კოჩალი სხანხარ შენ დაზე. მაგრამ მარ-ტომ კი არ შეჲამო, მაგასაც უწილე!

მტრედი კი კვნესოდა და სულთ მობრძავი ჰფეთქდა, წი-თელი ნისკარტი განივრად გაელო, თავი გვერდზედ გადაეგ-დო და მძიმე-მძიმედ სუნთქავდა. ოქროს ფერ მკერდზედ წი-თელი ლალივით სისხლის წვეთები მოგორავდნენ და ბუდე-ში ცვიოლნენ.

თვალ-ყვითელა მოიბუზა და ბუდის შორეულ კუთხეში მიიყუჯა.

მტრედი კი კვნესოდა, თან ყელში ხრიალებდა. თავზარ-დაცემული ლეგო ბუდეში ჩაძვრა და სული განაბა.

— მოდი, შვილო, წაიყვანეთ და შეჲამეთ—უძახდა ქო-რი—მოდით, თუ გე შინიანთ ამ საათში სულს გავათხობინებ. რას გიზამსთ, სულთმომძრავია, რამ გაგაქვავათ? დაბრმავდით თუ დაყრუდით? აპა დაიჭით—და ქორმა მომაკვდავი მტრედი შვილებს ზედ მიაგდო.

მომაკვდავი მტრედი თავდაყირა ბალახებს შუა ჩავარდა-სადა ჰქონდა გაფრენის ან განძრევის თავი. უკანასკნელად ჰფეთქავდა!

თავზარდაცემული ქორის ბახალაები კი დედის მოსიხ-ლობით თანდათან ბუდიდან მაღლა მოფოფხავდნენ, არ უნდოდათ, რომ მტრედს შეპხებოდნენ. ან კიდევ თვალით დაენახათ.

დედა ქორი კი იჯდა ბუდის პირზე გაქვაწებულივით, სისხლიანი კლანჭებით და სიბრაზით კანკალებდა.

— გავეცალოთ აქაურობას, ლეგავ, წასჩურჩურჩულა აკანკალებული ხშით თვალყვითელმა.

— წავიდეთ, წავიდეთ, თვალყვითელო! არ მინდა ასეთი ცხოვრება!

ცოტახნის შემდეგ და და ძმა ბუდის პირზედ ისხდნენ, ფრთებს ისწორებდენ და ხარბი თვალით გასცემოდნენ ცის ქვეშეთს, თავისუფლებით და ბედნიერებით სავსეს.

გაშალეს მხრები... მსუბუქმა ნიავმა შეისვა ფრთებზედ ახალგაზდა ქორები და თვალის სისწრაფით გააქანა ჯერ უცნობ წუთისოფელში.

— სად მიჰფრინავთ, სადა, თქვე სულელნო?! — მისძახდა გაშმაგებული დედა.

თ. რაზიკაშვილი.

# მაღარაზ-გარელი

დრამატიული პოემა ოთხ სურათად

## მომქმედი:

ჭოქიჩ ბორელი.	—შეძლებული	თედო.	—მალხაზის ვაჟი.
გლეხი.		ასლანი.	—ყაჩალი.
მაგდანი.	—ამისი ცოლი.	სოსე	—ასლანის ამხანგი-
მალხაზი	{ ამათი შვილები.	ტყაჩუ.	ტყაჩუ.—ტყის მცველი.,
ბესო		მამასახლისი.	
თალიკო.	—მალხაზის ცოლი.	ბოქაული.	
მაკა.	—ბესოს ცოლი.	ჩაფარი.	
		გლეხები	და ჩაფარები.

## ცურათი პირველი

(მაღალი მთის მწვერვალი, საიდანაც მოსხანს საქართველოს  
ნაწილი ჯერ თავის მშვენიერთ მინდორ-ველებითა და ხეობებით  
და შემდეგ თოვლით დაფარულ დიდებულ მთებით. შემოდის ჩქა-  
რის ნაბიჯეთ მალხაზი.)

მალხაზი (დადგება და აღტაცებით).

ოჰ, საქართველოვ!

გმადლობ შენ, ღმერთო,  
რომ ჩემს ტანჯვასა მოუღე ბოლო  
და მომასწარი ამ ბედნიერ დღეს,  
როდესაც ჩემ წინ ჩემი სამშობლო,  
ვით ხელის გულზე, გადაშლილია  
ოვისს სიღიადე-მშვენიერებით,

როგორც სამოთხე, ტურფად შემკული,  
და ისევ ვსტკბები იმის ყურებით!..  
ვიშ ამ ქვეყანას, ამ ბუნებასა,  
შოველისფრით სრულს და უნაკლულოს!  
არ ჰვავს ციმბირის უდაბურ მინდვრებს  
და ხრიოკ კლდე-ლრეს, უსიხარულოს;  
იქ სიკვდილია, აქ-კი სიცოცხლე  
და ქართველს გულმა როგორ გაუძლოს,  
რომ, თუნდაც მოკლან, არ გამოიქცეს  
და ერთხელ კიდევ არ ინახულოს  
ეს ტურფა მხარე, საღაც განგებას  
სიუხვის კალთა დაუბერტყია?  
ნახავს, დასტკბება და არ ინაღვლებს,  
თუნდ, მოხვდეს გულში მაშინვე ტყვია!..  
მდევარნო, სად ხართ? მომკალით ბარებ!  
ვერ შემაშინებს ახლა სიკვდილი:  
სხვაგან სიცოცხლეს, თუნდ განცხრომითაც,  
უჯობს, აქ მოკვდეს ამ ქვეყნის შვილი!.. (შემოდის ასლანი).

**ასლანი.**

რა აშხავი გაქვს?

**მალხაზი.** (სელს მოკიდებს).

ხედავ?

**ასლანი.**

ჰო, ვხედავ.

**მალხაზი.**

მერე აგრე ხარ დამშვიდებული?  
თითქო წინ გქონდეს უშნო ციმბირი  
და არა ქართლი აყვავებული!

**ასლანი.**

ეჭ, ჩემო მალხაზ, ჩემი ურგები

ქოთანი ქვასო, ნათქვამი არი!  
მერე რაო, რომ აყვავებულა?  
ჩვენთვის არის თუ, ერთი მითხარი!

### მალხაზი.

მაშ, აქეთ რისთვის მოიჩაროდი?

### ასლანი.

მისთვის, რომ სხვაგან ჩვენის ხელობით  
ვერ შევიძლებდით თავის შენახვას

### მალხაზი.

რას ამბობ?! რითა?

### ასლანი.

რით?..—ყაჩაღობით.

აბა, სხვებრ როგორ უნდა ვიცხოვროთ?  
ჯამაგირს ხომ არ დაგვინიშნავენ,  
რომ კატორლიდან გამოვიქეცით?  
ან, ეგებ, ფიქრობ, რომ შეგვინახვენ  
და არ გაგვცემენ ჩვენიანები?..  
არა; ზედაც არ შემოგვედავენ;  
პირიქით „მენდლის“, ან ორ გროშისთვის  
თავისვე ხელით, მგონი, მოგვკლავენ!

### მალხაზი.

მაშ, მხოლოდ მისთვის მოგიხაროდა,  
შე უბედურო, მშობელ ქვეყნისკენ,  
რომ იღაჩაღო, იავაზაკო,  
სხვა არაფერი გიზიდავს მისკენ?

### ასლანი.

ეჭ, კარგი ერთი, ნუ გამიშვრილე.  
უშინაარსო ყბედობით გული!;  
რა დროს იქ, მალლა, ცაში ფრენაა,  
როცა ძლივს კბილით გვიჭირავს სული?

## მალხაზი.

რადგან ასეა, ასლან მე და შენს  
ერთობას უნდა მოელოს ბოლო!  
ჩვენ სულ სხვადასხვა გრძნობით და აზრით  
მოგვნატრებია ჩვენი საშობლო;  
შენ ძარცვა-რბევა გინდა იმისი  
და მე-კი, რომ იქ მხოლოდ ვიცოცხლო!

ასლანი. (გადიხარხარები).

ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..  
არ მიატოვე მასხარაობა?

## მალხაზი.

სულაც არ ვმასხრობ და მართლა ვამზობ,  
რომ დღესვე ჩვენი ამხანაგობა  
უნდა გათავდეს სამარადისოდ  
და, ვით სხვადასხვა არის მიზანი,  
ისე სხვადასხვა გზაც ავირჩიოთ  
საქართველოში ჩვენი მიმყვანი!..  
აბა! ჯერ წადი შენ, საითაც გსურს,  
და მერე წავალ მე სულ სხვა მხრისკენ;  
მტერს და მოყვარეს არ შეუძლიათ  
ერთად იარონ მშობელ ქვეყნისკენ!

ასლანი.

გაშ, მალხაზ, მართლა აღარა ხუმბრობ?

## მალხაზი.

არა! რაღა დროს ხუმრობა არი?  
წალი, მომშორდი!.. ამ საათიდან  
ერთმანერთისთვის ჩვენა ვართ მკვდარი!

ასლანი.

შე უხედურო გგონია, შესძლებ,  
გამოქცეული კატორლიდანა,

პატიოსანის შრომით ცხოვრებას?  
 ფიქრობ, მიგიღებს შენი ქვეყანა?..  
 არა! ჯერ კიდევ კაცის ლირსებას  
 გარეგნობითა მხოლოდ ზომავენ  
 და, ნაკატორლალს, თუნდ ანგელოზიც  
 იყო, კეთილად არ დაგსახავენ!..  
 უმჯობესია, ამხანაგები  
 ამხანაგებად კვლავ დავრჩეთ ჩვენა  
 და, ვით აქამდე, ამას იქითაც  
 შუა გავიყოთ ჭირი და ლხენა!  
 წამო, წავიდეთ, რადგან ორივეს  
 ადვილად ვერვინ დაგვიმორჩილებს,  
 და ვინავარდოთ, სანამ ხელახლავ  
 არ გაგვიყრიან ფეხში ბორკილებს!.. (უნდა, ხელი მოგიდოს)

**მალხაზი.** (უკან იწევს).

ასლან მომშორდი! რა გინდა ჩემგან?..

**ასლანი.** (ისევ უახლოვდება).

მალხაზ, გთხოვ, აზრი გამოიცვალო,  
 რომ ბოლოს საქმე არ მოგივადეს  
 შენ სანანური და სავალალო!..  
 არა, რას ფიქრობ? რისი იმედით  
 გინდა, შინვიდე შენიანებთან?  
 დარწმუნდი, შინაც არ შეგიშვებენ.  
 მე დამიჯერე, წამოდი ჩემთან!..  
 არ გესმის, მალხაზ?.. (ხელს დადებს მხარზე; მალხაზს უცებ  
 გააჭრეთლებს და ხელსა ჰქონდეს; ასლანი  
 ძლივს შეიმაგრებს თავს).

**მალხაზი.**

მომშორდი-მეტქი,

შე არაშადავ, თორემ მოგვალი!..  
 რას ჩამაცივდი, როგორც მაცდური?

რას ჩამაცივდი, როგორც მაცდური?  
ხომ არ მოგწყინდა, რომ ხარ ცოცხალი?..

### ასლანი.

კარგი, მივდივარ... შშვილობით იყავ!..  
მხოლოდ ერთს გირჩევ: ახლავ სახელი  
გამოიცვალე; არ გაამხილო,  
რომ ხარ ცნობილი მალხაზ ბარელი,  
თორემ, მერწმუნე, დღესვე მიგცემენ  
ან ცოცხალს, ან მკვდარს ხელში მთავრობას!  
შენის სახელით მე ვისარგებლებ  
და ასე ჩვენს ძველს ამხანაგობას  
ისევ განვაგრძობ; დღეოდან მაინც  
შენ ის სრულიად არ მოგიხდება;  
როგორც ყაჩალსა, განთქმულ ყაჩალის  
სახელი უფრო მე მომიხდება! (გადის).

**მალხაზი.** (გააუღიებს თვალს და მდედ-  
ვარებით).

მართალი კია ის არამზადა:  
მივდივარ, მაგრამ სად და ვისთანა,  
როცა ჩემს სახელს ჯერ კიდევ შიშით  
იგონებს, ალბად, მთელი ქვეყანა?..  
მალხაზ ბარელი ჩამოსულაო,  
ხმა გავარდება ჩვენში თუ არა,  
მაშინვე ყველა ფეხზე დადგება  
და გამართლდება მისი მუქარა!  
ვინ დაიჯერებს, რომ ავაზაკ  
ეს არასოდეს არა ვყოფილვარ;  
რომ კაცის სისხლში, ჩემ სიცოცხლეში,  
მხოლოდ შემთხვევით ერთხელ გავსვრილვარ?  
ვერ მოვითმინე, როცა გარყვნილმა,  
აქა და ვარო დიდი თავადი,  
ჩემ თვალწინ ჩემ ცოლს დაუწყო კოცნა,

იქვე მოვკალი და გადავვარდი!  
 ვიღრე მე ტყე-ტყე ვიმალებოდი,  
 ჩემს სახელს თურმე სხვები ირქვევდნენ  
 და, სადაც რამე დაშავდებოდა,  
 დიდი, პატარა მე მამბრალებდნენ,  
 ეგების, ახლაც იმ ავაზაკმა  
 მართლა დაირქვას ჩემი სახელი  
 და ისევ ისე ტყუილ-უბრალოდ  
 გავხდე ყველასთვის მე საზარელი!..  
 ოჰ, ლმერთო, ასე რისთვის ვისჯები?  
 რად მხვდა ეს ბელი, აუტანელი,  
 რომ არ მაქვს ნება, მშვიდათ დავლიო  
 სიცოცხლე ჩემი, უკანასკნელი?  
 გული მაქვს სავსე სიყვარულითა  
 და მომათვისეს კი მძულვარება;  
 კაცის მკვლელი ვარ მაშინ, როდესაც  
 ჩიტისაც მოკვლა მე მეზარება!  
 ოჰ, მოვკვდე ბარემ და, მოვისვენო,  
 დამშვიდდეს სული! აღშფოთებული!  
 თუ ტანჯვა ისე ვერ დასრულდება,  
 დასრულდეს ყოფნა გამწარებული!.. (მთისმის თოვის სმა.  
 მალხაზი შექრთება. შემთ-  
 ვარდება ტყაჩუ, წაბარშაცდე-  
 ბა და წაიცევა).

**ტყაჩუ.** (უვირის).

ვაიძე, დედა!.. კვდები, მიშველეთ!..

**მალხაზი** (მიირბენს).

რა ამბავია, რა დაგემართა?

**ტყაჩუ.**

ჩემივე თოფით მომკლა ურჯულობ.

**მალხაზი.**

ვინა?

## ფუაჩუ (სუსტის ხშით).

რა ვიცი... ვიღაც მოვარდა,  
როდესაც ჩემთვის ცხენს ვაძლვებდი  
და სახელმწიფო თოფს სტაცა ხელი...  
მე გავუძალდი, მაგრამ წამართვა...  
მითხრა, მე ვარო მალხაზ ბარელი (მალხაზს საშინაო  
გააურიჟოლებს).

და თოფი ჩემთვის საჭიროაო...  
ცევ შევები, რომ წამერთმია,  
მაგრამ უეცრად გამოისროლა  
და მომახველრა გულში მე ტყვია...  
ოჲ, გული, გული... ვკვდები, ეს არის!..  
ვაი, ცოლშვილო, დაობლებულო!.. (ძლივს-და ამბობს).  
ოჲ, არ შეგარჩენს ლერთი ჩემს სიკვდილს,  
მალხაზ ბარელი, შეჩევ...ნე...ბუ...ლო!.. (კვდება).

## მალხაზი.

მოკვდა! . ოჲ, ასლან, შენი გულის ჯავრს  
ამოვიყრი, თუ ხელთ ჩამივარდი! (მიდის. ცოტა სანს შემ-  
დეგ შემთდის სელში მათ-  
რახითა და მსარზე თოვით  
ასლან).

ასლანი (დაინახვს მიმავალ მალხაზს  
და დაცინვით).

ჩუ, ეგერ მიდის!.. მაშ, ასე, მალხაზ;  
შენ ნელა-ნელა ფეხით მიბანდი  
ქართლში, გლახასებრ მე-კი მრვკურცხლავ,  
როგორც ყაჩალი, ცხენით იქითკენ,—  
მტერს და მოყვარეს არ შეუძლიათ  
ერთად იარონ მშობელ ქვეყნისკენ!.. (მიდის მკვდართან,  
ქამარ-სანჯალს შემთხსნის და დაუწეუბს  
უბისა და ჯიბეების ჩერეკას).

ფარდა.

## სურათი მიორე.

ქოქიჩ ბარელის სახლი. ღამეა.

(ტახტზე ზის მაგდანი და წინდასა ქსოვს; ოქშე ზის მაგა და ათწევს ზეწარ გადაფარებულ აკვანსა. შემთდიან ქოქიჩი და ბესა ქოქიჩი დაჯდება და თავს დახრის, და დაღონებული; ბესო-კი აქეთ იქით დაიწევის სიარულს ჩაფიქრებული).

**მაგდანი** (მღელვარებით).

რა ამბავია, ქოქიჩ? რა მოხდა?

რადა ხარ აგრე დალონებული?

ქოქიჩი (ამოიარების).

მოსულა ჩვენის ცოდვითა სავსე.

**მაგდანი.**

ვინ?

ქოქიჩი.

უბედურ დღეს დაბადებული.

**მაგდანი.**

ჩვენი მალხაზი?!

ქოქიჩი.

ჰო, კატორლიდან

გამოქცეულა, ამხანაგები

შეუკრებია და ავაზაკობს

თურმე... საზარი ისმის აშბები!

მაგდანი (თავში ჩელებს ჭარებს).

ვაი ჩვენ!.. ვაი ჩვენ უბედურებს!..

**ბესო** (წევენით).

ვაი იმას! ჩვენ რა შუაში ვართ?

თავს გადავაგეთ მთელი ოჯახი,

თითქო იმისთვის ჩვენ გავჩენილდართ

და რითი გვიხდის?.. მხოლოდ ტანჯვასა

და მწუხარებას მუდამ გვაყენებს,

უსინიდისო!.. ოჭ, ღმერთი მისგან  
როდის დაგვიხსნის და მოგვასვენებს?..  
**მაგდანი.**

უსინიდისო მართლა შენა ხარ,  
შე უბედუოთ, რომ ამას ამბობ  
და უშიშოდაც სამაგალითოდ  
დასჯილისადმი სიბრალულს არ გრძნობ.

**ბესო (გაცხარებით).**

თქვენ ჩემზედ უფრო ბავშობიდანვე  
მალხაზს წყალობდით და ის გიყვარდათ:  
ალარ ზოგავდით არც ხარჯს, არც შრომას,  
ოღონდაც იგი გამოგეზარდათ.  
ოჯაბი ბურჯად მიგაჩნდათ იგი,  
მისგან ელოდით ბედნიერებას  
და ახლაც მისთვის სიამოვნებით  
იკისრებთ ყოველს ტანჯვა-წვალებას..  
თქვენ, როგორც გინდათ, ისე იყავით  
და მე-კი ცოლშვილს მას ვერ ვუმსხვერპლებ;  
ახლავე გეტყვით, რომ, თუ მოვიდა,  
წამსვე მთავრობას მე მოვახსენებ!..

**ჭოჭიჩი:**

კარგია, ბიჭო, გულს ნულარ გვიხეთქ!  
რა დიგემართა? იყავი შენთვის!  
ჩვენ უშენოდაც გვეყოფა ტანჯვა...  
**მაგდანი.**

აგრე არ იცის ამან ყოველთვის? (ბესოს).  
არა გრცხვენია, რომ თავიდანვე  
იმ უბედურსა დაადგი კბილი  
და მხოლოდ მისთვის აითვალწუნე,  
რომ ნიჭიერი იყო ყმაწვილი?  
შენც ხომ მალხაზთან ერთად იყავი

სკოლაში და რა ჩვენი ბრალია,  
რომ ვერ ისწავლე?.. შენ რომ შენს ძმაზე  
მაგ გულით იყო, სამართალია?..

### ბესო.

ჰო და მალხაზმა აკი დაგადგათ  
თავზე გვირგვინი, თუ ნასწავლია?.. (შემთდის თედო).

### თედო (მდელფარებით).

მამასახლისი და რამდენიმე  
კაცი მოდიან... (გველაზნი შექრთებიან)

### ბესო.

ის-ლა გვაკლია,  
რომ დაგვიჭირონ ახლავე ყველა!

### ქოქიჩი.

წმინდა გიორგი, შენ დაგვითარე!..

### მაგდანი.

დედაშვილობის გამჩენო ღმერთო,  
შენ შეგვეწიე და მოგვეხმარე!.. (შემთდიან მამასახლისი და  
რამდენიმე გლეხი; უკელაზნი  
ფეხზე წამოდგებიან და მიე-  
სალმებიან ერთმანეთს).

### მამასახლისი (ნაძალადევის სიდინჯით).

ქოქიჩი, ბესო და თქვენც ქალებო,  
კარგათ დაუგდეთ ამ სიტყვას ყური;  
მე, მამასახლისს, მავალებს ჩემი  
მოვალეობა და სამსახური,  
რომ გაგაბრთხილოთ, არამც და არამც  
მალხაზს; რომელიც გამოქცეულა  
კატორლიდანა და კვლავ ყაჩალობს  
არაფერში ხმა არ გასცეთ სულა!..  
და, თუ მოვიდეს როდისმე სახლში,

შეატყობინეთ იმ წამს მთავრობას!..  
 რა ვქნათ?.. ადგილი არ უნდა ჰქონდეს  
 ამ შემთხვევაში მშობლიურს გრძნობას!..  
 დიახ, თქვენ ახლა ისე იფიქრეთ,  
 რომ თქვენი მალხაზ უკვეა მკვდარი  
 და, ვინც ატარებს დღეს მისს სახელსა  
 ის თქვენი შვილი სულაც არ არი!..  
 მაშ, ასე: აი ამ საპატიო  
 პირებთან ვამბობ, რომ წინდაწინვე  
 რცოდეთ, თუ თქვენ წინააღმდეგში  
 შეგნიშნეთ, ყველას ერთად მაშინვე  
 მე სამართალში მიგცემო და სასჯელს  
 ველარ ასცდება ერთიც თქვენგანი,  
 როგორც ყაჩალის ხელის შემწყობი  
 და ქვეყნის მავნე ადამიანი!..  
 მომეცით სიტყვა, რომ არ გადახვალთ  
 არაფრისათვის ჩემს ბრძანებას!.. (დუშილა).  
 როგორ გაჩუმდი?.. ქოქიჩ, პასუხს გთხოვ!

**ქოქიჩი (მდელებულებით).**

გაძლევთ...

**მამასახლისი.**

შენ, მაგდარ; შენც სდებ აღთქმასა?

**მაბდანი (ტანჯვით).**

ჰო, ჰო...

**მამასახლისი.**

შენ, ბესო; შენც ხომ მპირდები,  
 რომ მალხაზს ალარ გაუწევ ძმობას?

**ქოქიჩი.**

ეგ, მგონი, თავის ხელითვე მოკლავს,  
 იმ საწყლის მიმართ გრძნობს ისეთს მტრობას!

### მამასახლისი.

ოჰ, ყოჩაღ, ბესო! თუ მართალია  
და შენ მალხაზია დაგვაჭერინებ,  
მოვახსენებ შენს ქებას მთავრობას  
და საჩუქარია მოვაცემინებ!..  
აბა, ნახვამდის!.. ქოქიჩ და მაგლან,  
ნულარ იდარდებთ! არაფერია  
აქ სამწუხარო: ნურც ჩვენ დავინდობთ,  
ვინც ჩვენ არ გვინდობს, ქვეყნის მტერია!.. (გადის; ტფე-  
ხებიც უკან გაჲევებას).

### ქოქიჩი.

ოჰ, გასკლი, მიწავ, ბარემ ჩემ ფეხ ქვეშ  
და სანატრელი მომეც სიკვდილი,  
სანამ ვიქნები იძულებული,  
რომ გავიმეტო ჩემივე შვილი!.. (დუშილა).  
მალხაზ, ოჰ მალხაზ, ნუთუ ვერა გრძნობ,  
შენის მიზეზით როგორ ვისჯებით  
და, სატანჯველად გაჩენილები,  
რა ჯოჯოხეთის ცეცხლში ვიწვებით?.. (დაჯდება, ჩაფიჭ-  
რებული; მაგდანი დაიხოქებს და-  
ფოცულობს; მაგა აკვანს არწევს;  
ბესო დაიწუებს სიარულს; თედ  
შიკვერის ქოქიჩს. დუშილა).  
თედო (არღვევს დუშილს).

ბაბუ, ა ბაბუ!.. არ გესმის, ბაბუ?..

### ქოქიჩი.

რა გინდა შვილო?

### თედო.

თითქო მკვდარია

მამა შენიო, მეუბნებოლით?

მაშ ცოცხალია?

**ქოქიჩი.**

ჰო, ცოცხალია,  
მაგრამ სიკვდილი სჯობს მის სიცოცხლეს.

**თედო.**

რატომ?

**ქოქიჩი.**

იმიტომ, რომ გაყაჩალდა,  
მხეცად გადიქცა; მისი სახელი  
ყველასთვის საშიშ-საზარლად გახდა.  
ხომ გაიგონე, რა გვითხრა ახლა  
მამასახლისმა იმის შესახებ?

**თედო.**

ჰო, გავიგონე... მაშ, რომ მოვიდეს,  
მართლა მთავრობას გამოუცხადებ?.. (დუმილა).  
ნუ, ჩემო ბაბუ, ნუ იზამ ამას!.. (ბესფს).  
ძიავ, ნუ ეტყვი შენც მამასახლისს,  
თუ მამაჩემი მართლა მოვიდეს!

**ბესო (მრისხანედ).**

ჩუ, ჩუ!.. ეგ შენი საქმე არ არის!.. (მაჭას).  
გაშალე სუფრა! დროა, ვივაზშოთ:  
დალალული ვარ და მეძინება. (მოისმის კარზე ნელი კაკუნი).

**მაგდანი (შემკრთალი წამოვარდება ზეზე).**  
თითქო ვიღაცამ დააკაკუნა.

**ქოქიჩი**

ვინ უნდა იყოს?.. ქარი იქნება!.. (ბესო მიდის კარის გასა-  
ლებად, მაგრამ მაგდანი მიასწრებს  
და აღებს; კამთხნდება მალეაზი).

**მაგდანი (მდეღვარებით).**

ის არის ისა, ჩემი მალხაზი! (ბესო ერთის ადგილს გაშემდება;  
მაკა, შეშინებული, შემოხვევს სელს აქვანს;  
თედოს თან უსარია და თან ეშინა; მაკ-  
დანა საჩქაროდ შემთიყვანს სასლში მალ-  
ხაზს და ცრემლომორეული).

შვილო, საიდან და როგორ გაჩნდი?

**ქოქიჩი** (მღელგარებით).

მალხაზ, შენა ხარ მართლა? (შალხეზი თავს დასრის; ქოქიჩი მიდის, გაუყის ურდულს კარებში და მოუბრუნდება შალხეზს).

ჩამოხველ

და ისევ ისე ყაჩალად გახდი?..

**მალხაზი.**

მამავ, სინიდისს ვფიცავ აქ ჩემსას  
და გულთა მხილავ ღმერთსა იქ, მალხა,  
რომ მე ყაჩალი არა ვყოფილვარ  
არასოდეს და არცა ვარ ახლა!

**ქოქიჩი.**

ფიცი მწამს, შვილო, ბოლო მაკვირვებს,  
მთელი ქვეყანა შენზე იძახის;  
ყველა შენ გაწერს ყოველს სიავეს  
და, თუ შენ არ ხარ, სთქვი, მაშ, ვინ არის?

**მალხაზი.**

ოჟ, ვიცი, ვიცი, ვინც არის იგი,  
ვინც ჩემ მოსელიამდე ჩემი სახელი  
აქ მოიტანა და ისევ ისე  
გახადა კრულვით სახსენებელი,  
მაგრამ რა ვუყო, როგორ ვიმართლო  
თავი, რომ არ ვარ მე დამნაშავე,  
როცა კატორლას გამოვექეცი  
და დავამტკიცე ამით სიავე?

**ბესო** (მრისხანედ)

და მერე რატომ გამოექეცი.  
არ იცოდი, რომ ეს მოხდებოდა?...

**მალხაზი**

იმიტომ, ქმაო, რომ ერთხელ კიდევ

ვიდრემდის სული ამომხდებოდა,  
 მენახა ჩემი ძვირფასი კერა,  
 ჩემი მშობლები, ცოლი და შვილი  
 და მღირსებოდა აქ დაბადებულს  
 აქ, თუ სიცოცხლე არა, სიკვდილი!..  
 შენ ვერ გაიგებ, ბესო, იმ გრძნობას,  
 რომელიც აქეთ მე მეწეოდა  
 და, თუმც ვიცოდი, რომ ტანჯვის მეტი  
 აღარაფერი არ მომელოდა,  
 მაინც მოვრბოდი, მოვისწრაფოდი  
 ჩემ დედინაცვალ მამულისაკენ,  
 როგორც პეპელა მიეჩქარება  
 თავისს დამლუპველ სინათლისაკენ!..  
 სამშობლოს მიმართ ძლიერის გრძნობით  
 და მისთვის სევდით იგი ივსება,  
 ვინც ბელისაგან უცხო მხარეში  
 გადაკარგული, ჩემებრ, იქნება  
 და მეც ვერ შევძელ, ვერ ავიტანე  
 სხვაგან სიცოცხლე და აქ სიკვდილი  
 ვარჩიო... რავჭნა?.. გარხდი ბუნების  
 სასტიკ კანონის მხოლოდ მორჩილი!...

### ქოქიჩი

კი, მაგრამ, შვილო, თუ შენის მოსვლით.  
 ჩვენ ყველას გვაგდებ საშინელს ჭირში?..  
 ეს არის, იყო მამასახლისი  
 და გაგვაფრთხილა, ყველას ციმბირში  
 გაგზავნიანო, თუ რომ მალხაზთან  
 დაიჭერთ კავშირს და ერთობასო,  
 თუ მის აქ ყაფნას, როგორც-კი მოვა,  
 არ მოახსენებთ მართებლობასო.

### მალხაზი

ჰო, ვიცი, ვიცი, ეკ ყველაფერი;

ვგრძნობდი, როცა აქ მოვიჩეროდი,  
რომ ჩემი მოსვლა შეგაწუხებდათ,  
სასიამოვნო არ ვიქნებოდი!..  
გთხოვთ, მაპატიოთ ეს შეწუხება;  
პირველია და უკანასკნელი  
ჩემი ქურდულად აქ შემოპარვა!.. (მიღის ქაქითან და ხელს  
მშვიდობით, მამა; მომეცი ხელი გაუწიდებს).  
და შემინდე შენს უბედურს შვილსა,  
რაც საშინელი, ტანჯვა-წვალება  
გადაგხდა ჩემგან!..

**ქოქიჩი** (გულში ჩაიკავს).

ლმერთმა შეგინდოს.  
შვილო, თუ რამე გაქვს შეცოდება!..

**მალხაზი** (მიღის მაგდანთან).

მშვიდობით, დედა; შენც მაპატიე,  
რაც ცხარე ცრემლი დაგაღვრევინე!

**მაგდანი** (ტირილით).

მშვიდობით, შვილო!.. (მოხვევს ხელს, გულში ჩაიკავს და  
აქვითინდება).

**მალხაზი** (მიღის ბესისთან).

მშვიდობით, ძმაო;  
შემინდე, თუ რომ შენც გაწყენინე! (გაუწიდებს ხელს, რთ-  
მელსაც ბესთ, საშინლად ადელვებული,  
ჩამთართმევს; მალხაზი მიღის თედოსთან)

ჩემი თედოა?

**ქოქიჩი.**

ჰო; ვერ იცანი?

**მალხაზი** (აკოცებს თედოს).

ის რაღა იქნა?

**ქოქიჩი.**

თალიკო?

**მალხაზი.**

ჰო, ის.

### ქოქიჩი.

არ დადგა ჩვენთან; გადაჲყვა ეშმაკს,  
შეიქნა მსხვერპლი ამ წყეულ დროის!..

**მალხაზი** (გააჭრეთლებს და თედოს).

ოჂ, უბედურო, მაშ, ორივე მხრივ.

ხარ სასასირცხვოდ დაობლებული?

მამა-ყაჩალი, ნაკატორლალი,

დედაც-ნამუსზე ხელალებული!.. (დაცქერდება; შემდეგ უცებ,  
თითქმ რაღაც მოაგონდა, აჩქარებით).

მშვიდობით!.. მგონი, დიდი ხანია

აქ ვარ და, ვაი, თუ გავნოთ რამე!..

### ქოქრჩი.

მოიცა, ბრჭო! დარჩი, თუ გინდა,  
და აქ იყავი ეს ერთი ლამე!..

**მალხაზი.**

არა! რაღაზე გამყოფოთ შიშში?

გნახეთ და ჩემთვის ესეცა კმარა! (შიდის კარებისკენ).

**მაგდანი** (ხელს მოკიდებს).

მოგიკვდა დედა! ეგების, გშია?

შეჭამე რამე!..

**მალხაზი.**

არ მინდა, არა!.. (გამოქშვება ხელიდან და სა-  
ჩქაროდ გადის; უველანი, გა-  
ქვავებულებივთ, რჩებიან).

ფარდა.

## სურათი გვესამვ.

(გამოქვაბული. ერთს კუთხეში ცეცხლ ჩამქრალ კერაზე ქოთანია მიღებული. აქედა აგრა წაბადი და ზედ აწევია შეკრული ბოსტა, ტანისამოსი, ქამარ-სანჯალი და სხვა წერილმანი წიგნთები. შემოდის ჩქარის წაბიჭით მალხაზი).

**მალხაზი** (ქვედს შოთიძის და ბერტეს უ, რა საშინლად წამოუშინა!... შეეთებისაგან).

სწორედ ჩინებულ დროს მოვასწარი  
აქ შეფარება, თორემ ძალიან  
დავსცელდებოდი!.. (მიასედ მთისედავს და გაოცებით).  
ჩუ, ეს რა არი?!.

ეტყობა, ვიღაც დიდი ხანია,  
ან ავაზაკი, ან მათხოვარი,  
ამ გამოქვაბულს შემოხიზნია  
და უპოვია თავშესაფარი. (უკვირდება ნივთებს).  
არა, ეს გლახის ნივთებს არა გაეს!..  
სწორეთ ყაჩაღის არის აქ ბინა  
და, შეიძლება, მთელის გუნდისაც!.. (შემოდის სოსე ფინ-  
სისთ სელში და, მალხაზის რომ დაინახავს,  
შეკრთება; მალხაზი მიაწევს მისკენ).

მოდი, ძმობილო! რამ შეგაშინა?

**სოსე** (ფიჩხს დაურის და მოწიწებით).

შენც ამხანაგი ბრძანდები მისი?

**მალხაზი.**

ვისი?! რას ამბობ?

**სოსე.**

მალხაზ ბარელის,

სახელოვანის ჩვენის ბელადის.

**მალხაზი** (თავისთვის).

ესეც იღბალი!.. (მოსხანედ სოსეს). იმ საძაგელის,

მხეცის და არა ადამიანის,  
მაში, აქ, საწყალო, არის ბუნაგი  
და შენც, ვინც მეხრეს და არა ყაჩალს,  
გავხარ, იმისი ხარ ამხანაგი?

სოსე (შიშით),  
მე?.. არა, არა!.. (უკან უკან იწევს).  
მალხაზი (ზიზდით).

ნუ გეშინია!

თქვენ დასაზვერად არ ვარ მოსული;  
მალხაზი ჩემი მახლობელია:  
ჩვენ გვაკავშირებს ერთი წარსული! (სოსე გადის).  
ოჲ, ასლან, კმარა, რაც რამ დამტანჯე,  
ღროა, ერთმანეთს ჩვენ გავუსწორდეთ!  
ორნივ ამ ქვეყნად, ველარ ვიქნებით,  
ან მე და ან შენ უნდა გავშორდეთ!.. (აიდების ხანჭალი  
და სინჭავს).  
იმე!. სულ ახალი მოლესილია;  
უიარალოს გამომაღგება:  
ან მოკვლავ ასლანს, ან შევაკვდები,  
ერთ ერთის ბედი დღეს გადასწყდება!.. (მოსმის გარედან  
ხმაურობა; მალხაზი, ადელვებული, ელის.  
შემთდის შეიარაღებული ასლანი, სელში  
რევოლუცირ შომარჯვებული)

ასლანი (მალხაზის რომ დაინახავს, დი-  
მილით).

ოჲ, გამარჯვება!

მალხაზი (გრძნობით).

ასლან, თუ მართლა  
ვაუკაცის სისხლი ტრიალებს შენში  
და გახსოვს ჩვენი ამხანაგობა,  
ვით მე, ხანჯალი აიღე ხელში  
და თანასწორის იარაღითა  
პატიოსნურად მტერს შემებრძოლე! (ფეხს წასდეგამს მისკენ)

## ასლანი (დაუშიზნებს რეგისტრებს).

აღარ დაიძრა, თორემ მოგკალი!.. (მალევაზი დადგება და  
არ მომწყენია მე ჯერ სიცოცხლე, ციზღით უქუურებს).  
რომ თანასწორის იარალითა  
გებრძოლო ჩემზედ უფრო ღონიერს!  
სხანს, რომ შენ ისევ ცაში ფრენ, მე-კი  
ფეხი მიწაზე მიღვას, მიწიერს,  
და ვიცი, ბრძოლა ამის ცხოვრება,  
ბრძოლა სასტიკი, ვამწვავებული,  
საღაც ძლიერი მხოლოდ იმარჯვებს,  
სუსტია მუდამ დამარცხებული!  
სინიდისი და პატიოსნება  
(კარიელია მხოლოდ სიტყვები,  
უძლურითა მიერ გაჭირვების ღროს  
ფარად სახმარად მოგონილები!  
არა, ასლანი, ღროა, შეიტყო,  
შენებრ, ჭიუაზე ჯერ არ შემცდარა,  
რომ სასიკვდილოდ თავი გასწიროს,  
როცა სიცოცხლით არ გამაძლარა!.. (მალევაზი თავს დახრის)  
არ მოგეწონა ჩემი ნათქვამი?  
რა გაეწყობა, ჩემო ბატონო,  
თუმც მუდამ მართალს მე გეუბნები  
და გირჩევნია, რომ გამიგონო... (დაცინვთ).  
ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. გამართლდა განა,  
გამოთხოვების ღროს რაც გითხარი?  
თვითონ მშობლებმაც აღარ მოგიღეს  
და ჩაგიკეტეს ცხვირის წინ კარი!  
კიდევ კარგია, რომ შენი მისვლა  
მამასახლის არ გამოუცხადეს  
და მარტო იმას დასჯერდნენ, რომ შინ  
აღარ შეგიშვეს და გამოგაგდეს!..

ეჭ, მალხაზ, კმარა ბავშობა, კმარა,  
 ღროა, კვლავ მაინც გონზე მოხვიდე  
 და, რაც გზა შენთვის თვითონ განგებას  
 აურჩევია, მაზედ წახვიდე!  
 შენი სახელი, როგორც ყოჩალის,  
 ხელახლავ გრგვინავს და ძრწის ქვეყანა,  
 შენ-კი წმინდანის სახით დადიხარ..  
 სასაკილოა... ხა, ხა, ხა... განა?  
 ასეა, ბევრი რამ ხდება ქვეყნად  
 უცნაური და გასაკვირველი,  
 რაც სასაკილო არის ერთისთვის  
 და მეორესთვის-კი სატირელი!  
 მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გვიან,  
 რომ შენი ბედი, მალხაზ, შესცვალო:  
 მობუზულ წიწილს დამზგავსებულმა,  
 მთის არწივივით, კვლავ ფრთა გაშალო  
 და ძველებურად გაინავარდო,  
 სცადო ძალ-ლონე დასტკბე ცხოვრებით;  
 თავისუფალმა თავისუფლებას  
 შესწირო დღენი სიამოვნებით!  
 გაიგე, ძმაო, რომ ეს ქვეყანა  
 კუთვნილებაა მხოლოდ ძლიერთა;  
 აქ ის ბატონობს, ვინც თავის თავი  
 დასახა კერპად და გააღმერთა!.. (დუშილია).  
 მალხაზ, არ გესმის? მე და ოთხი სხვა  
 ვაჟკაცი, თავზე ხელაღებული,  
 გელით მოხვიდე და გვწინამდლვრობდე,  
 მართლა მალხაზად გადაქცეული.  
 სახელით მაინც ხომ ჩვენთანა ხარ,  
 ბარემ ხორცითაც ჩვენთან იყავი  
 და მუდმივ ბრძოლით მუხთალ სოფელთან  
 დაივიწყე ეგ ნალველი მწვავი!

## მალხაზი.

ოჰ, ქმარა, ასლან, კმარა ამდენი  
დარიგება და ჭიუის სწავლება;  
ნულარა ხარჯავ მჭევარ-მეტყველებას,  
იგი სხვებისთვის გამოგადგება,  
მე-კი დავყრუვდი დიღი ხანია  
მაგგვარ აზრების მოსმენისათვის;  
ეგებ, მართალი ხარ მაყრამ არა  
საბრალო, ბედკრულ მალხაზისთვის!...

## ასლანი.

ეჰ, რა ვქნა, ძმაო?.. რა უნდა გიყო,  
თუ არაფერი გამივა შენთან?..  
ასე, თუ ისე გთხოვ, დაისვენო;  
რამდენი ხანიც გსურს, დარჩე ჩვენთან!  
იყავი, როგორც საკუთარს სახლში;  
ერთ კაცს მოგიჩენ, რომ გემსახუროს  
და სანატრელი მუდამ სტუმარი  
არც მოგაშიოს, არც მოგაშუროს!..  
აბა, ნახვამდის! უნდა წავიდე:  
მელიან ჩემი ამხანაგები!..  
ერთ საათს უკან ისევე მოვალ  
და იმედია, აქვე დამხვდები! (გადის).

## მალხაზი (გააეთლებს თვალს და ტანჯვით).

აი, ვინ არის გმირი ამ დროის;  
აი, ვისია დღეს გამარჯვება!..  
ოჰ, შემოქმედო, ნუ თუ ვერ ჰედავ,  
რა ამბებიცა ქვეყნადა ჰედება?  
ნუ თუ არ გესმის და არ გაშფოთებს  
ერთის მხრით მჩაგერელთ სიცილ-ხარხარი  
და მეორეს მხრით-კი საშინელი  
ჩაგრულთა კვნესა, გმინვა საზარი?

მაშ, რაღას ელი; ან სულ არ მოსპობ  
 ამ ქვეყანაზე კაცთა ხსენებას  
 და ან მათ შორის არ დაამკიდრებ  
 აღთქმულს მშვიდობას და სათნოებას? (ჩაფიქრდება და შემ-  
 ჰო!.. სწორედ ასე უნდა მოვიქცე . ღმბ ჩაწერი . ნაწვერა)  
 სხვა არაფერი არ დამრჩენია...  
 აალავე წავალ... ვეტყვი ბოჭაულს,  
 რაც აქამდე თავს გადამხდენია...  
 ავუხსნი, რომ, ვით წინად, ახლაც  
 ჩემის სახელით სულ სხვა სარგებლობს  
 და, როს მე ვმალავ ჩემს ვინაობას,  
 ის თავმომწონედ „მალხაზბარელობს“!..  
 ეგებ, მომხედოს ღმერთმა უბედურს  
 და დავარწმუნო, არა მაქვს ბრალი;  
 ეგებ გადავრჩე ამდენს წვალებას;  
 შეიტყოს ყველამ, რომ ვარ მართალი!..  
 თუ მივაღწიე მიზანს, ხომ კარგა,  
 ხოლო, თუ ვერა, აი ხანჯალი,  
 მოვიკლავ თავსა და ის იქნება,  
 არ მივცემ ხელში ცოცხალი!..  
 მაინც რას უკარგავ, რის მეშინია?  
 გული დავიტყბე სამშობლოს ხილვ ით  
 და რაღა მინდა?.. მხოლოდ სიკვდილი,  
 რომ თუ სიცოცხლე აღარ მეღირსა,  
 მკვდარს მაინც მერგოს აქ მოსვენება  
 და საუკუნოდ მშობელ მიწასთან  
 შეკავშირება და შეერთება!..  
 შაშ, გასწი, მალხაზ, და ერთხელ კიდევ  
 სცადე მწარ ხვედრთან შენ შებრძოლება  
 და ან სიცოცხლით, ან სიკვდილითა  
 მიეცი ტანჯულს სულს დამშვიდება!.. (შემთავავს წელზე  
 სანჯალს და გადის).

## სურათი მიოთხე.

(ზოდიცის ბოქაულის სამუშაო ოთახი, რომელსაც თრი გა-  
რები აქვს: მარცხნივ სხვა ოთაქებში გასასულელი და მარჯვნივ  
გარედან შემთხვეულები).

(ბოქაილი უზის სამწერლო მაგიდას და სწერი. მარჯვენა  
გარებით შემთხვევის ჩაფარი).

**ბოქაული** (მიატოვებს წერას).

რა ამბავია?

**ჩაფარი.**

ის დედაკაცი  
გიახლათ.

**ბოქაული.**

ვინა?

**ჩაფარი.**

ბარელის ცოლი.

**ბოქაული.**

ძალიან კარგი... ხომ ლამაზია?

**ჩაფარი.**

ოჰ, ერთობ. ჩვენში არა ჰყავს ტოლი.

**ბოქაული.**

ბინა საღა აქვს?

**ჩაფარი.**

საყვარლად უზის  
სერგო მედუქნეს ის ჩვენს სოფელში  
და თავ გზას უბნევს ახალგაზღლობას...  
ვაი იმ ყმაწვილს, ვინც იმის ხელში  
ჩავარდება და დაიწყებს ქეიფს!  
ვიღრე სრულიად არ გაიჭუქვნება  
მანამ თომინიდან ჩელარ გამოვა!

## ბოჭაული.

თუ ჰყითხე, რაო, რა სთქვა? გვპირდება,  
რომ კატორლიდან გამოქცეულის  
ქმრის შეპყრობაში დაგვეხმარება?

ჩაფარი.

დიახ, ბატონი; დიდ იმედს გვაძლევს.

## ბოჭაული.

მაშ, კარგი; წადი და დაუძახე! (ჩაფარი გადის).  
ახლა-კი სწორეთ ჩაგიგდებ ხელში,  
მალხაზ, ისეთი დაგიგე მახე  
და მაშინ ჩემს ბედს ძალლიც ვერ დაჰყეთს;  
მკერდს „ვლადიმირით“ დაშიმშვენებენ! (ადგება. შემთდის  
თაღიკო ბოჭაული აღტაცებით თავისთვის).  
ბიჭოს!.. მართლა რომ ამის თვალები  
კაცს გულში ტრფობის ცეცხლს აღუგზნებენ (თაღიკოს).  
შენი სახელი, ტურფავ?

თალიკო.

თალიკო.

## ბოჭაული.

ლამაზს სახელიც მუდავ ლაშაზი  
ჰქვია ყოველთვის!.. მაშ, მშვენიერო,  
მაძლევ სიტყვასა, რომ კლაკ მალხაზი  
შენის წყალობით ვერ გამექცევა?..

თალიკო.

ჰო; შემიძლია, შეგაპყრობინოთ,  
თუ...

## ბოჭაული.

თუ რა?

თალიკო.

ფულს აń დაიშურებთ,  
რომ სერგოს გული ამათ მოვიგოთ!

სერგო, თუ რამე ხეირს არ ნახავს,  
არ დასთანხმდება, რომ ჩემი ქმარი  
იმის ღუქანში დროს ატარებდეს,  
რაღან საშიში არის სტუმარი;  
რომ გაიგებენ, მაღხაზი ჩემთან  
დაღის, დაფრთხება ყველა მუშტარი  
და ვეღარავინ ვეღარ მობედავ.

### ბოჭაული.

მაგისი ჯავრი ნუ გაქვს, თალიკო! (მიუახლოდება).

მოვინადირებ მალე სერგოს გულს  
და თვით შენს გულსაც... არა, სულიკო? (ხელი მოკიდებს და  
უნდა აკოცოს, მაგრამ თალიკო გა-  
მოუსხლიტება ხელიდან და გაიქცევა;  
ბოჭაული სიცილით).

ა, შე ეშმაკო, მარდიც რომა ხარ! (ისევ მიუახლოდება;  
თალიკო კიდავ გაიქცევა).

კარგი, მოიცა; ნულარ მაწვალებ!

### თალიკო (დიმილით).

მე არ გაწვალებთ; ჯერ მომირიგდით  
და შერე...

### ბოჭაული (ფულს აძლევენ).

ფულზე გალაპარაკებ?

### თალიკო (გამოართმევს ფულს).

ახლა სხვა არის; ახლა თუ გინდათ... (დასრის თავს).

### ბოჭაული (მოხვევს ხელი და აკოცებს).

შენს კოცნას ასე ძვირად აფასებ?

### თალიკო.

რა ვქნა?.. თუ სანამ ახალგაზდა ვარ,  
ორიოდ გროში მე შავი დღისთვის  
არ მოვაგროვე, რომ დავბერდები  
ვინდა იზრუნებს ჩემი გულისთვის? (შემთდის ჩაიგარი).

**ծռվառլո** (Բազանե Վայենու).

և ոչ?

**հացարո.**

Յոլաւ յաւո ցոսկլատ  
და աելաւը տվայն նախաս տեռալոմին;  
Եթոշա, մարտլա սակորո սայմը  
այս, ուս լրելաւը դա մոստմենլոմին.

**ծռվառլո** (Սծմայոցոնդու).

Մեմուսանց պի և ուտեարո,  
Հոմ մոսուրագու! (თալոյշու) Իւեն-կո, տալուր  
պից ցազուցետ, հոմ աղարացոն  
Երլս ար ցցունուցյ, իւմո սուլուր. (Բացար քաջութակաց-  
նոց. ծռվառլո մռեցը և ելու տալո-  
յու և մարուենու քաջուց. Նոյն  
ցուրտ և անու ցաշունու. Մյուծը ու-  
մռացան Բացար և մալուինու).

**հացարո.**

պի մոսուրաց և ուսուր մալու  
ցամոնինմանցուցյ

**մալուին.**

աելո սաւ արո?

**հացարո** (Հոմունդու).

თաւուս ուտաեմ յրտ լաման յալս  
Իւենցին արտմեցյ...

**մալուին** (Քօթունու).

Վնցիուտ լամուկինո?.. (Բացար քաջունու;  
մալուինու, Բացութեցնուց, քաջու-  
գիմանցունու և զոմինունու).

Ցլակարո արուս իւմո լրեռարեցյ,  
՛լունալուրո և ցասակուրացըլո  
և լրեցանցուցյ իւմո նածոյու,  
თան սասապուլո, տան սա՛մոնցու!

ვინ იცის თუ რა მელის უბედურს;  
 რით გადასწყვდება დღეს ჩემი ბედი?  
 მკვდარს გამიტანენ ამ ოთახიდან,  
 თუ კვლავ მაცოცხლებს ტკბილი იმედი,  
 რომ დამტკიცება ჩემი სიმართლე,  
 დავუპრუნდები ქვეყანას შვილი?  
 ვინ იცის, არც მკვდარს და აღარც ცოცხალს,  
 სიცოცხლე მელის დღეს, თუ სიკვდილი!..  
 ეჭ, სულერთია!.. ან ეს და ანის  
 მელირსოს ბარემ; რითმე დასრულდეს  
 ეს საშინელი ყოფნა არ ყოფნა;  
 ტანჯვისგინ სული განთავისუფლდეს!..  
 ვის რა შევცოდე?!. ნუ თუ ის ცოდვა  
 იყო, რომ ჩემს ხვედრს არ ვჯერდებოდი  
 და დაბადებით უბრალო გლეხი,  
 აჩავის უკან აღარ ვრჩებოდი?  
 რომ არა ნივთად, სხვების თანასწორ  
 ადამიანად მიმაჩნდა თავი  
 და ცხოვრებისა მონად-კი არა,  
 მსურდა გამგებლად ვყოფილვიყავი?  
 რომ არ მინდოდა, ჩვრად გადაქცევა;  
 არვის ვუთმობდი ჩემსა უფლებას  
 და აღარავის აღარ ვაძლევდი  
 ჩემის ლირსების შელახვის მნებას?  
 რომ, როცა გარევნილს, პირუტყვად ქცეულს,  
 თუმც დიდი გვარის თავადიშვილსა,  
 მოუნდა ჩემი ლამაზი ცოლი,  
 არ გრძნობდა არც შიშს, აღარც სირცხვილსა,  
 და ჩემ თვალწინვე დაუწყო კოცნა,  
 აღარ ვიყავი თითქო ცოცხალი,  
 მე დავუშალე და, როცა იქეთ  
 უნდა მოვეკალ, იქით მოვკალი?..

თუმც, ოპ, თალიკო, ფლიდო ცბიցრო,  
ამგვარი მსხვერპლის ღირსი არ იყავ  
რა აჯობებდა, რომ მის მაგიერ,  
ან მასთან ერთად შენც მომკვდარიყავ!.. (შემთდან თაღიკო  
და ბოჭაული).

თალიკო (შემინებული შეჰქვდებს).

შალხაზ!

ბოჭაული (შეშერთალი).

შალხაზო?.. (მოისევაში ჭიბუტე სელს და საჩქაროდ  
უგანვე გადის).

შალხაზი (იქრობს ხანჭალი).

ოპ, შე წყეულო,

ახლაც ისევ შენ?.. (გააფორებული მიფარდება თაღიკოს და  
მოუღერებს ხანჭალი).

თალიკო (სასოწარევეთიდებით).

შალხაზ, ნუ მომკლავ!..

(შალხაზი მოკიდებს; სელს და გაუტა დებს გულში  
ხანჭალი; შემოუგარდება ბოჭაული და რევოლვერი  
ესვრის მაღაზის; თაღიკო და მაღაზი ერთია და  
იმავე ღროს დაუჩემან, სელთმობრძანები; შემოცევი-  
ვის ხაფრები და, ვათცებული, უკურნებენ ამ სუ-  
რათს; ბოჭაული, გმაუთვილი, იდიშება).

ფარდა.

დუოუ მეგრელი

1900—1907 წლ.

## სულის სალარო

შფოთავ, მრისხანებ და სევდიანი  
შენს გარედ ეძებ შვებას და ლხენას;  
უკმაყოფილო, თვალ-ცრემლიანი  
ემდური მწარედ ცა-და-ქვეყანას...

ადამიანო! მოელი სამყარო,  
შენი სიმდიდრე და სიხარული,  
უკვდავებისა ცხოველი წყარო  
შენივე სულში არს ჩამარხული!

სულის სიღრმეში, მის სალაროში  
ბრწყინავენ მსხვილი ბრილიანტები,  
გრძნებით აღსავსე მის სამთავროში  
დგანან ზურმუხტის, ალმასის მთები!

იქ მუდამ დღეა, მშვიდი, მზიანი  
არ აქვს ადგილი იქ ქვენა ვნებას!  
ტურთა ყვავილი გულშლილ ღიანი  
ჰუენენ გარშემო ტკბილ სურნელებას...

იქ საღვარი შენი ღმერთების,  
ტახტი სიკეთის, მშვენიერების...  
იქ აკვანია შემოქმედების  
სათავე შენი ბეღნიერების!

იქ სიყვარულის ნარნარი ხმანი  
სფეროთ სიმღერას უერთდებიან;  
წმინდა გრძნობანი წმინდა ზრახვანი  
იძალებიან, იქ იზრდებიან!..

მაშ დაუბრუნდი ისევ თავის სულს  
 და ჩაიხედე იმის სიღრმეში:  
 იქ პპოვებ ლხენას, პპოვებ სიხარულს  
 მხოლოდ იქ არის შენი ნუგეში.

კ. მაჟაშვილი

ცის-კიდურ ლაუვარდ-გუმბათზე  
შევპქერ ციმციმა ვარსკვლავებს  
და ქვეყანაზედ მათ წილად  
წინაპართ წმინდა საფლავებს.

პირველთა კერტით ვეძლევი  
საამო აღმა ფრენასა,  
ზეცა მიტაცებს იდუმალ  
და ველარა ცძრავ ენასა.

ზენაარ შადლით ვიმსჭვალვი  
გულს ალ-მოდებულ გზნებითა  
და საიდუმლოდ შევამკობ  
ძალთა-ძალს ქებათ-ქებითა.

აქ სჩანს ლვთაება ძლიერი—  
სივრცე—უსაზღვრო ბუნება,  
აქ, მის კალთის ქვეშ, იდუმალ  
სული გულს ესალბუნება.

ვშორდები ყოველს ქვეყნიურს,  
ვეძლევი დავიწყებასა  
და წუთ-უაშიერ განვიცდი  
თითქო სამოთხის შვებასა.

---

გამოცდილ-გამობრძედილი  
ცხოვრების ბელის წესითა,  
წინაპართ საფლავს დავცქერი  
სულ სხვა გვარ გულის ძგერითა.

იმათი ღვაწლის მჭვრეტელი  
მათივე ლამპარ-მნათობით,  
აქ ვპოვებ ბინას, ლტოლვილი  
კაცთაგან უკულმართობით.

ვდგავარ მდუმარედ, დავცქერი  
წინაპართ უკვდავ სიასა  
და საფლავებზე ვკითხულობ  
ჩვენს წარსულ ისტორიასა.

ლოდებზე განვსჭრეტ იღუმალ  
მათ სწრაფვა-სურათ-ხატებას,  
ვგრძნობ მათ სიქველეს და მასთან  
საკუთარ ძალთა მატებას.

საქვეყნო იგავ-არაკად  
მოლამპარ-მანათობელი,  
არა, არ მოკვდეს აროდეს  
ერი, ამათი შშობელი!

მუხლთა მოვიდრეკ, საფლავნო,  
თქვენს წინა კრძალვით, რიდებით,  
მხოლოდ თქვენ შეგიმოსიათ  
ჩვენი სამშობლო დიდებით!..

მხოლოდ თქვენ ძალგიძთ შთაბეროთ  
აწინდელ ვაჟკაცო ქველობა  
ზა გაუკაფოთ საქვეყნო  
საქმეთა ძნელთა-ძნელობა!

მხოლოდ თქვენ ძალ-გიძთ აქციოთ  
იგინი ანდამატადა;  
მიზნადა ჰქონდესთ ტანჯულთ ხსნა,  
თვისი სამშობლო ხატადა.

ხმები გაისმის იმათვან  
მონობის ბორკილთ მსხვრევისა,  
ქედ-მაღალ, გულ-ზვავ უგბილთა  
ციხე-კოშკ გაღმონგრევისა;

მტარვალებს ჟამი დაუღეს  
ცოდვათა შენანიების,  
როს გამოცხადდეს მათზედა  
კვლავ ლმერთი შურის-ძიების!..

დ. თომაშვილი

## სული ობოლი

სამშობლოს ცასა, ვარსკვლავ-მოჭედილს  
ბინდი მწუხრისა გადაეფარა,  
მაგრამ მალულად მასვე მთებიდან  
პირსავსე მთვარე წამოეპარა.

თან-და-თან ლაღად ზე ამოცურდა  
მისი ბრწყინვალე შარავანდედი  
და სანამ სოფლად დაეშვებოდა,  
ჯერ კავკასიისა შემოსა ქედი.

თავს გადმოადგა მძინარე სოფელს,  
ჯილით შეაშკო მთა-კორდოვანი  
და აბრჭყუიალდა თვით ველ-მინდორი  
ნამით მოსილი, ხავერდოვანი.

ჩამოუქროლა ნაზად ზრდილ მდელოს,  
აასხიოსნა, ააელფერა,  
კვლავ სხივი სტყორცნა ჯურლმულ ხევ-ხუებს  
და ჯანლი ბინდის მას გადაპფერა.

ნაზი ლიმილით სწვდა ბალ-წალკოტებს,  
მის ხეივნებშიც ჩამოატანა,  
დაიფრთხიალა ამ ღროს მგოსანმა  
და შეუქაქან-შეუტატანა.

გულს მოხვდა იგი ამო ქაქანი,  
ციური ხმები მარად მგზნებარე,  
ჰანგით ჰანგებზე კილოს ნავარდი  
მონაკადულე და მომჩქეფარე.

დაპერა სიომ, ყვავილთა ფშვენა  
ქვეყნად ნექტარად მიმოაფინა,  
ყურები ცქვიტა სადღაც ბაჭიამ  
და მყის ჯეჯილში ჩამოირჩინა.

აქ თვით განსწვრეტდი, თვით მოისმენდი  
ბუნების დიად ძალთა-ძალობას,—  
მგოსნის ხმა-სტვენას, ვარდთ აღმოფშვენას  
და იმათ ჩაბმულ ფერხულ-გალობას.

არც სად კაცის ხმა, არც ურიამული,  
არ ვინ იძროდა, სდუმდა სოფელი,  
მხოლოდ სადღაც შორს ჭოტი კვნესოდა  
ნაღვლიან გულთა კმა-საყოფელი.

ან თუ ქალაქის ფართო ქუჩებში  
სტვენდა დარაჯი—ძალას მატებდა,—  
ან იქვე სადმე ქალწულის სახით  
ვინმე „ღამურა“ დაფარფატებდა

ან „ჰეი-ჰეის“ გაიძახებდა  
ჩაშორჩენილი ველად მეურმე:  
ხშირად დაქანცულს დლიური შრომით,  
ლილინის თავიც არა აქვს თურმე!

ასეთი იყო დამის წიალი,  
ხან ნაღვლიანი, ხან სანეტარო;  
აქ გამოსჭვივდა ფერხულ-ჩაბმული  
სიკვდილ-სიცოცხლე, ცა და სამყარო.

და საიდუმლო რამ გამოცანა—  
ხან უდიდესი გმობა, ძაგება,  
ხან ზე-აღმტაცი სააღმაფრენოდ  
საძალთა-ძალო ქებათა-ქება.

მჭრამ, ჩუ! ერთ წამს შედგა ყოველი  
ვარდთ ფშვენა, სტვენა კეთილ-ხმოვანი

ଲୁ ପ୍ରାନ୍ତଜ୍ଞଙ୍ଗ ମହାରାଜେ ଦ୍ୱାରା ଉପରେ କାହିଁଏବେଳିନୀ  
ଶ୍ଵେତପୁଣ୍ଡ ପାଇଲାପା ଉପରେ କାହିଁଏବେଳିନୀ.

ჩამოუქროლა ტყე-ველს დანამულს,  
მიესაუბრა ფოთოლთ, ხის ტორებს,  
ზიხლით შეხედა მტარევალთა სიღდურს  
და მიესალმა ნაცნობ წალკოტებს.

აქ ყეავილო ფშვენა, წყალით ჩხრიალ-დენა  
კვლავ ამერიკულდა, აიდგა ენა  
და თვით ზექსტრი, ტკბილ-სამური,  
მაღლა გაისმა ბულბულთა სტენა,

ପ୍ରୋକ୍-ମାର୍ଗବଳୀପ୍ରିତ ମନ୍ଦିରପୁଷ୍ପଳି ମଧ୍ୟଲିଙ୍ଗ  
କ୍ଷେତ୍ର ଏହେଥିଲା ମଦ୍ଦ ଫୁଲାନିଲାହାନିଲା,  
ଶୁଣିଲୁହାରୁକୁ ଶୁଣିଲେଖିଲେନ ଶୁଣିଲେନିତ ପ୍ରାୟରିଲନି  
ଲା କୁଳିକୁଳେଖିଲେନିକୁ ମୁହିକେବି ନାହାଲୁ.

მან მის შურა ძველ ნაცნობ ჰინდას,  
შიგ ჟენებდა და ჩაეცინა:  
ტახტზე მწოდოჩეს ერთად ერთ ობოლ—  
იმის პატარას—ტკბილად ეძინა.

გულმა ვერ გისძლო. . ერთხანს უკვერიტა,  
მაგრამ მალევე არიდა თვე,  
ტანჯულ სამშობლოს თვეუთი მოვლო  
და წარმოუდგა ეგ სანახავი.

1

შორით ღრუბელი, ბნელ-კუნავეტი  
სამზობლოს ცაზე წამოიგრავნა,  
ნაოჭ-ნაოჭად განერთხო ზელა,  
ხან გიშალა, ხან ლიკონა; ნა.

“შეშფოთდა ირე... იმის კვარცხლ-ბეჭი  
ჩვენი ქვეყანა დაყნინებული

რაღაც საშინელ მოლოდინს გრძნობდა,  
წინდაწინ პირქვე დანარცხებული.

ქოჩა დაჭმერა ჯოჯოხეთისამ,  
ჩამოქვენა ვარდი, იასამანი  
და ჩიყარა თვით ცხოვრებისგან  
ყოფნა-არ ყოფნას სიზღვარ-სამინი.

მყის შეტორტმინდა ქვეკნელ-ზესკნელი,  
თვით ჯოჯოხეთმა თუშვა ზარი  
და შეიგინა მსახვრალი ხელით  
ტანჯული ერის წმინდა ტაძარი.

მთამ დაიღმუვლა დაჭრილ ლომივით,  
ჩამოიბურა, ჩამომნელდა მზე,  
მაგრამ იმავ დროს ტანჯულითა დროშა  
ვამოისახი ცის კამარაზე.

## II

ისტორიული უკულმართობა  
მარიად მსხვერპლს ითხოვს საშვილთაშვილოს,  
აწმყოც ტკივილებს ახალს ზედ ურთავს,  
არა თუ ძევლი გაუადვილოს.

აჰა, უფსკრული! რამდენი სული  
მასში მებრძოლი გადაჩემლა!  
წიაღს შთაუნკამს ის ულმობელად,  
რომ თვალითაც-კი არეს ეხილა!...

რამდენი ძაღლი, სიცოცხლე, ნიჭი  
ამ უფსკრულის წინ დახეთქებულა  
და ტანჯულთათვის, ვით წმინდა სანთლის  
ხატის წინ ცვილი დალვენთებულა!

მაღალ აზრების სიასპარეზოდ  
გადაუშლიათ სული და გული

და თვისთავ შორის დაძრწიან, ვითა  
პირველ მოწამე და მოციქული.

რისხეა რისხეაზე ზედ ეფინებათ  
და განსაცდელი თვითონ იობის,  
მაგრამ კულავ მსხვერპლად იწირებიან  
წინაშე ტანჯულ კაცობრიობის.

რამდენი შვილი, თვით დედის ერთა,  
გოლგოთას ჯვარზე დაკიდებულა,  
მაგრამ საქვეყნოდ გამოშუქოსნდა,  
რაც იმათ გულში ცეცხლი ნთებულა,

იმათ სიკვდილით სცლიეს სიკვდილი  
და მით მოიმკეს ქებათა-ქება,  
მით ერს იმედი მომავალისა  
სამარადისოდ გულს ესახება.

მხოლოდ იდეა ტანჯულთა მხსნელი  
კუს აამაღლებს და ოლაფრთოვნებს  
და მსხვერპლი მისი იმავ მოძღვრებას,  
ძლევა-მოსილ ჰყოფს, განაცისკროვნებას.

რაც ერთხელ მკვეთრად სულს ჩასწვდენია,  
ის გულს იზიდავს, ენარნარება;  
ვისაც არ ძალუძს მსხვერპლის შეწირვა,  
ვით მოიპოოს მან ნეტარება?!..

### III

უტებ და უღრან ტყეებში  
სინათლეს მხისას უფრთხიან  
მრავლად დაძრწიან მხეცები,  
გულით ბრმა, თვალით ბეცები.

ქარი სისინებს ყოველ მხრით  
ლამპაჩ-სინათლის მქრობელი.

თან მოაქვს სუსხი და ყინვა  
დამაკუნობ-დამაზრობელი.

მოფარე იბინდვის, მჩე ცხრება,  
ვარსკვლავნი აღარ კრთებიან,  
ცით მეხი, ლრენა ქვესკნელით  
ერთმანეთს ეკვეთებიან.

შხამ-გესლით ირწყვის ქვეყანა,  
ჩამოკუნენ ვარდნი, იანი,  
გარეშემ ვერ ქნა, რაც შიგნით  
თავის თავის უყვეს ზიანი.

ნამუსმა თავი აიშვა,  
გამრავლდა ენა ჭარტალა,  
კაცმა ლვითი სახე დაქარგვა  
და ყორნება დაიყრანტალა.

ქვეყანა წახდა, არ ინდობს  
მამა შვილს, შვილი და ძმასა,  
მონად გაუხდენ წუთიერს,  
უკმევენ გუნდრუკ-ბაზმასა,

საშვილთაშვილო უარყვეს,  
ძირს დაანზრუხეს იდეა  
და ოთოთაანთ ქორბა  
მათი ზლუდე და კიდეა.

დაემხო წმიდა ტაძარი,  
დაეცა ვაუკაცო ქველობა,  
ხელთ იპყრეს ხალხის სვე-ბედის  
საუკულმართო ხელობა!

აქ სარჩობელა მოქმედებს,  
იქა ვსკვრეტო სისხლთა დენასა,  
ხოლო „ვაუკაცნი“ ბოროტად  
ასივსივებენ ენასა!..

საღ არის ნავთსაყუდელი,  
საფარი იმედოვანი?  
მას მუსრავს უკუღმართობა,  
ხრიოკი მაღალ-კლდოვანი.

ვაი ნამუსსა წამხდარსა  
და ვაი ვაჟყაცობასა!  
ვაჟისა ფარ-ხმალს შერცხვენილს  
და იმის დიაცობასა!

ვაი დედების დედობას!  
ვაი მათ ქალთა ქალობას!  
მათი აღზრდილნი ჭყივიან  
საბელზებელო გალობას!

აქ ჭკნება სული, ელევა  
მას ძალა აღმაფრენისა...  
მსხვერპლია, მსხვერპლი საბრალო  
ნადირთა კბილთა ღრუჟნისა!..

და რაღა დაგრჩა აშ, სულო,  
რა გვარი სანახავები?  
ჭოტი დაგძახის გულმზარად;  
თავს დაგჩხავიან ყვავები!..

## 17

დიალ, დაეცა ოჯახის ბურჯი  
და ჩაიფერფლა, გაცივდა კერა,  
მოჭირნახულე ქრის დედებსა  
ქართველთა შორის ველარ ვსჭვრეტთ, ვერა!

საყოველთაო უკუღმართობა  
საჭირბოროტოდ გამხდარა სენად,  
აღარც მალავენ, არ ეკრძალებათ  
იგი საქვეყნოდ გამოსაფენად!..

აბა საღლაა ქართველი დედა  
მწრთველი საქვეყნო საწალმართოზე?

თუ ვინზე შვილსა რამეს ჩასძახის  
მხოლოდ და მარტო საპირადოზე!..

სხვა ყველაფერში ენა მრავალნი  
საქვეყნოზე-კი სიტყვა-ძვირობენ!  
აბა ქუჩებში მათი აღრზდილნი  
ტანჯულ მოძმეზე რომ ნაღირობენ,

ფეხით სთელავენ წმიდათა წმიდას,  
ურცხვად, უმსგავსოდ შეეხებიან  
და თავის თავსა, თუ რას სჩადიან,  
ერთხელაც-კი არ დაჰკითხებიან;

თვალთ ბისტ გადაკრულ-ანგარ-მოყვარე  
აწმყოს და მყობადს არ უყურებენ  
და თვისივ ხელით სამშობლო მხარეს  
ურცხვად, საზიზღრად ანადგურებენ,

საღ არის ამ დროს დედა აღმზრდელი,  
რაღ სღუმს, არა სძრავს მშობლიურ ენას  
და აღმზრდილს, ქვეყნის გამაოხრებელს,  
არ დაუდუნებს მსახვრალ მარჯვენას?!..

საღ არის ამ დროს გული მშობლისა  
გრძნობა ნარნარი, ამაღლებული  
და ზენაარი გავლენა შვილზე,  
ძუძუსთან ერთად ჩაწოვებული,

რომ იგი გრძნობა და სიყვარული  
აღმზრდილის გულს არ უთინათინებს  
და მის მარჯვენას, ხმალ-მოლერებულს,  
თითონ ჰაერში არ მოაკვდინებს?!..

აფსუს, დედებო! თვით ცხოვრებისგან  
დაგკისრებით დიადი ვალი,  
მაგრამ დროთ ბრუნვა უკულმართობას  
დაუჩინევია თქვენზედაც კვალი!..

აფსუს! მაგრამ ჩუ! აქა იქ ისმის  
სხვა გვარად ძერა მათის გულისა!  
თითქო ჭიკჭიკობს სადღაც მერცხალი,  
წინამორბედი გაზაფხულისა.

## V

კვდება სული და ელევა  
ზეალმტაცი იგი ძალა,  
მომავალმა აწინდელსა  
ვეღარ უთხრას „ბარაქალა“.

საზოგადო მაჯის ცემა  
და ხალისი მოქმედების  
თითქო შედგა და ერის წყლულს  
რა მალამო დაეცეპოს?..

ქვეყნის ჭირი და ვარამი  
აღარ უჩანთ თავის ჭირად,  
კერძოობას ამზევებენ  
სამოლვაწო სარჩულ-პირად!

არ დასდევენ, რომ მოყვასსა  
ცილი სწამონ და იფლიდონ,  
ოლონდაც კი ქვეყნის თვალში  
თავის თავი განადიდონ.

თუ როგორმე კი ელირსენ  
წუთ-ჟამიერ ქებათ-ქებას,  
არ დასდევენ არვინ ფიქრობა.  
რა ფასი აქვს ამ დიდებას!..

თავის თავის განდიდების  
მოსურნეა თითქმის ყველა,  
სათითაოდ, ყველა ერთად  
მოკინკლავე, ჩხირ-კედელა.

თითქმის ყვალამ შეურაცყო  
ეროვნული ქვა-კუთხედი

და ქვეყანას ეფინება  
უაზრობა ნათავსედი.

საზოგადო საქმისადმი  
გაყინულა გულის ძერა  
და ამზინი მძღვრობით  
ვით გალვივდეს ერის კერა?!

ვაგლახ, ერო! რად მოგეწყო  
შენ ეგეთი საწყაული?  
და შენდამი რისთვის გაქრა  
ტრფობა, სულის სამკაული?!

ნუ თუ ეგრე ორპირია,  
უმაღური კაცთა ტომი,  
რომ დრო-ჟამთა ვითარებით  
სხვის კალთაში შენავრდომი

თითონ შენმა არ დაგინდო,  
აიყარა შენზე გული,  
‘შეურაცხყო, დაგაკნინა  
უმისოდაც წამებული?!

ზოგიერთი გაგებუტა  
და რომ ესეც არ იკმარა,  
ეჭვი შენის არსებობის  
საქვეყნოდაც აღიარა!..

ნუ თუ შენი არსებობა  
სიზმრით იყო დანაბადი?  
„ჰო“ თუ „არა“ — ვინ დაგისვა  
საკითხი ცვალებადი?!

„ცხოვრებამო“, — ხმა გამოსცა  
ტანჯულ ქვეყნის არე-მარემ  
და ობოლ სულს მოღრუბლა  
სამშობლოის ვარსკვლავ, მთვარემ.

## VII

სამშობლო! ვინ უწყს მძიესენებაზე  
რამდენი გული აძგერებულა?  
რა შინაარსი, რა მისწრაფება  
შიგ ჩაქსოვილა, ჩაკერებულა? ..

ვინ უწყს, მის წმინდა საკურთხეველზე  
რამდენი იწვის ლამპარი წვარაკად,  
ანდერძ-დაკრული სამომავლისოდ  
და მოსათხრობელ იგავ-არაკად!

ვინ უწყს, რამდენსა იმის ვარამზე  
მწუხრად თვალთ ცრემლნი ელვენთებიან,  
ან რაოდენნი მოსეულ მტერზე  
ლომებრ ვაუკაცნი აენთებიან!

ვინ უწყს, რამდენი გადახვეწილა  
უცხო მხარეში თავის ნებაზე,  
და რაოდენი ძალა უგრძენიათ  
იმის ხსენება—მოგონებაზე,

როცა ფიქრებით გარემოცულნი  
ხან ფითრდებოდენ, ხან ეგზენდენ,  
რომ აღჭურვილნი ცოდნისა ლამპრით  
სამშობლო მხარეს დაბრუნებოდენ!

ვინ უწყს, რამდენი თვისსა სამშობლოს  
მტლედ დადებია, მისთვის ვნებულა  
და აულია რა ჯვარი მძიმე,  
მრავალ-გზის პირქვე დაკვეთებულა!

მაგრამ მგზნებარე ტკბილი იმედით  
არსად შემდგარა, არ შედრეკილა,  
რომ მით ერთ ნაწილს კაცობრიობის  
გასოენებოდა ბრწყინვალე დილა.

ვიშ, ასპარეზი სავაშა-ვაშო!  
 ვიშ, სიყვარული და ძალთა-ძალი!  
 სამარადისო ქებათა-ქება  
 და აღმამფრენი რამ იდეალი!

ჩამომავლობის სასიქაღულო  
 და მატიანის შემამკობელი!..  
 აშაყობს ერი მით ბედნიერი,  
 კურთხეულია მისი მშობელი!..

## VII

ჩვენში საღაა მამულიშვილი,  
 სამშობლო ქვეყნის ლამპარ-ვარსკვლავი?  
 საღაა გმირი თავ-განწირული  
 და გამოცდილი ბრძოლაში მკლავი?

ზე-მორჩილების მონური სული  
 კარგა ხანია ქართველს აძინებს  
 და ვერა ვხედავთ საქართველოში  
 ვერც ჰარიბალდებს, ჰარნელ-მაძინებს!..

ცნება „სამშობლო“, „მამულიშვილი“  
 დღეს რაღაც გმობა და აუგია,  
 თითქო აწმყოსა სძაგს თვისი  
 და უარყოფა ზედ აუგია!

მაგრამ სამშობლო დღეს სხვის ხელშია  
 ბედ-უკულმართის დროის წყალობით,  
 ორიოდ კაცსა ეპყრობა მამად,  
 უმრავლესობას—გერ-ნაცვალობით!..

იგი გამხდარა ბუდედ, სავანედ  
 მცონარა ჯგუფის, მუქთა ხორების  
 და ანგარ-მოსილ სამუხანათო  
 საქმეთ მრავალჯერ განმეორების!..

სამშობლო ჩვენი ის წალკოტია,  
 სად მადლი უხვად გადმოდენილა, ჯ

ხოლო ეგ მაღლი ჩრჩილთა კერძია  
და მეწალკოტე შორს განდევნილა!..

ბუნების ტაბლა დაუბერტყია  
სიუხვის კალთით მონიჭებული,  
მაგრამ მუშაკი ამა ტაბლიდან  
ფრიად შორსაა გაძევებული!..

და სამშობლოსაც იმის შესახებ  
მამინაცვლობა ჩაუდენია,  
როცა მას ნაოფლ-ნაღვაწისაგან  
ნამუსრევილა მხოლოდ შთენია.

ერთს ხელთ უპყრია პირველ-შვილობა.  
და უმრავლესსა გერთა-გერობა!  
ნეტა ვრთ შესძლოს მშობლისა გულში  
შვილმა შვილისა მაგიქრობა?!..

რა სამშობლოა ივი ქვეყანა,  
სად ერთი ცხოვრობს ფუფუნებაში  
და უმეტესსა კი სული ძვრება  
ლუკმა პურისა დღიურ ძებნაში?..

რა სამშობლოა იგი სამშობლო,  
რომ აწ გამოსულ ორიოდ გმირებს,  
თვისსავე ქვეყნის საკეთილდღეოდ  
ერთად შეფიცულს და შენაპირებს,

რომელთაც თავი გადაუდვიათ,  
პირადი შვება უარუყვიათ,  
დაჩაგრულ მოძმეთ ჭირსა და ლხინში  
დაუხედიათ და გაუყვიათ;

შებრძოლებიან უსამართლობას  
მთელის ძალ-ლონით და ენერგიით,—  
რა სამშობლოა, რომ ასეთ შვილებს  
უმასპინძლდება სკვითების ტყვიით?!..

იმ შვილებს, ვინცა ტანჯვა-ვარამსა  
მოძმეთ ტანჯვისთვის გულს ატარებენ  
და სამშობლოსგან განდევნილები  
ხშირად აქ ფეხსაც ვერ აკარებენ!..

ან როცა გული ვეღარ მოუთმენთ,  
ლამით ქურდულად ესტუმრებიან,  
სალამს უძლვნიან და განთიადზე,  
ვითა აჩრდილნი, მყის გაქრებიან!..

ან სამშობლოსგან მოწყვეტილებსა  
სად ჩაუყრიათ თავიანთ ძვლები,  
რომ „რჩეულ“ შვილებს არ შერყეოდათ  
აქ ფუფუნება და სავარძლები!..

ვერა, ვერ შექმნას იმ ერმა გმირი,  
ვინცა მონობას მარად სჩვევია,  
მუხანათობას ფესვი გაუდგამს,  
ძმობა-ერთობა დაუწყევია!

გმირია ხალხი, მისივე სულის  
და ერთობლივი კავშირის ძალა  
და წინამძღოლი—ამ ხალხის შვილი,  
ვინც თავი თვისი მას ანაცვალა!

ვინც მამულიშვილთ დაფანტულ ძალებს  
წმინდა დროშის ქვეშ ერთად შემოკრებს  
და ვისაც ხალხი, მისივ აღმზრდელი,  
ერთობის ძალით ზურგს გაუმაგრებს.

აქ რასა ვხედავთ? სადაა ხალხი  
რომ საწალმართოდ გაჰქონდეს ლელო?  
ვაგლახ, ვაგლახ ჩვენ! ვით გამობრუნდეს  
დაკნინებული დღეს საქართველო?!

### VIII

მაგრამ არა, არ ჩამქრალა  
წამებული ერის ძალი!

იმის გულში კვლავცა ლეივის  
საიდუმლო ნაპერწყალი!

თუ ამდენი განსაცდელი  
აიტანა, ყველა სძლია,  
მას ნეტარი მომავლისკენ  
გზის გაკაფვაც შეუძლია!..

მრავალ-წლობით ჭირნახული  
ცოცხალია, არ მომკვდარა,  
ეგ მისთვის, რომ მოუმზადოს  
მტერს სამარე და სუდარა.

თვისი ბედი მომავალი  
ცხოველ მიზნად თვალწინ ედოს,  
ცეცხლში აწრთოს რკინასავით  
და ფოლადად გამოსჭედოს!..

ნამყო აწმყოს შეუფართოს,  
ზედ კედელი ააშენოს  
და ფენიქსებრ აღგენილმა  
მომავალი დააშვენოს.

მით მსოფლიო სალაროში  
თვისი წვლილი შეიტანოს  
და გავლილი ჭირ-ვარამი  
მაშინ მხოლოდ არ ინანოს.

აჰა, საჩდაფ ქოხ-მოხებში  
ფუსფუსია რაღაც გვარი  
და ხმას იღებს დაჩაგრული,  
ჭირის ცეცხლში გამომდნარი.

მაშერალთ გულში მრავალ-წლობით  
დაგუბული შხამ-სამსალა  
აღარ ითმენს და მზადაა,  
რომ მოპფინოს ქვეყნად ძალა..

ვულკანივით დაიქუხოს,  
ამოხეთქოს შადრევანად,  
თვის თავს მხსნელად მოეცლინოს  
და ტანჯულ ერს ცის მანანად.

ნაკურთხია მაშერალთ მკლავი,  
ყველა ჩაგრულთ მფარველ-მწეა,  
ბურჯი არის ეროვნების,  
უძლეველი სიმტკიცეა.

მხოლოდ იგი ლირსეულად  
თვის სამშობლოს დააფასებს  
და თავის ბედს მის მყობადთან  
განუყრელად მოათავსებს.

ვინც იტანჯვის, იდევნება,  
დასაბამით დღევანდლამდე,  
სამშობლოსაც ის აიყვანს  
თვით უმაღლეს წერტილამდე!

ვისი ოფლის აიაზმით  
იპკურება მთა და მდელო,  
მხოლოდ მისით, მისით აღსდგეს  
და აყვავდეს საქართველო!..

ხმები ესმოდა ობოლ სულს  
მაშვრალთა გულის ძერისა,  
შიგ გამოკრთოდა სხივები  
მომავალ ბედის წერისა.

ხმები ესმოდა საამოდ  
თვისი ობოლი გულისა,  
აქ დაინახა ეულმა  
დაწყება დასასრულისა.

და თუ ობოლი ქვეყნადა  
ცაშიაც ობლად ფრინავდა,

დღეს იმის გულთან ერთადა  
მრავალი გული ფრთინავდა...

„გამარჯვებისა“! — შესძახა  
სამშობლოს არე-მარესა  
და შიაშურა სამყაროს  
ვარსკვლავ-მოჭედილს, მთვარესა.

მიეხმაურა შეფრქვევით  
მთა-ველი ზურმუხტოვანი,  
მაღლით გაეხსნა კიდური,  
ცა გუმბათ-ლაჟვარდოვანი.

დ. თომაშვილი.

# ს ი ფ ე ლ უ 0

სკონები სოფლის ცსოვრებიდან ოთხ მოქმედებად

## მომზადები პირები:

თ-დი ლევან ფიანძე — მემამულე მომრიცებელი შუამავალი, ყმა-წვილი კაცი, 35 წლისა.

ქნ. მარკო — ამისი დედა, 50 წლისა.

თონა — ამისი შვილი, გასათხოვარი, 19 წლისა.

თ-დი ყარამან მამულაძე — მემამულე, შუა ხნის კაცი.

თ-დი რეზო დონაძე — მემამულე.

ქნ. ნატალია — ამისი ცოლი, 40 წლისა.

ომიანიძე — სტუდენტი, 24 წლისა.

ნინია — მოხუცებული გლეხი.

მელანი — ამისი ცოლი.

მაქსიმე  
მიქელ  
გაბო

მიხა — შვილი ნინიასი, ჯარისკაცად ნამყოფი.

ილიკო  
სოლო  
პეტრე  
განო

გიორგი კაკიაშვილი — ახალგაზდა ბიჭი,  
გლეხები.

## მოქმედება პირველი

(დარჩიდა გლეხის ფფანი. ერთ მხარეს გრძელი ტასტია, ხალისა გადაფარებული. შინდაპირ ბუსარი. ბუსის პეტრით თარო, რომელზედაც აწევია სხვა და სხვა თისისა და სის ავეჯეულობა. მეორე მხარეს სდგას მაგიდა და ორი უბრალი სკაბი. ორი კარები აქვთ. ერთი შემთხვევული, მეორეც მარცხნივ გვერდით, რომელიც თახეში შედის. ბუსართან ფუსტუსებს მელანო. ტაფაში ხარშავს სხვა და სხვა ბალასეულობას და ავადმყოფს შვილს წამალს უმზადებს. ტასტი ხამოჭდარი მიქელა. თავი ჩაუკიდია და ჩაფიქრებული ჩიბუს ეწევა. მაგიდასთან სკაბზე ზის მიხა და მწარე ფიჭებშია წასული).

## გამოსვლა პირველი

**მელანო, მაქელა და მიხა.**

**მელანო.** (ბუსიან ტაფას გამოდგამს და შიქედას მიუბრუნდება). ასე კი დავიღუპე და დავნელდი, მიქელა. რა შევკოდეთ ასეთი ღმერთსა, რო არ ვიცი! ვის რა საქმე ჰქონდა ჩვენთან ან ჩვენ ვისთან გვექონდა საქმე!

**მიქელა.** ყველაფერი ღვთის განგებით ხდება. უნდა მოვითმინოთ, სხვა არა დაგვრჩენია რა.

**მელანო.** ჩემს უბედურობას, რომა დასასრული არა აქვს! (ახლოს მივა) იცი, მიქელა? არ მანებებდნენ! თითქოს ჩემი ნაშობი არ იყვეს, თითქოს მე არ ჩამედგას სული და ამ ძუძუებით არ გამეზარდოს! „ბალნიცაში“ წავიყვანო, მოვარჩენო და მერე სამართალში მივცემთო. გესმის, მიქელა? უნდა მოვარჩინოთ, რომ მერე ჩამოვარჩოთ!

**მიქელა.** (ამოიჟრებს). ანგრეა! ბატონ-ყმობის ღროს ჩვენმა ბატონმა ერთ დღეს მამაჩემი ორჯელ გალახა. პირვე-

ლად ურჩობისთვის, მეორედ კი — შენი ცემით ხელები მეტკინაო.

**მელანო.** ახლა მამასახლისს ჩაბარეს. როგორც კი ფეხზე დაღეს, ხელები გაუკარი და წარმოადგინეო. ეგაო „ბუნტოვჩიკი“ არისო! აღარ ვიცი ახლა, რა შევევედრო ჩემს გამჩენს: შვილის გადარჩენა, თუ სიკვდილი? (მიდის ბუსართან).

**მიხა.** აააა! (შორს გადისჭრის ტყაჭხა და დანას და წამოვარდება) არსად ბენა, არსად ნუგეში. სულთამხუთავი სახლში გვიზის. კარში ქარ-ბუქი ტრიალებს. ჩვენ კი მოვკუნტულვართ და ვტირით, სულ ვტირით, ტირილის მეტი არა ვიცით რა. გვცემენ ვტირით, გვცივა ვტირით, გვშივა ვტირით. (დაჭვკაში მაგიდას დაწინერად) ვის ვეცე, ვინ დავგლიჯო, საღ არის მტერი! (ბარბარით მიდის ქარქბისკენ. მეჭანი და მიქელა შიშით თვალს გააეთლებენ).

**მიქელა.** მელანო მაგ ბიჭს ყური უგდეთ. როგორლაც ვერ არის თავის ჭკუაზე!

**მელანო.** (მიქელას) ვატყობ... ეს ის მიხა აღარ არის, მხიარული მამცინარი ..

**მიქელა.** რამდენი წელიწადი იყო რუსეთში?

**მელანო.** ხუთი წელიწადი.

**მიქელა.** ხუთი წელიწადი დიდი დრო!

**მელანო.** ზედ იმ უბედურ დღეს ჩამოვიდა. ის იყო დაჭრილი მოიყვანეს ჩემი სოლო და ეგეც მოვიდა. სისხლში მოსვრილი ძმა რომ დაინახა, გადირია. ძლივს გავაჩერეთ სახლში. წავალ, გადავიკარგები, მე აქ ვერ დავრჩებიო. შემდეგ ისე აურია ლაპარაკი, რომ, მეგონა, ჭკუაზე შესცდება მეთქი.

**მიქელა.** ადვილი გასაგებია. კაცი ხუთი წელიწადი ელოდა ერთ ტკბილს წამსა და ის წამიც გაუმწარდა. (ჩაფიქრდება) ექიმი ხომ დადის?

**მელანო.** დადის. ყოველ დღე. ღმერთო გააძლიერე ჩვენი ბატონის ოჯახი! ლევანი არაფერს არ ზოგავს ჩვენთვის. თინა

ხომ ავადმყოფს დღე და ლაშ არა შორდება. ექიმი ყოველ-დღე დაკყავთ. წამლებსაც თავის ფულით ჰყიდულობენ. რო ნახო, მთელი თარო სავსეა სხვა და სხვა წამლებითა. მაგრამ რა? ვერაფერმა წამალმა ვერ უშეველა. ახლა რაღაც ბალახები მასწავლეს, იმას ვუმზადებ. უკნებ მაშველოს ღმერთმა და ეს წამალი მაინც მიუღეს.

**მიქელა.** მაინც რას ამბობს ექიმი? ხომ იმედს იძლევა?

**მელანო.** ექიმი სულ ამას გვეუბნევა: არ გააბოროტოთ, ნურაფერზე ელაპარაკებით, ნურც ალაპარაკებთ, გული თუ აუშფოთდა, ყოველი წამალი ამაოთ.

**მიქელა.** მერე რა? მაგაზე ადვილი რალა!

**მელანო.** ჩვენც ვერიდებით, რაღა თქმა უნდა. მაგრამ აი იმან მომკლა, მიქელა, აი, ქველაძის სახლში რომ ჩამო-თესლდა. ხომ იცი ვინა?

**მიქელა.** ვიცი! მერე ის რა?

**მელანო.** ოი, ნეტავ, ის გადაშენდებოდეს სადმე და სხვა არა მინდა რა გამიჭირდა საქმე, მიქელა! არც ის ეშვება ჩემს შვილსა, არც ჩემი შვილი იმასა. ჩემი სოლო დღეში ორჯელ, სამჯელ დამაძახებინებს ისიც მოვა, ის გულმკედარი. მიუჯ-დება და ეჩიჩინება. ექადაგება. ვუყურებ, ვუყურებ, მერე ვეტყვი: თქვენი ჭირიმე, ისეთს ნურას ეტყვი, რაც აწყენს მეთქი. უკმეხად მიპასუხებს: მე ისეთს არას ვიტყვი, რაც ადა-მიანს აწყენსო.

**მიქელა.** მელანო, ვინ არის ე კაცი?!

**მელანო.** არ ვიცი მიქელა, არ ვიცი! ახლანდელი დროსი მე ვერა გამიგია რა, ადამიანი ადამიანს არა ჰგავს. ლაპარაკი რაღაც უცნაური აქვთ. თითქოს კველა მოჯადოვებულია და ჯადოს ჯიბით ატარებენო. (ახლის მიიწეს და საიდუმლო კი-ჭოთი) მე ხომ დიდიხანია დავილუპე, მიქელა. ჩემს თავს დი-დი უბედურობაა. ახლა ხომა დაჭრილი წევს ლოგინში, ახ-ლაც არ ისვენებს!.. რო დაუგდო ყური, რაებს ლაპარაკობს, ჩემი საკოდავობით დაიწვი მიქელა. ვეუბნევი, შვილო, გულს

ნუ იშტოთებ, დაანებე თავი, მაგაებზე ნულარ ლაპარაკობ მეთქი! ოჭ, დედა, რომ იცოდე, რა უსამართლობა ტრიალებსო ქვეყანაზე! ავარდება, დავარდება, კბილებს აკრაჭუნებს. საბანს ლაპგლეჯავს და გადააგდებს. შემდეგ მისუსტდება, გეგონება, აი ახლა კი განუტევაო სული.

**შელანო.** (უფრო დაუკავებს სმას) იცი, ლევანზე და თინაზე რას ლაპარაკობს? (ჩურჩილით) ე...გე...ნი... ჩვე...ნი მტრე.. ბი არია...ნო! (მიქელა ჩაფიქრებული თავს აქნევს. მედანთ სიჩემის შემდეგ) რას იტყვი ამაზე, მიქელა!

**მიქელა.** ეეე! (ჩაფიქრდება. შემდეგ თავს აიღებს) რას ვიტყვი? ვერაფრის ვიტყვი რაღაცა, რაღაცა უბედურობაა ჩვენს თავსა მელანო... —ხალხი აირია. ისეთ კაცს შეხვდები გზაში. დუქანში, სოფელში; რომ არც მუშა კაცისა ეტყობა რამე არც ბატონობისა. ვერაფრერი გამიგია-რა. გული თავის აღა-გას აღარა მაქვს... გგონი. აი ამ საათში რაღაცა წამოგიქ რო-ლებსო და გული გელევა, თავსა ძირს ღუნავ... (შემოდის მაქსიმე).

## გამოცდლა მესამე

### იგინივე და მაქსიმე

**მაქსიმე.** გამარჯობათ თქვენი.

**შელანო.** ღმერთმა გაცოცხლოს მოპძანდი, მაქსიმე.

**მაქსიმე.** რასა იქთ? როგორა ხართ? (ტახტზე ჩამოჯდება და ჩიბუჩს კამართავს). სოლო როგორაა?

**შელანო.** (ამთანასწებს) ისე შენი მტერი იყოს, მაქსიმე, როგორც ის არის.

**მაქსიმე.** სალდათის ტყვია მკერდში რომ გაგირბენს, კარგად ყოფნაზე იქ მეტია ლაპარაკი.

**მაქსიმე.** ეეე! (ჩიბუჩს მოჟიდებს) იცით, ამ საათში, საიდან მოვდივარ? ჭალაზე ვიყავი, ეს არის ახლა დავბრუნდი.

**მელანო.** ჭალაზე თუ იყავი, გაიგებდი, გორა მარიამიძე როგორ არის?

**მაქსიმე.** სწორედ ის დავასაფლავეთ დღეს დილას.

**მიქელა.** { (გაფცებით) როგორ მოკვდა?!  
**მელანო.**

**მაქსიმე.** მოკვდა. თავის ამხანაგებს მეეშია.

**მელანო.** (წუწუნებს) ვაი იმის მშობლებს. ვაი იმის ქვრივსა და ობლებს! ღმერთო შენ გვიშველე!

**მიქელა.** აფხუს, რა ვაჟ-კაცი იყო! კარგი გოგრაც ჰქონდა. აი ნამდვილი სამამასახლისო, კაცი ის იყო აი! მაინც თითქოს საგანგებოდ გამოარჩიესო, სულ საუკეთესო ბიჭები დაიხოცნენ. მარგველაშვილი, ბასილაშვილი, სიმონაშვილი, აი დედასა, რა ბიჭები იყვნენ!

**მელანო.** ღმერთო, ღმერთო ეს რა უბედურობა დაგვატყდა თავზე!

**მაქსიმე.** მაგ გვარი უბედურობა ჩვენს მამა-პაპას არ გამოუცდია! დიდი უბედურობა დატრიალდა დედა, მაგრამ უბედურობა ბევრნაირია. რაც გინდა მწვავე იყოს შენი უბედურობა, აერ გამოგივარდება მეორე, რომელიც სულ დაგვიწყებს პირველს!..

**მიქელა.** რაზე ამბობ მაგას მაქსიმე!

**მაქსიმე.** გაიხედე გარედ. ცა შავად იღრუბლება. რითი გაავდარდება წვიმით თუ სეტყვით. ეს ღმერთმა იცის.

**მელანო.** ღმერთო, დაგვიფარე!

**მიქელა.** შენ რაღაცა იცი, მაქსიმე!

**მაქსიმე.** მე? აბა, რა ვიცი. ადამიანმა რომელდეს ხვალ რა მოელის, ხომ თავის თავს წინდა წინვე უპატრონებდა-იცი შენ, ხვალ რა ამინდი იქნება? ხომ არ იცი. ესეც ისეა. აი, მიგდეთ ყური და საქმეს კარგად ჩაუკვირდით! (ძოგზადება სალაპარაკად. მელანო და მაქსიმე შიშით შეჲურებენ თვალებში.) ჭალაზე გუშინ ჩაველი. მოყვრებთან საქმე მქონდა და გულ-და გულ იმათთან მივდიოდი. სოფელში რომ შევე-

დი, ერთი ჩოჩქოლი და ხმაურობა შემამესმა. ვიკითხე, მითხრეს: გორა მარიამიძეს მარხავენ, მთელი ხალხი იქ არისო. მეც წავედი. ის იყო მივედი და კუბოც გამასვენეს სახლიდან. არ იკითხავთ ახლა რა ხალხი იყო. ან რამოდენა იყო! გეგინებოდა ვინმე დიდი თავადიშვილი მამკვდარა და მთელი ქალაქის ხალხს თავი მოუყრიაო. ვინ არ იყო? მე დღეობასაც არ მინახავს მაგ-გვარი ხალხი. ცხედარი მივასვენეთ ეკლესიაში, ანდერძი აუგეს და შემდეგ სასაფლაოზე წავასვენეთ. მაგრამ ეს არაფერი, კუბო რომ საფლავში ჩაუშვით და ის იყო მიწა უნდა მიგვეყარა... (გაჩუმდება და შინებულის მიზანი) უცბად რალაცა უცნაური ხმა მოგვესმა... გავიხედეთ, იქვე საფლავის ქვაზე ვიღაცა კაცი იდგა და ლაპარაკობდა. ხალხი ერთ ალაგს გაშეშდა და პირი დაალო. ყმაშვილი კაცი იყო, უბრალოდ ეცვა, მაგრამ უბრალო არ უნდა ყოფილიყო... შიშითა და კანკალებით ვუგდებით ყურსა.... დიდხანს ილაპარაკა... ჩემს სიცოცხლეში მაგისთანა არა განმიცდია-რა! ხალხი ერთ წუთს რომ ქვითინებდა და ქვიან საფლავს ცრემლითა რწყავდა, მეორე წუთში თვალზე ცრემლი გვაშრებოდა და შიშით ვცხუხახებდეთ... ასე იყო ჩვენი საქმე. რომ უცბად ვიღამაც და იძახა: მოდიან! მოდიანო! გავიხედეთ, პრისტავი ცხენს მოაჭინებდა. უკან სტრაუნიკები მისდევდნენ. ჩვენ არა გვესმოდა რა და სიზმარში გვეგონა ჩვენი თავი. უცნობმა ლაპარაკი შეწყვიტა და რო მივიხედ-მოვიხედეთ, ალარსად იყო. თითქოს მიწიდან ამოძრა და იქვე ქვესკნელში ჩაძრაო...).

**მიქელა.** მერე, მერე?

**მაქსიმე.** ჩვენ მათრახებით სოფლისკენ დაგვიფრინეს...

**მელანო.** მერე ცხედარი?

**მაქსიმე.** ცხედარს თვითონ მიაყარეს მიწა.

**მელანო.** (ჰითვებაზე გადიწერს) ღმერთო, შენ გვიშველე!

**მიქელა.** ღმერთო, დაითარე ტანჯული ხალხი! (სიჩუმე ჩამოვარდება).

**მელანო.** ვინ იყო, მაქსიმე, ი კაცი?! ეს იყო!...

**მაქსიმე.** (კარში უჩვენებს) ეს იყო!... ჭველაძის სახლში რომ სდგას!

**მიქელა** } რას ამბობ?!  
**მელანთ**

**მაქსიმე.** ეგ იყო არ მენახა. ახლა ვნახე. მაშინვე ვიცანი.

**მიქელა.** (ჩაფიქრებულია) განა არა!.. განა არა!.. აი ახლაც ვლაპარაკობდით... გრძნობდა ჩემი გული...

**მელანთ.** (ჩურჩულით) მაქსიმე, მაცდურია ეგ კაცი, მაცდური!... მე მეშინიან მა კაცისა... მაცდური ადამიანის სახით მოვევლინება, მიგიზიდავს, გულში ჩაგიკრობს და სულს ამოგხდის!..

**მაქსიმე.** ჰე, ჰე, ჰე! მიკვირს მე თქვენი საქმე! წიწილკრუხივით განაბუღნართ მიწაზე და მტრედმა რომ ჰაერში გადაიაროს, თქვენ ქორი გვონიათ. ერთო ეს მითხარით, რაღა, მაცდურები გელანდებათ თვალში, დედამიწაზე ანგელოზი სულ არ არის? თქვენ ხომ მაგას ამბობთ, მე კი იცით რას გეტყვით? (ახლა მიიწევს). იმ დღეს დაჭრილი მე ბევრი ვნახე, ბევრს მიუგდე ყური... თავი არავის ენანება, თითქრას უხარიანთ კიდეცა... სახეში რომ ჩასცერი, ჰეთიქრობ: ამ კაცს ისეთი კარგი რამ უპოვია, რომ აქაც დასტოვებს და თან საფლავშიაც წაიღებსო!..

**მიქელა.** მართალია, მართალი. სოლოს რომ ვუყურებ, ხანდახან სახეზე ბელნიერების ლიმილი უკრთის...

**მელანთ.** (თავს ჩაჭკიდებს) ლიმილი უკრთის... უხარიან... ვარ შვილო! მე რაღა ვქნა, მე უბედურმა! შენ ფასს რას ვიპოვნი მე აქ, ამ ქვეყნად! ცრემლს რა შემიშრობს, რა ჩამიქრობს გულში ცეცხლსა და ვარამს? (ტირის).

**მიქელა.** (სიჩუმის შემდეგ) დაილოცა, ლმერთო შენი სამართალი! (წამოდგება). მშვიდობით იყავით. წავალ სახლს მიეცედავ.

**მაქსიმე.** წალი და ყური მიუგდე, იქნებ ზარის რეკა შე-

მოგესმას! (მიქელა გადის. მაქსიმე მეჭანთს მიუბრუდება) სოლო  
ხომ შეიძლება ვნახო, ჭალაზე ორი სიტყვა დამაბარეს, უნდა  
გადავსცე.

**მელანო.** წავიდეთ. ექიმი წავიდოდა. (მიდიან თაახისებენ).  
ნუ იტირებო, მაშ რა ვქნა? სხვა რა იარალი მაქეს ხელში,  
ან რა შემიძლიან! (შედიან თაახში).

### გამოსვლა მიოთხე

#### მიხა შარტოლა

**მიხა.** (შემოდის მწარედ ჩაფიქრებული). ვის ვუთხრა?.. ვის  
განუზიარო ჩემი გულის თქმა!.. ვინ მანუგეშებს, ვინ დამა-  
დებს მალამოს გულზე! (თაახისებებენ მითევდავს. სიმწარისაგან  
დაიკლავნება და გამობრუნდება). არა, არა! ის ჩემზე ბედნიე-  
რია... საკოდავი მე ვარ, მე უბედური!.. იმას რა უშავს ის  
კვდება, მე ცოცხალი ვრჩები!.. სად წავიდე? სად გადვიკარ-  
გო? როგორ ავსცდე ამ ხალხს, რომ არ დავიჩახო არავინ,  
არავინ!... მიხა სად არის? ნახეთ მიხა! მიხა, რა მოგდის?...  
დამანებეთ თავი, დამა .. ნებეთ! (დაეცემა სკამზედ მწარედ ქვი-  
თინებს) მაგინეთ, მლანძლეთ, შემაჩვენეთ, პირში მაფურთხეთ!  
ეს მინდა მე... სამძიმარი, დამშვიდება, ნუგეში... არ მინდა,  
არა, არა! (თავადუნული ტირის შემოდის ნინია).

### გამოსვლა შეცუთხ

#### იგივე და ნინია

**ნინია.** (ნელის ნაბიჯით მიუახლოვდება შვილს და თავზე  
სელს დააკებს) შენ კიდევ შენსას არ იშლი! ტირილი, შვილო,  
ვაჟ-კაცს არ უხდება. რა დაგემართა. კაცი არა ხარ: (მიხა  
ხმას არა სცემს და ქვათინებს) გეყოფა, შეილო! (ცრემლს მოი-  
წენდს) სოლო შენს ნახვას თხოულობს... შედი... მოიწმინ-  
დე თვალები და შედი... ნურაფერს აგრძნობინება... ნამტი-  
რალევი ნუ ეჩვენები.

**მიხა.** (წამოდგება და მამას თვალებში ჩააცერდება) ექიმი  
წავიდა?

**ნინია.** წავიდა.

**მიხა.** მამა, რა სთქვა?

**ნინია.** (თავს ჩადუნავს) ყველაფერს უნდა მოველოდოთ,  
შვილო!.. ერთი შვილი ვიპოვნე, მეორეს ვკარგავ! რადა? ვის  
რა დაუშავე! (მიხას შესჭდავს) შვილო, რა მოგდის?

**მიხა.** (თავს შეიმავრებს) არაფერი! (მიდის თთახში).

**ნინია.** ღმერთო. შენ მიშველე! (მწარედ ჩაფიქრდება. შე-  
მოდის თხა).

## გამოსვლა მიეჩვევ

### ნინია და თინა

**თინა.** (შემოდის თავსახურავითა და ქთლებითა. ხელში კალაში  
უჭირავს, რაშიაც ბოთლები და სხვა და სხვა სანოვაგე ალაგია).  
უუფ, დავიდალე! (კალათს გერდზე მოიდებს და თავსახურავს  
გაასდის) როგორ არის ჩვენი ავალმყოფი? ექიმი იყო განა?  
რა ნაირად ვწუხვარ, რომ აქ არ დავესწარი. გიო ბლიაძის  
ცოლია ძალიან ავად. იქ ვიყავი და მომიგვიანდა. ოხ, ნინია,  
რამდენი ადამიანი წვალობს და იტანჯება მხოლოდ იმიტომ.  
რომ მოვლა არა აქვს. არც წამალი აქვთ, არც ჭამა სმა.  
ჭუჭყიანი ქვეშსაგები და შეხუთული, მოწამლული ჰაერი მე  
ახლა იმ აზრს დავადექი, რომ გლეხკაცი თუ ერთი დავარდა  
და ლოგინად ჩაწვა, იმას საშველი აღარა აქვს!. ყველას ვერ  
უშველი, ყველას სიღარიბიდან ვერ ამოიყვან და სხვის ტან-  
ჯვას რომ უყურებ, შენც იტანჯები! რა სთქვა ექიმმა?

**ნინია.** არაფერი. გასინჯა და წავიდა.

**თინა.** მე ის გუშინ ვნახე, მითხრა: თუ ტყვია ამოუღეთ,  
არა უშავს ტაო. ტყვიას-კი ეგ ვერ ამოუღებს. ლევანმა ქა-  
ლაქიდან სხვა ექიმი გამოიწვია.

**ნინია.** გმაღლობთ, გმაღლობთ! (ცოქმლს მოიწენდს) თუ

ღმერთმა არ შემიბრალა და არ მომკლა, თქვენს დავალებას არ დავივიწყებ.

**თინა.** ეგ დავალება არ არის, ჩემი ნინია. ეს ყოველი ადამიანის მოვალებაა. მაშ რისთვის ვცოცხლობთ, თუ ერთ-მანეთს ჭირშიაც-კი არ დაგეხმარებით. ოხ, ნეტავ შემეძლოს, რომ ყველას, ყველას დავეხმარო და ოდნავ მაინც შეუმსუბუქო ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც თქვენ იმყოფებით... აგერ შენს გვერდით რომ მშიერსა პხედავ, ლუკმა გიშხამდება პირში, შენი თვალით რომ ხედავ, რომ შენი მეზობელი, შენ გვარივე ადამიანი ჭუჭყიან ნაფლეთებში ეხვევა და მხოლოდ იმას ნატრობს, როლას გამითენდება დილა, რომ სიცივისგან გათოშილი სხეული ცეცხლზე მოვითბოო, შენი რბილი, სუფთა, თბილი საწოლი გძულს, გეჯავრება! ოჟ, არ იცი შენ, ნინია, რა მტანჯავი, რა აუტანელია ჩემთვის ეს გრძნობა!

**ნინია.** გულკეთილი ბძანდები, ვინ არ ცის!

**თინა.** (პატარა სანს ნაფიქებული) ეხ, დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს (მიყა და ქალათიდან ამთაღაგებს საჭმელსა და სას-შელებს) აი ცოტაოდენი საჭმელი მოვუტანე ავადმყოფს. ექიმმა მაგარი ღვინო გამოუწერა. ისიც მოვუტანე.

**ნინია.** მაღლობელი ვარ.

**თინა.** საჭმელი ძალად უნდა აჭამოთ, რომ არ დასუსტდეს და ტყვიის ამოლება აღვილად გადაიტანოს.. შენ რადა ხარ ანგრე დალონებული? გიტირია კიდეც! რა დაგემართა? (ნინია სმას არ იღებს) ნინია, მითხარი, რა ამბავია?!

**ნინია.** ყველაფერი ამათა... ჩემ შვილს ვეღარა გამოაბრუნებს!..

**თინა.** ნინია, რად ამბობ მაგას?

**ნინია.** დავიღუპე, თინა, დავიღუპე!

**თინა.** როგორ?! სოლო...

**ნინია.** ცნობა. დაპკარგა... ბოდავს... მეტად იტანჯება.

**თინა.** ექიმმა გითხრათ რამე?

**ნინია.** თქმა არა მინდა!.. ის ამ ქვეყნისა აღარა!

**თინა.** ნინია!

**ნინია.** ვაი, შვილო! შვილო!

**თინა.** (მოწუკეტილი ძირ დაქვება), ღმერთო, ღმერთო,  
რა უბედურობაა!

**ნინია.** ეს გული მაინც აღარ უნდა გვქონდეს... თუ პი-  
რუტყვები ვართ, თუ ეს წილი გვხვდა ჩვენ აյ ამ ქვეყნად,  
გრძნობა მაინც არ უნდა მიეცათ ჩვენთვის.

**თინა.** (ტირის. მივა და სეჭუს მოჭირებს) არა, არა, ნინია,  
ნუ ამბობ მაგას. მარტო თქვენ არ ხართ, მარტო თქვენ არ  
გიშერიათ ტარილი. მწუხარებიცა და მხიარულებიც ადამიანს  
დაბადებიდანვე თან დასდევს. ხოლო მის გულში არც ერთს  
და არც მეორეს მუდმივი ადგილი არა აქვს. დღეს დარღი  
სცვლის მხიარულებასა, ხეალ მხიარულება დარღისა... არა, არ  
მჯერა, რომ თქვენ მარტო ტანჯვისთვის იყვეთ გაჩენილი,  
ნურც შენ დაიჯერებ!

**ნინია.** იქნებ არის მაგისთანა ადამიანი დედამიწაზე, მაგ-  
რამ ჩვენ არა, თინა. ჩვენ არა! ჩემი ჯერი, ჩემი ოჯახი დღემ-  
დის ვატარე შიშითა ტანჯვით. დღეს ქარმა დაჰბერა და აღარ  
მაქვს ოჯახი! ჩვენ ჭიანჭველა ვართ, გამოგვიარა ადამიანმა, ფეხი  
დაგვადგა და არც კი იგრძნო, რომ მის ფეხქვეშ სულიერი,  
არსება გაისრისა, სიცოცხლეს სამუდამოდ გამოესალმა...

**თინა.** (თავისთვის) ღმერთო, ნუ თუ ჩსნა არსად არის?!

**ნინია.** ყმაწვილი რომ ვიყავ, რა მიშავდა, ტკივილი გად-  
მივლიდა, იარა მირჩებოდა, მაშინ დრო ბევრი შქონდა. ახლა?  
ახლა?! მე უნდა ვიცოცხლო, ის კი უნდა მოკვდეს. მე მიწა-  
ზე უნდა ვბობდლავდე, მის მძლავრს სხეულს კი ჭიები უნდა  
სჭამდნენ!.. ქვეყანაზე ეს უსამართლობა მაინც არ უნდა იყ-  
ვეს!.. (შექმნება და ოთახის ქენ მიუგდებს უკრს) გესმით! სიკვდილი  
აღარ იცდის!

**თინა.** (უკრს მოუგდობს) ეს მელანო ტირის! (ჩქარის ნა-  
ძვით შნეარღება თთახში).

**ნინია.** დაილოცა, ღმერთო, შენისამართალი! (ბარბატით მისდევს თინას. სცენა პატარა სახსრაშია. შემოდის თმიანიძე).

## გამოსვლა მიზანი

### ომიანიძე მარტოდ

**ომიანიძე.** არავინაა. სჩანს ცუდად არის. ამ გვარი სი-ჩუმე ჩამოვარდება სახლში, როდესაც ულმობელი სიკვდილი დასტრიალებს მას თავზე და ოჯახის წევრის მოტაცებას უქა-დის. უბედურნი! ერთად-ერთი სიმდიდრე: ძალა, სიცოცხლე და ჯანსაღობა, ისიც კი ეცლებათ ხელიდან. ამის ბატონიცა ჰყავთ, ამის წამგლეჯიც არის. (თახასისებ მთისედავს და ჩა-ფიქრდება) ემ... ხელის გაქნევა ვერ მოასწრო, იქვე დაპირეს, იქვე ჩაუკლეს სული. მძინარე ვეშაპი შეიშმუშნა, თვალთ გაახილა, დიახაც რომ სახიფათოა! საჭირო იყო მისი მოკვლა, მოკლეს კიდევაც. ყველაფერი უცვლელად დარჩა. მძოვრით სავსე, დამპალი, ხავს-მოკიდებული ტბა. ისევ თავის კალა-პოტში ჩადგა. ჭუჭყიანი მყრალი წყალი სლგას ისევ უნძრევ-ლად და წუმპე ტალაბში სიამოვნებით ჭყუმპალაობენ ქვე-მძრომნი, გველნი, ბაყაყნი (თახასიდან შემოდის მელანთ, გო-ნება დაბნეულია განერდება და ჭკუაშეშლილივით ერთს წერტილს მიაჩერდება. შემდეგ თვალს შეაჩერებს სატებზე. გაექანება, დაიჩო-ქებს და ლოცულობს. თმიანიძე გულსედაკურებილი უურებს ამ სცენას) იქ... იქ ეძებს ხსნასა და შველას! (თავს გადაწევს და ჩქარის ნაბიჯით მიუახლოვდება მელანთს) მოხუცო, რას ეძებ იქ? რა დაგკარგვია?! (მელანთ შეკრთება, წამოვარდება და შეშინე-ბული უურებს) მითხარ, რა გტკივა?

**მელანთ.** შვილი მიკვდება!

**ომიანიძე.** ის აქ მოკლეს. მისი მკვლელნი აქ არიან. ის ტყია, რომელმან შენ შვილს გულის ფიცარი შეუნგრია, აქ, არის გაკეთებული.

**მელანთ.** მეც მაგას ვტირი.

**ომიანიძე.** ვხედავ, რომ ტირი. ბარიცა ტირის, როდე-  
საც მის ძმას, შვილსა, ამხანაგს სისხლს გამოსწუწნიან და  
შემდეგ დაჰკლავენ, რომ დახეული ტყავიც კი თან არ გაა-  
ტანონ!

**მელანო.** (შეშინებული) რა გინდა ჩემგან?!

**ომიანიძე.** მე არაფერი. მაგრამ მაგ კითხვას რატომ იმათ  
არ მისცემ, ვისაც მართლა რომ უნდათ შენგან!

**მელანო.** ოჯ, ღმერთო!

**ომიანიძე.** მოხუცო, ვერ ჰქედავ შენა, საით იცქირება,  
სად მიუპყრია შენს შეილს დაქანცული მოლლილი თვალი?  
ხსნასა და შველას სად ეძებს ის, ეს შენ არ იცი!

**მელანო.** ვიცი!

**ომიანიძე.** მაშ ეგ თუ იცი, უნდა იცოდე ისიცა; რომ  
ის შეებრძოლა სწორედ იმას. ვისაც...

**მელანო.** ნუ, ნუ მეტყვი მაგას... მაგას ნუ მეტყვი...  
მერე მითხარ... შემიბრალე. (მოისმის ხმა ნინასი:) მელანო!  
გესმის? მიძახიან! უნდა წავიდე, შეილს თვალები დავუხუჭო!  
გესმის! დედა ვარ, დედა! შემიბრალეთ! ყველას გთხოვთ, ყვე-  
ლას! (შევარდება თთახში).

## გამოსვლა მათთვე

### ომიანიძე მარტოდ

**ომიანიძე.** (თვალს გაადევნებს შედანოს) საბრალო დედა!  
შენ გულს სწყურია თანაგრძნობა, დარღის დაყოფა, დანაწი-  
ლება, მე კი... მე... მაპატიე, მეც საბრალო ვარ, მეც ვი-  
ტანჯები: სადაც მწუხარება და ტირილია გამეფნბული, ჩემი  
ადგილი მხოლოდ იქ არის, ვინც ჭრილობისაგან მწვავედ ღრი-  
ალებს, სიმწარისაგან იქლაკნება და კბილებს ინტვრევს, ჩე-  
მი ამხანაგა მეგობარი მხოლოდ ის არის... აჯ! (ფიქრებს გა-  
დაურთის. ჰა, ჰა, ჰა, როგორც ვხედავ, ჩემს გულს სისკელე  
ჯერ კიდევ არ გამოლევი: გული ამიჩუყდა როგორც დიაცს,

როგორც ბავშვს, რომელმაც ხელი გაიკაწრა და ცრემლი გაღმოსდის! (გაიფლის თანასწილი და დაინახავის თანას თავსახურავსა და ქოლგას) ოჟო, ეს ქალბატონიც აქა ბძანებულა! აი კიდევ ერთი პირუტყვი, მაძლარი, უდარდელი, ნებიერი პირუტყვი! რომ, ის კეთილია! ერთი იჯარა სასმელ-საჭმელი მოურთმევია მშიერ ხალხისთვის! ესეც არ კმარა. თავადის. ქალი, მსუბუქესა, წმინდა ჰაერს ჩვეული დამცირებულა და უკადრნია გლეხის ოჯახი! ეს ხომ დიდი, დიდი მსხვერპლია! არც სიტყვას ზოგავს, არც სიმღლალეს: მაშვრალთ ანუგეშებს, ღატაკთ ტანთ აცმევს, ჰა, ჰა, ჰა! (შემოდის თინა).

## გამოცვლა გეთართვები

### ომიანიძე და თინა

**თინა.** (გერ დაინახავს თმიანიძეს. ფანჯარასთან მიიღებს, გაადებს და გასძახებს) ვინა ხართ მანდ? არ გესმით? ვანო! ვანო?.. გაიქა ჩქარა, ლეგუანს უთხარი, საჩქაროდ ეტლი გაგზავნოს სურამში, უთხარი: სოლო ძალიან ცუდად არის-თქო! აბა, ჩქარა, ჩქარა! (გამოტრიალდება) ლმერთო, ლმერთო! (დაინახავს თმიანიძეს) უკაცრავად!

**ომიანიძე.** (მთელი დრო ზიზდით უცქეროდა) არაფერს. განაგრძეთ თქვენი საქმე.

**თინა.** რა საქმე?

**ომიანიძე.** ატყუეთ სხვა და თქვენი თავიც, ბოლიშს რად იხდით!

**თინა.** (გათცებული) არა მესმის რა!

**ომიანიძე.** არა გესმით რა? შეიძლება შეუსმენრობის მიზეზიც იყოს, ეგ მე არ ვიცი. მხოლოდ ერთს გკითხავთ: თქვენ ძალიან გსურდათ ამ ავადმყოფის მორჩენა?

**თინა.** ეგ რა საკითხავია?

**ომიანიძე.** ისე ვკითხულობ. თქვენმა ძმამაც, როგორც ვიცი. თავის ფულები არ დაიშურა ამ საქმისთვის!

**თინა.** მეც და ჩემს ძმასაც როგორც შეგეძლო...

**ომიანიძე.** ისე ეხმარებოდით ამ საკოდავებს, მერე უშველეთ რამე?

**თინა.** ადამიანის გაცოცხლება ჩვენ ხელთ არ არის?

**ომიანიძე.** სამაგიეროდ ადამიანის მოკვლა ხომ თქვენ ხელთ არის?

**თინა.** რად შეურაცმყოფთ, რა დავაშავე?

**ომიანიძე.** ოოო, უკაცრავად! მე დამავიწყდა, რომ შეურაცმყოფას თქვენ ჩვეული არ ხართ! დამავიწყდა, რომ, მთელი სოფელი ფეხ-ქვეშ გეგებათ, თქვენ ფეხთა მტვერს ლოკავენ! უბედურები! წყევლა-კრულვის მაგივრად, მაღლობას გიძლვნიან, პატივისცემით, მოწიწებით ნაზსა, ფუნჩულა ხელებს გიკოცნიან. იმ ხელებს, რომლებითაც თქვენ მათ პირიდან ლუკმას მეტად ნაზად აცლით!

**თინა.** ღმერთო, ეს რა მესმის? მიცნობთ თქვენ მე?

**ომიანიძე.** ძალიან კარგად! კარგად ვიცნობ თქვენს „ძველ მოქმედებას“. „მოღვაწეობას“. თქვენ „ანათლებთ“ ზალხს, დაუარსეთ მათ სკოლა, საავადმყოფო. ვიცნობ თქვენს ძმასაც...

**თინა.** (ხელებს გაუწვდის) არა, არა... ჩემ ძმას ნუ შეეხპით! ისევ მე მლანძლეთ... ის ისეთი პატიოსანია... გულკეთილი...

**ომიანიძე.** გმ... თქვენ ანგრე გვინიათ? მე კი წარმოიდგინეთ. სულ სხვა მგონია! მე მგონია, რომ ის ადამიანი რომელსაც ყოველისფერი თავსაყრელი აქვს, სხვას კი ქრი და პური ენატრება; ის ადამიანი, რომელიც თავის სიმდიდრით მეფობს ღარიბზე, ის ადამიანი, რომელსაც მთა და ველი დაუჭერია, გველაშაპივით გადაფარვია და ჩაყლაპვას უძალის ყველას, ვინც კი შეეხება მის სამფლობელოს, წარმოიდგინეთ, მე ის ადამიანი უპატიოსნოთ მიმაჩნია, ხოლო ის ვინც ამას ვერ ჰქედავს, შესაბრალისიც!

**თინა.** მაშ მე... ჩემი ძმა...

**ომიანიძე.** გინდა გაიგოთ, ოს წარმოადგენთ?

**თინა.** სთქვით, სთქვით ყველაფერი!

**ომიანიძე.** თქვენ ხართ მავნე სულდგმულნი! თქვენ მე-  
გობრის სახით ევლინებით თქვენი სოფლის გლეხს, რომ უფ-  
რო ადვილად, შეუმჩნევლად გააძროთ ტყავი, ამოპხადოთ  
საბრალოს სული!

**თინა.** კმარა, გეყოფათ ღვთის გულისათვის! (დაჟვება  
სკაშზე).

**ომიანიძე.** მეყოფა მერე თქვენ? თქვენ? თქვენ იკმარებთ  
ხოლმე, როდესაც მუხლმოდრეკილი გევედრებიან: ღვთის  
გულისათვის ნუ დაგვალპეთ სიბინძურეში, ნუ ჩაგვარჩეთ სიბ-  
ნელეში, ნუ დაგვხოცეთ სიმშილისაგან; სიცივისაგან, წყურ-  
ვილისაგან! უსმენთ მათ? უსრულებთ მათ თხოვნას? გებრა-  
ლებით, გეცოდებათ თქვენ ისინი?! (სიჩუმის შემდეგ უცბად).  
მაპატიეთ... მე ვლაპარაკობ საზოგადოდ... თქვენს სახეს მე  
პირველად ვხედავ... იქნებ მართლა კეთილდ ხართ, მაგ-  
რამ... მაგრამ (მოჭედებს სეჭს და ფანჯარასთან მიიღებს)  
ჰქედავთ ამ სოფელს? გაჰქედეთ ამ ხვრელებს, სადაც ნადი-  
რივით შემძრალა აღამიანი და თბება მხოლოდ თავისი სხე-  
ულის სიცხოვლით. თქვენი საცოდავი სკოლა ვერ გამოიყა-  
ნოს იმას ამ მიწურიდან! თქვენი სავადმყოფო ვერ გაჰ-  
კურნავს იმ ავადმყოფს, რომელიც ნესტიან კედელს ეკვრის  
და ხმელ ფიცარზე წოლით გამწარებული, ღმერთს მხოლოდ  
სიკვდილის-ლა სთხოვს! ეს ხომ ის ხალხია. ის საუნჯე, რო-  
მელოც გძენდათ და გძენთ თქვენ სიმდიდრეს, თქვენ-კი ამ  
სიმდიდრის ნამცეცებს უყრით მათ და ამაყად თხოულობთ,  
რომ ხალხმა მეგობრად გიცნოს, თქვენ მიერ დამწვარ-და-  
ტანჯული გულში ძეგლი აგიგოს!.. მაგრამ რად გეუბნევით  
მე ყველა ამას. თქვენ ხომ ამას ვერ გაიგებთ! შევიდობით  
იყავით! (აიდებს ბედნისა. და მიდის თთისკენ. შეწერდება და  
ფიქრობს. შემდეგ უცბად გამოტრიალდება) მშვიდობით... დღეს  
ისევ თქვენ ანუგეშეთ ეს საცოდავნი, ხვალ-კი... ხვალ მე  
დამითმეთ! (გადის შუა ქარებში).

თონა. წავიდა... გამლანდა და წავიდა.. რა სიძულფილი რა ზიზღით გამოიხატებოდა მის თვალებში! რამდენი მკაცრი უსიამოვნო სიტყვა მოხვდა ჩემს გულს!.. მაგრამ... რად მკ ტკინა მე ასე გული! რად ჩამივარდა ენა! ნუ თუ არ მქონდ გასამართლებელი საბუთები! ნუ თუ არ შემეძლო ამეცილ ბინა თავიდან საზარელი ბრალდებანი! ღმერთო, რა მომდი რა მემართება! (შეკრთება და უკის მიუგდებს შოისმის. მეჭახო ხმა): ვაი! ვაი! აააა! (დაიწივლებს და უკრებთან სეჭებს მა ტანს).

(ოთანის გარებით გარდება და შემოვლენ მაქსიმე, გაბო და მდებრიმე გლეხი. მოისმის მეჭანოს ხმა): შვილო! შვილო (გლეხები ქუდებს მოისდიან და პირჯვანს იწერენ. მეჭანოს ხმა) მომკალით! მომკალით! (მაქსიმე და გაბო ცრემლს იწმენდა სცენაზე შემოვარდება მისა. თმა გაწეწილია, გულა გასწილი აქ უკან მისდევს ხინია).

**ნინია.** შვილო! გულს დაუხმე! შვილო. რას სჩადი? (ედობება).

**მიხა.** (ხელსა ჭკრავს მამას) გამიშვი... გამიშვი!.. (წარდი წინ და გლეხების წინ გაჩერდება) ხალხნო! გამიგონეთ, გითხრათ! ჰკუაზე შეშლილი არ გეგონოთ! ჩემდა საუ დუროდ ჰკუა კიდევ შემრჩა, ჩემდა საუბედუროდ, კად ცოცხალი ვარ. სული მიღვას, ყველაფერს ვგრძნობ, ყველ ფერს ვხედავ .. (ყვირილით) მე მოვკვდი ჩემი ძმა!! გაგზა ჩაისმინეთ, ჩემი სოლო აი ამ ხელით მოგვალი; ჩემი ის ტყვია, ჩემს ძმას რომ გულში დარჩა... ის ტყვ მე იქიდან... იქიდან გამოვისროლე... გესმით ხალხნო! სიზმარი იყო... არა, სიზმარი არ იყო!.. აი, ნახეთ ჩემი ხელები, ადამიანის სისხლითაა იგი შესკრილი!.. მისი ნაღვი ნი ქერა თვალები ახლაც, აი ახლაც წინ მიღვას! საზარელ სასტრიკი ხმა ახლაც ყურში მაქვს! მარგველაშვილი, მარჯვე ჰკა მაგას! შებზე ააგე! მეც დავრბოდი გამმგეცებული და უარალო ხალხის სისხლით ქალაქის ქუჩებსა ურწყავდი!..

ჰა, ჰა! არ გჯნრათ განა? როგორ მოხდა ეს. არ იცით განა? გიკვირთ, რომ ციმბირის მაგივრად, სხლში მაღლობით გამა- მისტუმრნს! მერე რა? გამამისტუმრეს, რომ ჩემი თვალით მე- ნახა მოკლული ძმა გამამისტუმრეს, რომ ვიტანჯო<sup>1</sup>დანარჩენი. ჩემი სიცოცხლე...

**ნინია.** შვილო, შვილო!

**მიხა.** მომავალი, მამა, მომკალი (მამის გუჯზე ტირის).

ფარდა

## მოქმედებები მეორე

ტუე უსწორ-მასწორო ხეებითა და ბუჩქით დაბურული. სცენის სიღრმეში ნახევრად მოსინანს ხევი, სადაც სოფლები თავს იყრიან. შეუძინებელი გზა. მთვარიანი. დამეა. სცენის შირას ერთ-ერთ ხის ქვეშ წარმოწლილი სოფლის ბიჭები ილიკო, ვანო, და პეტრე. მთა ასლოს წევს და ცას შესცემის სოლო. მთვარიანი დაშვე.

### გამოსვლა პირველი

**ილიკო, ვანო, პეტრე და სოლო**

**ილიკო.** მე ვიცი აქ ლამეს უთევთ ჩვენ! სად არი, კაცი, ე ხალხი?

**ვანო.** არ ვიცი, ყველას დაუუარე და ვუთხარი. ზოგითავი მოიავადმყოფა, ზოგმა სოქვა: საქმე მაქვსო, მაგრამ არავის არ მოვეშვი.

**პეტრე.** არც ის არის ჯერა.

**ილიკო.** ის მოვა. წუხელის ჩემთან იყო. დილაზე მითხო: მე ზედ უბანში მივდივარ, ხალხი მყავსო დაბარებული სალამოზე აქ ხალხს თავი მოუყარე და მეც მოვალო.

**ვანო.** ეპეპეი! მე მაგითანა დაულალავი ადამიანიშვილი არ მინახავს. დღეს რომ აქ არი, ხვალ იმერეთში, ზეგ კი დევ ბაქოში. როგორ უძლებს ამდენს სიარულსა?

**პეტრე.** ეგენი, შენ არ იცი, ჩვენთვის თავდადებულნი არიან. აბა კნიაზ ლვანი შენთვის კა არ გაიცხელებს თავსა.

**ვანო.** ოჰ, იმას ბელლები პურით აუვსე და ჯიბეში ბლომად წითლიანები ჩაუწყე.

**ილიკო.** ეეე, ახლა ყველაფერი კარგად გამოჩნდა (მიახედავს სოლოს გენ) რას უყურებ, სოლო, მა კასა? ხომ არაფერი იპოვნე?

**სოლო.** ვარსკვლავებს ვუყურებ. აი ის ძალიან რომ ანა-თებენ, ისინი თავად-აზნაურები არიან. ის კი ოღნავ რომ ბჟუტავენ, ის ჩვენა ვართ.

**ვანო.** (წაში აისედავს) მართლა განა. აი დასწყევლა ღმერთმა რას არ გამოიგონებს!

**ილიკო.** ეტყობა, იქ ჯერ ბაიბურში არ არიან თორე ი ბჟყვრიალები მალე მიიმალნენ.

**პეტრე.** როგორც ჩვენი კნიაზები მიიმალნენ სოროებში (იცინიან).

**სოლო.** ოპოპო! ახლა როგორ არიან მოკუნტულები! სალამს კი ვეღარ დაასწრობ. „ბიჭოს“ აღარ იტყვიან, „ჩემო სოლო“ „რასა იქ“? „როგორა ხარ“? რო გელაპარაკებიან, გეგონება, ბოლიშს იხდიან, მაპატივე, შეგაწუხეო.

**ვანო.** ჰაი, ჰაი! რა არის ძალა და!

**ილიკო.** წინანანი უკანაო, უკანანი წინაო!

**ვანო.** შარშან, დიდი თოვლი რო მოვიდა, შეშა შემა-მაკლდა. ვეღარსად წავედი, ცოლშვილი კი სიცივით მეხო-სებოდა ავდეჭი და მივედი ყარამანთან: ბატონო, ჭადის გა-მოსაცხობო შეშა აღარა მაქვს, თქვენ ტყეში ერთი გამხმარი წიფელა სდგას, ახლო არის „მოვჭრი და ბაჟი, რაც გენე-ბოს, აიღე მეთქი. უჱ, რა მითხარიო ეგა, რა მითხარიო! სულ გადირია გადი, გადი აქედან, თორემ გული შემიწუხ-დაო. ხმა აღარ ამამალებინა ისე გამაგდო კარში.

**ილიკო.** ჰა, ჰა, ჰა! როგორა? გული მიწუხდება?

**ვანო.** გული მიწუხდება! ახლა მე მიწუხდება გული, ოც ვერშოკიან ხეებს რომ წამოაკცევენ იმის ტყეში და მტკვრის-კენ ეზიდებიან!

**ილიკო.** ამას წინად დაუვლია თავისი ტყე. საცა მოჭ-რილ ხეს დაინახავდა, ჩამოჯდებოდა თურმე ჯირკაჲ და ტი-როდა: შვილებო, ჩემო შვილებო, რომელმა სამიწე ხელმა დაგჭრათ ხელებით! (კველანი იცინიან).

**სოლო.** ოცი წლის შენახული ჰქონდა, იმიტომ ეწვის

გული და! ეექ! ღმერთმა აცხონოს, კარგი კაცი იყო! (საჩუმე ჩამოვარდება).

**პეტრე.** (ფიჭის შემდეგ). ილიკო, შენცა სოლო, ერთი ეს მითხარით: ამ ქალაქის მუშებს რაღა აბუნტებთ, კარგს იცვამენ და კარგს იხურავენ. იმათაც ჰყავთ თავად-აზნაურები?

**ილიკო.** ოხ, რა ტუტუცი ხარ, ჩემი პეტრე! ქალაქში თავად-აზნაურებს რა უნდა? იქ კაპიტალისტებია!

**პეტრე.** კაპიტალისტები რაღა ჯანდაბაა?

**ილიკო.** (სოლო) აუხსენი ერთი ამ ტუტუცს.

**სოლო.** (ჩახელებას) კაპიტალისტები მდიდარი ხალხია. იარაღი იმათ ხელშია. სხვანი მუშაობენ, ისინი-კი მდიდრდებიან იმიტომ რომა ზოგი მათგანი ათას კაცს ამუშავებს. ააა იანგარიშე. ახლა ათასი კაცის ნამუშევარი. ჩვენი ფოდრაჩიკ დღეში ხუთ კაცს ამუშავებს და უყურე იმის ჯიბესა? გაიგე?

**პეტრე.** მე მხოლოდ ის გავიგე, რომ კურდლელს არა ჰყავს იმდენი მტერი როგორც ჩვენა.

**ვანო.** მიხაკა მეღუქნესავით ან წონაში მოგვატყუებენ, ან ხელადაში.

**ილიკო.** ჰომ, მიხვდა ლორი ჩხინკელასა! (შემთხვის გათრიგი).

## გამოსვლა შეინდე

### იგინავე და გიორგი

**სოლო.** ოჟ, მობძანდი გიორგა. რას დაგიშვია ცხვირი, პრისტავს ხომ არ დაუბარებიხარ!

**პეტრე.** (მოღუშელი სასით) სულ ერთი არაა ვინც დავიბარებს?

**ილიკო.** მაშ შენ გინდა, რომ არავინ დაგიბაროს? ნადირი ხომ არა ხარ?

**პეტრე.** ვაი, ნეტავ ისეც ნადირი ვიყო!

**ვანო.** მე და ჩემმა ღმერთმა. აბა ნადირი დაიჭირე და

ამაში მოიყვანე, თუ ერთს საათს გააჩერებ! ისევ ტყისკენ სულტანს (მარცხნივ მირიდან გამოჩდება ერთი ჯგუფი სოფლებისა).

**ილიკო.** ოპო, მოდიან, მოდიან! (ადგება და შეეგებება შებიც ადგებან) სადა ხართ, კაცო, აქამდისანა?

**ერთი ჯგუფი.** გვიან გაგვაგებინეს.

**მეორე ჯგუფი.** დღეს ომიანიდე იქადაგებს?

**ილიკო.** ის იქადაგებს, საცაა მოვა.

**მესამე ჯგუფი.** კაცო, რალა უნდა გვიქადაგოს? ე ჩვენ-ოვის კარგად, ვართ. ტყეში არავინ გვიხდება და მინდორში. ასაულს მგონი ჩემი კარების გზაც-კი დაავიწყდა. ახლა მეტი ჭდაგობითა ჩვენ კაცი-კი არ გამოეჩრიკოთ.

**ილიკო.** ეი, კუუის კოლოფო! მერე ტყეში რო არავინ წევდება, იასაული რო შენ კარზე აღარ დადის, რითი ხდება ქა, იცი შენა? კი არაფერს ინაღვლი, ბედაური ცხენივით თუ გაგიშვეს იალაღზე!

**სოლო.** მაგას უნდა ეკლესიაში რო მივა, პირს დააღებს და ჩვენი მღვდელი ზიარებას რო ჩაუდებს ხოლმე ჭაველანი აფინიან).

**ვანო.** მერე პირსაც რო მოწმენდავენ..

**პეტრე.** ხა, ხა, ხა! დიაკვანი წითელ ლვინოს რო და-ლევინებს: (უგელანი იცდინიან).

**ვანო.** ეე, გიორგა. გიორგა, როგორ მოგივიდა ეგა!

**უველანი.** ძირს გიორგაი. ძიიირს! (იცინიან შემოდიან ბის და გაბოლ).

### გამოსვლა მჩსამე

#### იგინივე მიხა და გაბო

**მიხა.** (გაბოს) ჰეედავ, იცინიან! უხარიანთ ეს ამბები. არც უხარიანთ, ფეხებზე ჰკიდიათ. ეე, ჩემო გაბო, ჩვენ არც ჰშინა ვარგივართ, როდესაცა გვცემენ და არც მაშინ, რო-დესაც ჩვენ ვცემთ!..

**გაბო.** ყმაწვილები არიან. ჰელინიათ, კლდეს რომ დავუ-  
ტაკოთ. გადავანგრევთო!

**მიხა.** (მიუჟასლებებს ბიჭებს) გეყოთ ქილიკაობა. წადით  
ხალხი შეათვალიერეთ და საქმეს ცოტა ფრთხილად შოექე-  
ცით. ფონში გასვლას ჯერ კიდევ ბევრი გიკლიათ.

**ილიკო.** აი ამის ბრალია. (გილეგზე უჩვეუნებს) წავიდეთ,  
ბიჭებო! (ეველანი მიღიან) გაიგონე, გიორგი? შენ-კი გიხა-  
რიან რომ დღეს დღეობით იასაული კარებს არ გიტალახებს  
(გადიან მარჯვნივ).

### გამოსვლა მოოთხე

#### მიხა და გაბო

**მიხა.** იცი, გაბო. ამას წინად ერთი წიგნი წავიკითხე.  
ძველი დროის ამბავია. ერთგვარი ხალხი ყოფილა, გლადია-  
ტორებს უძახდნენ. გამიყვანდნენ თურმე ცირკში და ერთმა-  
ნეთს ახოცინებდნენ. იმათი ბატონები-კი სეირს უყურებდნენ  
და იცინოდნენ. იცინოდნენ, გაბო, იცინოდნენ!

**გაბო.** რა უხაროდათ?

**მიხა.** მონის მორჩილი გული, უძლურება. ბატონი ბრძა-  
ნებდა, მონა ასრულებდა. (ფიქრის შემდეგ) იცი, შემდეგში  
ისინი. მონები აჯანყდნენ, მაგრამ ვერ გარმარჯვეს და დაი-  
ხოცნენ. განთავისუფლდნენ მათი შვილის შვილები მონის  
მუცლიდან შობილი მონა, მონად უნდა მოკვდეს. თავისუ-  
ფლებისთვის ის არ ვარგია!

**გაბო.** შენ კიდევ შენსას არ იშლი. ანგრე არ შეიძლე-  
ბა, მიხა. მთელი სოფელი შენ შემოგჩერებია, ხომ ხედავ, საქ-  
მე გამწვავდა, უკან დახევა გვიანლაა. შენ კი... შენი ნახვა  
რომ კაცს უნდოდეს, სამი დღე უნდა გეძებოს.

**მიხა.** (არ უგდებს ეურს) გაბო, შენ იყავი იქ... იმ დროს.  
მიამბე; როგორ იყო. დაწვრილებით მიამბე.

**გაბო.** ისა? პოლ! ის ისეთი რომ მოხდა, რომ ახლაც

გონს ვერ მოვსულვარ. აბა, გლეხის გული რამ უნდა გააკვირ-  
ეს. ბევრი შავი დღე უნახავს, მაგრამ ის რაც მოხდა, მე-  
ტად სახარელი იყო. ამ ახლო-მახლო სოფლებში ოჯახს ვერ  
იპოვნი, რომ შავებში არ იყოს გახვეული. ზოგი შვილს ტი-  
რის ზოგი ქმარსა, ზოგი მამას.

**მიხა.** როგორ იყო, როგორ?

**გაბო.** ხაშურში მოვდიოდი. სადილობა იქნებოდა, გო-  
რათის საყდარს რო მოვიტანე. ჯერ შორიდანვე შევამჩნიე,  
რომ ხაშურის თავში ხალხი ირეოდა, მეგონა, მუშებს პურ-  
თის თამაშობა გაუმართავთ მეთქი. რო დაუახლოვდი, საში-  
ნელი ხმაურობა შემომესმა. ვუყურებდი ამ ამბავსა და ვერა-  
ფერი გამეგო. აქეთ, სურამის მხარეს ჯარი იდგა, იქით სტრაჟ-  
ნიკები. შეაში შეჯგუფულიყო ათასზე მეტი მუშა და რო-  
გორც მახეში მოწყვდეული მხეცი, ქოჩორი აეშვა, ღრიალებ-  
და და თავის ხორცს თავისივე კბილით იგლეჯდა. ვინ რას  
ლაპარაკობდა, ხალხის ყვირილში არ ისმოდა. ახლოს მისვლა  
ვერ გავძედე, ერთ ხეს მივეყუდე, და სული გავმეღე. შემდეგ  
რა მოხდა კარგად არ ვიცი. თვალთ დამიბნელდა, მუხლები  
ჩამეკუცა და აღარაფერი არა მესმოდა რა საშინელი სროლა  
იყო... ხალხი გარბოდა... მხოლოდ სროლა, კვნესა დი მაყუ-  
რებლების წივილ-კივილი და ისმოდა...

**მიხა.** სოლო არ დაგინახავს? სოლო, ჩემი ძმა!

**გაბო.** დავინახე, თვალი მოვასწარ. ის განცალკევებით  
იდგა. ერთ ხელში ორი შუბი ეჭირა, მეორეში ერთი კონ-  
დანი და სამი სალდათი დაბმული ძალლებივით უკან იწევდნენ  
და ერთმანეთს ეხეთქებოდნენ. ბოლოს სოლომ მძღვრად და-  
იქნია ხელები, გამოჰვევიჯა სალდათებს ორი თოფი და შორს  
გადააგდო, —რადა მცემთ, განა ჩვენ ძმები არ ვართო! —და-  
რღიალი საწყალმა, მაგრამ... გავარდა თოფი და... ძირს  
დაეცა.

**მიხა.** ოოხ! განა ჩვენ ძმები არა ვართო!! (ხმა სცენის  
გაცემა): მოდით, ხალხნო, მოდით.

**გაბო.** (მოჭეკიდებს ჰელს მიხს) წავიდეთ, მიხა. გაანებე მაგ ფიქრებს თავი! შენიცა და იმის ცოლიც სხვის კისერზეა.

**მიხა.** წავიდეთ! წავიდეთ!! (მიღიან მარჯვნივ. იქიდანვე შე-მოდან მაქსიმე და მიქელა).

### გამოსვლა გენეტიკა

#### მაქსიმე და მიქელა.

**ჩაქსიმე.** მოდი, აქ დავსხდეთ, მიქელა და ჩიბუხს მოუკიდოთ. (დასხდებან ჩის ძირში) იმას ვამბობდი. ძმებს რომ გავეყარე, ჩვენს ოჯახში ჯოჯონეთი დატრიალდა. გავიყარენით და დავმშვიდდით. შენ ისა სთქვი, რომ ყველაფერი ჩვენი სიზარმაცის ბრალია. სახრისა და ცულის მეტი არა ვიცით რა. სხვა საქმის გაკეთება გვეზარება. დამიჯერე, ე საოხრო მუცელი რომ არა გვქონდეს, შინიდან კარში არ გამოვიდოდით.

**მიქელა.** მერე, რა გამოდის?

**მაქსიმე.** არაფერი. გამოვალთ, ჩავიყრით მუცელში და ისევ სოროში ცდვრებით.

**მიქელა.** ჰმ, სხვა რაღა გვინდა?

**მაქსიმე.** სხვა რაღა გვინდა! დანარჩენი ყველა ადვილი ასატანია. გავცივდებით, მოვრჩებით. გვცემენ, ნაცემი ადგილები მალე მოგვირჩება, პირში შემოგვაფურთხებენ, ფურთხს ჩოხის კალთით მოვიწმენდავთ და გზას გაუდგებით.

**მიქელა.** მართალია, მართალი! ადამიანისაც გვეშინიან და საქმისაცა.

**მაქსიმე.** ღმერთმა მგელი და ცხვარი რო გააჩინა. ერთს მეორის შეკმა დაუწესა. ჩვენ ხომ ცხვრები არა ვართ!

**მიქელა.** ცხვრები რად ვიქნებით? მორევაზე თუ მიღვა საქმე!- არა. აქ რაღაცა სხვა ძალა მუშაობს. გამოვა ერთი გამხმარი, წიწლაკა კაცი, რო შეუბერო გადავარდება, შენ კი გბატონობს და როგორ გბატონობს! პირუტყვები ვართ პირუტყვები.

**მაქსიმე.** ეეე, უარესი ჩემო მიქელა. პირუტყვმა რჩოლა მაინც იცის! ერთი ხარი მყავს უღელს რომ დავადგამ, თუ ერთი რქა მაინც არ ამამკრა, არ მაისვენებს. (მარცხნივ მხრიდან გამოჩდება ნინია). ეს ნინია არ არის? საწყალი ბერი კაცი ძალიან გატყდა.

**მიქელა.** შვილის სიკვდილმა ძალიან იმოქმედა მაგაზე, ახლა მეორე შვილის დარღიც აწუხებს.

**მაქსიმე** დარწმუნებული ვარ, იმას ეძებს. აქეთ მობანდი, ნინია აქეთ.

### გამოსვლა გევგვევ

იგინივე და ნინია.

**მიქელა.** («დგება და ადგილს დაუთმობს»). აი ასე დაბბანდი, ნინია. რასა იქ, როგორა ხარ?

**ნინია.** ჩემი მიხა ხომ არ ვინახავთ?

**მაქსიმე.** აქ არის. რა, საქმე გაქვს რამე?

**ნინია.** რა საქმე უნდა მქონდეს! ისე ვკითხულობ.

**მიქელა.** უნდა გითხრა, ნინია, რომ შვილებით შენ ბედნიერი ხარ. ის იყო: ის უბედური და როგორი ბიჭი იყო! ეს არის და, ამისთანა ბიჭი მთელ სოფელში არ გამოსულა. ეგაა და მთელი სოფელი. უმაგისოდ ერთ ნაბიჯსაც ვერავინ გადადგამს. კარგი ბიჭია კარგი!

**ნინია.** თავისთვის არის კარგი... მშობლისთვის კი... არ ვისურვებ არავის, ჩემი მტერი რომ იყოს.

**მაქსიმე.** პირველში ძან ჩაფიქრებული იყო, ახლა არა უშავს რა. თუმცა... ეეე, იმას ისეთი საქმე შემთხვევია, რომ...

**მიქელა.** რა ვუყოთ მერე, მაგისთანა საქმე ყველას შეხვდება. მინდვრად გაშვებული საქონელი ჭიას გვერდს აუჭცევს, ან ზედ გადააბიჯებს, ურეშში შებმული კი ფეხს დაადგამს და გასრესავს.

**მაქსიმე.** მართალი ხარ. ვინ იცის ახლა ჩემი შვილიც...  
**მიქელა.** მართლა. შენი შვილიცაა რუსეთში გაგზავნილი რა ამბავი მოგდის?

**მაქსიმე.** კარგი, კარგი ამბავი. ამას წინადაც მივიღე წერილი. მწერს შემოდგომაზე ჩამოვალო.

**მიქელა.** ისიც კაი ბიჭია, მე და ჩემმა ღმერთმა.

**მაქსიმე.** მეტის მეტი მარჯვეა. პირველ წელიწადს ხუთი შანათი გაუუგზავნე. მერე მამწერა არ მინდა, ფულს ნულარ გამამიგზავნიო. ახლა კი თვითონ ის მიგზავნის.

**მიქელა.** ჯან, ბიჭო! არა ჰევანებია ზაქარიას ბიჭისა. კვირაში ერთი წერილი მოსდის: ჩქარა ფულიო. თანაც სწერს: შენ კვეიანად იყავი, სხვას ნუ აჲყვები, თორემ ცუდი საქმე დაგემართებაო.

**მაქსიმე.** დახე იმ უსეინიდისოსა!

**მიქელა.** თუ მიბძანეს, მამა ხარ, მაგრამ იცოდე, გევრიო! ჩვენაო აქ დღეში ერთ ხარს გვიკლავენო, შენ კი ლობიოსაც ხეირიანად არ გვაჭმევდიო.

**მაქსიმე.** აქ, ჩემი მაგისთანა სისულელეს ვერ მამწერს.

**მიქელა.** ის სხვა ბიჭია!

**მაქსიმე.** ის რო არ მყავდეს იქა, დავიღუპებოდი. წლევანდელი გადასახადები სსე გადვიხადე, რომ არა მიგვრძნია რა. ჯერ ამ შემოდგომაზე გამომიგზავნა ხუთი თუმნის სალირალი რამეები და თუმანი ფული. საშობაოთ თხუთმეტი შანათი. ახლა მწერს, აშ ტოტა ხანში კიდევ გამოგიგზავნიო.

**მიქელა.** ყოჩაღ, ბიჭო! სადა ვშოულობო?

**მაქსიმე.** შოულობს. იმ ქალაქში, სადაც ის არი, ხალხს დუქნები. დაუნტვრევია. დიდი არეულობა ყოფილა. როგორც იწერება. ურიებს დარევიან.

**მიქელა.** მაშ მართალი ყოფილა, რომ ამბობენ, ეს ამ-ზები უველგან არისო. ღმერთო, გვიშველე! გამოვილვიძეთ. ნინია, გამოვილვიძეთ!

**ნინია.** გამოვილვიძეთ... მაგრამ დაშვიდებული ძილი სჯობია, ტირილით გამოლვიძებასა!

**მიქელა.** ეჭ, რა ვუყოთ, ჩემო ნინია... დიდი უბედულობა შეგემთხვა, მაგრამ ღმერთი შენსკენაც გადმოიხედავს.

**ნინია.** ღმერთი, ჩემო მიქელა, ჩვენსკენ ჯერ არ გადმოიხედავს და თუ გადმოიხედა, ისეთი თვალით გადმოგვიბლვეს, რომ იტყვი, ნეტავი არ გადმოეხედნაო! (ასეველებს).

**მაქსიმე.** მაშ დაწყევლილი ხალხი ვყოფილვართ. რა დავაშვეთ ისეთი?

**ნინია.** მაშ არ იცი! თქვენ ყმაწვილები ხართ. ბატონყმობას არ მოსწრებიხართ. ჩვენი ცხოვრება, პირუტყვის ცხოვრება იყო. შიწა ჩვენ არ გვქონდა, უფლება და ადა მიანობა. საქონელივით პატრონისთვის ვმუშაობდით და რომ გაგვიდნენ, ხარივით კბილებს გვისინჯავდნენ... ვცხოვრობდით მაინც და ღმერთს შეცყურებდით, როდის გადმოიხედავდა ჩვენსკენ. ბოლოს... გადმოიხდა, ერთ დღეს გამოგვიცხადეს: თავისუფლები ხართ, დღეის იქით ბატონი ალარ გეყოლებათ, საკუთარი მიწა გექნებათ და თქვენთვის, თქვენი ოჯახების-თვის იმუშავებთო. გაგვეხარდა. ვსთქვით: ჩვენც აღამიანები ვყოფილვართ. ადამიანის სული გვდგმია, ღმერთიც ყოფილა ქვეყანაზეო და მხურვალეთ ვლოცულობდით. გავიდა ერთი წელიწადი, რა დავინახეთ? ისევ ის სიმშილი, ისევ ის ბატონი, ისევ ის ღმერთი!...

**მაქსიმე.** ჟველაფერი ტყუილი გამოდგა აპა?

**ნინია.** ტყუილი გამოდგა! (ჩაფიქრდება) ჩვენ მღვდელს ერთი ვირი ჰყვანდა, არ ამუშავებდა, იალაღზე უპატრონოდ იყო გახვებული. მაგრამ ერჩივნა დაბმული ყოფილიყო. დიდი და პატარა ზედ ჯდებოდა და აღმართ და — აღმართზე დაარბევინებდა, ცემისაგან ბანალი ალარ შერჩა. ხუთ-ექვს ალაგას ცულით იყო დაჩეხილი, ბოლოს ხრამში ნახეს მკვდარი... ჩვენც იმ ვირის საქმე დაგვემართა! (გზაზე გამოჩნდებიან თავ ურაშენი და რეზო).

**მაქსიმე.** სსსუ! ყვავები მოდიან! (გამოდგება) სჯობს გავეცალოთ! (უველავი ადგებიან და წასვლას დასპირებენ)

## გამოსვლა ეფეზი

იგინივე თავ. შარამანი და რეზო.

ყარაბანი (შორიდან) გამარჯობათ, გამარჯობათ!  
რეზო. გამარჯობათ! (საჭამის არავინ აძლევს).

ყარამანი. სალამი ღვთისაა. ამას რაღას გვერჩით?  
მაქსიმე. (მიქელას) ანდრო არ გინახავს? საქმე მაქვს იმას-  
თან (მოდის).

გიგლა. (მიდის) მეც საქმე მაქვს იმასთან. (გადიან).

რეზო. (ნინას, რომელიც წასკლას აპირებს) შენ აქეთ მოძ-  
ძანდი, ნინია. შენ მაინც ნუ აჰყვები სხვებსა.

ნინია. (გამოტრიალდება) ეეეე!

ყარამანი რა ოხრავ, ბერიყაცო? საოხრავი რა გაქვს?  
ქვეყანა თქვენ დაგრჩათ ტყე თქვენს ხელშია და ველი.

ნინია. დაგვცინით! მაინც დასაცინი ვართ.

ყარამანი. ღმერთმა შეარცხვინოს, ვინც დაგცინის ღლემ-  
დის შენ მოდიოდი ჩემთან ბარათებისათვის, დღეს მე უნდა  
შენთან მოვიდე, ეს ტყუილია?

ნინია. მართალია, მართალი.

რეზო. არა, ნინია, კარგია ეს ამბები! ეს შერისხვა, ეს  
ლანძღვა-გინება რაღა არის? მე შენ ხელში ვარ გაზდილი.  
შენ დაბერდი, მეც აღარა მიკლია რა, მითხარი, როგორ  
ვცხოვრობდით მე და შენ დღემდის. ერთმანეთსთვის გვიწყე-  
ვინებია როდისმე რამე?

ნინია. (თავს გააქევს) არაფერი.

რეზო. მე მამასაებრ გიყურებდი, შენ მე კიდევ შვილი-  
სავით. ურთი-ერთობა კარგი გვექონდა. ერთიერთმანეთთან  
მისვლა-მოსვლა, ერთად პურის ჭამა. გაგიჭირდებოდა. გეხმა-  
რებრდი, გაშიჭირდებოდა, მეხმარებოდი. ერთის სიტყვით ჩვენ-  
ში სიყვარულისა და პატივისცემის მეტი არა ყოფილა რა...  
მართალია მე... მემამულე ვიყავი...

ნინია. ღიახ, მემამულე იყავი.  
 რეზო. შენ გლეხი...  
 ნინია. მე გლეხი...  
 რეზო. შენზე მე მეტი მქონდა...  
 ნინია. მეტი გქონდათ... ჩვენ არაფერი... მშიერი ვიყავით...

**ყარამანი.** მერე რა. რომ ჩვენ მეტი გვქონდა და თქვენ მშივრები იყავით. ჩვენი ბრალი იყო ესა? ერთი ეს მითხარი შენ რომ სხვაზე მეტი გქონდეს, სხვას მისცემ? მამაშენს რომ შენთვის ასი დღის მიწა დაეტოვებინა, სხვას მისცემდი? მისცემდი?

ნინია. არ ვიცი. არ ვიცი... აბა რა ვიცი... მე ჩემი წუთი სოფელი მოვჭამე. ახლა სხვები არიან... შე რა ვარ... რა ჩემი საჭმა.. მშვიდობით ბძანდებოდეთ! (მადის).

### გამოსვლა მერვე

#### თავ. ყარამანი და თავ. რეზო

რეზო. (გადევნებს თვალს ნიჩია) ჩაუკვირდი მაგის სი-  
 ტუვებს? ეგეც ნაკბენია.

**ყარამანი.** ჩაუკვირდი. ეს ისეთი სენი ყოფილა, რომ  
 არავის არ ინდობს, არც ბებერსა და არც ბავშვს.

რეზო. მართალი იყავი, შენ რომ ამბობდი. არ მიგვი-  
 ღებენო. ხედავ როგორ იბლვირებიან? ესენი ბოკოტს არ  
 გვიკმარებენ. თუ მეტად დაგვძლიეს, არ დაგვზოგავენ რო-  
 გორც ძალას!

**ყარამანი.** რომელსაც კბილები აღარა აქვს, აი დედასა!

რეზო. შეგიმჩნევია? როდესაც გლეხს შენთან რამე სა-  
 თხოვნელი აქვს, რა მოკატუნებულია, რა საცოდავ სახეს  
 მიიღებს! ახლა? რა ამაყად. რა მრისხანედ გამოიყურებიან!

**ყარამანი.** (კბილების კრატუნით). გმ. ერთი კარგი შსხვილი  
 შათრახი მალე მოუხრიდა მავათ კისრებს!..

**რეზო.** (შიშით მიახედ-მოიხედავს) სსუუ, კაცო, რას სჩადი? არავინ მოჰკრას ყური.

**ყარამანი.** ჰოო, შენც სუუ, მეც სუუ, იმანაც, იმანაც ლა ხედავ? მიტინგებსა მართავენ, ჩვენ ბედია სწყვეტენ! შენ იცი, ეს რით გათავდება? ათი-ათასს კაცს თუ ტყვით არა სიმშილით დაგვხოცავენ!

**რეზო.** რას იზამ? უპატრონოდ დავრჩით, ღმერთმა ზურგი გვიბრუნა, მთავრობამ დაგვივიწყა.

**ყარამანი.** ეე, სიბერემდინ სიქაჩლე გეწეროსო, კარგად უთქვამთ ჩვენს ძველებსა!

**რეზო.** იცი. რა ყარამან? სჯობს, სახლში წავიდეთ! (ჩურჩულით) გლეხი და მგელი ერთია, მგელი მშიშარაა, ხროვა საშიში წავიდეთ, სჯობია.

**ყარამანი.** სწორედ მაგიტომ არ წავალ. მე მინდა, ვნახო ეგ ხროვა და აქედან გავიგო, რა მოელის ჩემს ცოლშვილს. წელან აივანზე დავდიოდი, ტყიდან რამდენიმე ბიჭმა გვერდზე ჩამომიარა. დამინახეს. მაგრამ სალამი არ მომცეს. შემდეგ ერთმა ჩემ გასაგონად ხმა მალლა დაიძახა: იარე, იარე, მალე დათვიცით გამოგწვავთ მაგ შენ ბუნაგშიო. გესმის? მაგათი გაბეჭულობა შორს წასულა! გლეხს გაბედვა უჭირს და თუ ერთი გაბედა...

**რეზო.** მაშინ ჩამეეცალე, გვონია, ღმერთი მოიკონოს თუ!

**ყარამანი.** ამიტომაც გვმართებს. ჩვენ ფიქრი! როდესაც კაცი ხანჯლით დაგადგება თავზე, ან უნდა ხელი გაანძრიო, ან დაიყვირო. და ეს ახლავე, გესმის, ახლავე, თორემ მერე გვიან იქნება!

**რეზო.** მაშ თუ ანგრეა, რალას ვაგვიანებთ! ავილოთ და მოვილაპარაკოთ. აი ლევანსაც ვუთხრათ.

**ყარამანი.** ლევანს თავი დაანებეთ! ლევანი ნასწავლი ბძანდება! მაღალი აზრები უტრიალებს თავში! იცი, ის რას ამბობს? ეს ასე უნდა მომხდარიყო, გლეხს შიან და გამწარე-

ბული ვის ეცემა და ქვეშ ვის მიღებს, თვითონც არ იცისო. წალი და ელაპარაკე იმისთან კაცს, რომელიც გეუბნევა, რომ მოგკლან კიდევაც, უნდა მოითმინოვო.

**რეზო.** მაშ, ეგეც ჩვენი მტერი ყოფილა?

**ყარამანი.** მტერზე უარესი. ჩხებში რომელიც ხელს და-გიჭრს, ის მტერზე უარესია. ჩუ! მოდიან, ვგონებ, აი აქედ გადაუხვიოთ (მთდიან მარჯნივ).

**რეზო.** ეე, დათვი საძალლეთ გახდაო, იმისი საქმე წახ-დაო! (გადიან, სცენის სიღრმიდან მოისმის ხმა: მოდით, ხალხნო, მოდით! მარცხნივ მხრიდან უბასუსებენ: მოვდივართ, მოვდივართ! გზაზე გამოივლის საში სოფელული.)

## გამოსვლა მეცხრე

### სამი სოფლელი

**პირველი.** ხალხი უკან კიდევ ბევრია. ერთი კაცი არ უნდა დარჩეს სახლშიო! რა საჭიროა, რო არ ვიცი? დღეს სურამში მივდიოდი და დავრჩი. ხვალაც უნდა გავცდე.

**მეორე.** მეც გავცდი. შენზე მეტი საქმე მქონდა, მაგრამ ესეც საქმედ.

**პირველი.** საქმე რა არის, კაცო, შენ ხომ იქნები, ის იქნება, ისა. მოხვალთ მერე და მეტყვით. რაც გადაწყდება, ხომ უკან არ დავიხევ! უთულდ ყველანი უნდა ვიყვეთ?

**მეორე.** უნდა ვიყვეთ, არ იცი! შენც აქ უნდა მოკვდე, აქა. აი ამ აღგილას უნდა მოვკვდეთ შენცა და მეცა. საქმე ვის არა გვაქვს? მაგრამ ეს საერთო საქმეა. აქ გუთნის ჭაპანი ერთად უნდა გაესწიოთ, წამო აქ, წამო! (სეჭს მოჭკიდებს და მთდიან) შენ რომ შენი საქმე გქონდა, მე ჩემი, იმას თავისი, იმიტომაც გაჯდა ყარამანი კისერში (გადიან, შემოდიან თინა და შელანო).

## გამოსვლა მეათვ

თინა და მელანო.

**თინა.** შენ რაღას აკეთებ აქა, მელანო?

მელანო. ჩემი შვილი აქ არის... მე უნდა ვიჯდე სახლში და ვტიროდე. მაგრამ ცოცხალმა მკვდარი დამავიწყებინა! სახლში რომ ვარ, ასე მგონია: აი გაიღება კარები და სისხლში შესვრილ შვილს შემამიტანებენ მეთქი...

**თინა.** (მოსვევს სეჭას) საბრალო დედა, საბრალო დედა! საბრალონი ვართ ქალები, როდესაც ჩვენი ძმები, შამები, ქმრები ხმლით ხელში მტერს ეომებიან, ისინი ხარობენ, ჩვენ ვიტანჯებით, ისინი კვდებიან ღიმილით პირზე, ჩვენ კი მივტირით წარსულს და შიშით მოველით მომავალს.

მელანო. გირჩევნიან წახვიდე, შვილო! შენ ყმაწვილი ხარ, თავადის ქალი! არ არის ეს შენი საქმე.

**თინა.** არა, მელანო, არ წავალ, ტყუილადა მთხოვ (მიინედ-მოასედავს). გაუგებარ შიშა ვერძნობ. გული მელევა. მგონია აგერ რაღაცა მამეპარება ხელსა მტაცებს და გამაქრობს მეთქი.

მელანო. სახეზე ფერი არა გაქვს! წაღი, გენაცვალე წაღი.

**თინა.** (თვალს არ აშორებს ბუნებას) ეს ლამე, ეს ტყე, დიდებულთ სიჩუმე ბუნებისა და ამ სიჩუმეში ადამიანის გულის საიდუმლო: (მეჭანოს) იცი, მელანო, აქ ორ ძალას მოუყრია თავი: ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებას. ორივე ძლიერია, დიდებული გონება მიუწდომელია. არც ამას და არც იმას ჩვენ ვერ ვიცნობთ. ვცოცხლობთ, ვცხოვრობთ და ვერ ვიცნობთ. ბევრი დაიბადება, ცხოვრების გზას გაივლის და მოპკვდება იმ აზრით, რომ ქვეყანაზე დაიცვა სიმართლე, მოიხდა და თავისი მოვალეობა და ახლა სხვას დაუთმო ადგილი. მოკვდა, ასცდა დღევანდელ დღეს. მოკვდა ისე, რომ არც თვითონ,

არც სხვას არ დაუნახავს ნამდვილი სახე, ჭუკუ-მოდებული დახავსებული გული. ვაი იმათ, მელანო! მაგრამ ვაი უფრო იმას, ვისაც დასვამენ ბრალდებულის სკამზე...

**მელანო.** ვაი ჩვენა. თორემ თქვენ რა გიშავთ! ჩვენ პირუტყვები ვარა:

**თინა.** მართალია, მაგრამ მარტო შენ არა. მელანო. მეც პირუტყვი ვარ, შენ სუსტი, მე შენზე ძლიერი, მაგრამ ორივ პირუტყვი. თქვენ დღეს გაახილეთ თვალები, მეც თქვენთან ერთად დავინახე ჩვენი ცხოვრება. ომიანიძე მოვიდა?

**მელანო.** არა, არ მოსულა.

**თინა.** სად იქადაგებს? აი ამ ხევში? მე ბუჩქებში მივიმალები და იქიდან გიგდებთ ყურს. მე მინდა, დავინახო თქვენი სახე იმ დროს როდესაც თქვენ ყურს უგდებთ მის ტკბილს ლაპარაკს. თქვენ ამ გვარად ხომ პირველად გელაპარაკებიან?

**მელანო.** მერე რაა შეილო?

**თინა.** პირველად გელაპარაკებიან ადამიანურად, არ გამცირებენ, მალლა აჟყავხართ! არ გეუბნებიან: მოგვეცი, გეუბნებიან: შენია, აიღე, მოჰკიდე ხელიო! მელანო, მითხარი შენ გეშინიან ომიანიძისა?

**მელანო.** წინად მეშინოდა.

**თინა.** ახლა?

**მელანო.** ახლა აღარა.

**თინა.** მეც ანგრე, მელანო, წინად ძალიან მეშინოდა, მეჯავრებოდა კიდეც. ოხ, მელანო, რამდენი ცდა, რამდენი ცრემლი დამჭირდა, სანამ მე ის ადამიანურად მომექცეოდა! ახლა მე თითქოს ძილში ვარ, ტკბილს სიზმრებში და მეშინიან გამოლენიდებისა. არა! არ მინდა. საზარელია გამოლენიდება. მძულს ყველაფერი; ჩემი ცხოვრება, ადამიანი, მისი სახე, მისი არსება. არ მინდა ვიგრძნო, რასაც ვგრძნობდი, რაცა მტანჯავდა და არ ვიცოდი. რაც ლრღნიდა ჩემს გულს, მე კი იმას ვუალერსებდი და ვსცდილობდი მას სულით და ხორცით შევთვისებოდი. (მთისმის სჩა): მოდის, მოდის, ხალხნო, აქეთ

მოდით, აქეთ! მასულა, მე წავალ, მივიმალები. შენც წადი, არ დაიგვიანო, მელანო, ჩქარა, ჩქარა!

**მელანო.** შე შენთან დავრჩები.

**თინა.** არა, არა... იქ წადი... იქ იჭექებს ხმა მოციქულისა, იქ დაიცვენ ალთქმის ქვეყნის ნეტარ ცხოვრებას, იქ წადი, იქ, ჩემთან რა გინდა? (მეჭანთ მიდას მარჯვნივ, თინა მარცხინივ, სცენაზე შემთდას და ამიანიძე ლაპარაკით)

### გამოსვლა მითმრთმეოვანი

#### ლევანი და ომიანიძე.

**ომიანიძე.** არა, არ ვეტყვი მე მაგას.

**ლევანი.** რატომ? რატომ ვერ ეტყვით?

**ომიანიძე.** ვერ ვეტყვი: ხალხნო ის თავად-აზნაურობა, რომელიც თქვენ გაჯდათ კისერში, რომელიც იკვებებოდა თქვენი სისხლით, რომელიც გამუშავებდათ, როგორც თქვენ ამუშავებთ ხარსა და კამბეჩს, და თქვენ გიტოვებდათ თქვენი ნამუშევრის ნაბოლარას, როგორც თქვენ თქვენს ხარსა და კამბეჩს ბზესა და ჩალას, ის თავად-აზნაურობა დღეს გიწვდის შენ ხელს და გთხოს ძმობასა, ერობას! ეს ტყუილი იქმნება, მე-კი ხალხს ტყუილს ვერ ვეტყვი!

**ლევანი.** ეს თუ მას დალუპავს, როგორც ხალხს, როგორც წევრთ ერთი ოჯახისას?

**ომიანიძე** შეგნება, თვითცნობიერება ხალხს არ დალუპავს!

**ლევანი.** თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ბევრს მოიგებენ?

**ომიანიძე.** ვისაც არა აქვს რა, იმას წაგებისა არ ეშინან.

**ლევანი.** სტყუით! იმას ბევრი რამ აქვს, რასაც თქვენ ვერ ჰქონით, ან განზრას არ გინდათ, რომ დაინახოთ.

**ომიანიძე.** თქვენ ილანძლებით. სჯობს, გავშორდეთ ერთმანეთს. (წასულას აშირებს).

**ლევანი.** მოითმინეთ... მაპატიეთ! დამიგდეთ ყური. ეს ხომ იცით თქვენ ძალიან კარგად, რომ ეგენი ნადავლის მოსაპრეზიდენტი შორს არ წავლენ, რაც გვერდზე უძევთ, იმას სტაცებენ ხელს და ზურგს გიბრუნებენ შემდეგ? იცით, შემდეგ? იცით, შემდეგ რა იქმნება? ისევ ის სისხლი... ცეცხლი... ძმათა შორის სამუდამოდ ჩამოგდებული მტრობა, შუღლი და სიძულვილი! გამიგონეთ. ლამაზ ვარსკვლავთან თამაში, მისი ალერსი, მისი ტრფობა მეტაც კარგია, მაგრამ... ღმერთო, ღმერთო! ეს სტიქიონი, ეს ქარიშხალი რომ ჩვენს მინდვრებს არ გაცილდება, აქვე იქროლებს. მილენ-მოლენავს აქაურობას და განთიადის მზე გაანათეს. მხოლოდ ნანგრევებს ჩვენის სიმღიღრისას...

**ომიანიძე.** კმარა!.. ლამაზ ვარსკვლავს მე-კი არა, თქვენ ეთამაშებით. დედამიწაზე არის ხალხი. არის მშეერი, არის მაძლარი...

**ლევანი.** სხვა არაფერი?

**ომიანიძე.** სხვა არაფერი! მშვიდობით, ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენთან ლაქლაქში მე დრო დავკარგე! (გადის; მარჯვნივ).

**ლევანი.** (თვალს გააღევნებს) ვის, ვის ხელშია ჩვენი ბედი, ჩვენი სიცოცხლე! ვინ მიუძლვის ურიცხვს ჯარს ლამის წყვდია-ლში? სად მიიყვანს, სად გადაჩეხავს, რომელ ხევში ამოჰედის მას სულს! (შემთდიან ყარამანი და რეზო).

## გამოსვლა მეთორმეტე

### იგივე, ყარამანი და რეზო

**რეზო.** ძაან ჩაფიქრებულია.

**ყარამანი.** ძაან გაჯორა ომიანიძემ...

**რეზო.** მწყენია. ახლა მაინც ჭიუას მოიკრებს.

**ყარამანი.** ვნახოთ, რას იტყვის (მიუასლოვდებიან) კნიაზო ლევან, ცხარე ლაპარაკი გქონდათ შენ და ომიანიძეს. რაზე მუსაიფობდით?

**რეზო.** თუ მუსაიფს დავუძახებთ ყვირილსა და ხელებით ჩხუბსა.

**ლევანი.** (კარგა ხსნს უუურეპს ორივეს) არაფერზე!.. ლაპარაკი გვქონდა თქვენზე და ჩემზე. მე ვუმტკიცებდი, რომ დაუძლორებულსა, სულთ-მობრძავ ლეშთან ბრძოლა სასაცილოს... ეს იყო, სხვა არაფერი.

**რეზო.** მარტო მაგაზე გქონდათ ლაპარაკი?

**ლევანი.** მარტო მაგაზე.

**ყარამანი.** ჩვენ ყური მოვკარით ზოგიერთ სიტყვებს... სიტყვებიც რო არ იყოს... მერეა და...

**ლევანი.** მერე რა? რა?

**ყარამანი.** არაფერი! ჩვენ არაფერი...

**ლევანი.** ხომ არ გვინიათ, რომ...

**ყარამანი.** რა უნდა გვეგონოს?

**ლევანი.** რომ აზრი შევიცვალე, რომ იმას აღარ ვფიქრობ, რასაც ვფიქრობდი...

**ყარამანი.** არა... დახ, გვეგონა, რომ...

**ლევანი.** მოტყუებულხართ! აზრი მე არ შემიცვლია. ან რა მოხდა ისეთი, რომ აზრი შემეცვალა? ეს, რასაც უყურებთ, იცვალა მხოლოდ გარემოება, ჩვენ კი ყველა უცვლელად დავრჩით (გარევევით) ესენი იყვნენ და არიან პირუტყვები, ჩვენ კი ვიყავით და ვართ....

**ყარამანი.** რა?

**ლევანი.** კორა-ბუზები (გატრიაჭდება და გადის მარჯვნივ)

### გამოსვლა მეცამოთი

#### ყარამანი და რეზო

**ყარამანი.** გესმის? ხომ გითხარი მე. ამ ვაჟ-ბატონს უნდა, რომ ფრთებიც ესხას და მიწაზეც ხოხავდეს. (მოისმის ხმა: გაუმარჯოს ომიანიძეს! გაუმარჯოს! გაჩუმდით, გაჩუმდით! (ცეკვის სიღრმეში გამოჩნდება თინა).

## გამოსვლა მთოთხმეთი

### იგინივე და თინა

**თინა.** სული შფოთავს, ზღვასავით ღელავს, აღარ ეტე-  
ვა უძლურს სხეულში. (ჩეგისკენ იუკება) რა დიდებული სა-  
ნახავია! ზღვა აღამიანის სახეებისა, უწვერ-ულვაშო, ყმაწვი-  
ლი, ჭალარა, ლამაზი, ულამაზო სახეები შესჩერებია ერთ წერ-  
ტილს და უნდათ იქ ამოიკითხონ მომავალი ბედის-წერა, და-  
ინახონ თავის ვარსკვლავი... (მოისმის ხმა): სისხლი, სისხლი...  
მზადა ვართ! მზადა ვართ!

**ყარამანი.** სად არის ახლა ორი ჩაფარი! ორი ჩაფარი,  
რეზო, ორი!

**რეზო.** დამშვიდდი! ეგეც იქნება. ასე არ გაგვწირავს  
ღმერთი! (ისმის ხმა): ძირს მტარვალები! ძირს! ძირს! (შემოვა  
დევანა).

## გამოსვლა მთუთხმეთი

### იგინივე და ლევანი

**ლევანი.** უგულო, უტვინო ბრბო! მას უთხარ მხოლოდ  
ჰქარ, მოჰკალ, დასწვი, გაცარცვე! მაშინ შენ ლმერთი ხარ  
მისი; უთხარ: შექმენ რამე, ის უკუ გაგდებს, შეგაჩვენებს,  
ქვებით ჩაგქოლავს. იყავით წყეულნი!

**თინა.** (ჩეგს თვალს არ აშორებს) დგანან ტანჯულნი. სჭიეს  
ხმა მოციქულისა. ყოველი მისი სიტყვა ნუგუზალივით ეცემა  
მათ ტანჯულ გულს და ცეცხლს აჩენს შიგ. უძლური, მომ-  
ჩვარებული სხეული ძალას იკრებს, ერთი წამი კიდევ და ლო-  
მად იქცევა...

(სცენის სიღრმეში ფარდა აიხდება და გამოჩდება ხევი, მაღ-  
ალებზე სდგას ამიანიძე. თავი მაღლა აუდია და მარჯვენა ხელი  
სალხისკენ გაუშვერია, სალხი შესჩერებია ამიანიძეს აღგუნებულის  
თვალებით. თინა აღტაცებით შესცემერის ამ სურათს, დეკანი ჭი-  
ზდით, ქარამანის სიჩაღზე მოქადია ხელი).

(ფარდა ნელ-ნელა დაუშვება)

## მოქმედება მესამე

(სუშუალო შეძლების მემკვიდრეობის თვალი). შეაზე, მარცხნივ და შარჯვნივ კარებები. ერთ კუთხიში სდგას სეწერი მაგიდა. შეთქეში ტასტი მუთაქებით და ჰატარა რგვალი მაგიდა. ბედელზე ჩამოკიდებულია სხვა და სხვა იარაღი.

### გამოსვლა პირველი

#### კნ. მაიკო და თინა

**მაიკო.** (შემოვა, მარჯვნივ მიდის) თინა. თინა! (თინას ხმა აქა ვარ, დედა, აქა, რა ჰქენი, ქალო. ვერ მორჩი? (თინას ხმა: ახლავე, დედა, ახლავე.) უფ, მოვკვდი. ამაზე მეტი აღარ შემიძლიან (დაშვება სკოშე) უნდა გადავიკარგო სადმე. (ტრას) რა ცოდო მიგვიძლოდა ღმერთო, შენ წინაშე, რომ ასე გვსაჯავ! (შემოდის თინა).

**თინა.** მორჩი. ყველაფერი დავალაგე და დავასუფთავე. სუფრაც-კი გავშალე, რომ შენთვის მესიამოვნებინა. ახლა თუ გინდა, მოვიდნენ სტუმრები, თუმცა არ ვიცი, ამისთანა დროში ვის უნდა ახსოვდეს ან აღდგომა, ან მოლოცვა. (შე-სედაჭე დედას) დედა, რა დაგემართა? რა გატირებს?

**მაიკო.** ჯანაბა და დოზინა. მატირებს, შვილო, ჯანაბა და დოზინა. აი, ღმერთსა ესთხოვ, უკეთესი აღდგომა არ გაუთენდეს თავის სიცოცხლეში, ვინც ჩვენ ამ განსაცდელში ჩავგაგდო. მოვკვდი, წელი მე აღარ შემჩრია და ხელები. წალი; ბოსლილან საქონელი გამოუშვი, წყალი მაინც დაალევინე. სამი დღეა უჭიმელ-უსმელები არიან.

**თინა.** ამ საათში გამოვუშვებ, მაგაზე რას იბოროტებ გულსა. ლევანი სად არის?

**მაიკო.** ბალში. რაღაცასა სჭრის. შეშა აღარა გვაქვს, რომ საჭმელი მოვხარშოთ.

**თინა.** მაშ მივდივარ. მერე საქონელი ისევ ბოსელში ჩავრეკო?

**მაიკო.** რა ვიცი! არ ვიცი.. მშივრები არიან.

**თინა.** მაშ ხილის ბაღში ჩავრეკავ.

**მაიკო.** უი, არა, არა! იქაურობას გააფუჭებენ: მაგრამ... არ ვიცი, არა. რაც გინდათ, ის ჰქენით, მე ალარ შემიძლიან ალარც ფიქრი, ალარც საფერი საქმე. ეს სახლ-კარი და ეს თქვენა.

**თინა.** პოო, ანგრე სთქვი, ახლა მე ვიცი. (გადის).

### გამოსვლა მიორე

#### მაიკო მარტოდ.

**მაიკო.** მერე, როდემდის? როდემდის? საქმეს რომ ბოლო არ უჩანს? რაც დრო მიდის, უფრო და უფრო გადიან თავსა. ახალ-ახალ ამბავს არ გვაკლებენ ყოველ დღე. გუშინ აღგილ-მამული წაგვართვეს, დღეს მოსამსახურები ჩამოგვართვეს, ხვალ მოვლიან და ერთიანად ამოგვბუგავენ. ვინ არის პატ-რონი ან მაშველი! ღმერთო, ღმერთო, ეს რა დრო დაგვიდგა! მშიერი, გაშმაგებული მგლები გარს გვახვევია და კი-ლებს აკაწკაწებენ. როდის გვეცემიან შესაჭმელად, არავინ იცის. ღმერთო, შენ დაგვიფარე ყოველი განსაცდელისაგან! (ჟემთდის დევანი).

### გამოსვლა მესამე

#### იგივე და ლევანი.

**ლევანი.** (ხელები დამკლავებული აქვს. ცხვირსახოცით ხე-დების და სახეს იწმენდავს. სახე მოდუშული აქვს. შაკიდას შიუჭ-დება და ქაღალდებს სინჯავს. აიდებს ერთ ქაღალდს) ეს ქაღალდი ვინ მოიტანა?

**მაიკო.** სტრაუნიკმა მოიტანა და სთქვა: გარდაცით პოს-რელნიკს, რომ ძალიან საჭირო საქმეაო.

**ლევანი.** (ქადაღდის გადააცდების და მწარედ გაიღიმების) პმ, სოფლებში ყველა მოხელე გადაყენეს, კანცელარიები გადასწვეს, მე-კი ყოველდღე მოწერილობს მომდის: მამასახლისებისა და მწერლების ფული აკრიბეთ და საჩქაროდ წარმოადგინეთო, ნეტავი, ვის იგდებენ მასხაჩად! (წამოდგება და გაივლის). ხვალ რამდენიმე კაცი გვეყოლება ვენახში, სადილი უნდა მოამზადოთ.

**მაიკო.** (გაკვირვებით) როგორ, მუშა გვეცლება?

**ლევანი.** დამშვიდდი. გლეხები არ იქმნებიან. სოფელი ბოიკოტს მხარს მარჯვეთ უჭირს. ხვალ მოვა რამდენიმე ჩვენი ყმაწვილი და ვენახში იმუშავებს. სხვა და სხვა სოფლებიდან რამდენიმე ყმაწვილმა მოიყარა თავი და გადასწყვიტა რიგ-რიგად იმუშავონ სხვა და სხვა მემამულესთან. ხვალ ჩვენთან მოვლენ და რამდენიმე დღეს დარჩებიან.

**მაიკო.** კარგია ეგა, შვილო, მაგრამ რა გამოვა? ჯერ ერთი ცოტანი არიან, მერეა და, მე მგონი, ჟამის ფასსაც არ გააკეთებენ.

**ლევანი.** ვიცი, ვიცი, რო არა გამოვა რა, მაგრამ რა ვქნათ? მითხარი, რა ვქნათ? ერთი, ერთი კაცი არავინ არის, რომ გული გაუხსნა, მოელაპარაკო, რჩევა მისცე, ან მისგან მიიღო. ამ საბრძოლველად გამზადებულს ორს ბანაკში ისეთი მტრობა, დედა, ისეთი სიძულვილია ჩამოვარდნილი, რომ ყველას, ყველას სიკვდილი მოგველის არც ერთს, არც მეორეს დათმობა არ სურს.—საქმეს-კი არც თავი უჩანს და არც ბოლო. დავრბივართ თავგზა დაბნეული კარჩაკეტილ ოთახში და ერთმანეთს ვეხლებით, ერთმანეთს ვქელავთ. წავიდა ჩვენი საქმე, დედა. იმას ვეღარა გამოაკეთებს რა.

**მაიკო.** შვილო, წავიდეთ აქედან. ჩავიდეთ ტფილისში, პატარა ხანს თავი მოვარიდოთ. შემდეგ, რომ დაწყნარდება აქბურობა, მაშინ ამოვიდეთ. მიცანებოთ თავი აქაურობას, როგორც არის და წავიდეთ. დღემდის არ მინდოდა მეთქვა შენთვის, ახლა-კი გეტუვი: ჩვენი სიცოცხლე ბეწვზეა დამო-

კიდებული. (საიდუმლო კილოთი) ამას წინად სოფელს თავი მოუყრია. ბევრი ილაქლაქეს თურმე, შემდეგ სთქვეს: წავიღეთ ლევან ფიანიძეს ღობეები დაუნგრიოთო. იგრიალა თურმე ხალხმა და წამოვიდა, მაგრამ ღმერთმა უშველოს გიო მარგველაშვილს, ის გადაუდგა თურმე წინა და არ გამოუშვა. როგორ თუ შენ არ გაგვიშვიო, მოსულიათ თურმე ჩხუბი და საწყალი გიო უცემიათ ისე, რომ დღესაც ლოგინში წევს.

**ლევანი.** ვიცი მე ეგ ამბავი, დაწვრილებით ვიცი.

**მაიკო.** მაშ თუ იცი, რალას ვუყურებთ, შვილო. ღონეს მარგველაშვილი გადაუდგა წინ და არ გამოუშვა, ხვალ არავინ გადაუდგება და ვინ იცის რა მოგველის!

**ლევანი.** არა! მაინც არ გავალ აქედან! აი ეს ჩემი სახლკარი, დაე-დასწვან, დაე მომკლან, მე აქედან ფეხსაც არ გადავდგამ, თუ მოსაკლავი ვარ, მომკლან. ამას კი არ ვიზამ, რომ სთქვან: წარსულის ანგარიშის მიცემისა შეეშინდა და გაიქცაო. (შემოდის თინა).

## გამოსელა მეოთხე

### იგინივე და თინა

**თინა.** ხარები გამოუშვი და ბალში ჩავრეკე. ისეთი მშივ-რები არიან, ისეთი, რომ ფერდები ერთმანეთს მიკვრია. ბაგა მთლად გადაუხრავს, ლევან, შენთან გიგო არის, საქმე მაქვსო.

**ლევანი.** რომელი გიგო?

**თინა.** ჩვენ რომ გვედგა... მოჯამავირეთ.

**მაიკო.** აი, ის უსვინიდისო ისა. მიგვანება თავი, მე ბოიკოტს გიცხადებთო და ახლა მობძანდა! რისთვის მობძანდა?

**თინა.** ალბად ჯამაგირისთვის თუ მოვიდა.

**ლევანი** მერე სადა მაქეს ახლა, რომ ჯამაგირი მივსცე?

**მაიკო.** მამა-უცხონდა, ლალები რომ მომიტანა, იმას გავ-ყიდი და მივსცემ.

**ლევანი.** სად არის?

**თინა.** ბოსელთან გიცდის. (ჭეჭანი გადის).

## გამოსვლა მეცნოვა

## მაიკო და თინა

**თინა.** უუფ, მეც დავიღალე. საქონელი თითქოს გრძნობსო ქალის სისუსტეს, ქალის ცემასა და ყვირილს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ძლივს ჩავრეკე ბაღში. შენ წარმო-იდგინვა, დედა, გიგო იქ იდგა, უყურებდა. როგორ ვწვალობ-დი და ხელი არ გაანძრია. იდგა და ისეთი უსიამოვნო ლიმი-ლით მიყურებდა...

**მაიკო.** აბა, როგორ ეკადრებოდა, ხელი გაენძრია. ის რომ ახლა ბატონი ბძანდება. ი, მეზი კი დავაყარე მაგათ თავზე... (აჯავრებს და ჩარჩავს) ბოიკოტი, ბოიკოტი. ნახეთ, როგორი ყოფილა მუშაობა! სულ ხომ ჩვენ არ ვიმუშავებთ, ახლა თქვენ იმუშავეთ! თითქოს ფულს არ ვაძლევდით და მუქ-თაღ მუშაობდნენ. მთელი ჩვენი საცხოვრებელი მაგათზე არ შიღიოდა? ასე გვინიათ, ჩვენ კი გვეხალისებოდეს ჯამაგირე-ბის მიცემა! დაიცადონ, არც მაგათ დაადგებათ ხეირი.

**თინა.** (უკმაყოფილოდ) შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს. მაგათ თუ არაფერი მოემატებათ, არაფერი დააკლდებათ.

**მაიკო.** ვითომ რატომაო?

**თინა.** იმიტომ რომ, მოიგებენ თუ წააგებენ, მარჯვენა ხელი მაინც შერჩებათ და იმუშავებენ.

**მაიკო.** სამუშაო რო არ ექმნებათ?

**თინა.** თუ ბუნება თავის აღგილას იქნება, სამუშაო მუ-დამ ექნებათ.

**მაიკო.** მაგასაც ვნახავ. («დგება») საქონელს კისერი თჭ-ვის ალაგას აქვს, ბუნებაც თავის აღგილზეა, მაგრამ... ეჲ, შვილო, ლაქლაქის თავი არა მაქვს, მე ჩემი გაჭირება მად-გია. უნდა წავიდე ახლა, ქათმებს მივხედო. (გადის).

**თინა.** (ფიქრებში გასული) ჩვენი დედაკაცები დარწმუნე-ბულნი არიან, რომ დედამიწა სდგას ერთ უზარმაზარ გვე-ლაშაპზე, როდესაც გველაშაპი შეინძრევა, დედამიწაც ინძრე-

ვაო. ეს გველაშაპი — მუშაა. როდესაც მუშა შეინძრევა, დედამიწაც ზანზარს იწყებს. ამიტომ არავისთვისაა სასურველი მისი გამოღვიძება. მშვიდობიანი, უზრუნველყოფილი, ცხოვრება ერყევა ყველას, ყველა ზარალობს. (ჩაიგირდება). რა მოწყენილობა! ვერც საქმე, ვერც ძილი ვერ ართობს ჩემს გულს. ფიქრი არ ემორჩილება გულს, გული — ფიქრს. აუტანელი მდგომარეობაა! (მიგა ფანჯარასთან და სოფელს გასცეკის) რა სიჩუმეა! სოფელი მიყრუებულია. მოღრუბლული ცა თითქოს დასტირის დედამიწის აზლვავებულს ცხოვრებას, აღამინი კარ-ჩაკეტილა და სდუმს. მხარულება მის გულს არ ეკარება (გამოტრიალდება. შემთდის მაღანო).

### გამოსვლა მემკვეთ

#### თინა და მელანო.

**თინა.** მელანო!! შენა ხარ?

**მელანო.** მე ვარ, გენაცვა. გულმა აღარ მოგვითვინა. ვსოდე, ვაღლ, დავხედავ, იქნება, რა გაჭირებაში არიან შეთქი.

**თინა.** მერე? სოფლისა არ გეშინიან?

**მელანო.** მეშინიან, როგორ არ მეშინიან, მაგრამ... ე, როგორა ხართ? ძალიან გიჭირთ?

**თინა.** გვიჭირს, მელანო. დაჩვეულ აჯამინისთვის უმოსამსახურობა მეტად ძნელია, მაგრამ რას გიზამთ? უნდა მოვითმინოთ.

**მელანო.** უნდა მოითმინოთ, უნდა, ეს ერთი სენივით არის, გადაივლის და წივა. ქალბატონი როგორ ბძანდება?

**თინა.** ჩვენ არა გვიშავს რა. შენ ეს მითხარი, თქვენ როგორა ხართ? ხომ ყოჩალათ ხართ?

**მელანო.** ეჭ, როგორა ვართ! (თავს ჩაჭკიდებს) ხანდახან მივჯდები ხოლმე კუთხეში და ცხარე ცრემლითა ვსტირი... ხალხი მეცოდება, თქვენც მეცოდებით. (შემთდის მაჟო).

## გამოცვლა შეზღუდვა

## იგინივე და მაკვო

**მაკვო.** (დაინახავს მედანს) მელანო!! (გაექანება და გულში ჩაიკობს) მელანო, ჩემო მელანო! (ცრემლებს იწმენდავს).

**მელანო.** როგორა ბძანდებათ, ქალბატონო?...

**მაკვო.** აძალლებული ვართ, აძალლებული! ჩემო მელანო, რომ დაგვხედე. სჩანს გული გეწვას ჩვენზე. (თინა გადის).

## გამოცვლა მიზვა

## მაკვო და მელანო

**მელანო.** გული როგორ არ მეწვის. თქვენ ოჯახს ჩემში არ ვარჩევდი. ლევანს ჩემი ძუძუ უწოვია, თინა ჩემი გაზღილია.

**მაკვო.** კიდეც იმიტომ მიკვირდა, ჩემო მელანო, რომ ჩვენს ოჯახში იყავი გაზღილი და...

**მელანო.** რა ვქნა. ქალბატონო! მოგეხსენებათ, სხვანაირი დრო დაგვიდგა. ჯერ დიდ შაბათს ვაპირებდი ამოსვლას. გამბობდი. ავალ, დავეხმარები, საალდგომოდ ვინ იცის რა არ დასჭირდებათ მეთქი. მაგრამ ვერ მოვახერხე. დღეს, როგორც იყო, იმოვიპარე. მეშინიან, ქალბატონო, დამინახვენ და ცულს დღეს დამაყრიან. სხვა? გიჭირთ, განა, ქალბატონო? ვიცი, ვიცი...

**მაკვო.** რა ვუყოთ, ჩემო მელანო.

**მელანო.** მე ბევრი ვუთხარი ჭალხსა: ლევან ფიანიძის ოჯახმა რა დაგიშავათ ისეთი, რომ ასე უდიერად ეჭიცევით მეთქი. უველა ერთ ჭილობში როგორ უნდა გაახვიოთ მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა...

**მაკვო.** არა უშავს რა. მელანო, ჩვენც დავისწავლოთ და... მე მხოლოდ ისა მწყინს, რომ შენი შვილი...

**მელანო.** ჩემი შვილი...

**მაიკო.** არა უშავს რა. მე მაინც შენი მაღლობელი ვარ, რომ მოხველი. ლევანი არ ნახე?

**მელანო.** ვნახე. ვიღასაც ელაპარაკებოდა და ისეთი გა-ჯავრებული იყო, რომ ხეირიანად ხმა არ გაუცია. (უციად) აბა, ქალბატონო, თუ რამე გაქვთ გასაკეთებელი, გავაკეთებ. საღამომდინ მიმსახურეთ. ხომ გაქვთ რამე საქმე?

**მაიკო.** საქმე როგორ არა გვაქვს, მელანო! გაოხრდა და გატიალდა აქაურობა. ერთი კვირაა ოთახებისთვის არ მოგვივლია.

**მელანო.** მოუვლი გენაცვა, დავგვი, დავასუფთავებ.

**მაიკო.** ქათმები დასასმელია. ვინა ჰყავს პატრონი!

**მელანო.** ქათმებსაც დავსვამ. კვერცხი ხომ გაქვთ.

**მაიკო.** არის, მგონი. მაგრამ ევ არაფერი. პურს ვერა-ფერი მოვუხერხეთ...

**მელანო.** გამოვაცხობ, პურსაც გამოვაცხობ. აბა მაშ წავალ, ჯერ ოთახებს მოუვლი (წასულას აპირებს).

**მაიკო.** მოიცა, მეც წამოვალ, მოგეხმარები (მადიან) ეს დღეს შენ გამიკეთებ ყველა ამასა, ხვალა, მელანა, ხვალაა? (გადიან). (სცენა პატარა სინს ცარიელია შორიდან მთისმის ურმების ჭრიალი და სმაურობა: მაააშ-ჭო, მაააშ! სმაურობა თან და თან ახლოვდება. შემთვარდება თინა).

### გამოსვლა მეცხრე

#### თინა მარტოლა.

**თინა.** (მივარდება ფანჯარას) ეს რა ამბავია? ვინ არიან? (მობრუნდება და ოთახისკენ) ლევან, ლევან! (შემთდის ლევანი) გაპხედე ერთი რა ამბავია! (ლევანი გაიხედავს) ვინ არიან ასე დედაბუღიანად რომ აყრილან?

**ლევანი.** (გამთლიალდება). რამ ლააგიეა ეს ხალხი! სად მიდიან, საღ!! (შემთდიან მაიკ და მელანი).

## გამოცვლა მეთვე

**ლევანი, თინა, მაიკო და მელანო.**

**მაიკო.** (მოვა ფანჯარასთან) ნამდვილი მეორედ მოსვლაა! უი, უი! მთელი გვარეულობა აყრილა დედიან-ბუდიანად და მიღიან. სად მიღიან ეგ უბედურები!

**მელანო.** ბაეშვები, ბაეშვები მეცოდება. რა საცოდავად მისდევენ ურმებს! (მოისმის ხმაურობა: მაამთ, მააშ! მოდი ასე! გააჩერე! გააჩერე! ოჭო, ოჭო, პატარა ხენის შეძლებ: გასწი, გასწი!)!

**თინა.** მაგათ თავზე რალაც უბედურობაა, რომ ასე თავი გზა დაუკარგავს.

**მელანო.** ამ თრი დღის წინად რაზმელებს იარაღი ჩა-მოურთმევიათ, ალბად იმიტომ თუ მიღიან!

**მაიკო.** არა, არა იმიტომ არ წავიდოდნენ, ალბად დაა-ფორიაქეს, დააწიოკეს... ლევან, რა ამბავია ესა?

**ლევანი.** დამანებეთ თავი, დამანებეთ! არა ვიცი რა, არა გამეგება რა!

**მაიკო.** რალა გვეშველება, რალა? ყველა, მიღის, ყველა (გადის მარცხნივ).

**მელანო.** ღმერთო, ღმერთო, შენ გვიშველე! (გადის მარცხნივ).

**თინა.** დადგა დღე განკითხვისა! ყველა, ყველა უნდა წარსდგეს ჩაგრულთა სასამართლოს წინაშე.

**ლევანი.** ანგრე რომ იყოს, სასურველია. მაგრამ ეს სა-სამართლოა? ეს ხომ აღამამედ-ხანის შემოსვაა! ეს რეშია, წარლვნის რეში, რომელმაც არ იცის არც ცოდვილი და არც მართალი, არც მდიდრის სასახლე, არც გლეხის ქოხი. ყვე-ლას წალეკავს, ყველას მოსპობს, რასაც მოასწრებს. (მოვა ფანჯარასთან) გახედე, ამ ხალხს, დიდ მემამულეებს, ქვეყნის მარილის, სახელმწიფოს ბურჯს, ბრწყინვალე წოდებას! შეხე-დე მათ ქონებას! მთელი თავის სიმდიდრე ერთ ურემზე მო-

უქცევიათ! უყურე ბავშვებს, მითხარი, რითი განსხვავდება ის გლეხის ბავშვებში! ვისთვისაა ეს საჭირო? ვის უნდა მათი მოკვლა, დამარხვა, როდესაც დღეს თუ ხვალ თავის სიკვდილით დაიღუპებიან და საფლავში ჩავლენ!

**თონა.** მაშ რა არის ეს...

**ლევანი.** რა არის ეს? ჩვენი უგუნურობა, ჩვენი ლაჩრობა. ჩვენ გამოვწყვდეული ვართ უზარ-მაზარ გალიაში და ტკივილისა, სიმშილისაგან გამწარებულნი ერთმანეთსა ვკადენთ, ერთი, შეორეს შეჭმას ვუქადით! აი რა არის ეს! (მოსმის ხმა მაიკროსი: დაიცა, დაიცა შენ უსკინიდისო, შე წუპაკო!) რა ამბავია? (შემოგარდება მაიკ აღელვებული)

### გამოსვლა მეთერთმეტი

#### ლევანა, თონა და მაიკო

**მაიკო.** ღმერთო, ამას რა დღეს მოვესწარით! (დაეცემა ტახტზე) ავილოთ, შევაბათ ჩვენც ურემი და გავყვეთ იმათ, ალარ გვედგომინება ჩვენ აქა არა, არა!

**ლევანი.** რა იყო, რა მოხდა?

**მაიკო.** გი... გომ... ხარები მოგვტაცა!

**ლევანი.** როგორ თუ მოგვტაცა?

**მაიკო.** ჩავიდა ბალში, გაირეკა დიდი ხარები და წაიყვანა.

**ლევანი.** სად წაიყვანა? რად წაიყვანა?

**მაიკო.** წაიყვანა... ჯამაგირი გმართებთო.

**ლევანი.** მერე, მე ხომ ველაპარაკე! ხომ ვუთხარი, რომ დღეს არ შემიძლია ჯამაგირის მიცემა, რომ ამ ცოტა ხანში მიესცემ!

**მაიკო.** ვიცი, უთხარი, მაგრამ... ღმერთო, რა სიტყვებით დამადგა, როგორ გამლანდა, გამათრია რასაც უკანასკნელ დედაკაცს არა ჰყადრებენ, ისა მკადრა:

**ლევანი.** დიდი ხანია წაიყვანა?

**მაიკო.** ჯერ წყაროს არ იქნება გაცილებული.

**ლევანი.** მე ახლავ მოვალ! (გაექმნება კარებისაკენ).

**თინა.** (წინ გადაედობება) მოიცა. სად მიხვალ?

**ლევანი.** გამიშვი! როგორ ბედავს? ეს ძარცვა გლეჯაა! გამიშვი!

**თინა.** ძალაზე რომ დაგიდგეს? არ დაგანებოს?

**ლევანი.** ძალაზე დამიღეს? (მიზა საჩქაროდ მაგიდასთან და ოქონელების ამოიღების) დამიღეს ძალაზე!

**თინა.** (არ უშებეს) მოიცა, დამშვიდლი!... აქ დედაჩემია დამნაშავე!

**მაიკო.** რაო?

**თინა.** წელან გიგო დაკმაყოფილდა შენი ლაპარაკით და წასვლას აპირებდა, მაგრამ შემდეგ გაუვარდა დედაჩემი და უშვერის პირით გალანძლა.

**მაიკო.** რაო?! ვერ უყურებ ამ უსვინილისოსა!!

**თინა.** დამშვიდლი. წაიყვანოს, რა მერე? ხვალ, ზეგ მის კუთვნილ ფულს გაუგზავნი და ხარებს დაგიბრუნებს. (რევოლუციების გამოართმების და ისეჭ მაგიდაში ჩასდებს).

**მაიკო.** ეს დაბრიყვება! თავზე ლაფის დასხმა!

**თინა.** თავმოყვარეობა გვერდზე გადასდეთ! ჩვენს თავ-მოყვარეობას მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც გლეხი იყო და ჩვენ მებატონე. დღეს არც ის და არც ჩვენ ის აღარა ვართ, რაც ვიყავით.

**მაიკო.** მაშ.. შენ! შენცა, ლევან! ღმერთო ამას რას ვხედავ!

**თინა.** დედა...

**მაიკო.** იქით! მე არ ვიცოდი, იმათ სცოდნით, სცოდნიათ, რა შვილებიცა ხართ, იმიტომ წამოგვაჯდნენ კისერზე, იმიტომ შეგვსხდნენ ზურგზე...

**თინა.** დედა!

**მაიკო.** ახია, ახია თქვენზე!... თქვენ ენა წაიგდელეთ, დასხედით და ილაქლაქეთ, ხვალ-კი რომ მოვლენ და ამ ჭერს თავზე დაგვაქცევენ, მაშინ იყცით თავში!...

**ლევანი. დედა!!**

მაიკო. დედა-ღვთისა მაშინ გამიწყრა, თქვენ რომ ანა ბანა გასწავლეთ, თქვენ რომ სკოლის კარები გიჩვენეთ, მა-მული მაშინ დავკარგეთ, ეს სახლი და დაგვრჩა, როდესაც აქედან გამოგვრეუავენ, მაშინ დასხედით და იწუხეთ „დაჩაგ-რულ“ გლეხზე, სანამ არ დაიღლებით, სანამ არ მოგშივათ! (გადის მარჯვნივ. ლევანი და თინა სახელად დარჩებიან. შემოდიან კნ. ნატალია, თავ. უარამანი და თავ. რეზო. რეზოს სეჭი შეხვეული აქვს).

### გამოცდლა გითორმეტე

**ლევანი, თინა, ნატალია, ყარამანი და რეზო.**

**ნატალია.** სალამო მშვიდობისა. (ლევანი და თინა თავს უკრავენ).

**თინა.** მობრძანდით!. (სკაშებს დაუდგაშს) დაბძანდით.

**ლევანი.** (თავისთვის). ესენი თავისას მაინც არ იშლიან! (უველავი) უკაცრავად, მე ამ საათში გეახლებით. (გადის მარტოზნივ)

**რეზო.** მგონი უდრო-უდროვოდ მოვედით. (დაჯდება).

**ყარამანი.** (დაჯდება) საკვირველი დრო დაგვიდგა. წინადერთი რომ სტიროდა, მეორე იცინოდა. დოეს უველა სტირის.

**ნატალია.** (თინას) კნეინა მაიკო სადა ბძანდება?

**თინა.** სახლში გახლავთ. ახლავე დაუძახებ. (გადის მარტოზნივ).

**ნატალია.** (დიდ-მნიშვნელოვანნად). ამათ თავზე რაღაცა ამ-ბავია!

**რეზო.** დიდი უსიამოენობა იქვთ თურმე ერთმანეთში. მეტადრე დედასა და ამასა. დღე არ გავა თურმე, რომ ლა-პარაკი არ მოუვიდეთ.

**ყარამანი.** ჰო, ეს ახალი აზრების ქალია და აბა დედა-თან როგორ მორიგდება.

**ჩეზო.** მარტო მაგათ თავზე არ არის ეს უბედურობა. რომელ ოჯახშიაც გინდა შეხვიდე, ყველგან თავპირის ნტვრევაა, ამისთანა (ჩელით უჩვეულებელ) ლაშირაკი მამას ეკამათება და ეუბნევა: თქვენ გახრწილი ლეში ხართ და უნდა დაგმარხოთო! ამ სიტყვებს სადა სწავლობენ, ეს მიკვირს მე, სხვა არაფერი.

**ნატალია.** ჩვენი უბედურობაც ეგ არის, რომ გლეხთან თუ ერთი სიტყვა დაგცდა. მთელი სოფელი მოგესევა, ჩვენ კი ზოგი ალთას მოვდივართ, ზოგი ბალთას, ზოგი კიდევ ჯანდაბას! ახია ჩვენზე რაც მოგვივა. კნიაზ ყარამან. თქვენ სახლში არ იყავით, მთელმა დიდებულიძეებმა ბარგი ბარხანით რომ აქვთ ჩამოიარეს...

**ყარამანი.** როგორ არა სახლში ვიყავი, მაგრამ სირცხვილით კარში ვეღარ გამოვედი.

**ნატალია.** ღმერთო, რა საცოდავობა იყო! იმისთანა ტირილი და თავში ცემა იყო, რომ ენით ვერ ასწერს ადამიანი.

**ჩეზო.** წინა დღით მისჭროდენ ვიღაც ყაჩალები. მთვრალები ყოფილან. შესულან სახლებში და ყველა დაუფორია-ქებიათ. ქალებს გული შესწუხებიათ. ზოგი დღესაც ავად არის. წაულიათ იარაღი, ფული და რაც კი რამესთვის მოუსწვრიათ. შემდეგ დამუქრებიან: ამ ცოტა ხანში ხეებზე უნდა ჩამოგკიდოთ ყველა და ჩამოგარჩოთო.

**ყარამანი.** ჩვენც გვმართებს მაგაზე ფიქრი. ეგ დღე მალე ჩვენც დაგვადგება. რაც დრო მიღის, უფრო და უფრო მეტს თავხედობას იჩენენ. ახლა თავიანთი სასამართლოებიც გაუჩენიათ, ერთი ცუდი სიტყვა რომ დაგცდეს, მაშინვე გაგასამართლებენ და ვაი შენი ბრალი.

**ნატალია.** ასე რომ ბურთი და მოედანი მაგათ დარჩათ, ჰა?

**ყარამანი.** რაში არ ეტყობათ!

**ჩეზო.** მე მეორეთ მოსვლა, მესხვანაირად მქონდა წარმოდგენილი, აი თურმე როგორი ყოფილი (შემთდის მაიკ)

## გამოსვლა მეცამეთი

### იგინივე და მაიკო

**მაიკო.** (მხიარულად) თუმცა მისალები არა ხართ, მაგრამ მოგიტევები (ჰერცის ნატაფიას) ასე გვიან რაღ მოგვილოცეთ?

**ნატალია.** თქვენ რატომ არ მოგვილოცეთ?

**მაიკო.** (ხელს ართმევს ჟეზოს) მე თქვენ გელოდით. (ხელს ართმევს ყარამანს) კნიაზ ყარამან, ალდგომის დღე და თქვენ ფხიზელი? ახლა კი მწამს ქვეყნის გადაბრუნება! დაბძანდით! დაბძანდით!

**ყარამანი.** გემო აღარასფერსა აქვს, კნეინა, აღარც სიძლერა დამხიარულებას და უამისოდ ღვინო ყელში არ ჩავა. დღეს ცვარი ღვინო არ დამილევია.

**მაიკო.** ეხ, რა ალდგომა გვაქვს? ვინმე მოსწრებიხართ ამ ამბავსა?

**ნატალია.** არც მოვსწრებივარ და მეორე ამისთანა ალდგომას ნურც მამასწროს ღმერთმა.

**მაიკო.** ასე ამბობენ, რა ალდგომა უნდა იყვეს, სოფელში ბუნტიაო. რა ვუყოთ მერე? დღესასწაული დღესასწაულად უნდა ყოფილიყო.

**რეზო.** ვიღას სწამს ახლა ან სარწმუნოება, ან ჩვენი წესი და ადათი? ღმერთი რა არისო? ღმერთის სახელით რომ ხალხს არ აშინებდნენ, არც ამდენი მშიერი იქნებოდაო.

**ყარამანი.** ალდგომაც ისეთი დღეა, როგორც სხვა დანარჩენი დღეებიო.

**რეზო.** მოდი ახლა და ელაპარაკე!

**ნატალია.** დასწყევლოს. ღმერთმა. ამ სარწმუნოებას რაღას უკარგავენ ხალხს. აბა რა უნდა იყვეს ჩვენი გლეხი, თუ ღმერთისა არ ეშინიან.

**ყარამანი.** ოოო, კნეინა. გლეხს თუ ღმერთისა, ან პოლიციისა არ ეშინიან, ტყის ნადირს გადაჭარბებს!

**რეზო.** გაირყვნა, გაირყვნა ქვეყანა. ახლანდელ ცხოვრებას რომ ვუყურებ, არა ღირს სიცოცხლე.

**ნატალია.** მართლა რომ არ ღირს სოციურებლე. (შაიკას) სხვა, კნეინა, როგორა ბძანდებით? როგორ ატარებთ ამ ტან-ჯულ ღროებას?

**მაიკო.** ნუღარ მკითხავთ, კნეინა. ხანდახან ვიტყვი-ნეტავი დამაძინა და მაშინ გამომაღვიძა, როდესაც ქვეყანა-დაწყნარდება მეთქი. ქალო, ყველაფერს შეურიგდება ადამიანი, ყველაფერს აიტანს, მაგრამ ეს უმოსამსახურობა მეტის-მეტია. ყველაფერს ჩვენი ხელით ვაკეთებთ.. მთელი დღე ერთი წუთი-მოსვენება არა გვაქვს და საქმეს მაინც ვერ ავდივაჩო. დავ-დნი, კნეინა, აღარ შემიძლიან.

**ნატალია.** აი დაღნეს და გაოხრდეს ჩვენი სოფელი, რო-გორც მართლა ჩვენ დაგვადნეს და გაგვაოხრეს... გუშინ ჩვენსა რომ მობძანებულიყვით, ნამდვილი ჯოჯოხეთი გეგონებო-დათ, მაგრამ (შეჩედავს რეზოს და კაიცინებს) ბევრი-კი ვიცი-ნეთ, კნეინა, პურს ვაცხობდით, ქალო, მე და ჩემი ქმარი. ჰა, ჰა, ჰა! პურის გამოცხობას რა უნდა, ქალო? მეგონა, ჩვენ დედაკაცებზე კარგ პურს გამოვაცხობდი, მაგრამ... უნდა გენახათ ჩვენი ტანჯვა! ცომი, ქალო, კარგად მოვზილეთ, ჯერ მე ვზილე, შემდეგ ამანა. თონეც კარგად გავახურეთ. ახლა გუნდის დაკვრაზე მიღვა საქმე. ამან მითხრა, მე დავაკრავო, მაგრამ არ ვქენი, მე უნდა დავაკრა მეთქი. პირველი რიგი-კარგად შემოუარე, მეორე რომ დავიწყე, აქ კი დავიღუპე! ერთ გუნდას რომ დავაკრავ, მეორე ვარდება, იმას რომ წავ-წვდები, მესამე ვარდება. ითაფა, ქალო, არ გაჩერდა, არა და არა! ვწივი და ვკივი, კნეინა. თავპირში ვიცემ და ვიძახი: რეზო, მიშველე, დავიღუპე მეთქი! ეს საცოდავიც დასტრია-ლებს თონესა და აღარ იცის, რა ჰქნას. ერთი არ გაჩერდა თონეზე, სულ კუტებად ჩაცვივდა. ბოლოს დაუცდა ფეხი ამ საწყალსა და ცალი ხელი შიგ ნაღვერდალში წაურია, ჰა, ჰა, ჰა! (რეზო მთაცცხვად უჩვენები ხელზე უველავი იცინან):

**მაიკო.** (ცრემლებს იწმენდავს) ეე, გვეცინება, მაგრამ გა-საცინარი არა გვაქვს რა.

**ყარამანი...** (კარები ბრახუნით გაიღება და გამოჩნდებან მიხა, ილიკო, ვანო, შეტრე და სოლთ. შეზარსოშებული არაან. სცენაზე მეთვანი წამოცვინდებან ზეზე და შიშით შეჭურებენ კარებს. ყარამანი და რეზო ხანჯალზე ჩელს მოიკიდებენ. ბიჭები ერთმანეთს ხელს ჰქონენ. შესვლას ვერავინ ბედავს).

**მიხა.** შედი, ბიჭო, შედი! რისა გეშინიან! მე შევალ (შე-შვა. მას მოჰკევებიან სივებიც. კაჩერდებან კარებში და თახას ათ-ვალიერებენ) მოვედით, მოგილოცოთ!

**მაიკო.** (კამოერკვევა) მობ... ძანდით, მო... ბძანდით, რატომაც არ უნდა მოგილოცოთ!

**ილიკო.** ყველასთან ვიყავით... ყველამ მიგვილო... გვინ-დოდა გაგვეგო. მიგვილებდნენ თუ არა!..

**მაიკო.** (სკამებს უდგამს კარებში) აი სკამები. დაბძანდით, რატომაც არ მიგილებთ! დიდის სიამოვნებით მიგილებთ. თქვენ არ გვეკარებით, თორემ ჩვენ... დაბძანდით, დაბძანდით! (ბი-ჭები დასხდებან და ათვალიერებენ თხხს) (ნატაფიას) რისა გე-შინიან, ქალო, აი ის ნინიას მიხაა, ისიც ილიკოა, პატას ბიჭი...

**ნატალია.** სხვები?

**მაიკო.** სხვებიც აქაურები არიან.

**ნატალია.** მე კი ჩემი დამემართა და...

**მაიკო.** ნუ გეშინიან, არაფერს გაბედავენ... (ბიჭებს მი-უბრუნდება.) სხვა, როგორ ატარებთ ალდგომას?

**სოლო.** ალდგომა ვილას ახსოეს! ზოგს ერთი მუჭა ფქვი-ლი არა აქვს, რომ ბლარებს ჭიდი გამოუცხოს.

**ყარამანი.** შენ ერთი, სოლო, ეს მითხარი, ალდგომა ღა-მეს ხალხი რატომ არ იყო ლიტონიაზე.

**სოლო.** რა ვიცი მე, რატომ არ იყო. ალბალ ალდგომი-სა არავის ცხელა.

**ყარამანი.** არა, ეგ არ არის მიზეზი, მიზეზი სხვაა.

**ნატალია.** მართლა, მაგ ამბავმა ჩვენც გაგვაპვირვა. ორი სამი მოხუცებული იყო თურმე, სხვა არავინ.

**ყარამანი.** არ იცით მიზეზი? მე გეტუვით. წინა დღეს ვიღაცას ხმა გაუვრცელებია, ვითომ ჩვენ თავად-აზნაურებს ყუმბარები მოვვეტანოს ტფილისიდან იმ განზრახვით, რომ ლიტანის დროს ეკლესიაში ხალხი აგვეფეთქებინა. მართალია თუ არა!

**მიხა.** მართალია, ამბობდენ!

**ნატალია.** უი, უი! გაუხმეს ენა, ვინც პირველად ეგა სთქვა.

**ყარამანი.** ლევანს მლვდელი დაუბარებია და უთქვამსო; როდესაც თვალით განიშნო, შენ გარედ გამოღი და მე ეკლესიაში ყუმბარას გადავაგდებო.

**მაიკო.** ვისაო? ლევანს უთქვამსო? ლევანზე როგორა სთქვეს ეგა, ლევანზე!

**ნატალია.** მერე, ბიჭო, თქვენც დაიჯერეთ?

**მიხა.** რატომაც არ დავიჯერებდით.

**რეზო.** აი, უყურეთ!

**მაიკო.** ყოველ ჭორსა და მითქმა-მოქმას როგორ უნდა დაუჯეროთ!

**ყარამანი.** თქვენ ეს ვერ შეგიგნიათ, რომ როგორც თავადი არ ვარგა უგლეხოთ, ისე გლეხი არ ვარგა უთავადოთ! თქვენ არ იცით, რომ თუ თავად-აზნაურობა არ იქნება, გლეხი დაიღუპება. ამიტომ ჩვენში მტრობა არ უნდა იყოს, არა.

**მიხა.** ეგ არ ვიცი მე. ის-კი კარგად ვიცი, რომ თუ გლეხი არ იქნება, თავად-აზნაურობა ერთ დღეს ვერ იცოცხლებს.

**ყარამანი.** ვითომ რატომაო?

**მიხა.** იმიტომ რომა თავად-აზნაურობა სვავია, რომელსაც ჩვენ ჩვენი სისხლით ვკვებავთ.

**ილიკო.** ეს პასუხი ხომ მოგხსენდათ. ახლა თქვენ გვითხარით. გლეხი რად დაიღუპება?

**რეზო.** რად დაიღუპება? გითხრათ, რად დაიღუპება?

**ილიკო.** ჰო, ჰო, გვითხარით, რად დაიღუპება.

**რეზო.** იმიტომ დაიღუპება, რომ მას არ ეყოლება დარაჯი, მცველი, მტრის მომგერებელი!

**შიხა.** მოითმიჩეთ, მოითმიჩეთ! ესე იგი საქონელს არ ეყოლება პატრონი, რომელიც ზოგს წველის, ზოგს ჰკარეჭავს, ზოგსაც ტყავს აძრობს! ეს გინდოდათ გეთქვათ, არა?

**რეზო.** აი, მოდი და ელაპარაკე. მე რას ვეუბნები, ეს რას მიპასუხებს!

**ბიჭები.** (ერთხმად) ჰოოო, ჰოოო!

**ილიკო.** წავიდეთ ახლა, ბიჭები! (ევეჭანი წამოიშლებიან).

**შაიკო.** სად მიხვალთ? მოიცადეთ, თითო ჭიქა ღვინო დალიეთ! თინა, თინა! (შეშრდის თინა).

**თინა.** ოჯ, გამარჯობათ, გამარჯობათ! (ევეჭას ხელს ართმევს) როგორა ხართ?

**სოლო.** ჯერ კარგადა ვართ და მერე რა იქნება, ღმერთმა იცის.

**მაიკო.** ღვინო გამოუტანე და დაალევინე!

**თინა.** ღვინო? ეხლავე. (გადის).

**მაიკო.** დაბძანდით, დაბძანდით! ჯერ ადრეა, რას მიეურნებით. (სიჩუმე ჩამოვარდება).

**ნატალია.** ე ყველა კარგი, მაგრამ ე მიუკარებლობა რაღა არის, ეს კი ვერ გამიგია!

**პეტრე.** მიუკარებლობა ის არის, რომ თქვენ ბოიკოტი გაქვთ გამოცხადებული.

**ნატალია.** მერე, რაღა, ბიჭო? იმისთანა რა დავაშავეთ?!

**ვანო.** ის დაშავეთ, ნათლია, რომ აქამდისინ ჩვენ გვეძინა, არა ვიცოდით-რა, ჩვენ გვატყუებდა მღვდელი, ერი და ბერი, ეხლა ჩვენ ვიცით ვინცაა ჩვენი მტერი და მოყვარე.

**რეზო.** მოიცა, ბიჭო ვანო, სხვა, იქნება, მართლა გატყუებდა, შაგრამ ჩვენ რაში გატყუებდით? აბა მე რაში მამი-ტყუებიხარ? მამაშენს ჩემგან ერთი დღის მიწა უჭირავს და სამ კოდს დალას იხდის, ეგ არის და ეგა. აბა სხვა რა წაგრძოვი?

**ილიკო.** ჰოოო, კიდეც ეგ არის და...

**სოლო.** კიდეც ეგ არის, რომ ამისი მამა ხნავდა, სთესავდა, შიგ ოფლსა ლვრიდა, შენ კი გალეჭილ კალოზე ჩანახითა და ტომჩებით მიხვიდოდი ხოლმე.

**ილიკო.** მოიცა, მერე რაში გაძლევდა დალას?

**რეზო.** რაში და მიწაში!

**სოლო.** მერე ვინ მოგცა ეგ მიწაი შენა?

**ილიკო.** მოიცა, მოიცა...

**რეზო.** ვინა და მამა-პაპამა.

**სოლო.** მამა-პაპამ რო მოგცა...

**ილიკო.** მოიცა, მოიცა, მერე მამა-პაპას ვინ მისცა?

**რეზო.** პაპის-პაპამა.

**ილიკო.** პაპის-პაპას ვინ მისცა?

**რეზო.** რა ვიცი, ვინ მისცა.

**ბიჭები.** (ერთხმად) ჰოოო, ჰოოო! (იცინდან).

**ილიკო.** მოიცათ, მოიცათ! მე რომ ტყეში წავალ და ხეს მოვჭრი, რად მახდევინებ ბაჟსა? ის ხე შენ გაზარდე, შენ დარგე, შენ მოუარე?

**სოლო.** წყალში თევზი შენ გააჩინე?

**პეტრე.** რიყეზე ქვა და ქვიშა შენ მოიტანე?

**ილიკო.** ყველაფერი თქვენა და ჩვენ მარტო ჰაერი? რა ვუყოთ ამ ჰაერსა, ძირს დავიგოთ, თუ ზედ დავიხუროთ!

**სოლო.** ეპეპეი, რა სამართალია!

**მიხა.** (ილიკოს) შენ რაგვონია, რატომ არ ადევს ჰაერს ბაჟი? იმიტომ, რომ ყარაულის დაყენება ვერ მოუხერხეს, თორეში რჩას კი უფასოთ მოგცემდენ?

**ილიკო.** არა, შვილოსა, ახლა კი ვიცით ყველაფერი!

**რეზო.** აბა რა გელაპარაკოთ! თქვენა, შვილო, ქვევრი-ვით რასაც ჩაგდახებენ, იმასვე ამოიძახებთ.

**ყარამანი.** კაცმა ისეთი არაფერი არ უნდა სთქვას, რომ თავისი სიტყვები როდისმე წინ დაუხვდეს. ეს ყველაფერი წავა-წამოვა, ჩვენ კი აქ დაჭრჩებით!

**ილიკო.** მერე, რა რო დავრჩებით? შენა ვგონია, ისევ ის იქნება, რაც იყო? იცით თქვენა (ამხანაგებს მთუბრუნდებს), ძმებო, ამხანაგებო, აი, ეს ვაჟ-ბატონი მამაჩემს ორი ღლის მიწაში რას ახდევინებდა? (თითებზე ჩამოთვლის) ექვს კოდ ჭირნახულსა, ექვს ჩანახ ლობიოსა, ოთხ მუშასა, ოთხ ნალო. შეშასა და ოთხ... კარტოფილის სანთელსა (ბიჭები იცინიან) -

**სოლო.** ე კარტოფილის სანთელი რალა?

**ილიკო.** უყურეთ აქა! მამაჩემი ჯერ აძლევდა პურსა და ლობიოსა. ერთხელ დაიბარა ამან მამაჩემი და უთხრა: ჩემო გიო, ამ პურსა და ლობიოს რო მაძლევ, პური რითი გა-მოვაცხო, ლობიო რითი მოვხარშო, ამას შე'მა არ უნდაო!?

(ბიჭები იცინიან).

**პეტრე.** ეჭევე. საიდან მოუვლია და!

**ილიკო.** მამაჩემმაც უთხრა: კარგი, ბატონო, შეშასაც მოგართმეო. გავიდა ერთი წელიწადი, დაიბარა და უთხრა: კარგი, ეს პური გამოვაცხე და ლობიო მოვხარშე და საღი-ლად მოგართვი. ვახშმათ? სანთელი არ მინდა? ბნელაში ხომ არა უჭამო? (იცინიან) კარგი, ბატონო, კარგი. კარტოფილის სანთელსაც მოვართმევო! აი, ძმებო, ამხანაგებო, ეს ვაჟბატონი გაიძახის: ის დრო ისევ დაგვიბრუნდებაო!

**ბიჭები.** (ერთხმად) არ დაბრუნდება, არა! სისხლს დავა-ქცევთ, სისხლსა!

**ილიკო.** ის დრო წავიდა. დღეს რომ მოხდეს ეგ საქმე, მიმცემსაც და ამლებსაც ერთ ხეზე ჩამოვარჩობთ!

**სოლო.** და იმ სანთლებს ხელში მივცემთ! (იცინიან).

**ყარამანი.** იცინეთ, სანამ გაქვთ გასაცინო! (შემოდის თანხ-და შემთაქვს ღვინო და სტაქნები).

## გამოსვლა მთოთხევზე

### იგინივე და თინა

**თინა.** (უსაში დაინის და აწოდებს უველას) აბა, დალიეთ  
სადღეგრძელო სთქვით.

**ილიკო.** (აიღებს ჭიქას. ხმა-მაღლა) ეს ღმერთმა აცოც-  
ხლოს, ძმებო, ამხანაგებო! ღმერთმა აცოცხლოს, რომელიც  
რომა ჩვენი კეთილის მყოფელია! გამოგვარვიძა და... ჩვენი<sup>1</sup>  
გულისთვის თავს დასდებს... როდესაც რომა ჩვენ არა ვიცო-  
დით-რა, ჩვენ წინ ბნელოდა, იმან გზა გვიჩვენა! გაუმარჯოს!  
(სჭაში).

**უველანი.** გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

**სოლო.** ძირს მტარვალები! (დაახეთქავს ძირს ჭიქას. უველა  
შეკრთება).

**თინა.** (უმსებს ჭიქებს). აბა, თითოც კიდევ.

**მიხა.** ძმებო, ამხანაგებო, გამიგონეთ! როდისმე ჩვენ  
მოვსულვართ ამ სახლში, აი, ასე, როგორცა ვართ? ხომ არ  
მოვსულვართ? მე ამათ სამზარეულოშიაც კი არა ვყოფილვარ,  
და აი დღეს...

**მაიკო.** აბა, რად ლაპარაკობ მაგასა, მიხა! მოსულხარ  
ჩვენთან და არ მიგვიღიხარ? მოსულხარ როდისმე?

**ყარამანი.** ეგ არ გეთქმისთ ჩვენზე. ეგ თქვენთვის არას  
დროს არ გვიგრძნობინებია. განა ჩვენ ერთნი არა ვართ? ეგ  
თქვენა ხართ იმ აზრისა, რომ ჩვენ სხვა ვართ და თქვენ  
სხვაო, თორემ ჩვენ...

**მიხა.** ეს, რაც ხდება, უნდა მომხდარიყო! ეს დრომ მოი-  
ტანა...

**ნატალია.** ბიჭო, მიხა! აბა ცუდი რა მიქნია შენთვის?  
მოსულხარ—პური არ მიქმევია? თავი დაგიკრავს—პასუხი არ  
მიმიცია? გამილანძლვიხარ? მიცემიხარ? აბა, მითხარი, რა და-  
მიშავებია.

**ვანო.** ნათლია, ჩვენ იმას გემდურით, რომა...

**ნატალია.** არ გეკადრება, ბიჭი, კნეინა დამიძახო! ჰა, ჰა! (ნაძღადევად იცინის).

**ვანო.** იმას გემდურით, რომა... როდესაც რომა თქვენ ეს ყველაფერი ჩვენზე აღრე იცოდით და არ გვითხარით, არ ჩაგვაგონეთ, აი, როგორც ახლა ვართ. მაშ ეს თქვენთვის სარტყა არ ყოფილა.

**სოლო.** ესეც ღმერთმა თქვენ გაცოცხლოთ. იმ დღეს მოგვასწროს, რომ ჩვენ ერთი-ერთმანეთში სტუმრად დავდიოდეთ; (ქალებს) იმ დღეს მოგვასწროს ღმერთმა, რომ თქვენა დედა-ჩემთან ერთად კალოსა ჰგვიდეთ, ეს კნიაზები კი მე გვერდში ამონდგომოდნენ და სიძინდს ერთად ვთოხნიდეთ! გაუმარჯოს! (სვამის)

**მარია.** გმადლობთ, გმადლობთ მაგ პატივისცემისთვის!

**ნატალია.** (თავისთვის) აი, ნუ მოგასწროთ ღმერთმა მაგ დღეს ნურც თქვენა და ნურც თქვენი შვილი-შვილები.

**ილიკო.** აბა, ბიჭებო, წავიდეთ!

**უველანი.** წავიდეთ, წავიდეთ!

**ილიკო.** მშვიდობით (ჟეელას დაუფლის და ხელს ჩამოართ-მევს. სწვებიც იმას მოჭებაძევნ).

**უველანი.** მშვიდობით, მშვიდობით (კარებში ერთმანეთს ეხლებან და გაფლენ).

**ყარამანი.** (თრივე ხელებს შემთიკრავს თავში) ვაი, რას მოვესწარით! (ფარდა ხელ-ხელ დაეშვება).

ფარდა

## მოძრავი მართხე

შატარა მინდორი. აქა-იქ სეგბი და ბუჩქებია. სცენის სიღრმე-ში სთვლის სამშათვებლას შენობა მოჩანს. გვერდზე ჩაუდის სიღ-ლის გზა; სამშათვებლას ეზოსა და გზაზე საჭირო მიღი-მოდის. სცენაზე, სის ქვეშ, გამართულია გრეჭი სკამი, რამელი უდაც სხე-დან მაქსიმე, მიქელა და გაბო. (ილიკა შორა ახლო დგას)

### გამოსვლა პირველი

**მაქსიმე.** აბა, რაღას ვაგვიანებთ! კაკიაშვილი მოიყვანეს? **ილიკო.** კარგა ხანია მოიყვანეს. თქვენ გიცდით.  
**მაქსიმე.** ჩვენ მზადა ვართ. შემოიყვანეთ,  
**ილიკო.** (გაბრუნდება და გასძინებს) მოიყვანეთ. მოიყვა-  
ნეთ! ხალხო, თქვენც მოდით. (შეტრე და განრ შემრავენენ)  
გიორგა კაკიაშვილს. სელები უკან გაკრული აქვს თოკით. უკან ხალ-  
ხი მისდევს.)

**მაქსიმე.** აქეთ მოიყვანეთ. დადეჭი, აი ასე. ხელები გა-  
უხსენით! (ხელებს გაუხსნან) რა გვარი ხარ?

**კაკიაშვილი.** (თავ-ჩადუნული) გიორგა კაკიაშვილი.

**მაქსიმე.** საღაური ხარ?

**კაკიაშვილი.** იმერეთილან.

**მაქსიმე.** რა ხელობისა ხარ?

**კაკიაშვილი.** მეღუჯნესთან დახლიდრად ვიყავი.

**მაქსიმე.** რა დანაშაულობა მიუძლვის, ხალხო, ამ კაცა?

ქრონი. ქურდი!

მეორე. ქათმები მოიპარა!

მესამე. ეგ წინადაც ქურდობდა!

მეოთხე. ეგ მეხუთედ ვიჭერთ ქურდობაში!

**მაქსიმე.** ვინ დაიჭირა ეს კაცი?

**ილიკო.** ჩვენ დავიჭირეთ.

**მაქსიმე.** აბა, როგორ იყო საქმე?

**ილიკო.** ჩვენი დედაკაცები ხშირად სჩიოდენ, ქათმები გვეკარგებათ. ბოლოს რამდენმამჟ ბიჭმა გადავწყვიტეთ გვეთვალთვალებინა და ქურდი დაგვეჭირა. ორ ღამეს ვუდარაჯეთ. მესამე ღამეს, გათენებამ რომ მოატანა, დავინახეთ, რომ ვიღაცა ლომინაძის სახლისკენ მიიპარება. ჩვენ ავედევნეთ და ლომინაძის ლობეს ამოვეფარეთ ქურდი მივიღა საქათმესთან, გამოიყვანა რამდენიმე ქათამი, დანით თავები დააყრევინა და ტომარაში ჩაყარა. იმ დროს მივცვივდით და დავიჭირეთ აიეს ბატონი.

**პეტრე.** ეგ ამას ხშირად სჩადიოდა თურმე ოცს, ოცდა-ათ ქათამს მოიპარავდა და გასასყიდლად ქალაქში მიჰქონდა.

**მაქსიმე.** რას იტყვი შენა, კაკიაშვილო?

**ერთი.** რა უნდა სთქვას? გადაუწყვიტეთ რამე, თორებ  
მაგისაგან მოსვენება არ არის.

**მეორე.** რაც სოფელში იკარგება, სულ ეგ არის, ეგა!

**მესამე.** ჩვენი სოფელი მაგან გააჩანაგა!..

**მიქელა.** კაკიაშვილო; გესმის, რას ამბობს ხალხი? აი, შეხედე, ეს ამოდენა ხალხი მოგჩერებია ზიზლით და მზად არის შუაზე გაგხლიჩოს, რადგან შენა ხარ ქურდი, ქვეყნის გამჩანაგებელი! რას იტყვი, რა პასუხი გაქვს ამ ხალხისთვის?

**კაკიაშვილი.** დამნაშავე ვარ.

**ილიკო.** ამხანაგებო! დღეს ჩვენი ძალა და ჩვენი ლონე საერთო საქმეს უნდა მოვანდომოთ. დღე-და-ღამ იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, თუ როგორ, რა გზით მოვიპოვოთ ადამიანური უფლება და ლუკმა-პური. ძალა კი ერთობაშია. ვინც გვერდში არ ამოგვიღება, ვინც ჩვენთან ერთად არ იშოქმედებს, ის მოღალატეა!!

**ხალხი.** (ერთხმად.) მოღალატეა! მოღალატეა!!

**ილიკო.** ვინც ხელს შეგვიშლის, ის მტერია ჩვენი!

**ხალხი.** (ერთხმად) მტერია! მტერი!!

**ილიკო.** ეს მტერია ჩვენი! ეს ერთობის საქმეს ხელს უშ-

894.63

6592

288

სვ. უიკიანი

ლის! ეს უნდა დავსაჯოთ ისე, რომ მაგალითად იყოს სხვებისთვის! სიკვდილი მაგას!!

**ხალხი.** (ერთხმად) მოვკლათ! მოვკლათ! სიკვდილი! სიკვდილი!!

**მაქსიმე.** მოიცათ, ხალხნო, მოიცათ! ამასაც ვათქმევინოთ. კაკიაშვილო, სთქიო, თუ რაშე ჭაქცეს სათქმელი.

**კაკიაშვილი.** რა მაქვს სათქმელი! დამნაშავე ვარ!.. მაგრამ (ფაქტება მუხლებზე) მაპატიეთ. . შევკვდი, გთხოვთ, მაპატიოთ!

**ილიკო.** დამნაშავე რო ხარ, ეგ ყველამ ვიცით, შენ სხვი სთქვი, სხვა!

**გაბო.** ქურდი ჯერ ტირილს დაიწყებს, მერე დაიფიცებს: თავის დღეში აღარ ვიზამო, მაგრამ ხელებს როგორც კი გაუხსნი, თუ მოითავხელა იქვე გვერდით მოგპარავს. ქურდის აღარება ტყუილია!

**მიქელა.** ეე, კაცი რა გზითაც ერთხელვე დაეჩვენა, მუდამ იმ გზით ივლის.

**ერთი.** ვინც ერთხელვე ქურდობას იგემებს, ის მუშაონდას ხელს აღარ მოჰკიდებს!

**მეორე.** მუშაობა ძნელია, ქურდობა აღვილი!

**მესამე.** პატიება არ იქნება, არა!

**ილიკო.** ჩვენი სუდი მიროი სუდი კი არ არის, ქურდს ზამთარში თბილად ციხეში არმ ჩასვამენ და ფოთოლი რო გამოვა, გამოუშვებენ. ჩვენ ქურდებს ჩავკლავთ, ჩავარჩობთ!

**ხალხი.** მოვკლათ! მოვკლათ! სიკვდილი მაგას!

**კაკიაშვილი.** ხალხნო, მაპატიეთ!... მათქმევინეთ...

**ხალხი.** ათქმევინეთ! სთქვი! სთქვი!

**შაქსიმე.** სთქვი, ყურს გიგდებთ.

**კაკიაშვილი.** შვიდი წლისა ვიყავ, დედ-მამამ დუქანში რომ მიმაბარა, მასუკან დუქნის მეტი ჩემ სიცოცხლეში დრა მინახავს-რა. დღე-და-ლამ სულ ლოთობას ვხედავდი. ლოთი კაცი რომ დახლზე წამოჯდებოდა, იგინებოდა და ფულებს აპნევ-

